მალხაზ ბაძაღუა

პროფესიული ეთიკის საფუძვლები

2018

მალხაზ ბაძაღუა

პროფესიული ეთიკის საფუძვლები

საჯარო-სამართალდამცავ და სპეციალურ სამსახურებში

თბილისი
2018

უაკ(UDC)174
ბ-36

ევროპასთან ინტეგრაციის პირობებში ქართული საზოგადოებისათვის სულ უფრო აქტუალური ხდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ეთიკური და ქცევის წესების დანერგვის აუცილებლობა საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების საქმიანობაში.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო და დაინტერესებულ სახელმწიფო დაწესებულებებისათვის პროფესიულ ეთიკაში შესაბამისი ლიტერატურის არარსებობამ დღის წესრიგში დააყენა სახელმძღვანელოს შექმნის აუცილებლობა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით „პროფესიული ეთიკის განვითარების" პროექტის ფარგლებში განხორციელდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტთან და ა.(ა).ი.პ. „დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრთან" თანამშრომლობით. წიგნში განხილულია საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპები, პროფესიული ეთიკასთან და ქცევასთან დაკავშირებული ზოგადი თეორიული საკითხები, ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები, გამოცდილება და რეკომენდაციები.

წიგნი განკუთვნილია უმაღლეს საგანმანათლებლო დანესებულებების პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის, შესაბამისი სახელმწიფო დანესებულებების მოსამსახურეებისა და ამ საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორები :

მამუკა თავხელიძე	პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ეკა ბესელია	სამართლის დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები:

რევაზ ბალანჩივაძე	ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გივი ლობჟანიძე	იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ჯემალ გაბელია	სამართლის დოქტორი, პროფესორი

წიგნი გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით

© **მალხაზ ბაძალუა**

ISBN 978-9941-27-502-9

სარჩევი

შესავალი 8

ნაწილი პირველი
პროფესიული ეთიკის ზოგადი საფუძვლები 10

პირველი თავი
ეთიკის ადგილი მეცნიერებაში 10

1.1. ეთიკის, როგორც მეცნიერების განვითარება 10
1.2. ეთიკური ნორმების განვითარება საქართველოში 12
1.3. ზნეობის ნორმათა სტრუქტურა და ფუნქციები 14
1.4. ეთიკური ღირებულებები 16
1.5. ეთიკური ნორმები და საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები 19

მეორე თავი
ეთიკის კატეგორიები 22

მესამე თავი
ეთიკისა და სამართლის თანაფარდობა 35

3.1. ბუნებითი სამართალი 35
3.2. რეალობა და სამართალი 37
3.3. ზნეობა და სამართალი 39
3.4. ეთიკა და კრიმინოლოგია 41

მეოთხე თავი
პროფესიული ეთიკის არსი და მისი სახეები 47

4.1. პროფესიული ეთიკის არსი, ცნება და საგანი 47
4.2. პროფესიული ეთიკის სახეები 49
4.2.1. მოსამართლის პროფესიული ეთიკის ძირითადი ნორმები 49
4.2.2. პროკურატურის მუშაკთა ეთიკის ძირითადი ნორმები 54
4.2.3. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ძირითადი ნორმები 64

39063
10-00
ი.ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი
I.C.P.L. SOKHUMI STATE UNIVERSITY
ბიბლიოთეკა
LIBRARY

ნაწილი მეორე
საჯარო-სამართალდამცავი, სპეციალური სამსახურების
საქმიანობის ძირითადი პრინციპები და პროფესიული ეთიკის
საკითხები.....71

თავი პირველი
საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების
მოსამსახურეთა პროფესიული ეთიკა და
მისი თავისებურებანი.....71

1.1. საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების
მოსამსახურეთა პროფესიული თავისებურებები და ზნეობრივი
ფაქტორები.....72
1.2. საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების
მოსამსახურეთა ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ-ნებელობითი
მახასიათებლები და მათი გამოყენება
პროფესიულ საქმიანობაში.....76
1.3. საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების
მოსამსახურეთა პროფესიული გადაღლა, გადანვა, გადახრა/
დეფორმაცია და მათი თავიდან აცილება.....79
1.4. საჯარო სამსახურის მართვის, კორუფციულ დანაშაულთან
ბრძოლის, სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების
მონიტორინგის მექანიზმები.....86
1.4.1. საჯარო სამსახურის საბჭო და ბიურო.....87
1.4.2. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის
ანტიკორუფციული სააგენტო.....90
1.4.3. საჯარო-სამართალდამცავ და სპეციალურ სამსახურებში
პროფესიული ეთიკის საკითხების მონიტორინგი.....91
1.5. საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალურ სამსახურების
მოსამსახურეთა პროფესიული მომზადება 103

მეორე თავი
საჯარო სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები,
ინტერესთა შეუთავსებლობა და კორუფცია,
პროფესიული ეთიკისა და ქცევის საკითხები 109

2.1. საჯარო სამსახურის საქმიანობის
ძირითადი პრინციპები.....109

2.2. ინტერესთა შეუთავსებლობა და კორუფცია საჯარო სამსახურში 118
2.2.1. საჯარო მოსამსახურის ვალდებულებების და მოქმედებების შეზღუდვები 119
2.2.2. საჯარო მოსამსახურის თანამდებობრივი და ინტერესთა შეუთავსებლობა 121
2.2.3. საჯარო მოსამსახურის ქცევის ზოგადი წესები 124
2.2.4. საჯარო თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებასთან, წარდგენასთან დაკავშირებული ვალდებულება და პასუხისმგებლობა 127
2.3. ეთიკისა და ქცევის საკითხები საჯარო სამსახურში 131
2.3.1. საჯარო მოსამსახურის პროფესიული ქცევის სტანდარტები 132
2.3.2. საჯარო მოსამსახურის სახელმწიფოსთან ურთიერთობის ეთიკური პრინციპები 150
2.3.3. საჯარო მოსამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის ეთიკური პრინციპები 159

მესამე თავი
პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები, პროფესიული ეთიკისა და ქცევის საკითხები 163

3.1. პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები 163
3.2. ეთიკისა და ქცევის საკითხები პოლიციაში 174
3.2.1. პოლიციელის ეთიკური ვალდებულებები და მოქმედებების შეზღუდვები 177

მეოთხე თავი
სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები, პროფესიული ეთიკისა და ქცევის საკითხები 185

4.1. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები 185
4.2. კონტრდაზვერვითი საქმიანობის პრინციპები 198
4.3. პროფესიული ეთიკისა და ქცევის საკითხები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში 201
4.3.1. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურის ეთიკური ვალდებულებები და მოქმედებების შეზღუდვები 205

შესავალი

პოსტტოტალიტარულ ეპოქაში, როდესაც ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ინსტიტუციების მშენებლობის პროცესი, და საქართველოს კონსტიტუციის მიერ ადამიანის უფლებები და თავისუფლებები გამოცხადებულია უმაღლეს ღირებულებად, ეთიკური პრობლემატიკის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ეთიკის საკითხების კვლევა და მისი გამოყენება საჯარო სივრცეში სასიცოცხლოდ აუცილებელია საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების[1] მოსამსახურეებისათვის, მათ შორის, განსაკუთრებით სამართლის სფეროს პრაქტიკოსებისათვის, რადგან მათი საქმიანობის მთავარ ობიექტს ადამიანი წარმოადგენს, რომლის პირად ცხოვრებაში ჩარევა და ცხოვრების დეტალების გარკვევა განსაკუთრებით მგრძნობიარეა. ხშირ შემთხვევაში, მათ გადაწყვეტილებებზე დამოკიდებულია ადამიანთა არა მარტო მომავალი, არამედ – სიცოცხლეც.

ზემოაღნიშნული საკითხის მნიშვნელობის მიუხედავად, სამწუხაროდ, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეებისათვის პროფესიულ ეთიკაში ქართულ ენაზე შესაბამისი ლიტერატურა არ არსებობდა. წინამდებარე სახელმძღვანელო მოკრძალებული მცდელობაა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, აღნიშნული სამსახურების მოსამსახურეებს და დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების პროფესიული ეთიკის საკიხებში, რაც მათ დაეხმარებათ როგორც პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში, ასევე – ყოფით ცხოვრებაში.

სახელმძღვანელო, „პროფესიული ეთიკის საფუძვლები" შედგება ორი ნაწილისაგან, პირველი ნაწილი მიზნად ისახავს პროფესიული ეთიკის ზოგადი საფუძვლების, ხოლო მეორე ნაწილი საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის საკითხების განხილვას, საქართველოს კონსტიტუციის და სხვა კანონქვემდებარე აქტების,

---

1 სპეციალური სამსახურები – საქართველოს ხელისუფლების სპეციალური ორგანოები, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ დაზვერვით ან/და კონტრდაზვერვით (ოპერატიულ, ოპერატიულ-ტექნიკურ და სხვა) ღონისძიებებს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

საერთაშორისო კონვენციების, რეკომენდაციებისა და გამოცდილების ჭრილში.

სახელმძღვანელოზე მუშაობისას, რედაქტორებთან და რეცენზენტებთან ერთად, საქმიანი ქმედითი დახმარება გაგვინიეს მეცნიერ-მკვლევრებმა: **ირაკლი გაბისონიამ, თეიმურაზ ფაჩულიამ, ანა ფირცხალაშვილმა, დავით გუგავამ, თეა სამჭკუაშვილმა და მიხეილ ბაძაღუამ**, სპეციალისტებმა: **ლევან ხიტაშვილმა და მიხეილ სარიშვილმა** რისთვისაც მადლობას ვუხდით მათ.

განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავთ საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მიმართ პროექტის მხარდაჭერისათვის.

ავტორი სიამოვნებით მიიღებს დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისაგან შენიშვნებსა და ნინადადებებს, რომლებიც განხილული იქნება.

ნაწილი პირველი

პროფესიული ეთიკის ზოგადი საფუძვლები

პირველი თავი

ეთიკის ადგილი მეცნიერებაში

1.1. ეთიკის, როგორც მეცნიერების განვითარება

მეცნიერება წარმოადგენს ცოდნის მიზეზ-შედეგობრივად დასაბუთებულ სისტემას, რომელსაც აქვს კვლევის კონკრეტული საგანი და მეთოდები. განასხვავებენ საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ ანუ ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, რომელთაგან პირველი სწავლობს ბუნების საგნებსა და მოვლენებს, ხოლო მეორე შეისწავლის საზოგადოებრივ ურთიერთობათა კანონზომიერებებს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგებია – ფიზიკა, ქიმია, გეოლოგია, გეოგრაფია, მათემატიკა და ა.შ. ხოლო საზოგადოებრივ მეცნიერებებს მიეკუთვნება – ფილოსოფია, სოციოლოგია, ისტორია, ეკონომიკა, სამართალმცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა და ა.შ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს აინტერესებთ ბუნებისა და ყოფიერების კანონზომიერებები სუბიექტური, ადამიანური განზომილებების გარეშე, მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი მეცნიერებებისათვის ამოსავალი ადამიანია, რომლის გარშემოც ფოკუსირებულია ამ მეცნიერებათა დარგების ინტერესები.

ეთიკა საზოგადოებრივი მეცნიერებაა და მასაც, როგორც მეცნიერების კონკრეტულ დარგს, აქვს კვლევის საკუთარი საგანი და მეთოდები. **ეთიკა არის ფილოსოფიის შემადგენელი ნაწილი, რომელიც შეისწავლის ადამიანის ზნეობას**. ტერმინი „ეთიკა" ძველბერძნული წარმოშობისაა, მომდინარეობს სიტყვიდან „ეთოს", რაც ნიშნავს ჩვევას, ჩვეულებას. მისი შემომტანია ძველი ბერძენი ფილოსოფოსი **არისტოტელე** (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ძველი წელთაღრიცხვის 382-322 წლებში). უფრო ადრე ეთიკის საკითხებს დიდი ადგილი დაუთმეს – **სოკრატემ** (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ძველი ნელთაღრიცხვის 469-399 წლებში) და **პლატონმა** (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ძველი წელთაღრიცხვის 427-347 წლებში). ძველი ბერძენი ფილოსოფოსების დაინტერესება ეთიკის საკითხებით შემთხვევითი არ იყო, რადგან

ეთიკა, როგორც მეცნიერება, არის ფილოსოფიური დისციპლინა. ზნეობის საკითხების მეცნიერული შესწავლა მისი ფილოსოფიური გააზრების გარეშე შეუძლებელია, ამიტომაც ისინი თავიანთი ფილოსოფიურ სისტემების ეთიკური მოძღვრებების აგების მიზნით ქმნიდნენ.

ეთიკის საკითხებს არისტოტელემ მიუძღვნა სპეციალური ნაშრომები **„დიდი ეთიკა"** და **„ნიკომაქეს ეთიკა"**. ეთიკაში იგი გულისხმობდა ადამიანის ზნეობის ჩამომყალიბებელ სათნოებებს.[2] აქედან მოყოლებული ეთიკა ცდილობს ზნეობის მეცნიერულ გააზრებასა და დაფუძნებას, მისი ნორმებისა და კატეგორიების თეორიულ დასაბუთებას. სიტყვა „ზნეობა" არის ლათინური „მორალის" სინონიმი, ისინი ერთი მნიშვნელობით იხმარება და აღნიშნავს „ზნეს". **„ზნე" ნიშნავს ხასიათს, ბუნებას, თვისებას, რაც შედარებით განვითარებულ ცხოველებს და ადამიანებს ახასიათებთ. ხოლო „ზნეობა" მხოლოდ ადამიანებისათვის არის დამახასიათებელი.**

ზნეობა წარმოადგენს ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობას, რომლებიც აწესრიგებენ და არეგულირებენ ადამიანის ცხოვრებას. იგი არის საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ადამიანის რეგულაცია[3]. ზნეობა მოიცავს ადამიანთა მოღვაწეობის ყველა სფეროს წარმოებითი ურთიერთობებიდან დაწყებული სამართლებრივი, საფინანსო და საოჯახო ურთიერთობებით დამთავრებული. მის ნორმებსა და პრინციპებს გააჩნიათ საყოველთაო მნიშვნელობა და ვრცელდება მთელ საზოგადოებაზე, იგი ქმნის ცივილიზაციათა მყარ საფუძველს, რომლებზედაც აგებულია კაცობრიობის ისტორია.

ზნეობრივი ნორმებისა და კატეგორიების შესწავლა შეუძლებელია თავად ადამიანის, მისი არსისა და სპეციფიკის შესწავლის გარეშე. ამ პრობლემატიკას, უპირველეს ყოვლისა, იკვლევს ფილოსოფიური ანთროპოლოგია – ადამიანთმცოდნეობა. ეთიკა ეყრდნობა და იყენებს იმ თეორიულ ბაზას, რაც ამ მიმართულებით ფილოსოფიას გააჩნია და მათ საფუძველზე ახდენს საკუთარი კვლევა-ძიების განზოგადებას. ფილოსოფია პასუხს ცემს ყველა იმ ფუნდამენტურ კითხვას, რაც დაკავშირებულია ადამიანის

---

2 სათნოება – სიკეთის კეთების ჩვეული და მტკიცე მზადყოფნაა. ის ადამიანს საშუალებას აძლევს, არა მხოლოდ კეთილი საქმეები ჩაიდინოს, არამედ თავისი საუკეთესო თვისებები გამოავლინოს. სათნოება გონებისა და ნების მყარი მზადყოფნაა, რომელიც განაგებს ადამიანის ქმედებებს, ანესრიგებს მის ენებებს და წარმართავს მის საქცევლს რწმენისა და გონების შესატყვისად. პიერო პეტროზელო, „ქრისტიანობის ლექსიკონი", თბ.: 2011. 434 გვ.

3 გელა ბანძელაძე „ეთიკა", თბ. 1966; გვ. 73

ყოფიერებასთან. ადამიანის ადგილის დადგენა სამყაროში, მისი ცხოვრების გასაზრისიანება,[4] მისი ღირებულებებისა და მენტალობის ნარმომშობა ის სფეროებია, რომლებსაც ფილოსოფია ინტენსიურად იკვლევს. ფილოსოფია ნარმოუდგენელია თავისუფლების პრობლემის გარეშე, რომელიც ადამიანური ყოფიერების გასაღებია. **თავისუფლება ნარმოადგენს ეთიკის ხერხემალს, რომლის გარშემოც თავს იყრიან ზნეობის პრინციპები და კატეგორიები.**

ამრიგად, **ეთიკა ფილოსოფიური ანალიზის საფუძველზე შეისწავლის ადამიანური ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს – ზნეობას.** ეთიკას აინტერესებს, რა არის ადამიანის სიცოცხლის აზრი და მისი არსებობის სპეციფიკა, როგორია ადამიანური ცხოვრების იდეალი და მისი მიღწევის გზები. ეთიკა იკვლევს, თუ რა არის ზნეობა, სიკეთე, სინდისი, მოვალეობა, ბედნიერება, სათნოება, მანკიერება და სხვა. ამ ზოგად პრობლემებთან ერთად, ეთიკა სწავლობს ცალკეული პროფესიების ადამიანებისათვის განსაკუთრებულად საჭირო და აუცილებელ ზნეობრივ თვისებებს ანუ სათნოებებს, ეთიკურ სტანდარტებს.

დიდი გერმანელი ფილოსოფოსის **იმანუელ კანტის** (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1724-1804 წლებში) თვალსაზრისით ეთიკა ყველა სხვა მეცნიერებაზე მაღლა დგას, რადგან ისინი ქმნიან პირობებს ადამიანური ცხოვრებისათვის, ეთიკა კი იკვლევს იმას, თუ რას ნიშნავს ადამიანური ცხოვრება და როგორია იგი, ე.ი. შეისწავლის მიზანს, მაშინ როდესაც სხვა მეცნიერებები შეისწავლიან ამ მიზნის მიღწევის საშუალებებს.

1.2. ეთიკური ნორმების განვითარება საქართველოში

საქართველოში III-IV საუკუნეებში არსებობდა კოლხეთის ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლა, სადაც განათლების მისაღებად უცხო ქვეყნებიდანაც ჩამოდიოდნენ. ქართული ეთიკური აზროვნების საფუძვლებთან იდგა V საუკუნის გამოჩენილი ქართველი თეოლოგი და ფილოსოფოსი, ქრისტიანული ნეოპლატონიზმის ფუძემდებელი და თვალსაჩინო წარმომადგენელი **პეტრე იბერი**, (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 411-491 წლებში) ერისკაცობაში მურვანი, სირიული წყაროებით – ნაბარნუგი, იგი ქართველი მეფისწული ყოფილა, რომელიც თავის მასწავლებელთან – **იოანე ლაზთან** (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა III-IV საუკუნეებში) ერთად საბერძნეთში წასულა განათლების

4 აზრისი – გონება, „გულის აზრი" რომელსაც „ენა იმეორებს". ჟურნალი „სემიოტიკა" №7. 2010.

მისაღებად, იქიდან კი სირიაში გადასულა, სადაც ქართველთა „სირიული სკოლა“ დაუარსებია. პეტრე იბერის პაპის – **ბაკურ დიდი იევრიელის** (IV საუკუნის ბიზანტიის მხედართმთავარი, ფილოსოფოსი, რიტორი. ბერძნულ-ლათინურ წყაროებში ხან მეფედ იხსენიება, ხან მეფის შთამომავლად) სახელს უკავშირებენ ფილოსოფიური განათლების წამოწყებას საქართველოში, სადაც იგი IV საუკუნეში მოღვაწეობდა.

დიდ ქართველ ფილოსოფოსს **იოანე პეტრინს** (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1050-1126 წლებში) კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტზე უსწავლია, შემდეგ ბულგარეთში გადასულა და პეტრინონის ქართულ მონასტერში დამკვიდრებულა, მოგვიანებით კი **დავით აღმაშენებლის** (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1089-1125 წლებში) მოწვევით, საქართველოში ჩამოსულა და გელათში შეუქმნია ფილოსოფიური სკოლა, სადაც უთარგმნია არისტოტელეს და სხვა ფილოსოფოსთა შრომები. მას ეკუთვნის ფილოსოფიურ-დიდაქტიკური შინაარსის თხზულება **„სათნოებათა კიბე“**, რომელიც შეიცავს მორალურ შეგონებებს, რომელიც შუა საუკუნეებში მეტად პოპულარული თხზულება ყოფილა და უმეტესად ქრისტიან ბერმონაზონთა შორის გავრცელებულა.

XI-XII საუკუნეების ქართულმა ფილოსოფიამ ნიადაგი მოამზადა ქართული რენესანსისათვის, რომელიც ორი-სამი საუკუნით უსწრებდა ევროპულს. ამ აზრის დასამტკიცებლად აკადემიკოსი **შალვა ნუცუბიძე** (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1888-1969 წლებში) მიმართავს **შოთა რუსთაველის** (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XII-XIII საუკუნეებში) ფილოსოფიურ ქმნილებას **„ვეფხისტყაოსანს“** და განიხილავს, როგორც ანტიკური, ნეოპლატონური და ქართული ფილოსოფიური აზროვნების კვინტესენციას[5], რომელიც ნარმოადგენს ამაღლებული სიყვარულის, მეგობრობის, სიბრძნის, სიმამაცის, ღირსება-თავმოყვარეობის, მომთმენობის, უანგარობისა და სხვა სათნოებათა ჰიმნს. იგი შეიძლება ჩაითვალოს ყველა დროისა და ყველა ხალხის ეთიკის სახელმძღვანელოდ.

ეთიკის პრობლემების შესნავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია **სულხან-საბა ორბელიანის** (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1658-1725 წლებში) შემოქმედება, რომლის ქართულ სიტყვათა ლექსიკონმა **„სიტყვის კონამ“** მოგვცა ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ასტრონომიის, მორალის და ა.შ. ძირითადი ცნებების განმარტებები, ხოლო ამ ცნებათა შინაარსი და ცხოვრებაში გამოვლენა მხატვრულად გადმოსცა დიდაქტიკურ-ფილოსოფიურ ნანარმოებში **„სიბრძნე-სიცრუისა“**.

5 კვინტესენცია – არსი, განსახიერება.

ეთიკის გაკვეთილები მოცემულია არაერთ ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებში, მათ შორის აღსანიშნავია **ილია ჭავჭავაძის** (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1837-1907 წლებში) **„სარჩობელაზედ“**, **„კაცია ადამიანი?!“** **„ოთარაანთ ქვრივი“**, **მიხეილ ჯავახიშვილის** (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1880-1937 წლებში) **„კვაჭი კვაჭანტირაძე“**, **„ჯაყოს ხიზნები“**, **ვაჟა ფშაველას** (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1861-1915 წლებში) **„ალუდა ქეთელაური“**, **„სტუმარ-მასპინძელი“**, **„პახტრიონი“**, **„სვინდისი“**, **ოთარ ჩხეიძის** (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1920-2007 წლებში) **„ბორიაყი“**, **ჭაბუა ამირეჯიბის** (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1921-2013 წლებში) **„დათა თუთაშხია“**, **გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“** და სხვა.

მე-20 საუკუნეში საქართველოში ფილოსოფიისა და ეთიკის საკითხებში ფუნდამენტური კვლევები აქვთ განხორციელებული თვალსაჩინო მეცნიერებს: **შალვა ნუცუბიძეს**, **სერგი დანელიას** (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1888-1963 წლებში), **მოსე გოგიბერიძეს** (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1897-1949 წლებში), **დიმიტრი უზნაძეს** (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1886-1950 წლებში), **კოტე ბაქრაძეს** (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1898-1970 წლებში) **სავლე წერეთელს** (ცხოვრობდა და მოღვაწეობა 1907-1966) და სხვებს.

ეთიკის, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის ჩამოყალიბება და განვითარება პროფესორ **გელა ბანძელაძის** (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1927-1985 წლებში) სახელს უკავშირდება. მისი ავტორობით და ინიციატივით 1962 წელს გამოიცა **„ეთიკის“** სახელმძღვანელო და დაარსდა კათედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.[6]

1.3. ზნეობის ნორმათა სტრუქტურა და ფუნქციები

ზნეობა, უპირველეს ყოვლისა, თავისუფალ არჩევანზე დაფუძნებული ფენომენია, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ ძალდატანებასა და იძულებას. ზნეობრივი შეგნება ან საქციელი მხოლოდ მაშინაა ეთიკური, როდესაც იგი შეუზღუდავი არჩევანის პირობებში ხორციელდება.

თავისუფლება არ ნიშნავს თვითნებობას, აღვირახსნილობას, თავაშვებულობას. იგი უდიდესი პასუხისმგებლობაა და, პირველ რიგში, მიზნად ისახავს არა სხვების ინტერესების დათრგუნვას, არამედ მათ დაცვასა და გათვალისწინებას[7]. ზნეობის სტრუქტურაში სწორედ ეს მომენტია ნაგულისხმევი, როდესაც ლაპარაკია პიროვნებისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ გადადგმულ ნაბიჯებზე.

6 როზა გაფრინდაშვილი – „ეთიკა“ თბ. 2001. გვ. 129-132.

7 იმანუელ კანტი „პრაქტიკული გონების კრიტიკა“, თბ. 2016; გვ.17

სხვისი ინტერესების გათვალისწინება ნიშნავს საკუთარი ყოფიერების შეზღუდვას, საკუთარი მეს თვითუარყოფას, თვითდათმობას, რაც საბოლოო ჯამში სხვა არაფერია, თუ არა სიკეთე. ის, ვინც თავისუფალი ნების საფუძველზე ყოველგვარი ანგარებისა და დაინტერესების გარეშე საკუთარ მეს სწირავს, სხვის სასარგებლოდ, სჩადის სიკეთეს. ამდენად, **სიკეთე არის სიყვარულის ხორცშესხმული აქტი**. თავისუფლება, სიკეთე, სიყვარული ზნეობის ფუნდამენტური ცნებებია, რომლებსაც სუბსტანციური, პირველხარისხოვანი დატვირთვა აქვთ ზნეობის სტრუქტურაში და მათ გარეშე ნარმოუდგენელია ნებისმიერი ეთიკური ქმედება თუ ნორმა.

ზნეობის სტრუქტურაში იგულისხმება მორალური ნორმები და პრინციპები, ზნეობრივი იდეალები, მორალური კრიტერიუმები და ა.შ. ამდენად, როდესაც ლაპარაკია მორალურ ნორმებზე, იგულისხმება ზნეობრივი ნორმები, რომლებიც ნარმოადგენენ საზოგადოებაში ადამიანის ქცევის დამდგენ სოციალურ ნორმებს, განსაზღვრავენ მის ურთიერთობებს სხვა ადამიანებთან, საზოგადოებასა და საკუთარ თავთან. მორალური ნორმები შეიძლება გამოხატული იქნეს როგორც იმპერატიულ, ასევე პოზიტიურ ფორმაში. იმპერატიული ფორმის მაგალითია მოსეს ათი მცნება,[8] რომელსაც აკრძალვითი ხასიათი აქვს „არა ჰქმნა თავისა შენისა კერპი, პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, არა კაც-ჰკლა, არ იმრუშო, არ იპარო, ცილი არა დასწამო, არა გული გითქმოდეს...“ და ა.შ. ნორმის პოზიტიური ფორმის მაგალითებია: იყავი პატიოსანი, დაეხმარე მოყვასს, პატივი ეცი უფროსებს.

მორალური პრინციპები ზნეობრივი მოთხოვნების გამოხატვის ფორმებია, რომლებშიც გაშლილია საზოგადოებაში გაბატონებული ზნეობის არსი. თუ მორალური ნორმა განსაზღვრავს ტიპურ სიტუაციაში ადამიანის კონკრეტულ მოქმედებას, მორალური პრინციპი ადამიანს აძლევს მოქმედების ზოგად საფუძვლებს. მორალურ პრინციპებს განეკუთვნება ჰუმანიზმი, ალტრუიზმი[9], კოლექტივიზმი, მათგან პირველი – ჰუმანიზმი დაიყვანება ადამიანის უმაღლეს ღირებულებად აღიარებაზე, მეორე – ალტრუიზმი, მოყვასისადმი უანგარო მსახურებაზე, მესამე – კოლექტივიზმი საერთო კეთილდღეობის

---

8 მოსეს ათი მცნება – ათი უმთავრესი კანონი (წესი), რომელიც ძველი აღთქმის ხუთწიგნეულის თანახმად თავად ღმერთმა მისცა მოსე წინასწარმეტყველს სინის მთაზე.ძველი აღთქმა, გამოსელა, 19:10-25.

9 ალტრუიზმი – (ლათ. altruisme – სხვა) – ზნეობრივი პრინციპი, რომელიც ნიშნავს სხვა ადამიანებისადმი უანგარო სამსახურს, პირადი ინტერესების ნაცვლად, სხვისი ინტერესების ნინა პლანზე ნამონევას.

სასარგებლოდ ინდივიდუალისტური მისწრაფებებისადმი შეგნებულად უარის თქმაზე.

ზნეობრივი იდეალი იმ ზნეობრივად სრულყოფილი პიროვნების სახით არის გამოხატული, რომელმაც საკუთარ თავში განახორციელა მაღალი ღირებულებები. **ზნეობრივი იდეალი განსაზღვრავს, აღზრდის მიზნებს და ზემოქმედებას ახდენს მორალური პრინციპებისა და ნორმების შინაარსზე.** ზნეობრივი იდეალი სხვადასხვანაირად იყო გაგებული სხვადასხვა ეპოქაში. თუ არისტოტელე ზნეობრივ იდეალს ხედავდა სრულყოფილ პიროვნებაში, რომელიც აუმღვრევლად, მშვიდად ჭვრეტდა ჭეშმარიტებას, დიდი გერმანელი ფილოსოფოსის იმანუელ კანტისათვის იგი წარმოადგენდა ჩვენი ქცევების სახელმძღვანელოს, „ჩვენში მოქმედ ღვთაებრივ ადამიანს", რომელთანაც გატოლებით ჩვენ სრულყოფილები ვხდებით, მაგრამ ვერასოდეს ვერ მივაღწევთ იდეალურ დონეს. ზნეობრივ იდეალს თავისებურად განმარტავენ სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობები, პოლიტიკური და ფილოსოფიური მოძღვრებები.

ზნეობის ფუნქციებზე მსჯელობისას გამოყოფენ მარეგულირებელ, აღმზრდელობით, შემეცნებით, შეფასებით – იმპერატიულ, მაორიენტირებელ და კომუნიკაციურ ფუნქციებს:

– **ზნეობის მარეგულირებელი ფუნქცია** უმთავრესი და წამყვანია, რომელიც წარმართავს და კორექტირებას უკეთებს ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობას საზოგადოებასა და სხვა ადამიანებთან მიმართებაში;

– **ზნეობის აღმზრდელობითი ფუნქცია** მონანილეობს პიროვნების ჩამოყალიბებასა და ფორმირებაში;

– **ზნეობის შემეცნებითი ფუნქცია** გულისხმობს ეთიკის კრიტერიუმის გაცნობიერებას, რასაც მივყავართ სიკეთისა და ბოროტების დადგენამდე;

– **ზნეობის შეფასებით ფუნქციაში** იგულისხმება ეთიკური არჩევანი, რაც განაპირობებს ადამიანის ადგილს სოციალურ სინამდვილეში.

ზნეობა ხელს უწყობს შეხედულებათა ჩამოყალიბებას ცხოვრების მიზნებსა და საზრისზე, ადამიანის ღირსებასა და მოვალეობის გრძნობაზე, სხვათა უფლებების, ღირსებებისა და პატივისცემის აღიარებაზე. ამ ფუნქციას სხვაგვარად ჰუმანისტურსაც უნოდებენ.

1.4. ეთიკური ღირებულებები

ღირებულება არის ჯერარსული ხასიათის ნორმა, რომელიც ეფუძნება თავისუფლებას და გამორიცხავს ძალდატანებას. ის უპირველეს

ყოვლისა არის ჯერარსი[10] (Sollen), რომელიც უნდა განხორციელდეს. იგი ისეთი გარდაუვალობითა და აუცილებლობით არ გამოირჩევა, რაც ახასიათებთ ფიზიკურ მოვლენებს. მაგალითად, ყველამ შესანიშნავად იცის, რომ გრავიტაციის კანონის საფუძველზე ზემოთ ასროლილი ქვა აუცილებლად მინაზე ჩამოვარდება. ცდის მეშვეობით ეს მოვლენა მილიონჯერ რომ გავიმეოროთ, მუდამ ასე განმეორდება. ასეთ აუცილებლობას გერმანელები უნოდებენ „Werden" და მას ბუნებრივ აუცილებლობად მოიხსენიებენ.

ჯერარსი აბსოლუტურად განსხვავდება მსგავსი მოვლენებისაგან იმით, რომ ასეთ აუცილებლობას არ ემორჩილება. იგი განეკუთვნება ტელეოლოგიური[11] კაუზალობის ანუ მიზნობრივი აუცილებლობის სფეროს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჯერარსი მკაცრად დეტერმინებული არაა და შეიძლება განხორციელდეს, ან შეიძლება არც მოხდეს მისი რეალიზაცია. იგი განეკუთვნება „ან – ანის" სფეროს, ალტერნატივისა და არჩევანის სფეროს, რაც მის დამოუკიდებლობასა და ავტონომიურობაზე მიანიშნებს.[12]

ღირებულება ანუ ჯერარსი მსგავსი ბუნების ვერ იქნებოდა, მის საფუძველში თავისუფლება რომ არ იგულისხმებოდეს. თავისუფლება იძლევა არჩევანის შესაძლებლობას. მოვლენებისა და პროცესების შეფასებისა და რანგირების შესაძლებლობას. ნივთები და ცხოველები მოკლებულები არიან ასეთ ფუფუნებას, რადგან მათ არ გააჩნიათ არჩევანის შესაძლებლობა. ისინი ემორჩილებიან მკაცრ ბუნებრივ აუცილებლობას და არიან ობიექტების ინერტულ რიგში. ადამიანი არის ერთადერთი არსება, რომელიც უმხედრდება ამგვარ აუცილებლობას და ღირებულების მეშვეობით თავს აღწევს მის სამყაროს. ძველ საბერძნეთში ღირებულებას უნოდებდნენ აქსიოს „axios", აქედან გამომდინარე **ღირებულებათა თეორიას ეწოდება აქსიოლოგია**, რომლის პირველი წარმომადგენელია ძველი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი, რომელმაც იდეების თეორიის სახით ღირებულებათა თეორიის პრეცედენტი შექმნა. პლატონის იდეების სამყარო იგივე ღირებულებათა სამყაროა, რომელიც არსებობს რეალური, მიწიერი სამყაროსგან დამოუკიდებლად და ადამიანს მხოლოდ გონების

10 ჯერარსი – იმპერატიფი – მოქმედების განსაზღვრა ისეთი ნორმით, რომელიც გულისხმობს თავისუფალ ნებელობას. „უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი". თბ. 2006.

11 ტელეოლოგიური – იდეალისტური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ყოველი განვითარება არის ნიჰილანარ განსაზღვრული მიზნის განხორციელება. მიხეილ ჭაბაშვილი, „უცხო სიტყვათა ლექსიკონი". თბ. 1989, გვ. 63-68.

12 ეკაკი ყულიჯანიშვილი, „კულტურის თეორია", თბ. 2010, გვ. 110.

39063

ეროვნული ბიბლიოთეკა
LEPL "GEORGIAN STATE UNIVERSITY
ბიბლიოთეკა
LIBRARY

მეშვეობით შეუძლია მისი ჭვრეტა. პლატონის იდეებს და ღირებულებებს მკაცრი სუბორდინაცია ახასიათებთ. იდეათა პირამიდის სათავეში დგას სიკეთის იდეა, რომელსაც ექვემდებარებიან ჭეშმარიტებისა და მშვენიერების იდეები. მატერიალური სამყარო იდეათა სამყაროს უბადრუკი ანარეკლი და მიბაძვაა. ფიზიკურ სამყაროში ხდება ღირებულებათა დეგრადაცია და პროფანაცია, რის გამოც იგი აბსოლუტურად დაცილებულია თავისი პირველსახისაგან.

აქსიოლოგიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წელილი შეიტანეს **იმანუელ კანტმა**, ნეოკანტიანელებმა, გერმანელმა ფილოსოფოსმა **ფრიდრიხ ნიცშემ** (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1844-1900 წლებში), ფილოსოფიური მიმართულების ეგზისტენციალიზმის წარმომადგენლებმა. კანტისათვის ღირებულება წარმოადგენდა მარეგულირებელ ნორმას, რომელსაც გააჩნდა ყოფიერების, თვისობრიობის, მიმართებისა და მოდალობის[13] მომენტები. ნეოკანტიანელებისათვის ღირებულება იყო ჯერარსი, რომელიც არ არსებობს, მაგრამ უნდა არსებობდეს. ნიცშემ მოგვცა ტრადიციული ღირებულებების გადაფასებისა და ახალი აქსიოლოგიის დაფუძნების ცდა. XX საუკუნეში ეგზისტენციალისტები და, განსაკუთრებით, ფრანგი ფილოსოფოსი **ალბერ კამიუ** (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1913-1960 წლებში) შეეცადა აბსურდის ფენომენზე დაყრდნობით ახალი ეთიკის დაფუძნებას, რომელიც თვისობრიობის ნაცვლად რაოდენობრივ პარამეტრებზე იქნებოდა დაფუძნებული, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა.

აქსიოლოგიაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ მიზან-ღირებულებებსა და საშუალება ღირებულებებს, რომელთაგან პირველს განეკუთვნება ეთიკის კატეგორიები, ხოლო მეორეს – ეგრეთნოდებული მატერიალური ღირებულებები, რომელთა მეშვეობითაც ხდება უმაღლესი ღირებულებების რეალიზაცია. ღირებულება წარმოადგენს არა მარტო ეთიკის, არამედ საერთოდ კულტურისა და შესაბამისად, ადამიანური ყოფიერების ბირთვს. **კულტურა არის ღირებულებათა კანონზომიერების მიხედვით მონესრიგებული ადამიანური სამყარო, რომელიც იმართება ჰუმანიზმის პრინციპების და, აქედან გამომდინარე, ზნეობის კატეგორიების საფუძველზე**[14].

---

13 მოდალობა – გამოიყენება შემეცნებით პროცესებში, ინფორმაციის მიღების სახეობა, გრძნობათა ორგანოებთან და შეგრძნებებთან მიმართებაში (როგორიცაა მხედველობა, სმენა, შეგრძნება, კინესთეტიკა და სხვა). „გზამკვლევი მასწავლებლებისა და სასკოლო ადმინისტრაციისათვის" ავტ. – შემდგ.: ნინო გოგიჩაძე, ნატა მეთარიშვილი, თეონა ლოდია, გიორგი ბისეიშვილი; თბ. 2009, 84გვ.

14 აკაკი ცულაიძესაშვილი, „კულტუროლოგია" თბ. 2001; გვ.17

საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმებს განეკუთვნება – პოლიტიკა, სამართალი, ფილოსოფია, მორალი, რელიგია, მეცნიერება, ხელოვნება. მათ სხვაგვარად იდეოლოგიასაც უწოდებენ. **საზოგადოებრივი ცნობიერება ანუ იდეოლოგია წარმოადგენს შეხედულებათა მწყობრ სისტემას, რომლის დანიშნულებაა არსებული პოლიტიკური სისტემის გამართლება და დაცვა.** ამ გაგებით იდეოლოგია ყალბ ცნობიერებას წარმოადგენს, რადგან მას აინტერესებს არა ჭეშმარიტების დადგენა, არამედ არსებული რეჟიმის დაცვა და შენარჩუნება.

იდეოლოგიის მთავარ გამოვლინებას წარმოადგენს პოლიტიკა, რომელიც ყველაზე ახლოს დგას სახელმწიფოსთან და ასრულებს მის მთავარ დაკვეთას, ბოლომდე შეინარჩუნოს და დაიცვას ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური რეჟიმი და მისი მმართველი ელიტა. პოლიტიკის შემდეგ მოდის სამართალი, რომელიც ასევე სისხლხორცეულადაა დაინტერესებული არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური და ა.შ. სისტემების შენარჩუნებით და ყველაფერს აკეთებს გაბატონებული რეჟიმის არსებობის გასახანგრძლივებლად. სამართლის ნორმები და კანონები, რომლებსაც სავალდებულო ხასიათი აქვთ, პირდაპირ გამოხატავენ გაბატონებული სოციალური ჯგუფის ინტერესებს და განამტკიცებენ მის ძალაუფლებას.

ნორმების გარდა, სამართალს მძლავრი მატერიალური დანამატები აქვს საჯარო-სამართალდამცავი, სპეციალური და სხვა სამსახურების სახით, რომელთა მეშვეობითაც იგი ახდენს სანქციათა ამოქმედებას. შესაბამისი დანამატები აქვს პოლიტიკასაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შტოების სახით, რომელთა მეშვეობითაც ხდება სახელმწიფოს მიერ დასახული საშინაო და საგარეო ამოცანების რეალიზება.

ფილოსოფია შედარებით დისტანცირებულია სახელმწიფოსაგან. მას პოლიტიკასა და სამართალთან შედარებით მეტი დამოუკიდებლობა ახასიათებს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფილოსოფია არის მსოფლმხედველობა, რითაც არსობრივადაა დაკავშირებული იდეოლოგიასთან. რელიგია იდეოლოგიასთან შედარებით ფილოსოფიაზე ნაკლებად არის დამოკიდებული, რადგან ოპერირებს ისეთი ცნებებით, როგორიცაა ღმერთი, მარადისობა, სულის უკვდავება და ა.შ. რომლებიც ერთი შეხედვით არაფრით არიან დაკავშირებული სახელმწიფოსთან. ისეთი საბუნებისმეტყველო

მეცნიერებები, როგორიცაა – ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, გეოლოგია, გეოგრაფია და ა.შ. დისტანცირებული არიან იდეოლოგიისაგან, რადგან საბოლოო ჯამში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიღწევები განაპირობებენ მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების პროცესს, მათი შემოქმედების ნაყოფია კაცობრიობის ისეთი ზემძლავრი და საშიში იარაღი, როგორიცაა ბირთვული არსენალი, რომელსაც სახელმწიფოები იყენებენ შემაკავებელ და საკუთარი ინტერესების დამცველ ფაქტორად. რაც შეეხება ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, აქ გაცილებით თვალში საცემია სახელმწიფოსთან ალიანსი. ისეთი პოლიტიკური დოქტრინა, როგორიც იყო მარქსიზმი, თავს აცხადებდა მეცნიერების უმაღლეს მიღწევად. იგი ერთგულად და სისტემურად იცავდა ტოტალიტარულ რეჟიმს. ხელოვნებაც თითქოს განზე დგას იდეოლოგიისგან, მაგრამ სოციალისტურმა რეალიზმმა და ნაციისტურმა კულტურამ დაგვანახეს, თუ როგორ ეფექტურად იყენებდნენ რეპრესიული რეჟიმები ხელოვნების ცალკეულ დარგებს და მათ აყენებდნენ საკუთარი პროპაგანდისტული მანქანის რუპორის მდგომარეობაში.

ეთიკა იდეოლოგიის ოპოზიციაშია იმ გაგებით, რომ ატარებს ზოგადსაკაცობრიო და არა კლასობრივ ან პარტიულ ხასიათს. ეთიკური ნორმები სავალდებულო და აუცილებელია საზოგადოების ყველა ნევრისა და არა მისი ცალკეული წარმომადგენლებისათვის. არ არსებობს სასახლის და ქოხის ეთიკა, ბატონისა და ყმისათვის ერთი და იგივე საერთო ზნეობრივი ნორმები მოქმედებენ. ილია ჭავჭავაძის „ვლახის ნაამბობის" მიხედვით დათიკოსა და გაბრიელისათვის სიკეთე ერთია და მისი აღსრულება ორივესთვის წმინდათა წმინდა მოვალეობას წარმოადგენს. ეთიკური ნორმები სტატიკურობითა და კონსერვატიულობით გამოირჩევიან და არსებობენ ათასეულობით წლების განმავლობაში, მაშინ, როდესაც იდეოლოგიები შედარებით სწრაფად იცვლიან და ისტორიის ასპარეზზე ადგილს უთმობენ საკუთარ ოპონენტებს.

ეთიკა უკვე ორი ათასზე მეტი წელია, რაც არსებობს და მომავალშიც ათასწლეულებს გაუძლებს, მაშინ, როდესაც კაცობრიობამ ერთმანეთის მიყოლებით გამოიცვალა მონათმფლობელური, ფეოდალური, ბურჟუაზიული და სოციალისტური იდეოლოგიები.

მორალი მონანიებაზე და სინდისის ქეჯნაზე აგებული მოძღვრებაა, რომელიც დამნაშავეს ეძებს არა გარეთ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავში, მაშინ, როდესაც იდეოლოგიისათვის მონანიებისა და საკუთარი დანაშაულის ცნებები არ არსებობენ, რადგან იგი უცოდველად და შეუმცდარად მიიჩნევს საკუთარ თავს და დამნაშავეს ეძებს გარე სამყაროში, მაგრამ არასოდეს საკუთარ თავში.

საკონტროლო კითხვები

1.1

- რას ნიშნავს ტერმინი „ეთიკა“?
- ვინ ითვლება ეთიკის ფუძემდებლად?
- რა ადგილი უკავია ეთიკას მეცნიერების სისტემაში?
- რა განსხვავებაა „ზნეობასა“ და „ზნეს“ შორის?
- რას შეისწავლის „ეთიკა“?

1.2

- ვინ დგას ქართული ფილოსოფიური და ეთიკური აზროვნების სათავეებთან?
- რომელ ქართულ ფილოსოფიურ-ლიტერატურულ ნაწარმოებებს იცნობთ?
- ვინ და როდის ჩამოაყალიბა საქართველოში „ეთიკა“ როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი?

1.3

- როგორია ზნეობისა და თავისუფლების ურთიერთდამოკიდებულება?
- რა არის თავისუფლება?
- რა იგულისხმება ზნეობის სტრუქტურაში?
- რა განეკუთვნება მორალურ პრინციპებს?
- როგორია ზნეობის ფუნქციები?

1.4

- რა არის ღირებულება და ჯერარსი?
- რა არის აქსიოლოგია და ვინ არიან მისი თეორეტიკოსები?
- რა არის კულტურა და როგორია მისი კავშირი ზნეობასთან?

1.5

- რა არის იდეოლოგია?
- როგორ არიან დამოკიდებული პოლიტიკა, სამართალი, ფილოსოფია, რელიგია და სხვა მეცნიერებები იდეოლოგიასა და სახელმწიფოსთან?
- როგორია იდეოლოგიისა და პოლიტიკის დამოკიდებულება ეთიკასთან?

მეორე თავი

ეთიკის კატეგორიები

კატეგორია არის მოვლენის, საგნის არსებით მხარეთა ერთობლიობა. ეს ცნება ფილოსოფიაში არისტოტელემ შემოიტანა და კატეგორიათა რიცხვი თორმეტით განსაზღვრა. კატეგორიები მეცნიერების ყველა დარგში გვხვდება. ეთიკის კატეგორიები ფილოსოფიის ძირითადი ცნებებია, რომლებიც გამოხატავენ ზნეობის არსებით მხარეებს და საზოგადოების განვითარებასთან ერთად ვითარდებიან.

ეთიკის კატეგორიებია: სიკეთე, სამართლიანობა, მოვალეობა, სინდისი, პასუხისმგებლობა, ღირსება, მორალი, ჰუმანიზმი, ბედნიერება, პატრიოტიზმი, ოჯახის სიყვარული, სიმამაცე და სხვა.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

სიკეთე

სიკეთე ეთიკის ცენტრალური კატეგორიაა, რომლის გარშემოც თავს იყრიან დანარჩენი კატეგორიები. **სიკეთე არის დაუინტერესებელი, უანგარო ქმედება, რომელიც მიმართულია პიროვნებისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ.** როდესაც ადამიანის ქმედების საფუძველში დევს მატერიალური, ფინანსური, კარიერისტული და სხვა მოტივაციები, მაშინ ასეთი ქმედება სიკეთედ ვერ ჩაითვლება. თუ მაგალითად, წყალში გადავარდნილ ადამიანს ვეხმარები იმის გამო, რომ მისი გადარჩენით მინდა, გარკვეული ჯილდო მივიღო, მაშინ ჩემი ქმედება სიკეთედ ვერ ჩაითვლება, რადგან ჩემი საქციელის საფუძველი იყო მატერიალური დაინტერესება, ანუ ანგარება. თუ ადამიანს ვეხმარები იმის გამო, რომ იგი ხელმძღვანელ თანამდებობაზეა და მისი გადარჩენის შემთხვევაში გარკვეულ დანინაურებას ველოდები, მაშინ ამგვარი ქმედებაც სიკეთედ ვერ ჩაითვლება. მართალია, ობიექტურად გადავარჩინე ეს ადამიანი, რაც საზოგადოების თვალში სიკეთედ წარმოჩინდება, მაგრამ ამგვარი ქმედების სუბიექტურ საფუძველს წარმოადგენდა კარიერისტული დაინტერესება, რაც ეწინააღმდეგება სიკეთის ბუნებას. თუ სამსახურებრივი მოვალეობის გამო გადავარჩინე ესა თუ ის პიროვნება, არც ეს ჩაითვლება სიკეთის ქმედებად, რადგან ვასრულებდი სამსახურეობრივ მოვალეობას, რისთვისაც სახელმწიფო მიხდის ფულად ანაზღაურებას და ესეც დაინტერესების გარკვეულ სახეობას წარმოადგენს. ქმედება მაშინ ჩაითვლება სიკეთედ, როცა გამორიცხულია ყოველგვარი მატერიალური თუ სხვა სახის დაინტერესება და საქმე გვაქვს დაუნტერესებელ, უანგარო ქმედებასთან.

სიკეთის ქმედება არ შეიძლება განხორციელდეს ძალდატანებით, იძულებით, რადგან ამ შემთხვევაში განმსაზღვრელად გამოდის გარეგანი ფაქტორი და არა შინაგანი სუბიექტური ინიციატივა. როცა სიკეთეს ვაკეთებთ არა საკუთარი სურვილით, არამედ ვიღაცის ბრძანების გამო, მაშინ, მართალია, ჩვენი საქციელი გარეგნულად, ობიექტურად ჰგავს სიკეთის ქმედებას, მაგრამ სუბიექტური მოტივაციის უქონლობის გამო, იგი სიკეთის ქმედებად ვერ ჩაითვლება.

სამართლიანობა

სამართლიანობა არის ადამიანთა შორის თანასწორობა, კანონის წინაშე მათი თანაბარი პასუხისმგებლობა, რომლის დროსაც დაცულია მათი უფლებები, მოვალეობები და დამსახურებები.

სამართლიანობა სცილდება ეთიკის სფეროს და იგი პოლიტიკისა და სამართლის სფეროებში იჭრება. პოლიტიკა წარმოუდგენელია ამ კატეგორიის გარეშე, რადგან იმ დოქტრინებისა და შეხედულებების უკან, რომლებიც მასში გვხვდებიან, ამოსავალ ნერტილს სამართლიანობა წარმოადგენს.

სამართლიანობის იდეითაა განმსჭვალული თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების კანონმდებლობა. სამართლიანობის მოთხოვნა გვხვდება საერთაშორისო დეკლარაციებსა და კონვენციებში, რაც საერთაშორისო სამართლის საფუძველს წარმოადგენს. ეს მოთხოვნა ასევე დაფიქსირებულია დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციებში, რომლებიც წარმოადგენენ საბაზისო კანონს, რომელზედაც აგებულია ამ თუ იმ ქვეყნის სამართლებრივი სივრცე. საქართველოს კონსტიტუციის[15] პირველი თავის მე-7 მუხლის თანახმად „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით."

ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული საკითხი, საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში, (რომელიც ამოქმედდება საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის ფიცის დადებისთანავე) წარმოდგენილია პირველი თავის „ზოგადი დებულებები" მე-4 მუხლის „სამართლებრივი სახელმწიფო" მეორე პუნქტში შემდეგი სახით:

„სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს

15 საქართველოს კონსტიტუცია – 1995. 24 აგვისტო.

ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან."

საჯარო-სამართალდამცავ და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეებისათვის, რომლებიც უმთავრესად სამართალმცოდნეებს წარმოადგენენ, სამართლიანობის პრინციპის დაცვა წარმოადგენს განუყრელ ეთიკურ და სამსახურეობრივ მოვალეობას, რადგან მას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს იურისპრუდენციაში, თვით ცნება „იუსტიცია" ლათინურად სამართლიანობას ნიშნავს. აქედან გამომდინარე, იურისტი-სამართალმცოდნე სხვა არაფერია, თუ არა სამართლიანობის წარმომადგენელი. სამართლიანობა ითვლება მართლმსაჯულების სინონიმად, რაც ნიშნავს, რომ ზოგადად მსაჯული პირველ რიგში უნდა იყოს მიუკერძოებელი არბიტრი და სანამ საბოლოო შეფასებას – მსჯავრს გამოიტანს, მანამდე ვალდებულია ზუსტად ანონ-დაწონოს სამხილები და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიტანოს პირუთვნელი გადაწყვეტილება. სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების საქმიანობის სფეროში პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება კანონიერებისა და სამართლიანობის ურთიერთობას. კანონმდებლობის კონსერვატიულობისა და მისგან რეგულირებადი ურთიერთობების სირთულის გამო ზოგჯერ იქმნება ისეთი სიტუაციები, როდესაც გადაწყვეტილება, მართალია, ფორმალურად შეესატყვისება კანონის მოთხოვნებს, მაგრამ სინამდვილეში ნარმოადგენს უსამართლობას. მსგავსი კაზუსების აღმოსაფხვრელად საჭიროა, კანონმდებლობის დახვეწა საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებებთან დაახლოების მიზნით და განსახილველი საქმის გარემოებათა გათვალისწინება.

მოვალეობა

მოვალეობა არის პიროვნების დამოკიდებულება საზოგადოებისა და სხვა ადამიანების მიმართ, რომელშიც ვლინდება მისი ზნეობრივი ვალდებულებები. მოვალეობა წარმოადგენს ერთგვარ ზნეობრივ ამოცანას, რომელსაც ადამიანი თვითონ უყენებს საკუთარ თავს ზნეობრივი მოთხოვნების საფუძველზე. **მოვალეობა არის კონკრეტულ სიტუაციაში კონკრეტული პირის პირადი ამოცანა.** მოვალეობა ორი სახისაა – სოციალური და პიროვნული. სოციალური მოვალეობის ფორმებია პატრიოტული, სამხედრო, პროფესიული და ა.შ. პიროვნული

მოვალეობის ფორმებია მშობლიური, შვილობრივი, ცოლ-ქმრული, მეგობრული, კოლეგიალური და ა.შ.

საზოგადოების თვალში საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეები კანონიერების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დამცველებს უნდა წარმოადგენდნენ, მათ უნდა ამოძრავებდეთ მოვალეობის გრძნობა, რომელიც გამორიცხავს კომპრომისებს, ყოველგვარ გარიგებებს სინდისთან, კორუფციასთან, ნეპოტიზმთან, რამე სახის დიქტატს ზემოდან და უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ კანონიერებასა და სამართლიანობას. ასეთი ქმედებისათვის საკმარისი არაა რომელიმე თანამდებობის დაკავება ან კანონების ცოდნა. ამისათვის აუცილებელია გარკვეული ეთიკური უნარ-ჩვევების ქონა, რაც ყოველგვარი ზეწოლის მიუხედავად იძლევა სამართლიანობისა და ზნეობრიობის დაცვის შესაძლებლობას.

სინდისი

სინდისი არის ადამიანის უნარი განახორციელოს ზნეობრივი თვითკონტროლი, შინაგანი თვითშეფასება მისცეს საკუთარი ქცევების შესაბამისობას ზნეობრივ ნორმებთან, დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს საკუთარი მორალური ამოცანები და იბრძოლოს მათი რეალიზაციისათვის. სინდისს ზოგჯერ მოვალეობის მეორე მხარესაც უწოდებენ. ეს არის პიროვნების მიერ საკუთარი მოვალეობებისა და ვალდებულებების სუბიექტური გაცნობიერება, რომელიც მას აკისრია საზოგადოებისა და სხვა ადამიანების წინაშე.

სინდისის გრძნობა ადამიანს იცავს მანკიერი საქციელისაგან და სტიმულს აძლევს კეთილშობილებასა და პასუხისმგებლობას. მისი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ადამიანი ზნეობრივი არჩევანის წინაშე დგას, ხოლო გარე კონტროლი საზოგადოებრივი აზრის მხრიდან ან შეფერხებულია ან საერთოდ არ არსებობს. იგი ადამიანის ქცევის შინაგანი რეგულატორია და მის ფხიზელ თვალს არ გამოეპარება ის მანკიერებები, რომლებიც ადამიანის გულსა და გონებაშია ჩაბუდებული. **სინდისის ქმედითი იარაღია მონანიება, რომლის დროსაც ადამიანი, ინანიებს რა დაშვებულ შეცდომებს, ცდილობს მათ გამოსწორებას, ზნეობრივად მაღლდება და იწმინდება, რასაც ეთიკური კათარზისი ეწოდება,** რაც პიროვნების სრულყოფასა და მორალურ გაჯანსაღებას ემსახურება. საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება." ამასთანავე ამავე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულია, რომ „დაუშვებელია ამ მუხლში

ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს."

ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული საკითხი საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში, წარმოდგენილია მეორე თავის „ადამიანის ძირითადი უფლებები" მე-16 მუხლში „რწმენისა და სინდისის თავისუფლებები" შემდეგი სახით:

„1.ყოველ ადამიანს აქვს რწმენისა და სინდისის თავისუფლება;

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის ან სინდისის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება რწმენის ან სინდისის შესახებ;

3. დაუშვებელია რწმენისა და სინდისის თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს."

ამავე თავის მე-17 მუხლის „აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები" თანახმად,

„1. აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

4. ყველას აქვს ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება.

5. ამ უფლებათა განხორციელება შეიძლება კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

6. კანონი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობას სახელმწიფო უწყებებისგან და თავისუფლებას პოლიტიკური და არსებითი კომერციული გავლენისგან.

7. მედიაპლურალიზმის დაცვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აზრის გამოხატვის თავისუფლების რეალიზების, მასობრივი

ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში მომმბარებელთა და მენარმეთა უფლებების დასაცავად შექმნილი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ინსტიტუციური და ფინანსური დამოუკიდებლობა გარანტირებულია კანონით."

პასუხისმგებლობა

პასუხისმგებლობა არის ადამიანის სულიერი მზაობა საკუთარი ქმედებები წარმართოს ზნეობრივი პრინციპების საფუძველზე და პირადად აგოს პასუხი მათ მოსალოდნელ შედეგებზე. პასუხისმგებლობა არის საკუთარ საქციელზე ანგარიშის ჩაბარების აუცილებლობა და მოვალეობა, რომელიც გარეშე ფაქტორებით კი არ არის დეტერმინირებული, არამედ გამომდინარეობს პიროვნების თავისუფალი არჩევანიდან.

პასუხისმგებლობა ფილოსოფიურ-სოციოლოგიური ცნებაა და პირდაპირ უკავშირდება იმ მოვალეობებს, რომლებიც პიროვნებას აკისრია სხვა ადამიანების, საზოგადოებისა და სოციალური ინსტიტუციების წინაშე. პასუხისმგებლობა ეთიკასა და სამართალში მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მივუთითოთ პირად და ბრალთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის ურთიერთობაზე, რომლებიც ერთმანეთისაგან გამომდინარეობენ და ერთმანეთს განაპირობებენ.

ღირსება

ღირსება არის პიროვნების აღიარება და დაფასება როგორც საზოგადოების, ასევე ცალკეული ადამიანების მხრიდან. საკუთარი ღირსების გაცნობიერება თვითშემეცნებისა და თვითკონტროლის ფორმას წარმოადგენს. იგი ადამიანს ავალდებულებს განახორციელოს ზნეობრივი ქმედებები, საკუთარი საქციელი შეუსაბამოს ზნეობის მოთხოვნებს. ამავე დროს, ღირსება მოითხოვს სხვების მიერ პატივისცემასა და აღიარებას, რაც საზოგადოებაში დამკვიდრებულ მაღალი სტანდარტების დაცვას უკავშირდება. ღირსების ცნება გულისხმობს ადამიანთა თანასწორობას მორალური თვალსაზრისით, ყველას აქვს უფლება იყოს პატივცემული და დაფასებული, მიუხედავად მისი სოციალური მდგომარეობისა და სტატუსისა.

ღირსება თავიდანვე სოციალურად იყო ორიენტირებული, რაც კარგად ჩანს არისტოკრატული კლასის ღირსების კოდექსში, რომელიც ამ წრის ადამიანს უდგენდა ცხოვრების წესს, ქცევის ნორმებს და უკრძალავდა ისეთ ქმედებებს, რომლებიც ამ კლასის ღირსების შემლახველი იქნებოდა. ისტორიულად ეთიკაში ასევე კარგადაა

ცნობილი დარგობრივი ღირსების კოდექსები, ოფიცრის, ექიმის, იურისტის, მასწავლებლის და ა.შ. ღირსების კოდექსები. მაგალითად, საფრანგეთში ღირსების საკითხების გადაჭრა ხდებოდა დუელის მეშვეობით, რომელმაც უამრავი ფრანგი ნარჩინებულის სიცოცხლე შეწირა. კარდინალმა რიშელიემ, რომელიც ლუი მე-13 დროს საფრანგეთის ფაქტიური მმართველი იყო, სპეციალური ბრძანებულებით აკრძალა დუელი, რამაც, მართალია, მათი რაოდენობა შეამცირა, მაგრამ სრულებით აღმოფხვრა ვერ შეძლო. რუსეთში პეტრე I ბრძანებულებით დუელი 1702 წელს აიკრძალა, მაგრამ იგი ეკატერინე II-ის 1787 წლის მანიფესტამდე და მოგვიანებითაც არსებობდა. რუსეთის სამხედრო უწყების 1884 წლის 20 მაისის ბრძანებულება ფაქტობრივად აკანონებდა დუელს არმიაში, რომლის მეშვეობითაც რუსი ოფიცრები ღირსების საკითხების მოგვარებას ახდენდნენ.

რუსი იურისტების გარკვეული ნაწილი დუელის მომხრე იყო და მას ეთიკური იდეალების დაცვის ცივილიზებულ ფორმად თვლიდა, რომელიც პირველ რიგში იცავდა იმ რეპუტაციას, რაც მოცემული დარგის წარმომადგენლებს გააჩნდათ საზოგადოებაში. **რეპუტაცია წარმოადგენს ადამიანის ზნეობრივ სახეს, რომელიც საზოგადოების წევრებს უყალიბდებათ ამა თუ იმ პიროვნებაზე მისი ცხოვრების წესიდან და ქმედებებიდან გამომდინარე.** პატივი, ღირსება, რეპუტაცია, საქმიანი ავტორიტეტი, ისევე როგორც მისი მატარებელი ადამიანები და ჯგუფები, არ არის უცვლელი და მუდმივი, იგი იცვლება ეპოქისა და სოციალური ჯგუფების ცვლილებასთან ერთად. საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია", ხოლო ამავე მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, „დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება."

ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული საკითხი საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში წარმოდგენილია მეორე თავის „ადამიანის ძირითადი უფლებები" მე-9 მუხლში „ადამიანის ღირსების უფლება" შემდეგი სახით:

„1. ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო;

2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება."

ხოლო „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის"[16] პირველი თავის მე-18 მუხლის მესამე ქვეპუნქტის თანახმად, „თუ პირის პატივის,

16 საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი" 1997, 26 ივნისი

ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს", ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად „პირს, რომლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში".

მორალი

ტერმინი „ეთიკა" „მორალის" სინონიმია. ორივეს მნიშვნელობა ზოგადად ეკვივალენტურია, პირველი ბერძნული, ხოლო მეორე – ლათინური წარმომობისაა. **ტერმინი „მორალური" გულისხმობს ადამიანთა მიერ მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღებას, განსაზღვრავს სწორი და არასწორი ქცევის სტანდარტებსა და იმ ფასეულობებს, რომელთაც უპირატესობა უნდა მიენიჭოთ პირადი, სოციალური თუ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას.** სწორედ ეთიკამ უნდა განსაზღვროს საჯარო მოსამსახურეთა ქცევის მყარი საფუძველი. ამასთანავე, ეთიკის სტანდარტების დაცვის იძულებას, დაშინების, კონტროლის ან გარკვეული რეკომენდაციების მექანიკური შესრულების მეშვეობით, მოკლევადიანი ეფექტი ექნება. ეთიკური პრინციპების დაცვაზე ორიენტირებული ორგანიზაცია ეფექტურ კომუნიკაციას, თანამონაწილეობასა და გამჭვირვალობას უნდა ეფუძნებოდეს. ამავე დროს, ეთიკა არის პრინციპებისა და სტანდარტების ერთობლიობა, რომელიც ეხმარება ადამიანებს იმის განსაზღვრაში, თუ რა ითვლება „კეთილ ქმედებად".

ეთიკა იმ მორალური პრინციპების ერთობლიობას წარმოადგენს, რომლებიც ქმნიან ადამიანთა ქცევის საფუძველს. ამავდროულად, ეთიკა ეფუძნება შესრულებული სამუშაოსა და მიღებული გადაწყვეტილების გარკვეულ ღირებულებებს.

მეორე მხრივ, ფილოსოფიის ნაწილს, რომელიც მორალს შეისწავლის, ასევე ეთიკა ეწოდება. ფილოსოფიის ეს დარგი სწავლობს ფასეულობებს, ნორმებსა და წესებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ადამიანთა მიერ და ხორციელდება ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ ურთიერთობებზე დაყრდნობით.

ამჟამად ეთიკა არის ერთ-ერთი ძირითადი ღირებულება, რომლის დაცვაც ძალზე მნიშვნელოვანია მთელი რიგი პროფესიის ადამიანებისათვის, პოლიტიკასა და საჯარო მმართველობით სფეროში,

სასამართლო პროცესის დროს, სამართალდამცავ და სპეციალურ სამსახურებში, ბიზნესსა და მედიცინაში, განათლებასა და მეცნიერებაში, ხელოვნებასა და მედიაში. საზოგადოების შეხედულებით ძირითადი ეთიკური ღირებულებები დაკავშირებულია მოვალეობების განხორციელებასთან. ამასთან, ზოგიერთი უნივერსალურად მიღებული ეთიკური პრინციპი და ღირებულება, სამსახურეობრივ მოვალეობებზე წინ დგას.

ჰუმანიზმი

ჰუმანიზმი მომდინარეობს ლათინური „humanus"-იდან, რაც ნიშნავს ადამიანურს. იგი წარმოადგენს მსოფლმხედველობას, რომელიც ადამიანს აღიარებს უმაღლეს ღირებულებად, რომლის თავისუფლების, ღირსების, უფლების დაცვა, მისი მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილება უნდა შეადგენდეს საზოგადოების საბოლოო მიზანს. ჰუმანიზმი ადამიანს აღიარებს სამყაროს ცენტრად, ბუნების გვირგვინად, რომლის მისწრაფება ბედნიერებისაკენ ჯერ კიდევ უძველესი დროიდან ზნეობის საფუძვლად იყო მიჩნეული.

ჰუმანიზმის სამოქმედო პრინციპი ბრწყინვალედ ჩამოაყალიბა **იმანუელ კანტმა** „პრაქტიკული გონების კრიტიკაში" კატეგორიული იმპერატივის სახით, რომელსაც აქვს უპირობო ბრძანების სახე და ადამიანს მოუწოდებს: **„მოიქეცი ისე, რომ კაცობრიობა, როგორც შენი, ისე ყოველი სხვა პიროვნების სახით, შენთვის მუდამ იყოს მიზანი და არასოდეს – მხოლოდ საშუალება"**. კატეგორიული იმპერატივი თვლის, რომ ყველა ადამიანი ღირსია იმისა, რომ ითვლებოდეს უმაღლეს ღირებულებად ანუ მიზნად, რომ არავის ამ ქვეყნად არა აქვს იმის უფლება, სხვა გამოიყენოს საშუალებად თავისი ან საზოგადოებრივი მიზნების რეალიზაციის გზაზე. კანტის მსგავსად ჰუმანიზმის უმაღლეს პრინციპს კარგად გამოხატავს ეგრეთწოდებული „ოქროს კანონი", რომელიც უძველესი დროიდან წარმოადგენდა ადამიანთა სამოქმედო პროგრამას. იგი ამბობს, რომ **„სხვებს მოექეცი ისე, როგორც გინდა, რომ შენ მოგექცნენ"**. აღნიშნული შეიცავს ადამიანთა თანასწორობის ჰუმანისტურ იდეას, რომელიც პიროვნებას ავალდებულებს, საკუთარ თავზე აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარი ქმედებების გამო და მორალური თვითშეგნების ამაღლების გზით სრულყოს საკუთარი თავი.

ბედნიერება

ეთიკაში განასხვავებენ ორ ძირითად მიმდინარეობას – ბედნიერების და მოვალეობის ეთიკას, რომელთაგან პირველს უწოდებენ ევდემონიზმს, რაც ბერძნულად „eudaimonia" ნიშნავს ბედნიერებას.

ხოლო მეორეს რიგორიზმს, ლათინურად „rigor" ნიშნავს სიმკაცრეს, ზოგიერთი ავტორი მოვალეობის ეთიკას დეონტოლოგიზმსაც უწოდებს, რაც ბერძნულად „deon" ნიშნავს მოვალეობას. ევდემონიზმის წარმომადგენლები არიან დემოკრიტე, ეპიკური, სტოელები, ფოიერბახი, ფრანგი განმანათლებლები, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები, ხოლო მოვალეობის ეთიკის პრინციპებზე დგანან სოკრატე, პლატონი, კანტი და ნეოკანტიანელები.

ევდემონისტები თვლიან, რომ უმაღლესი იდეალი, მიზანი პირადი ინდივიდუალური ბედნიერებაა, რომლის მისაღწევად, შესაძლოა გამოყენებული იქნას სხვა ადამიანებისა და საზოგადოების ბედნიერება. ამდენად, ევდემონიზმი საბოლოო ჯამში ეგოცენტრიზმია, რომლისთვისაც საკუთარი თავი მიზანია, ხოლო სხვა – საშუალება. მასში ამოსავალი და ძირითადი ცნებაა პირადი ბედნიერება, ხოლო მოვალეობა მეორადი, წარმოებული ცნებაა.

რიგორისტები პირიქით თვლიან, რომ ეთიკის საფუძველია არა პირადი ბედნიერება, არამედ იმ მოვალეობისადმი დამორჩილება, რომელიც ადამიანს დაუწესა ღმერთმა. მათი აზრით უმაღლესი იდეალია არა პირადი ბედნიერება, არამედ დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულება. რიგორიზმი საბოლოო ჯამში გამორიცხავს ეგოიზმს და ალტრუიზმისაკენ იხრება.

ბედნიერება, პირველ რიგში, წარმოგვიდგება როგორც სიამოვნება, რომელსაც ინვევს პირადი მოთხოვნილებებისა და სურვილების დაკმაყოფილება. ადამიანს გააჩნია სასიცოცხლო, ყოფითი, ესთეტიკური, ინტელექტუალური, ეთიკური, სოციალური და სხვა მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილება მასში ინვევს ბედნიერების განცდას. ისინი ძირითადად იყოფიან, მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებად, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანური ყოფიერების შინაარსს, რაც უფრო მაღალია ადამიანის შეგნება, მით უფრო დახვეწილია მისი მოთხოვნილებები და უფრო აშკარაა სულიერი მოთხოვნილების პრიმატი მატერიალურთან შედარებით.

ამრიგად, **ბედნიერება წარმოადგენს უმაღლესი სულიერი ღირებულებების დაკმაყოფილების შედეგად წარმოქმნილ სიამოვნების განცდას, რომელიც მიმართულია არა მარტო პირადული, არამედ საზოგადოებრივი ინტერესების საკეთილდღეოდ.**

პატრიოტიზმი

პატრიოტიზმი მომდინარეობს ლათინური „Patria"-დან, რაც ნიშნავს სამშობლოს და წარმოადგენს ეთიკურ კატეგორიას, რომელიც აღნიშნავს სამშობლოს სიყვარულს. სამშობლოში იგულისხმება სოციალური,

პოლიტიკური, კულტურული, აქსიოლოგიური, გეოგრაფიული გარემო, რომელშიაც ცხოვრობს ესა თუ ის ხალხი და კონკრეტული ადამიანი. პატრიოტიზმი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს ეროვნული სიამაყის გრძნობას, რაც მოცემული ერის კულტურულ-აქსიოლოგიურ მიღწევებთან, მის ისტორიასთან არის დაკავშირებული. როგორც ცნობილია, **ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, რომელიც წარმოშობილია ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის საფუძველზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა.** ყველა ეს ჩამოთვლილი ნიშანი არის ეროვნული სიამაყის წარმოშობის წყარო, რომელიც ამა თუ იმ ერის შვილებს უნერგავს საკუთარი სამშობლოს სიყვარულისა და დაცვის ამაღლებულ გრძნობებს. ამ გრძნობებით გამსჭვალული ადამიანი ამაყობს თავისი სამშობლოს მდიდარი ისტორიითა და თავისუფლებისმოყვარეობით, კულტურითა და ხელოვნებით, ლიტერატურით, თეატრითა და კინოთი, მეცნიერებითა და სპორტით და ა.შ.

ჭეშმარიტი პატრიოტიზმი არ გამორიცხავს სხვა ერების მიღწევებისა და უფლებების აღიარებას და არასოდეს არ გადადის შოვინიზმში, რომლისთვისაც უცხო და მიუღებელია სხვა ერების ინტერესები. **პატრიოტიზმი არის ზნეობრივი კატეგორია, რომელიც მყლავნდება პიროვნების ისეთ ქმედებაში, რომლის დროსაც მთავარია საკუთარი ხალხისა და სამშობლოს კეთილდღეობა.**

ოჯახის სიყვარული

ოჯახი არის თანასწორობის საფუძველზე შექმნილი ცოლ-ქმრისა და შვილების ერთობა, რომლებსაც ერთმანეთთან აკავშირებს სიყვარული. ჯერ კიდევ არისტოტელე მიიჩნევდა ოჯახს სახელმწიფოს საფუძვლად, ეს თვალსაზრისი მომავალში არაერთმა ეთიკოსმა გაიზიარა. ოჯახი აღმოცენდება ქალისა და მამაკაცის სიყვარულის შედეგად და ეს დამოკიდებულება განსაზღვრავს ოჯახის სიმტკიცესა და სიმყარეს. ოჯახური ურთიერთობა გულისხმობს დამოკიდებულებას ქალსა და მამაკაცს და, მეორეს მხრივ, მშობლებსა და შვილებს შორის, შესაბამისად, ოჯახის სიყვარული დაიყვანება ცოლ-ქმრულ და მშობლიურ სიყვარულზე. სხვა ნათესაური დამოკიდებულებები ამ შემთხვევაში პრინციპულ ხასიათს არ ატარებენ და დაიყვანებიან მაგალითად: მშობლიურ ან შვილიშვილის ან მეგობრულ ან დაძმის სიყვარულზე. სიყვარულს, უპირველეს ყოვლისა, ასაზრდოებს ქალისა და მამაკაცის ურთიერთლტოლვა, რაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ტემპერამენტსა და ესთეტიკურ მონონებაზე. რაც უფრო მოსწონთ მათ ერთმანეთი, მით მეტია მიზიდულობისა და

ურთიერთლტოლვის ძალა. მაგრამ სიყვარული არ დაიყვანება მარტოოდენ სქესობრივ ლტოლვაზე, ის რომ მხოლოდ ამ მომენტის შემცველი იყოს, მაშინ მალე გადაიზრდებოდა მობეზრებასა და ანტიპათიაში, რადგან სქესობრივ ლტოლვას ახასიათებს მობეზრების მომენტი, რაც ფუმმარიტი სიყვარულისათვის მიუღებელია. ნამდვილ სიყვარულს ახასიათებს ურთიერთპატივისცემა და ერთგულება, რაც დროთა განმავლობაში კი არ სუსტდება, არამედ პირიქით, ღრმავდება და ძლიერდება. შესაძლოა შესუსტდეს ლამაზი სხეულისადმი ლტოლვა, რასაც სიბერის ფაქტორიც ემატება, მაგრამ არასოდეს არ სუსტდება პიროვნებისადმი პატივისცემა, მისი სულიერი ღირებულებებისადმი თაყვანისცემა, როცა ნამდვილად გიყვარს, დრო ვერაფერს აკლებს მეუღლის სულიერ სილამაზეს და მომხიბლველობას. ასეთი ერთგულება არსებობს იქ, სადაც ცოლ-ქმრულ ნყვილს შორის არსებობს საერთო სულიერი ინტერესები, საერთო გემოვნება, საერთო ზნეობრივი იდეალები, რასაც განაპირობებს ზოგადი განათლების, კულტურის, აზროვნების მეტ-ნაკლები ერთიანობა, რომელიც გადაიზრდება ხასიათის მსგავსება-თანხმობაში. ეს მსგავსება ცოლ-ქმრული სიყვარულის ძლიერი ნყარა, რომელიც სათავეს უდებს მათ მეგობრობას, როგორც კი მსგავსი ერთიანობა ირღვევა ცოლის ან ქმრის მხრიდან, მაშინვე თავს იჩენენ ნინააღმდეგობები, რომლებიც ოჯახის ერთიანობას უთხრის ძირს. იქ, სადაც ნყვილთა სულიერი, ფსიქოლოგიური, ზნეობრივი, ესთეტიკური, თანასწორობა ირღვევა, საფუძველი ეცლება ოჯახის სიმყარეს.

ოჯახური სიყვარული გულისხმობს მოვალეობათა მთელ რიგს ცოლ-ქმარს, მშობლებსა და შვილებს შორის, რომელთა აღსრულება თითოეულის წმინდა ვალია. ასევე წარმოუდგენელია ცოლ-ქმრული კავშირი ურთიერთდათმობის, კომპრომისების გარეშე. ძლიერი, მყარი ოჯახი კომპრომისების ხელოვნებაზეა დაფუძნებული, სადაც თითოეული ნევრი ერთმანეთის მიმართ ავლენს ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთმიტევების გრძნობებს, რომლებიც ღირსებითა და სიყვარულითაა აღსავსე.

სიმამაცე

სიმამაცე არის თავგანწირვა, გაბედულება, რომელსაც პიროვნება ავლენს დასახული მიზნის რეალიზაციის გზაზე. იგი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს შიშის მოხსნას, რომელიც ხშირ შემთხვევაში აფერხებს ამა თუ იმ მიზნის განხორციელებას. მამაცია არა ის, ვისაც შიშის გრძნობა საერთოდ არ გააჩნია, არამედ ის, ვინც ეს გრძნობა დაძლია და საკუთარ თავში გადალახა. არაფრის მხოლოდ

სულიერად, ფსიქიკურად დაავადებულებს არ ეშინიათ, რადგან მათ გაცნობიერებული არ აქვთ თავიანთი ქმედების შედეგები. ნორმალური ადამიანი აცნობიერებს თავისი ქმედების შესაძლო შედეგებს და, აქედან გამომდინარე, მას უჩნდება შიშის გრძნობა. სიმამაცე სწორედ ამ შედეგის გაცნობიერებაში და მისგან გამოწვეულ შიშზე ამაღლებაში მდგომარეობს. როდესაც ადამიანი აცნობიერებს, რომ ესა თუ ის ქმედება შესაძლოა მისი ფიზიკური არსებობისათვის საფრთხის მომტანი იყოს, მაგრამ მაინც მიდის ამაზე, მაშინ მას ყოფნის გაბედულება და სიმამაცე, რომ სიკვდილს უშიშრად ჩახედოს თვალებში და ბოლომდე მიიყვანოს ჩაფიქრებული საქმე და აღებული ვალდებულება. სიმამაცის წყარო ხშირად ზნეობრივი ხასიათისაა, მასში იგულისხმება ისეთი ეთიკური კატეგორიები, როგორიცაა სიკეთე, სიყვარული, მეგობრობა, პატრიოტიზმი, ჰუმანიზმი და სხვა.

საკონტროლო კითხვები

2.1

- ფილოსოფიაში ვინ დაამკვიდრა ეთიკის კატეგორიები და რა იგულისხმება?
- რა არის სიკეთე და მისი მაგალითები ?
- რა არის სამართლიანობა და რა კავშირშია სამართალთან ?
- რა არის მოვალეობა და მისი სახეები ?
- რა არის სინდისი და როგორ არის იგი დაკავშირებული მოანიებასთან?
- რა არის პასუხისმგებლობა და როგორ არის იგი დაკავშირებული მოვალეობასთან?
- რა არის ღირსება და მისი ისტორიული მაგალითები?
- როგორია რეპუტაციისა და ღირსების ურთიერთდამოკიდებულება?
- როგორია ეთიკისა და მორალის ურთიერთდამოკიდებულება?
- რა არის ჰუმანიზმი და რა კავშირშია ეთიკასთან ?
- ჰუმანიზმის როგორი სამოქმედო პრინციპები ჩამოაყალიბა იმანუელ კანტმა?
- რა არის ბედნიერება?
- რა არის პატრიოტიზმი?
- რა არის ოჯახი?
- რას გულისხმობს ოჯახის სიყვარული?
- რა არის სიმამაცე?

მესამე თავი

ეთიკისა და სამართლის თანაფარდობა

3.1. ბუნებითი სამართალი

საზოგადოებრივი ცხოვრება ეთიკური საკითხებით არის გაჯერებული და პოლიტიკური, შესაბამისად, სამართლებრივი დებატების საგანია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსებიდან საერთაშორისო ურთიერთობების ეთიკური არსი საერთაშორისო დეკლარაციებსა და კონვენციებში, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა სფეროში, მზარდ მრავალფეროვნებაში გამოვლინდა, რომელთა დიდი ნაწილი ბუნებითი სამართლიდან გამომდინარეობს. XX საუკუნეში ბუნებითმა სამართლმა აღმავლობა განიცადა, რაც გამოვლინდა ომის შემდგომ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებასა და მათ გამოხატვაში, ისეთი დეკლარაციებით, როგორებიცაა: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება[17], ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია[18], რომის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია[19] და დელის დეკლარაცია კანონის უზენაესობაზე[20]. ბუნებითი სამართალი მიიჩნევა არა როგორც კონსტიტუციური გაგებით უზენაესი სამართალი, რომელიც ძალას უკარგავს ჩვეულებრივ სამართალს, არამედ როგორც ათვლის წერტილი, რომლის საშუალებითაც შეიძლება გაიზომოს პოზიტიური სამართალი.

ბუნებითი სამართლის თეორიის აღორძინებამ შეიძლება დაგვანახოს, რომ საუკუნეების განმავლობაში სულაც არ მივუახლოვდით მათ გადაჭრას. „ბუნებითი სამართლის საუკეთესო აღწერა ის არის, რომ ბუნებითი სამართალი ანიჭებს სახელს იმ წერტილს, რომელშიც ხდება კანონისა და მორალის გადაკვეთა" მარტივად რომ ვთქვათ, უნდა იყოს, ის, რაც ბუნებრივია – აღნიშნავს **რეიმონდ უექსი** ოქსფორდის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ წიგნში „სამართლის ფილოსოფია".[21]

ბუნებითი სამართალი მოიცავს დროისა და სივრცის გარეშე არსებული ქცევის ობიექტურად სავალდებულო წესებსა და პრინციპებს. ეს პრინციპები უფრო მაღლა დგას, ვიდრე პოზიტიური

17 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, 1945, 25 ივნისი

18 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია" 1948, 10 დეკემბერი.

19 „ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია" (რომის კონვენცია) 1950, 4 ნოემბერი

20 „დეკლარაცია კანონის უზენაესობაზე" (დელის დეკლარაცია) 1959, 10 ივნისი

21 რეიმონდ უექსი, „სამართლის ფილოსოფია", 2012, გვ. 2

სამართალი, ბუნებით სამართალს ხშირად ზეპოზიტიურ სამართალსაც უწოდებენ. ბუნებითი სამართალი, არსებითად, მორალისა და სამართლიანობის იდენტურია – ისინი ხშირად განიხილება როგორც სინონიმური ცნებები. ბუნებითი სამართლის წყარო შეიძლება იყოს ადამიანის ბუნება, ღვთის ნება და გონი.

იურიდიული პოზიტივიზმისაგან განსხვავებით, ბუნებითი სამართალი ერთმანეთისაგან არ მიჯნავს მორალსა და სამართალს. სამართალი, პოზიტიური ნორმების გარდა, მოიცავს მორალის განსაზღვრულ პრინციპებს, რომლებიც აფუძნებენ და, ამავე დროს, გარკვეულ ფარგლებში აქცევენ პოზიტიურ სამართალს. მორალის განსაზღვრულ პრინციპებს აქვს იურიდიული მოქმედების პრეტენზია. სამართალი გაგებულია როგორც ნორმათა წესრიგი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მორალის პრინციპებს.[22]

საუკუნეების მანძილზე ბუნებითი სამართლის საკითხებს არაერთი მეცნიერი შეეხო. რომაელმა ფილოსოფოსმა, იურისტმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ **ციცერონმა** (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ძველი წელთაღრიცხვის 106-43 წლებში.) გამოყო ბუნებითი სამართლის სამი კომპონენტი: 1. ბუნებასთან შეთანხმებული; 2. მარადიული და უცვლელი; 3. ღმერთის მიერ შექმნილი. ციცერონის მიხედვით, სამართალი არის ბუნებასთან შესაბამისობაში მყოფი ნორმების ერთობლიობა, რომლებსაც აქვთ მარადიული ხასიათი, ისინი დადგენილი და შექმნილია ღმერთის მიერ.

დომინიკელი **წმინდა თომა აქვინელი** (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1225-1274 წლებში.) ნაშრომში "Summa Theologiae" ამტკიცებს, რომ „სამართალი" რომელიც ვერ ახერხებს მოერგოს ბუნებრივ ან ღვთაებრივ სამართალს, საერთოდ არ არის სამართალი და კარგავს მისი შესრულების მორალური ვალდებულების ძალას.

ბუნებითი სამართლის პრინციპების გამოყენების კლასიკური მაგალითია ამერიკისა და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციების შეფასებები, იმის საფუძველზე, რომ ოფიციალური სამართალი არღვევდა ცალკეული პირების ბუნებრივ უფლებებს. ამერიკის რევოლუცია ეფუძნებოდა ბრიტანული კოლონიური წესრიგის წინააღმდეგ ყველა ამერიკელის ბუნებრივი უფლებების დაცვისაკენ მონოდებას. საფრანგეთის რევოლუცია აცხადებდა, რომ ბუნებით ყველა ადამიანი თანასწორია, რომ მათ შემოქმედმა მიანიჭა უფლებები, რომელთა წართმევა არ შეიძლება. ყველა ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლების და ბედნიერების ძიების ბუნებრივი უფლება.

22 გიორგი ბუბუა, „სამართლის თეორია",თბ.2004, გვ. 37.

ნიურნბერგის ნაცისტური ელიტის სასამართლო პროცესზე ბუნების კანონის იდეალები აღადგინეს. აქ გამოიყენეს პრინციპი – გარკვეული ქმედებები მოიცავს „დანაშაულებს კაცობრიობის წინააღმდეგ“ მაშინაც კი, თუ ისინი არ არღვევენ პოზიტიური სამართლის დებულებებს. მოსამართლეები ამ პროცესებში ღიად მიმართავდნენ ბუნებითი სამართლის თეორიას, მაგრამ მათი განსჯა იყო იმ პრინციპების აღიარება, რომ სამართალი არ არის ერთადერთი განმსაზღვრელი იმისა, თუ რა არის მართებული.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ბუნებითი სამართლის თეორიამ ვერ ჰპოვა ერთმნიშვნელოვანი აღიარება. ბუნებითი სამართლის კრიტიკოსები უარყოფენ ობიექტურად მოქმედი ნორმებისა და ღირებულებების შეცნობის შესაძლებლობას. გარდა ამისა, აღნიშნული ნორმები ვერ აფუძნებენ პოზიტიურ სამართალს, რამდენადაც ისინი ლოგიკური აუცილებლობით არ მოქმედებენ. შეუძლებელია ბუნებითი სამართლის ემპირიული შემეცნებაც, რადგანაც იგი, ისევე როგორც ყველა ნორმა და ღირებულება, სუბიექტურია, ხოლო მისი მოქმედება – მუდმივად რელატიური.[23]

3.2. ჩვეულება და სამართალი

ჩვეულება არის საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებული ნორმების ერთობლიობა. იგი ისტორიულად უსწრებდა სამართალს და საზოგადოების განვითარების ისტორიულ სტადიაზე აწესრიგებდა ადამიანთა შორის არსებულ ურთიერთობებს და ასრულებდა სამართლის ფუნქციას. ჩვეულება არსებობს ადათისა და ტრადიციების სახით.

ერთმანეთისგან განსხვავდება სამართლისა და ჩვეულების მოქმედების სფერო. მართლწესრიგი[24] და ჩვეულებითი წესი ხშირად ერთმანეთს ემთხვევა. „კარგი წესები“, ჩვეულებრივ, განმტკიცებულია იურიდიულად. მეორეს მხრივ, სამართლის ნორმებს უფრო მეტად იმიტომ იცავენ, რომ იგი ჩვეულების მოთხოვნებს შეესაბამება. საქორწილო, შვილებსა და მშობლებს შორის ურთიერთობები, გარკვეული აზრით, ერთნაირადაა მოწესრიგებული ჩვეულებითა და სამართლით.

---

23 რელატიური – შეფარდებითი, მიმართებითი.მიხეილ ჯაბაშვილი „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“,თბ.1989, გვ. 63-68.

24 მართლწესრიგი – საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ქცევისა და ურთიერთობების სისტემა, რომელიც წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობითა და იმ ადათ-წესებით, ტრადიციებითა და ზნეობრივი ნორმებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

ჩვეულება, მორალისაგან განსხვავებით, არ მოიცავს შეფასებას. მორალი მოითხოვს იმას, რასაც ადგენს „კარგი" ჩვეულება. ჩვეულება შეიძლება არ იყოს ზნეობრივი, მაგალითად, სისხლის აღების ჩვეულება. ჩვეულებისგან განსხვავებით, მორალი არის სინდისისაკენ მიმართული „შინაგანი" და შეფასებითი წესრიგი. ჩვეულება, როგორც წესი, გულგრილია იმის მიმართ, თუ როგორი შინაგანი განწყობის გამო იცავენ მის მოთხოვნებს.[25]

ჩვეულებასა და სამართალს აქვთ საერთო ნიშნები: 1. ისინი, როგორც წესი, ნორმატიულ ხასიათს ატარებენ; 2. ჩვეულება და სამართალი ჯერარსული მოვლენებია; 3.ისინი არეგულირებენ სოციალურ ურთიერთობებს; 4. ჩვეულება და სამართალი ყურადღებას ამახვილებენ ქცევის გარეგან მხარეზე, სუბიექტის შინაგანი განწყობა და მოტივაცია მათ ნაკლებად აინტერესებთ.

ჩვეულება და სამართალი განსხვავდებიან შემდეგი ნიშნების მიხედვით: 1. სამართალს ადგენს სახელმწიფო, ჩვეულების დამდგენია რომელიმე სოციალური ჯგუფი; 2. ჩვეულება მოქმედებს ვიწრო, შეზღუდულ სოციალურ გარემოში, სამართალი მოიცავს გაცილებით ფართო სოციალურ სპექტრსა და წრეს; 3. ჩვეულება ინდიფერენტულია მორალის მიმართ, სამართალი ზნეობრივი მომენტის გარეშე წარმოუდგენელია; 4. ჩვეულება არ ხორციელდება სახელმწიფო იძულების მეშვეობით, მის სანქციებს ესა თუ ის სოციალური ჯგუფი ახორციელებს; 5. სამართლებრივი სანქციები წინასწარაა კოდიფიცირებული, ხოლო ჩვეულებით სანქციებს ასეთი ხასიათი არ გააჩნიათ; 6. ჩვეულებითი რეგულაცია ხორციელდება ფაქტობრივი ურთიერთობის დროს, ხოლო სამართლებრივ რეგულაციას პროცედურული ხასიათი აქვს; 7. ჩვეულება მოქმედებს მაშინ, როცა იგი ფაქტობრივად სრულდება, სამართალი მოქმედებს იმისგან დამოუკიდებად, დაცულია თუ არა მისი მოთხოვნები.

ჩვეულება და სამართალი, როგორც წესი, ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება, მათ შორის კონფლიქტისას მოქმედებს პოზიტიური სამართალი. მათი მოქმედების სფეროები ხშირ შემთხვევაში განსხვავებულია, მაგალითად, ჩვეულებითი ნორმა ვერ მოანესრიგებს რთულ სოციალურ ურთიერთობებს, ტექნიკის სფეროში წარმოშობილ ურთიერთობებს და ა.შ. ამავე დროს ყოფითი ურთიერთობების უმრავლესობა არ მოითხოვს სამართლებრივ რეგულაციას და ჩვეულებითი ნორმების საფუძველზე რეგულირდება, მაგალითად, ურთიერთობა კოლეგებს, მეგობრებსა და ახლობლებს შორის.

25 გიორგი ხუბუა, „სამართლის თეორია", თბ. 2004, გვ. 59-60.

3.3. ზნეობა და სამართალი

სამართალი არის ქცევის ზოგადი წესების ერთობლიობა, რომელიც დადგენილი და სანქცირებულია სახელმწიფოს მიერ და მათი შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი იძულებით. მსგავსება ზნეობასა და სამართალს შორის იმაში მდგომარეობს, რომ ორივე წარმოადგენს ქცევის ზოგადი ნესების ერთობლიობას, რომელთა საფუძველზე ხდება ადამიანთა ქცევის რეგულაცია. ამავე დროს ისინი წარმოადგენენ საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმებს და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოების ცხოვრებაში. მაგრამ, გარდა მსგავსებებისა, მათ შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა, კერძოდ, სამართალი, ზნეობისაგან განსხვავებით, წარმოადგენს მკაცრად კოდიფიცირებულ სისტემას, რომელშიც უმნიშვნელოვანეს დეტალებამდე გათვლილი და გაწერილია სამოქმედო პროგრამა. ზნეობას მსგავსი დეტალიზაცია და კოდიფიკაცია არ ახასიათებს, იგი უფრო მოქმედების ზოგად პრინციპებს წარმოადგენს. სამართალი ზნეობისგან განსხვავებით მუდამ პოლიტიზებულია და გაბატონებული, მმართველი სოციალური ჯგუფების ინტერესებს გამოხატავს. იგი სწორედ იმისთვისაა შექმნილი, რომ თავისი ნორმებითა და სანქციებით დაიცვას მმართველი ელიტის ინტერესები.

ზნეობა, პირიქით, ზეპოლიტიკური ხასიათისაა და გამოხატავს არა ცალკეული კლასის, არამედ ზოგადად საზოგადოებრივ ინეტერესებს. სამართალს მეტი დინამიურობა და ცვალებადობა ახასიათებს ზნეობასთან შედარებით, რომელიც სტატიკურობით გამოირჩევა. ცივილიზაციამ უკვე გამოიცვალა სამართლის ოთხი ისტორიული ფორმა, მაშინ, როდესაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ზნეობა თითქმის უცვლელი რჩებოდა. სამართლებრივი ნორმის დარღვევას მოსდევს სანქცია, ანუ სახელმწიფოებრივი იძულება, მის ყოველ გამოვლენას სასჯელის გარკვეული ზომა შეეფარდება, დანყებული დისციპლინარული (გაფრთხილება, საყვედური, სამსახურიდან დათხოვნა და სხვა), ადმინისტრაციული პასუხისმგებლობიდან და სისხლის სამართლის სასჯელებით დამთავრებული. ზნეობრივი ნორმის დარღვევას მსგავსი სასჯელი არ მოსდევს და მისი უგულვებელყოფისათვის ადამიანებს სამართლებრივად არ სჯიან. სამართლებრივ ნორმას ახორციელებს სახელმწიფო ანუ ობიექტური ფაქტორი, ხოლო ზნეობრივი ნორმის რეგულაციას ახდენს საზოგადოება, სინდისი ანუ სუბიექტური ფაქტორი. სახელმწიფო აპარატის ძირითადი დანიშნულებაა საკუთარი ბერკეტების მეშვეობით მოქმედებაში მოიყვანოს

სამართლებრივი ნორმების აღსრულების მექანიზმები, მაშინ, როდესაც ზნეობრივი ნორმების აღსრულება ხდება არა იძულებით, არამედ საზოგადოების მიერ, ნებაყოფლობითობის პრინციპის საფუძველზე.

ზნეობა და სამართალი იმითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ზნეობრივი ნორმების აღმოცენება ხდება დროთა განმავლობაში და იგი თანდათანობით მკვიდრდება საზოგადოების შეგნებაში მაშინ, როდესაც სამართლებრივი ნორმა ძალაში შედის საკანონმდებლო ორგანოების მიერ.

ზნეობას სამართლისაგან აგრეთვე განასხვავებს მისი ნორმების ზოგადი და საკაცობრიო ხასიათი. ზნეობის ნორმები ზოგად მოთხოვნებს წარმოადგენენ და სავალდებულო არიან ყველა კერძო შემთხვევის დროს. მაგალითად, ცხოვრებაში ვხვდებით სიცრუის უამრავ შემთხვევას, რომელთა მიმართ ზნეობის დამოკიდებულება ცალსახად უარყოფითია. სამართალი კი კანონმდებლობით კრძალავს სიცრუის მხოლოდ ისეთ კონკრეტულ შემთხვევას, რომელიც განსაკუთრებულ ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ცხოვრებას, კერძოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლი „ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა ან არასწორი თარგმანი" და 373-ე მუხლი „ცრუ დასმენა".

ზნეობის რეგულაციებს არ წარმართავენ სახელმწიფო სტრუქტურები, თუმცა სასამართლო ორგანოები მას ეხმარებიან განსაკუთრებით მძიმე უზნეობის – დანაშაულის გამოვლენის შემთხვევაში. როდესაც ადამიანი ამა თუ იმ დანაშაულს ჩაიდენს, ცხადია, იგი ჩადის უზნეობასაც, ე.ი. ორმაგად აგებს პასუხს, შესაბამისად, სახელმწიფოს წინაშე, სასამართლოს გადაწყვეტილებით და საზოგადოების წინაშე შინაგანი სასჯელის – სინდისის ქენჯნის სახით, ხოლო გარეგანი – საზოგადოებრივი გაკიცხვის სახით.[26]

სამართლებრივი ნორმები იცვლებიან საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების ცვლასთან ერთად მაშინ, როდესაც ზნეობრივ ნორმებს ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვთ და არ არიან დამოკიდებულნი სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებზე.

პროგრესულ საზოგადოებაში ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმები ურთიერთჰარმონიაში არიან და ხელს უწყობენ სიკეთისა და სამართლიანობის წესების დამკვიდრების კეთილშობილურ საქმეს. მაგრამ ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური კრიზისის დროს, რასაც თან ახლავს საზოგადოების სულიერი კრიზისიც, ირღვევა ზნეობისა და სამართლის მოთხოვნათა ერთიანობა და ფაქტობრივად ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ასეთ დროს შესაძლოა ადამიანი

26 როზა გაფრინდაშვილი, „ეთიკა", თბ.2001, გვ. 23-24.

სამართლებრივად დამნაშავე აღმოჩნდეს, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი მაინც მის მხარეზე იყოს და პირიქით, – შესაძლოა კანონის წინაშე უდანაშაულო ადამიანი საზოგადოების მხრიდან სიძულვილსა და წყრომას იმსახურებდეს. მსგავსი ფაქტები, სამწუხაროდ, ქართულ სინამდვილეში იშვიათობას არ წარმოადგენს, რაც ხშირად აისახება ხოლმე მხატვრულ ლიტერატურაში.

სამართალმცოდნეობაში მიღებულია თვალსაზრისი, რომ ზნეობა არის სამართლის მაქსიმუმი, ხოლო სამართალი არის ზნეობის მინიმუმი. დროთა განმავლობაში, საზოგადოებრივი ცნობიერებისა და შეგნების პროგრესთან ერთად, ზნეობა მთლიანად განდევნის სამართალს და გახდება დომინანტური ძალა საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულაციის საქმეში. მაგრამ აქამდე კაცობრიობას ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი გზა აქვს გასავლელი, დღეისათვის სამართალი რჩება საზოგადოებრივი ურთიერთობების მთავარ რეგულატორად.

3.4. ეთიკა და კრიმინოლოგია

კრიმინოლოგიის, როგორც დანაშაულობის სოციალურ-სამართლებრივი ანტისაზოგადოებრივი მოვლენის შემსწავლელი კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიზანია – დანაშაულობისა და მისი ჩამდენი პირის, დანაშაულობის მსხვერპლის, დანაშაულობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების შესწავლა, დანაშაულობის პროგნოზირება და დაგეგმარება, თავიდან აცილებისა და კონტროლის ღონისძიებების შემუშავება და სხვა. გამომდინარე აქედან, იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ზუსტ, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან, განსაკუთრებით ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკასთან, ეთიკასა და სხვა მეცნიერებებთან.

პედაგოგიკისა და კრიმინოლოგიის ურთიერთკავშირების კვლევისას გამოიკვეთა ეთიკის განსაკუთრებული როლი დანაშაულობის მიზეზების, ხელშემწყობი პირობების, დანაშაულობის ჩამდენი პირისა და მსხვერპლის, დანაშაულობის თავიდან აცილების შესწავლის საქმეში.[27]

ეთიკისა და კრიმინოლოგიის კავშირი, მათ შორის შეხების წერტილები უფრო ღრმაა, ვიდრე სამართალსა და ზნეობას შორის. კრიმინოლოგია და ზნეობაც სამართლისაგან განსხვავებით დეპოლიტიზებულია და გაბატონებული სოციალური ჯგუფების ინტერესებს არ გამოხატავენ, პირიქით, ისინი ზეპოლიტიკური ხასიათის, ზოგადად საზოგადეოებრივი ინტერესების მატარებლები არიან.

---

27 მალხაზ ბაძაღუა „პედაგოგიკა – დანაშულობის პრევენციის ეფექტური მექანიზმი" „სამართლის პრობლემები რომან შენგელია – 70", თბილისი 2012, გვ. 560-567

ეთიკა, როგორც ფილოსოფიის შემადგენელი ნაწილი, შეისწავლის ადამიანის ზნეობას, რომელიც წარმოადგენს ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობას, რომლებიც აწესრიგებენ და არეგულირებენ ადამიანის ცხოვრებას და მოიცავს ყველა სფეროს, ოჯახიდან დაწყებული, ნარმოებითი ურთიერთობით დამთავრებული.[28] კრიმინოლოგიაში, დანაშაულობის ჩამდენი პირისა და მსხვერპლის, დანაშაულობის თავიდან აცილების პრობლემების შესწავლა, შეუძლებელია ეთიკის კატეგორიების გათვალისწინების გარეშე.

კრიმინოლოგიაში დანაშაულობის ჩამდენი პირი ფართო მნიშვნელობის ცნებაა და გამოხატავს მის სოციალურ არსს. ესაა რთული კომპლექსი, რომელიც ახასიათებს მის თვისებებს, კავშირებს, გამოვლინებებს, მის შინაგან ზნეობრივ და სულიერ სამყაროს აღებულს მოძრაობაში, ასევე ავლენს ურთიერთკავშირებს ზოგადსოციალურ და ინდივიდუალურ ცხოვრებისეულ პირობებთან მიმართებაში, რაც, თავის მხრივ, ამა თუ იმ ზომით განსაზღვრავს დანაშაულის ჩადენას. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ დანაშაულობის ჩამდენი პირი ყველაზე სრული სახით დანაშაულის ჩადენის მომენტში ნარმოგვიდგება.[29]

კრიმინოლოგიაში პიროვნების ზნეობრივი თავისებურებების მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ დანაშაულობის ჩამდენი პირი ძირითადად ხასიათდება სოციალურ-დემოგრაფიულ, ზოგად სამართლებრივ და სოციალურ, ფსიქოლოგიურ ნიშნებთან ერთად ზნეობრივი ნიშნებით, რისი შესწავლაც იძლევა საშუალებას პასუხი გაეცეს კითხვას, თუ რატომ, რა მიზეზებით და რა ხელშემწყობი პირობების საფუძველზე მოხდა დანაშაულობა ან ანტისაზოგადოებრივი ქცევა.

პიროვნების ზნეობრივი თავისებურებების შეფასების მაჩვენებელს წარმოადგენს პიროვნების საქციელი, მთელი მისი ცხოვრების მანძილზე, მათ შორის როგორია მისი დამოკიდებულება ეთიკის კატეგორიებთან: სიკეთესა და სამართლიანობასთან, მოვალეობასა და სინდისთან, პასუხისმგებლობასა და ღირსებასთან და სხვა.

ეთიკური და კრიმინოლოგიური ხელმიშვებულობა – პრაქტიკულად ანტისაზოგადოებრივი ქცევის, სამართალდარღვევის, დანაშაულის წარმოშობისა და განვითარების წინაპირობაა. ეთიკის ისევე როგორც პედაგოგიკის მნიშვნელობა საკმაოდ ამკარაა, თუმცა საჭიროა მათი როლებისა და შემადგენელი ელემენტების შესწავლა. პედაგოგიური აღზრდის დეფექტი, რომელიც პირდაპირ მოქმედებს

28 გელა ბანძელაძე „ეთიკა", თბ.1966; გვ.66
29 ზაურ წულაია „კრიმინოლოგია" თბ. 2003 გვ.78

მის ზნეობრიობაზე, კერძოდ უზნეობა და გაუნათლებლობა კრიმინოლოგების მიერ დიდი ხანია მიჩნეულია ანტისაზოგადოებრივი ქცევის საფუძვლად. აშკარაა ამ ჭრილში ზნეობრივ-სამართლებრივი და პედაგოგიურ-აღმზრდელობითი საქმიანობის მნიშვნელობა. დეფექტები საზოგადოების ზნეობრივ აღზრდაში აღიარებულია, მაგრამ ზოგიერთი ექქვემ აყენებს აღნიშნულს და ეყრდნობა „თეთრსაყელოიან დამნაშავეობას" რომელსაც ფორმალურად „განათლებული" და ფაქტიურად უზნეო პირები ჩადიან. კრიმინოლოგია, ეთიკა და პედაგოგიკა საზოგადოებას აფასებს არა დიპლომების მიხედვით, არა როგორც სოციალ-დემოგრაფიულს მახასიათებელს, არამედ როგორც ცივილიზირებულ პედაგოგიკურ-ეთიკურ თვისებას რომელიც თანამედროვე მოთხოვნების დონეს შეესაბამება.[30]

კრიმინოლოგიური კვლევები ცხადყოფს, რომ დანაშაულობის ჩამდენი პირის ქცევა ხშირად განპირობებულია მისი მსხვერპლის არაეთიკური ქცევითა და განსაკუთრებული თვისებებით, ასევე არსებული კომფლიქტური ურთიერთობებით რაც საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ დანაშაულობა არც თუ იშვიათად პროვოცირებულია დაზარალებულის მხრიდან არაეთიკური უარყოფითი ქცევით. დაზარალებულის ქცევა შეიძლება იყოს არა მხოლოდ არასწორი სამართლებრივად, არამედ ეთიკურად უზნეოც. დაზარელებულის უზნეობა დანაშაულობის მიზეზთა პრობლემებისა და დანაშაულობის ქცევის მექანიზმის გარკვევის გასაღებია. რაც არ ხსნის თვით დამნაშავის ანტისოციალურობის პრობლემას.[31]

ეთიკისა და კრიმინოლოგიის ურთიერთკავშირის შემდგომი განვითარება ხელს შეუწყობს ეთიკური კატეგორიების პრაქტიკაში გამოყენებას, რომლებიც დანაშაულობის თავიდან აცილების ღონისძიებებით უზრუნველყოფენ ადამიანის ცხოვრებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პორფესიულ ეთიკას დანაშაულობის ადრეული პრევენციის საქმეში, დანაშაულობის ეთიკური მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების ასაცილებლად მათი წარმოშობის სტადიაზე, აღნიშნული ამოცანების განხორციელება ეკისრება სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურის მოსამსახურეებს, რომელთა ქცევის წესები, სამსახურეობრივი საქმიანობისა და არასამსახურეობრივი ყოფის ზნეობრივი ხასიათი განაპირობებს დანაშაულობის წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობას.

30 მალხაზ ბაძაღუა „ეთიკა და კრიმინოლოგიის ურთიერთკავშირის საკითხები" ჟურნალი „კრიმინოლოგი" № 1 (11-12) 2016-2017 გვ.101

31 ზაურ წულაია „კრიმინოლოგია", თბ. 2003 გვ.123

დანაშაულობის თავიდან აცილების სისტემა შედგება სამი ძირითადი დონისაგან: საერთო, ინდივიდუალური და სპეციალური.

საერთო სოციალური პრევენცია მოიცავს სახელმწიფოს, საზოგადოების, მათი ინსტიტუტების საქმიანობას, მიმართულს წინააღმდეგობის აღმოფხვრისაკენ, სოციალურ, ეკონომიკურ, სულიერ, ზნეობრივ და სხვა სფეროებში. მას ახორციელებენ ხელისუფლების სტრუქტურები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები რომელთა მთავარ ფუნქციას არ წარმოადგენს დანაშაულობის თავიდან აცილება. პრევენციული ეფექტი მიიღწევა სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით. საერთო პრევენციის დროს მისი კრიმინოლოგიური ასპექტები შედგება, ერთის მხრივ, სამართლებრივი – სისხლისამართლებრივი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, მათი შესაბამისი საპროცესო, სააღსრულებლო, კრიმინალისტიკური და სხვა ასპექტებისაგან შემდგარი პრევენციული ღონისძიებებით. მეორე მხრივ, სოციალური ასპექტებისაგან: ეთიკური, ფსიქოლოგიური, პედაგოგიური, სამედიცინო – ფსიქიატრიული და სხვა.

ინდივიდუალური პრევენცია ეს არის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების და მათი წარმომადგენლების მიზანმიმართული საქმიანობა იმ პირთა გამოსავლენად, რომლებიც პრევენციას საჭიროებენ.

ინდივიდუალური პრევენცია ორიენტირებულია კონკრეტულ ადამიანზე, რომლისგანაც მოსალოდნელია ანტისაზოგადოებრივი ქმედება და იგი მის ინდივიდუალურ თვისებებზე გათვალისწინებული მუშაობაა.

დანაშაულობის ინდივიდუალური პრევენცია ოთხი სახისაა: 1. ადრეული პრევენცია; 2. უშუალო პრევენცია; 3. პენიტენციალური პრევენცია; 4. პოსტპენიტენციალური პრევენცია;

სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების ამოცანაა იმ პირთა გამოვლინება და მათთან მუშაობა, რომლებიც ავლენენ ანტისაზოგადოებრივ ქცევას. საგანმანათლებლო – სოციალური სფეროს ორგანიზაციებს პრევენციული მუშაობის დანყება შეუძლიათ გადახრების წარმოშობის ადრეულ სტადიაში. ამასთან, ეს საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს ოჯახსა და ოჯახის გარეთ არაეთიკური ქცევის, სასწავლო და შრომითი დისციპლინის დარღვევის აღმოფხვრას და სხვა.

ეთიკური, სოციალურ-ეთიკური, პედაგოგიურ-ეთიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორები ინდივიდუალური პრევენციის გადამწყვეტი საშუალებებია.

ინდივიდუალური პრევენცია – არამარტო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, არამედ კრიმინოლოგიური მიდგომებით აუცილებლად

საჭირო ეთიკური, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მუშაობაა, რაც უდავოდ მოითხოვს შესაბამის პროფესიულ უნარ-ჩვევებს იმ პირებისა და ორგანიზაციებისაგან, რომლებიც მას ახორციელებენ.[32]

სპეციალური პრევენციული დონე გამოხატულებას პოულობს კრიმინოგენულ ფაქტორებზე მიზანმიმართულ ზემოქმედებაში, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულებრივი ქცევის ცალკეულ სახეობებსა და ჯგუფებთან. დანაშაულებრივი ქცევის სპეციფიკური მიზეზების და ხელის შემწყობი პირობების აღმოფხვრა ან ნეიტრალიზაცია ხორციელდება შესაბამისი სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების საქმიანობის პროცესში.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს ეთიკური პრევენციის კრიმინოლოგიური კვლევა. **ეთიკური პრევენცია კრიმინოლოგიაში ეს არის ეთიკური კატეგორიებისა და ღირებულებების გამოყენება დანაშაულობის თავიდან ასაცილებლად.**

ეთიკური პრევენცია თავის ამოცანებს წყვეტს ეთიკური კატეგორიებით, განათლების, სწავლების, აღზრდისა და განვითარების პედაგოგიური ხერხებისა და მეთოდების მეშვეობით.

ისტორიამ დაგვანახა, რომ სადაც დაცულია ეთიკური კატეგორიები: სიკეთის, სამართლიანობის, მოვალეობის, სინდისის, პასუხისმგებლობის, ღირსების და სხვათა უზენაესი პრინციპები, ის საზოგადოება უზრუნველყოფილია უსაფრთხოებით.

ეთიკური პრევენცია კრიმინოლოგიაში, პედაგოგიკურ პრევენციასთან ერთად, ჰუმანური და დემოკრატიული მიმართულებაა დანაშაულობის თავიდან აცილებაში, ორიენტირებულია საზოგადოებისა და დაზარალებულთა დახმარებისაკენ, რომლებიც მოხვდნენ სახიფათო კრიმინოგენულ ვითარებაში, მათთვის დახმარება ხორციელდება საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად, რაც პასუხობს საქართველოს კონსტიტუციის დებულებებს, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, ქვეყნის მიერ აღიარებულ საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

საკონტროლო კითხვები

3.1

- როგორია ბუნებითი სამართლის დამოკიდებულება საერთაშორისო დეკლარაციებისა და კონვენციების მიმართ?
- რას მოიცავს ბუნებითი სამართალი?

32 მალხაზ ბაძაღუა „იურიდიული პედაგოგიკა", თბ. 2006 გვ. 124-125.

- როგორია ბუნებითი სამართლისა და სამართლის ურთიერთდამოკიდებულება?
- რა ისტორიული მაგალითები არსებობს ბუნებითი სამართლის პრინციპების გამოყენების?

3.2

- რა არის ჩვეულება?
- როგორია სამართლისა და ჩვეულების ურთიერთდამოკიდებულება?
- როგორია ჩვეულებისა და მორალის ურთიერთდამოკიდებულება?
- როგორია ჩვეულებისა და სამართლის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები?

3.3

- რა არის სამართალი?
- როგორია ზნეობისა და სამართალის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები?

3.4

- რა მიზნები აქვს კრიმინოლოგიას ?
- რომელ კრიმინოლოგიურ კვლევებში გამოიყენება ეთიკური თეორიები?
- როგორია ეთიკის როლი დანაშაულობის თავიდან აცილებაში?
- რა არის ეთიკური პრევენცია და როგორია მისი მნიშვნელობა კრიმინოლოგიაში?

მეოთხე თავი

პროფესიული ეთიკის არსი და მისი სახეები

4.1. პროფესიული ეთიკის არსი, ცნება და საგანი

პროფესიული ეთიკა ეფუძნება სხვადასხვა პროფესიათა თავისებურებებს, კორპორატიულ ინტერესებს, პროფესიული კულტურას. ადამიანები, რომლებიც ასრულებენ ერთიან პროფესიულ ფუნქციებს, გამოიმუშავებენ სპეციფიკურ ტრადიციებს, ერთიანდებიან პროფესიული სოლიდარობის საფუძველზე და იცავენ საკუთარი სოციალური ჯგუფის ინტერესებს.

პროფესიული ეთიკა ეფუძნება ზოგადი ზნეობრივი პრინციპებისა და ნორმების კონკრეტიზაციას სხვადასხვა პროფესიების თავისებურებებთან მიმართებაში.[33]

პროფესიული ეთიკა არის გარკვეული პროფესიის წარმომადგენლების ქცევის წესებისა და ნორმების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც მათი სამსახურეობრივი საქმიანობის, ასევე არასამსახურეობრივი ყოფის ზნეობრივ ხასიათს.

პროფესიული ეთიკა, მნიშვნელოვანია იმ პროფესიული საქმიანობის განვითარებისათვის, რომლის წარმომადგენლებსაც ევალებათ ადამიანისათვის სასიცოცხლო ინტერესების დაცვა და უდიდესი წვლილი შეაქვთ მისი შინაგანი კულტურის, სულიერი სამყაროს, სოციალური სტატუსისა და მომავლის ფორმირების საქმეში. ასეთს მიეკუთნება: სასამართლო, პროკურატურა, საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურები, ადვოკატურა, საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებები, ჟურნალისტთა გაერთიანებები და სხვა.

პროფესიული ეთიკა წარმოადგენს გარკვეული სოციალური ჯგუფის ქცევის წესების ერთობლიობას, რომელიც განაპირობებს ურთიერთობათა ზნეობრივ ხასიათს. რაც დაკავშირებულია გარკვეულ პროფესიულ საქმიანობასთან.[34]

პროფესიული ეთიკა არის მეცნიერების ის მიმართულება, რომელიც სწავლობს სხვადასხვა სახის საქმიანობაში მორალის გამოვლენის სპეციფიკას.

რაც შეეხება საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა პროფესიული საქმიანობის სპეციფიკას,

---

33 „სასამართლო ეთიკა" – ნ.ჯ. ერიამვილის რედაქციით, თბ. 2016. გვ. 11.

34 А. С. Кобликов, „Юридическая этика" М. 2002. с. 25

იგი აღსავსეა განსაკუთრებული ზნეობრივი ფაქტორებით, რომლებიც, ჩვეულებისამებრ არ გვხვდება სხვა სფეროებში.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ **საჯარო მმართველობით სფეროში პროფესიული ეთიკა, როგორც პროფესიული ეთიკის ნაირსახეობა, ნიშნავს პრინციპებისა და სტანდარტების ერთობლიობას, რომლებიც აუცილებელია სწორი მმართველობითი ქცევის დასამკვიდრებლად.**[35]

მკვლევრები თვლიან, რომ საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა პროფესიები აერთიანებს საჯარო პოლიტიკისა და მართვის, სამართლის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის და სხვა პროფესიის მოსამსახურეებს. აღნიშნულის გათვალიწინებით, **საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა პროფესიული ეთიკა არის ეთიკური ნორმების ნაირსახეობა, რომლებიც წარმოადგენენ მათ საქმიანობაში მონაწილე სხვადასხვა განათლებისა და პროფესიის ქცევის წესების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს მათი პროფესიული საქმიანობის და არასამსახურებრივი ქცევის ზნეობრივ ხასიათს.** იგი ასევე არის მეცნიერული დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ამ სფეროში მორალის მოთხოვნების რეალიზაციის სპეციფიკას. მას შეიძლება ვუწოდოთ სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მორალური კოდექსი. აქედან გამომდინარე **საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა პროფესიული ეთიკა არის სასწავლო დისციპლინა, რომლის საგანსაც წარმოადგენს ზნეობრივი ნორმების შესწავლა და მათი რეალიზაცია შესაბამისი სამსახურის საქმიანობაში.**

საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა პროფესიული ეთიკის მნიშვნელობა იმაშია, რომ იგი ზნეობრივი შინაარსით ავსებს სამსახურებში სხვადასხვა პროფესიის ყველა სფეროს საქმიანობას და ანიჭებს მათ ჰუმანურ ხასიათს. აღნიშნული სამსახურების მოსამსახურეთა პროფესიული ეთიკა წარმოაჩენს რა ცხოვრების ყველა სფეროში პროფესიული, სამართლებრივი და სხვა ურთიერთობების ჰუმანურ საწყისებს, პოზიტიურ ზემოქმედებას ახდენს პროფესიულ საქმიანობაზე. იგი ხელს უწყობს სხვადასხვა, მათ შორის, განსაკუთრებით სამართლის და სხვა პროფესიის წარმომადგენელთა ცნობიერების მართებულ ჩამოყალიბებას, ზნეობრივი ნორმების, სამართლიანობის დამკვიდრების, თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების დაცვის, პიროვნების პატივის, ღირსების, რეპუტაციის და საქმიანი ავტორიტეტის ხელშეუხებლობის თვალსაზრისით.

35 „ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები საჯარო სამსახურში", 2015, თბ. გვ. 7.

4.2. პროფესიული ეთიკის სახეები

საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურის მოსამსახურეების პროფესიულ საქმიანობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული სამართალმცოდნის ძირითადი პროფესიების: მოსამართლის, პროკურატურის მუშაკის, ადვოკატის საქმიანობა. განვიხილოთ, თითოეული მათგანის საქმიანობის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, პროფესიული ეთიკის ნორმები.

4.2.1. მოსამართლის პროფესიული ეთიკის ძირითადი ნორმები

მოსამართლის ქცევა როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ისე არასამსახურეობრივი საქმიანობის განხორციელების დროს წარმოადგენს საზოგადოების სასამართლოსადმი ნდობის და სასამართლო ავტორიტეტის განმტკიცების მნიშვნელოვან საფუძველს, მოსამართლის საქმიანობის ძირითადი პრინციპები ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ"[35] მე-6 მუხლს, რომლის თანახმად, განსაზღვრულია, მართლმსაჯულებისა და სამართალნარმოების პრინციპები: მართლმსაჯულება ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე საქმეში მონაწილე ყველა პირის თანასწორობის, საქვეყნოობის, მოსამართლეთა შეუცვლელობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვის საფუძველზე. სამართალნარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. ასევე სამოსამართლო ეთიკის სფეროში მოქმედ საერთაშორისო სამართლებრივ ღირებულებებს, მათ შორის მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებს[37] და ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს №3 დასკვნას მოსამართლეთა პროფესიული ქცევის პრინციპებისა და წესების შესახებ.[38] საქართველოს კონსტიტუციით და კანონმდებლობით აღიარებული საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიების გამტკიცებას ემსახურება კანონი „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან

36 საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ" 2009, 4 დეკემბერი.

37 სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები – ბანგალორის 2001 წლის „სამოსამართლო ქცევის კოდექსი", მიღებული სასამართლო ხელისუფლების შეუთავსებლობის განმამტკიცებელი სასამართლო ჯგუფის მიერ, განხილული უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეთა მრგვალ მაგიდაზე, 2002, 25-26 ნოემბერს.

38 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა „მოსამართლეთა პროფესიული ქცევის პრინციპებისა და წესების, ეთიკის ნორმების, თანამჯდომარეობასთან შეუთავსებელი ქცევისა და მიუკერძოებლობის შესახებ" 2002, 19 ნოემბერი

კომუნიკაციის წესის შესახებ"[39] რომელიც ადგენს საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან პროცესის მონაწილეთა, დაინტერესებულ პირთა, საჯარო მოსამსახურეთა და სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა კომუნიკაციის წესს და განსაზღვრავს მათ პასუხისმგებლობას ამ წესის დარღვევისათვის.

რაც შეეხება საქართველოში მოსამართლის ეთიკური საკითხები რეგულირდება მოსამართლეთა წარმომადგენლობითი ორგანოს – საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე მიღებული „საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესებით"[40], რომლის მიზანია მართლმსაჯულების, დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლო ხელისუფლების ერთიანობის განმტკიცება, სასამართლო ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობისა და რწმენის ამაღლება, მოსამართლის თანამდებობის პრესტიჟისა და ავტორიტეტის დაცვა.

სამოსამართლო ეთიკის წესებით განსაზღვრულია მოსამართლის დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის, კომპეტენტურობისა და გულისხმიერების, მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის, არასამოსამართლო საქმიანობის ძირითადი ეთიკური პრინციპები.

განვიხილოთ თითოეული პრინციპი:

მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპი

მოსამართლე მართლმსაჯულების განხორციელებისას დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია და გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კანონის შესაბამისად. მოსამართლე უნდა იყოს კანონისა და მოსამართლის ფიცის ერთგული, მართლმსაჯულების განხორციელებისას – კანონისა და სამართლის უზენაესობის გარანტი. მისი აზრი არ უნდა მერყეობდეს პოლიტიკური და სოციალური მხარის ინტერესის, საზოგადოებრივი ზემოქმედების ან სხვაგვარი ურთიერთობის ზეგავლენის გამო, ან და კრიტიკის შიშით.

მოსამართლე ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართიანობისა და მიუკერძოებლობისადმი.

მოსამართლე უნდა უფრთხილდებოდეს მართლმსაჯულების პრესტიჟს და სასამართლო შენობაში თუ მის გარეთ არ იქცეოდეს სასამართლოს ავტორიტეტისა და მოსამართლის თანამდებობისათვის შეუფერებლად.

---

39 საქართველოს კანონი „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ" 2007, 11 იელისი.

40 საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე მიღებული „საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები" 2012, 8 თებერვალი.

სამოსამართლო მოვალეობის შესრულებისას მოსამართლე თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი წინასწარ შექმნილი აზრის ან შეხედულებისაგან. იგი უნდა მოერიდოს ისეთ ქცევას, რომელსაც პროცესის მონაწილენი ან საზოგადოება აღიქვამს წინასწარ შექმნილ შეხედულებად. მოსამართლე საჯაროდ არ უნდა გამოხატავდეს უარყოფით აზრს ან შეხედულებას სხვა მოსამართლისა და კოლეგის პროფესიონალიზმსა თუ პირად თვისებებზე, აგრეთვე უპატივცემულოდ არ უნდა იხსენიებდეს სხვა მოსამართლის მიერ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

მოსამართლეს ეკრძალება პროცესის მონაწილეთა ან/და საქმით დაინტერესებული პირის მიღება ან მასთან კომუნიკაცია სასამართლოში ან მის გარეთ საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

მოსამართლე ვალდებულია პროკურორის, ადვოკატის ან პროცესის სხვა მონაწილის მიერ კანონით აკრძალული ფორმით კომუნიკაციის მცდელობის თაობაზე დაუყოვნებლივ ნერილობით შეატყობინოს სასამართლოს თავმჯდომარეს.

მოსამართლის კომპეტენტურობის და გულისხმიერების პრინციპი

მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე – მოსამართლე, ვალდებულია უზრუნველყოს წესრიგის დაცვა, იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისაგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ.

მოსამართლე ვალდებულია უზრუნველყოს პროცესის მონაწილეთა კანონის წინაშე თანასწორობა. დაუშვებელია, რომ პროცესის მონაწილის რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი, წოდებრივი, თანამდებობრივი, ქონებრივი, რელიგიური, სქესობრივი კუთვნილება ან სხვა გარემოება გავლენას ახდენდნენ მოსამართლის გადაწყვეტილების კანონიერებასა ან მისი უფლებამოსილებების სათანადოდ განხორციელებაზე.

მოსამართლე პატივს უნდა სცემდეს სასამართლოს პერსონალს, აგრეთვე თვალყურს ადევნებდეს, რომ სასამართლოს მოხელე იცავდეს პროფესიული ეთიკის ნორმებს, თავშეკავებულად მოქმედებდეს,

არ იჩენდეს რაიმე მიკერძოებას ან არ აველენდეს განსხვავებულ დამოკიდებულებას მხარეების მიმართ.

მოსამართლე ვალდებულია სათანადო რეაგირება მოახდინოს სასამართლოს მოხელის, მხარის ან მისი წარმომადგენლის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევაზე.

მოსამართლემ პროფესიული მოვალეობის განხორციელებისას მოპოვებული ინფორმაცია არ უნდა გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის ან სხვათა უფლებების საზიანოდ. დაუშვებელია მსგავსი ინფორმაციის გამჟღავნება მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგაც.

სამოსამართლო ფუნქციების სათანადო კომპეტენტურობით განხორციელების მიზნით მოსამართლე ვალდებულია პერიოდულად იმაღლებდეს პროფესიული ცოდნის დონეს და სისტემატურად ეცნობოდეს მის სფეროში მიმდინარე სიახლეებს. იგი აგრეთვე ხელს უნდა უწყობდეს სასამართლოს მოხელეთა პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის ამაღლებას, აძლევდეს მათ საჭირო რჩევა-დარიგებას.

მოსამართლის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის პრინციპი

მოსამართლემ აზრის გამოთქმის უფლებით სარგებლობისას არ უნდა შელახოს მართლმსაჯულების ღირსება, მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.

მოსამართლე, მასმედიასთან ურთიერთობის დროს, უნდა მოერიდოს საკუთარი აზრის გამოთქმას განსახილველ, განხილვის პროცესში არსებულ ან უკვე განხილული საქმის თაობაზე, თუ ეს არ ეხება საქმის ნარმოების ორგანიზაციულ ან ტექნიკურ მხარეს.

სპეციერი მოსამართლე, მედიის მოთხოვნის ან ამ მოთხოვნის გარეშე, გასცემს ინფორმაციას სასამართლოს საქმიანობაზე, აგრეთვე, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, ახდენს სასამართლო გადაწყვეტილებათა გაშუქებას.

მოსამართლემ მასმედიისთვის ინფორმაციის მიწოდების დროს არ უნდა გაახმაუროს კოლეგებს შორის ამა თუ იმ საკითხზე წამოჭრილი დავა ან დისკუსია. ამასთან, განცხადების გაკეთებისას არ უნდა გაითვალისწინოს ამა თუ იმ მხარის პოპულარობა და ამ საკითხით მასმედიის თუ ხელისუფლების ორგანოების დაინტერესება.

მოსამართლე საჯაროდ ან პირად საუბარში უნდა მოერიდოს ისეთ განცხადებას, რომელსაც შეუძლია წარმოშვას საფუძვლიანი წინაპირობა, რომ ეს განცხადება ხელს შეუშლის საქმეზე მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღებას. მოსამართლემ თავის განცხადებაში უნდა

გამოიჩინოს სათანადო კორექტულობა, არ გამოიყენოს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი სიტყვები და გამოთქმები ან დისკრიმინაციული ტერმინოლოგია. ამასთან, მოსამართლემ სასამართლო მოხელესაც უნდა ურჩიოს თავი შეიკავოს ამგვარი განცხადების გაკეთებისაგან.

მოსამართლემ ყურადღება უნდა მიაქციოს, თუ სად და რა ვითარებაში აკეთებს განცხადებას, რომ საზოგადოებამ არ აღიქვას იგი მხოლოდ ერთ ორგანიზაციასთან თუ ჯგუფთან მიმართებაში. ამასთან, მოსამართლე ყურადღებით უნდა მოეკიდოს საჯარო შეხვედრებზე გამოსვლას, რომ მისი ესა თუ ის მოსაზრება არ ჩაითვალოს პოლიტიკურ მბარდაჭერად ან მიკერძოებად.

მოსამართლის არასამოსამართლო საქმიანობის პრინციპი

მოსამართლის საქმიანობა, რომელიც არ უკავშირდება სამსახურებრივ მოვალეობას, დასაშვებია, თუ იგი არ ეწინააღმდეგება მოსამართლისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპებს, არ უქმნის საფრთხეს სასამართლოს ავტორიტეტს, არ ქმნის ეჭვის საფუძველს სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში, არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობასა და სამოსამართლეო ეთიკის წესებს.

მოსამართლე არ შეიძლება ეწეოდეს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, რაიმე ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო ან შემოქმედებითი საქმიანობისა, თუ იგი ხელს არ უშლის სამოსამართლო უფლებამოსილების სათანადოდ განხორციელებას. მოსამართლემ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს მის სამსახურებრივ სტატუსსა და მოვალეობასთან შეუთავსებელ გარიგებაში.

მოსამართლე არ შეიძლება გახდეს ისეთი გაერთიანების წევრი, რომელიც ერთგულების ფიცის დადებას მოითხოვს, ანდა ეჭვქვეშ აყენებს მოსამართლის რეპუტაციას, ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს.

მოსამართლე არ უნდა ეწეოდეს პოლიტიკურ საქმიანობას. იგი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი ან ასრულებდეს პარტიულ დავალებას, ან პოლიტიკური ორგანიზაციის სახელით გამოდიოდეს სიტყვით. მოსამართლე საჯაროდ არ უნდა ამჟღავნებდეს თავის პოლიტიკურ შეხედულებას. აკრძალულია მისი მხრიდან ნებისმიერი პოლიტიკური პროპაგანდა როგორც სასამართლო დარბაზში, ისე მის გარეთ. მან ასევე საჯაროდ არ უნდა დაიფიქსიროს თავისი პოზიცია სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატის მიმართ. ამასთან, მოსამართლემ სასამართლოს

მოხელესაც უნდა ურჩიოს, თავი შეიკავოს პოლიტიკური საქმიანობის ან პოლიტიკური შეხედულების დემონსტრირებისაგან.

მოსამართლეს ეკრძალება გაფიცვა. მას არა აქვს უფლება, რაიმე მოტივით, კოლექტიურად თუ ინდივიდუალურად, უარი თქვას ან სხვას მოუწოდოს სამსახურებრივი და პროფესიული მოვალეობის შეუსრულებლობისაკენ.

4.2.2. პროკურატურის მუშაკთა ეთიკის ძირითადი ნორმები

საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე და კანონის „პროკურატურის შესახებ"[41] მე-4 მუხლით განსაზღვრულია პროკურატურის საქმიანობის პრინციპები: კანონიერება; ფიზიკური პირის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების დაცვა და პატივისცემა; პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა; ობიექტურობა და მიუკერძოებლობა; ერთიანობა და ცენტრალიზაცია. ყველა ქვემდგომი პროკურორისა და პროკურატურის სხვა მუშაკის მთავარი პროკურორისადმი დაქვემდებარება; პოლიტიკური ნეიტრალიტეტი.

საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ძირითადი პრინციპების საფუძველზე, ქვეყანაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების[42], დემოკრატიული პრინციპების განვითარების და ადამიანის უფლებების განმტკიცების საქმეში პროკურატურის მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით; საქართველოს პროკურატურის ყოველი მუშაკის საზოგადოების წინაშე განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მხედველობაში მიღებით; ასევე იმის აღიარებით, რომ საქართველოს პროკურატურის მუშაკის მიერ პროფესიონალური და ეთიკური პრინციპების განუხრელად დაცვის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოში მართლმსაჯულების სამართლიანი და ეფექტური სისტემის ფუნქციონირება პროკურატურის მუშაკთა ეთიკის ძირითადი ნორმები საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულია „საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსით"[43].

საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი აყალიბებს პროკურატურის მუშაკთა ქცევის ისეთ სტანდარტებს, რომლებიც შეესაბამება საჯარო ინტერესს. კოდექსის მიზანია პროკურატურის მუშაკთა ქცევის ისეთი ნორმების დამკვიდრება, რომლებიც ხელს უწყობს:

41 საქართველოს კანონი „პროკურატურის შესახებ" 2008, 21 ოქტომბერი.

42 საზოგადოებრივი უსაფრთხოება – პირთა უფლებების, სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და კონსტიტუციური წყობილების, საქართველოს კანონებისა და სხვა აქტების უზენაესობა;

43 საქართველოს იუსტიციის მინისტრის №234 ბრძანება „საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი" 2017, 25 მაისი.

თანამდებობის შესაბამისი პასუხისმგებლობისა და სამართლიანობის პრინციპების განმტკიცებას პროკურატურის მუშაკის საქმიანობაში; პროკურატურის მუშაკის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა პროფესიონალურად შესრულებას; ადამიანის უფლებათა დაცვას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების შესაბამისად; სამართლიანი, ეფექტური, მიუკერძოებელი და კვალიფიციური გამოძიების ჩატარებას, სისხლისამართლებრივი დევნისა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის განხორციელებას; პროფესიულ და პირად საქმიანობაში პროკურატურის მუშაკის მიერ კანონის მოთხოვნების განუხრელად დაცვას; საქართველოს პროკურატურის მიმართ საზოგადოების ნდობისა და პატივისცემის განმტკიცებას; პროკურატურის მუშაკთა მიერ დისციპლინის დაცვას.

კოდექსი ფართო განმარტებებს იძლევა. მისი დებულებები სრულად გამოიყენება პროკურატურის მუშაკის ისეთი ქცევის მიმართ, რომლებიც კოდექსში არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს მისი პრინციპებიდან. ხოლო მოქმედება თანაბრად ვრცელდება საქართველოს პროკურატურის მუშაკებზე მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში და მის ფარგლებს გარეთ.

განვიხილოთ პროკურატურის მუშაკთა ზოგადი ეთიკური ნორმები:

მორალური სტანდარტები

საჯარო სამსახური საზოგადოების მიერ გამოცხადებულ ნდობას გულისხმობს. პროკურატურის მუშაკს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მისი სამსახურებრივი მდგომარეობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მას საზოგადოების წინაშე აქვს ვალდებულებები, რომელიც პროკურატურის მიმართ საზოგადოების ნდობასა და პროკურატურის იმიჯზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

პროკურატურის მუშაკი უნდა მოქმედებდეს პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტებით, ხელმძღვანელობდეს მიუკერძოებლობის, სამართლიანობის, ობიექტურობის, პოლიტიკური ნეიტრალობის, წესიერების, პატიოსნების, თავაზიანობის, ღირსების, ურთიერთპატივისცემის, ნდობის, საზოგადოდ მიღებული კულტურის, ზნეობისა და ეთიკის ნორმებით. პროკურატურის მუშაკი საკუთარი ქმედებით ხელს უნდა უწყობდეს პროკურატურის მიმართ საზოგადოების რწმენისა და ნდობის განმტკიცებას.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა

პროკურატურის მუშაკმა პატივი უნდა სცეს და იცავდეს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და

შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტებით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. პიროვნების ღირსების პატივისცემის საყოველთაო პრინციპი სავალდებულოა პროკურატურის მუშაკისათვის.

პროკურატურის მუშაკმა პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უნდა უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა.

პროკურატურის მუშაკი ვალდებულია ხელი შეუწყოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრას. მან უნდა დაიცვას ყველა კანონი და რეგულაცია, რომლითაც უზრუნველყოფილია თანაბარი შესაძლებლობები ყველა პირისთვის, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა ნიშნით. ამავე დროს დაუშვებელია პროკურატურის მუშაკმა განახორციელოს რაიმე სახის დისკრიმინაციული ქმედება.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

საზოგადოებასთან ურთიერთობისას პროკურატურის მუშაკი მუდამ უნდა ხელმძღვანელობდეს პროკურატურის, როგორც ინსტიტუტის საუკეთესო რეპუტაციის პრიორიტეტით. ის პატივისცემით უნდა მოეპყროს თანამოსაუბრეებს, საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისას ტაქტიანად უნდა გამოხატავდეს დასაბუთებულ კრიტიკას.

პროკურატურის მუშაკი ვალდებულია პატივი სცეს სხვა პირის სიტყვის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას, თუ ამით არ ილახება მესამე პირთა უფლებები და თავისუფლებები.

დაუშვებელია ისეთი შეხედულებების გამოხატვა, რომელიც მიზნად ისახავს პირის შეზღუდვას ან შეურაცხყოფის მიყენებას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი, წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის და სხვა ნიშნით.

დამოუკიდებლობა და გავლენისაგან თავისუფლება

პროკურატურის მუშაკი თავისუფალი უნდა იყოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და ცალკეულ პირთა გავლენისაგან და უნდა ემორჩილებოდეს მხოლოდ კანონს.

პროკურატურის მუშაკი ვალდებულია სრული პასუხისმგებლობა აიღოს თავის ქმედებებზე. დაუშვებელია საკუთარ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის მოხსნა ზემდგომი თანამდებობის პირის მიერ გაცემულ დავალებაზე მითითებით.

პროკურატურის მუშაკი ვალდებულია დაიცვას პოლიტიკური ნეიტრალობა. მან თავი უნდა შეიკავოს რომელიმე პოლიტიკური პარტიისა თუ გაერთიანების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების საჯაროდ გამოხატვისაგან. **დაუშვებელია** პროკურატურის მუშაკის მიერ პოლიტიკური მრნამსის ნიშნების აშკარა დემონსტრირება.

განვიხილოთ **პროკურატურის მუშაკის პასუხისმგებლობები სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას:**

სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენება

პროკურატურის მუშაკი ვალდებულია მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრული მიზნებისათვის და კანონით დადგენილი წესით. მან კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს სამსახურებრივი მოვალეობები.

პროკურატურის მუშაკისათვის დაუშვებელია: სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება პირადი სარგებლისთვის, მათ შორის, ფინანსური და სხვა კანონიერი ვალდებულებებისთვის თავის არიდება; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ნებისმიერ პირზე უკანონო ზემოქმედებისთვის; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება პროდუქციისა თუ მომსახურების რეკლამისათვის; პროკურატურის მუშაკის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, შეღავათებით სარგებლობა პროდუქციისა და მომსახურების შეძენისას; პროკურატურის მუშაკის მიერ ისეთი პირობის დადება ან ვალდებულების აღება, რომლის განხორციელებაც არ შედის მის უფლებამოსილებაში და შესაძლოა ლახავდეს პროკურატურის ავტორიტეტს; პროკურატურის მუშაკის მიერ ნებისმიერი პირისთვის უპირატესობის მინიჭება; პროკურატურის მუშაკმა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, წააქეზოს ან აიძულოს სხვა პირი, მოუტანოს ნებისმიერი სახის სარგებელი მას ან მასთან დაახლოებულ პირს; პროკურატურის მუშაკი არ გაუფრთხილდეს პროკურატურის ქონებას; პროკურატურის მუშაკის თანამდებობაზე დანიშვნის ან დაწინაურების საფუძველი იყოს მისი პროკურატურის სხვა თანამშრომელთან ნათესაური კავშირი; პროკურატურის მუშაკის მიერ სამსახურებრივი დროის არასამსახურებრივი მიზნებისთვის გამოყენება არასაპატიო მიზეზით.

დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პროკურატურის მუშაკი მკაცრად უნდა იცავდეს კერძო ინტერესებისაგან დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპებს. მან უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რათა თავიდან აიცილოს

თუნდაც შთაბეჭდილების შექმნა მის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით. კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით იგი არ უნდა მოექცეს ცალკეული პირების (მათ შორის, თანამდებობის პირთა და პოლიტიკოსთა), მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა თუ საზოგადოებრივი აზრის გავლენის ქვეშ. პროკურორის მუშაობა ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე უნდა აკმაყოფილებდეს სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და ეფექტურობის სტანდარტებს.

პროკურატურის მუშაკი პატივს უნდა სცემდეს უდანაშაულობის პრეზუმფციისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებს, როგორც უზენაეს სამართლებრივ ღირებულებებს.

ეფექტიანობა და პროფესიონალიზმი

პროკურატურის მუშაკი ვალდებულია ეფექტიანად, პოლიტიკური ნეიტრალობის დაცვით, პროფესიონალიზმის მაღალი ხარისხითა და მაღალი პასუხისმგებლობით შეასრულოს მასზე კანონით დაკისრებული მოვალეობები.

იურიდიული დახმარება

პროკურატურის მუშაკმა თავი უნდა შეიკავოს სამართლებრივი კონსულტაციების მიცემის ან/და იურიდიული დახმარების განევისაგან ნებისმიერ პირისათვის, თუ ეს ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს ან/და საქართველოს პროკურატურის ინტერესებს.

კოლეგებთან ურთიერთობა

კოლეგებთან ურთიერთობისას პროკურატურის მუშაკი უნდა ხელმძღვანელობდეს პატივისცემისა და პროფესიული სოლიდარობის პრინციპით.

პროკურატურის მუშაკი, კანონის თანახმად: ხელს უნდა უწყობდეს კოლეგებს შორის პატივისცემისა და ურთიერთნდობის დამკვიდრებას და თავს უნდა არიდებდეს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების წარმოშობას ან გაღვივებას; საკუთარ გამოცდილებას უნდა უზიარებდეს იმ კოლეგებს, რომელთა კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება ამას საჭიროებს; თავს უნდა იკავებდეს კოლეგის საქმიანობაში თვითნებური ჩარევისაგან; არ უნდა ითხოვდეს კოლეგისაგან ისეთი მომსახურების განევას, რომელიც გაართულებს ან შეაფერხებს მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას; წინასწარ განზრახულად არ უნდა შეიყვანოს კოლეგა შეცდომაში; ტაქტიანად უნდა გამოხატავდეს უკმაყოფილებას კოლეგის შეცდომასა და ხარვეზებზე; უნდა ითვალისწინებდეს პროფესიული სოლიდარობის და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნისათვის აუცილებელ სხვა პრინციპებსა და ნორმებს.

სამსახურებრივი ინფორმაცია

დაუშვებელია პროკურატურის მუშაკის მიერ მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მიღებული საიდუმლო ინფორმაციის შემცველი, სხვა კონფიდენციალური ან/და არასაჯარო ინფორმაციის გამჟღავნება ან არასამსახურებრივი მიზნით გამოყენება.

პერსონალური ინფორმაცია

დაუშვებელია პერსონალური მონაცემის დამუშავებისას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დარღვევა ან/და პერსონალური ინფორმაციის კანონით დადგენილი წესის უგულებელყოფით მესამე პირთათვის გამჟღავნება.

კომენტარები სისხლის სამართლის საქმეზე

დაუშვებელია პროკურატურის მუშაკის მიერ მისი ან პროკურატურის სხვა მუშაკის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე კომენტარების გაკეთება, თუ ეს ზიანს მიაყენებს გამოძიების ინტერესებს, ასევე, პროკურატურის მუშაკის მიერ მისი ან პროკურატურის სხვა მუშაკის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე კომენტარების გაკეთება, თუ ეს ზიანს მიაყენებს პროცესის რომელიმე მონაწილეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჯარო ინტერესი მოითხოვს საზოგადოების ინფორმირებას მოცემულ საკითხზე ან ინფორმაციის გამოქვეყნება ემსახურება სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის მიზანს.

პროკურატურის მუშაკი ვალდებულია საჯაროდ არ გამოხატოს ისეთი შეხედულება, რომელიც ეწინააღმდეგება პროკურატურის მიერ გატარებულ პოლიტიკას ან/და ბრალდების მხარის პოზიციას კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე.

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებთან ურთიერთობა

პროკურატურის მუშაკი ვალდებულია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებთან ურთიერთობისას იხელმძღვანელოს ეთიკის კოდექსით, შიდაუწყებრივი ნორმებით და სტანდარტებით, რომლებიც მიმართულია სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე მხარეთა მიმართ ეთიკური და პროფესიონალური ქცევის უზრუნველყოფისაკენ.

პროკურატურის მუშაკი ვალდებულია საქმის განხილვის ყველა სტადიაზე თავი შეიკავოს საქმის განმხილველ მოსამართლესთან როგორც პროფესიული, ისე არაპროფესიული მოტივით ურთიერთობისაგან (საქმის სასამართლო განხილვის მიღმა), მათ შორის, დროულად გამოცხადდეს სასამართლოს სხდომაზე, დაიცვას ოფიციალური

ჩაცმულობის სტილი სასამართლოში, თავი შეიკავოს დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ქმედებებისაგან ან/და განცხადებების გაკეთებისაგან, პროცესის ნებისმიერი მონაწილის მიმართ განსაკუთრებით კეთილგანწყობილი ან აშკარად ნეგატიური დამოკიდებულების გამოხატვისაგან, ასევე საქმისადმი პირადი დამოკიდებულების გამოვლენისაგან.

შეუფერებელი მდგომარეობა

პროკურატურის მუშაკი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას არ უნდა იმყოფებოდეს ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ, ან სხვა მდგომარეობაში, რომელიც შეუფერებელია პროკურატურის მუშაკის ღირსებისათვის. ამასთან, პროკურატურის მუშაკის ვალია, ღირსეულად იქცეოდეს სამსახურებრივი საქმიანობის მიღმაც და უფრთხილდებოდეს პროკურატურის რეპუტაციასა და სახელს.

პროკურატურის ორგანოების შენობებში ალკოჰოლური სასმელის მიღება დასაშვებია მხოლოდ ოფიციალურ ღონისძიებათა ფარგლებში.

პროკურატურის მუშაკი არ უნდა ჩაერთოს დანაშაულებრივ, არაკეთილსინდისიერ, ამორალურ ან ნებისმიერ სხვა შეუფერებელ ქმედებაში, რომელიც ლახავს პროკურატურის ინტერესებს ან/და სახელს.

პროკურატურის მუშაკს ეკრძალება ნებისმიერი სახის აზარტულ თამაშებში ჩართვა, თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც ამგვარი ქმედების საჭიროება დგება პროკურატურის მუშაკის სამსახურებრივი მოვალეობებიდან გამომდინარე.

სამსახურებრივ-საშტატო იარაღისა და სამსახურებრივი დანიშნულების პირადობის მოწმობის გამოყენება

პროკურატურის მუშაკი ვალდებულია, დაიცვას კანონმდებლობის მოთხოვნები სამსახურებრივ-საშტატო იარაღის და სამსახურებრივი დანიშნულების პირადობის მოწმობის შენახვისა და ტარებისას. ასევე, თავი შეიკავოს სამსახურებრივ-საშტატო იარაღისა და სამსახურებრივი დანიშნულების პირადობის მოწმობის საზოგადოებაში დემონსტრირებისაგან, თუკი არ არსებობს ამის საჭიროება.

პროკურატურის მუშაკს ეკრძალება კანონით დადგენილი წესის დარღვევით სხვა პირს გადასცეს მასზე გაპირონვნებული სამსახურებრივ-საშტატო იარაღი ან სამსახურებრივი დანიშნულების პირადობის მოწმობა.

განვიხილოთ **პროკურატურის მუშაკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობა**:

ამ ჭრილში განვიხილოთ პროკურატურის მუშაკის მიერ **საჯარო განცხადება და აქტივობა ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში**

საჯარო განცხადება

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითა და საჯარო გამოსვლების დროს გაკეთებული ოფიციალური წერილობითი ან სიტყვიერი განცხადებები უნდა იყოს საქმიანი, კორექტული და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს პროკურატურის ინტერესებს. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ ეს განცხადებები შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც საქართველოს პროკურატურის პოზიცია.

პროკურატურის მუშაკს, რომელიც აკეთებს განცხადებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის, უფლება აქვს, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, მიანოდოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს იმ მოცულობის ობიექტური ინფორმაცია, რომელიც მოცემული დროისათვის მისთვის არის ცნობილი.

აქტივობა ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში

პროკურატურის მუშაკის მიერ ინტერნეტსივრცეში განხორციელებული ქმედებები უნდა იყოს კორექტული და თავისი შინაარსით არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ კოდექსით განსაზღვრულ პრინციპებს.

კოდექსით განსაზღვრულია **პროკურატურის მუშაკის ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხები: შეუფერებელი საქმიანობა, ინტერესთა შეუთავსებლობა და საჩუქარი. განვიხილოთ თითოეული მათგანი:**

შეუფერებელი საქმიანობა

პროკურატურის მუშაკი ვალდებულია, თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედების განხორციელებისაგან, რამაც შეიძლება ობიექტურად ეჭვქვეშ დააყენოს მისი დამოუკიდებლობა ან გავლენა იქონიოს მის სამსახურებრივ საქმიანობაზე, ასევე პროკურატურის ავტორიტეტსა და სახელზე.

ინტერესთა შეუთავსებლობა

პროკურატურის მუშაკმა უნდა დაიცვას „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონის მოთხოვნები.

პროკურატურის მუშაკს არ უნდა ჰქონდეს კერძო ინტერესები, რომლებიც შეუთავსებელია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან.

პროკურატურის მუშაკი, რომელსაც გააჩნია საქართველოს პროკურატურის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის მიმართ ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი, ვალდებულია, კანონით დადგენილი წესით განაცხადოს თვითთაცილების შესახებ და არ მიიღოს მონაწილეობა ასეთი საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში.

დაუშვებელია სამსახურში ან/და მის ფარგლებს გარეთ პროკურატურის მუშაკი ახორციელებდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც შეუთავსებელია პროკურატურის ინტერესებთან.

საჩუქარი

კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

პროკურატურის მუშაკმა არ უნდა მოითხოვოს ან/და არ უნდა მიიღოს ნებისმიერი სახის მატერიალური სიკეთე იმ პირისგან, რომელიც დაინტერესებულია მისი, როგორც პროკურატურის მუშაკის მხრიდან რაიმე ქმედების განხორციელებით.

პროკურატურის მუშაკმა თავი უნდა შეიკავოს საჩუქრის მიღებისაგან, ყველა იმ პირის მხრიდან, რომელიც რაიმე ფორმით დაინტერესებულია პროკურატურის მუშაკის წარმოებაში ან საპროცესო ხელმძღვანელობის ქვეშ არსებული საქმით, ან თუ ამგვარი ქმედება წარმოადგენს პროკურატურის მუშაკზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობას, ან შესაძლოა მომავალში მოახდინოს ასეთი ზეგავლენა.

კოდექსით განსაზღვრულია **პროკურატურის მუშაკის მიმართ დისციპლინური წარმოება და ეთიკის კოდექსის აღსრულების მექანიზმები**

დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია: პროკურატურის მუშაკის მიერ ფიცის გატეხა; სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევა; პროკურატურის მუშაკისათვის შეუფერებელი საქციელის ჩადენა; კანონით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვნად შესრულება.

კოდექსის მიზნებისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებია: ფიცის გატეხად ითვლება პროკურატურის მუშაკის ფიცით გათვალისწინებული პრინციპებისა და მოთხოვნების დარღვევა; სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევად ითვლება კანონქვემდებარე აქტით „საქართველოს პროკურატურის შინაგანანესით" გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა; შეუფერებელი საქციელის ჩადენად ითვლება ამ კოდექსით გათვალისწინებული პრინციპებისა და მითითებების დარღვევა; კანონით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობად ითვლება საქართველოს კონსტიტუციის, სისხლის სამართლის კოდექსის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და სხვა სამართლებრივი აქტების, ასევე საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს მთავარი პროკურორის ბრძანების ან/და შიდაუწყებრივი მითითების შეუსრულებლობა; კანონით დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებად ითვლება საქართველოს

კონსტიტუციის, სისხლის სამართლის კოდექსის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და სხვა სამართლებრივი აქტების, ასევე საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს მთავარი პროკურორის ბრძანების ან/და შიდაუწყებრივი მითითების არაჯეროვანი შესრულება.

დისციპლინური გადაცდომის სახეები

დისციპლინური გადაცდომა და შესაბამისი სახდელები იყოფა მათი სიმძიმის ხარისხის შესაბამისად. კერძოდ: მსუბუქ გადაცდომად; საშუალო გადაცდომად; მძიმე გადაცდომად.

პროკურატურის მუშაკის მიერ მასზე კანონით დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება, გარემოებათა გათვალისწინებით, ფასდება მსუბუქ გადაცდომად და დისციპლინური სახდელის სახედ გამოიყენება შენიშვნა ან საყვედური.

პროკურატურის მუშაკის მიერ სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევა, გარემოებათა გათვალისწინებით, ფასდება მსუბუქ ან საშუალო გადაცდომად და დისციპლინური სახდელის სახედ გამოიყენება შენიშვნა ან საყვედური.

პროკურატურის მუშაკის მიერ პროკურატურის მუშაკისათვის შეუფერებელი საქციელის ჩადენა ფასდება მძიმე გადაცდომად და, გარემოებათა გათვალისწინებით, დისციპლინური სახდელის სახედ გამოიყენება საყვედური, უფრო დაბალი რანგის თანამდებობაზე გადაყვანა ან პროკურატურიდან დათხოვნა.

პროკურატურის მუშაკის მიერ მასზე კანონით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა მიიჩნევა მძიმე გადაცდომად და, გარემოებათა გათვალისწინებით, დისციპლინური სახდელის სახედ გამოიყენება საყვედური, უფრო დაბალი რანგის თანამდებობაზე გადაყვანა ან პროკურატურიდან დათხოვნა.

პროკურატურის მუშაკის მიერ ფიცის გატეხა ფასდება მძიმე გადაცდომად და დისციპლინური სახდელის სახედ გამოიყენება პროკურატურიდან დათხოვნა.

პროკურატურის მუშაკის მიერ ერთობლივად ორი ან მეტი ერთგვარი ან/და სხვადასხვა სახის დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დროს შესაძლებელია მის მიმართ, დისციპლინური სახდელის სახედ, გამოყენებულ იქნეს პროკურატურიდან დათხოვნა.

დისციპლინური სახდელის გაქარწყლებამდე განმეორებითი დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დროს შესაძლებელია პროკურატურის მუშაკის მიმართ გამოყენებულ იქნეს უფრო მძიმე დისციპლინური სახდელი.

დისციპლინურ გადაცდომაზე რეაგირება

პროკურატურის მუშაკის მიერ დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არსებობის შემთხვევაში მის მიმართ ტარდება სამსახურებრივი შემოწმება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ეთიკის ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსის განხილვასა და მიღების პროცესში პროკურატურის მუშაკთა ფართო ჩართულობა და მისი საქართველოს პროკურორთა წარმომადგენლობით ორგანოზე – კონფერენციაზე განხილვა.

4.2.3. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ძირითადი ნორმები

საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე და საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ"[44] მე-3 მუხლით განსაზღვრულია საადვოკატო საქმიანობის ძირითადი პრინციპები: კანონიერება; საადვოკატო საქმიანობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა; ადვოკატთა თანასწორობა და მათი დისკრიმინაციის დაუშვებლობა; საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობა; ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და დაცვა; ადვოკატის მიერ დაცვის უფლების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა; ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა; ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა. ამ პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე მიღებული „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი"[45] განსაზღვრავს ადვოკატთა პროფესიულ ეთიკის ნორმებს და ქცევის წესებს.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზანია საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე განსაზღვროს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესები და დაამკვიდროს ადვოკატის ვალდებულება, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის.

ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე. ადვოკატი პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე, ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით ან მისი სახელით აბორციელებს ქმედებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადვოკატმა მიიღო ყველა გონივრული

44 საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ" 2001, 20 ივნისი.

45 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე მიღებული „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი" 2006, 15 აპრილი.

ნიმა იმისთვის, რომ ამ პირების ქცევა შესაბამისობაში ყოფილიყო ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან.

ადვოკატი ვალდებულია, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, იხელმძღვანელოს, **ადვოკატის პროფესიული საქმიანობის ძირითადი ეთიკური პრინციპებით: დამოუკიდებლობა, ნდობა, კონფიდენციალობა, კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, კოლეგიალობა.**

განვიხილოთო თითოეული მათგანი:

დამოუკიდებლობის პრინციპი

ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს.

ადვოკატი ვალდებულია, არ დაუშვას კომპრომისი საკუთარი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას კლიენტის, სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს ან სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ.

ნდობის პრინციპი

კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისადმი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა.

კონფიდენციალობის პრინციპი

ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან ოფიციალური რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით. ამასთანავე კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.

კოდექსის თანახმად **ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია:** კლიენტის წინაღმდეგ; საკუთარი

ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს.

ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინ-ფორმაცია კლიენტის თანხმობის საფუძველზე; თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გა-მომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს; თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ ნაყენებული ბრალდებისაგან ან მო-თხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღე-ბისათვის.

ადვოკატმა მის პარტნიორებს, თანამშრომლებს და სხვა პირებს, რომლებიც მის მიერ მოწვეულნი არიან პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალობის დაცვა.

კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერე-სებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.

ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი

ადვოკატს უფლება არა აქვს, პროფესიული რჩევა მისცეს ან წარ-მოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშ-ვნელოვანი საფრთხე.

ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც: ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენ-ლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე; კლიენტის ინტერესების შე-საბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან.

ერთ საადვოკატო ბიუროში (ოფისში, კანტორაში, იურიდიულ ფირმაში და ა.შ.) მომუშავე ადვოკატებს უფლება არა აქვთ მისცენ პროფესიული რჩევა ან წარმოადგინონ რამდენიმე პირი-კლიენტი ერთსა და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი

აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.

ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე წარმოიშობა საქმის წარმოების პროცესში.

ადვოკატი ვალდებულია, შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე.

კოლეგიალობის პრინციპი

ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები.

კოდექსის თანახმად, განსაზღვრულია ადვოკატის ურთიერთობა სხვა პირებთან და ინსტიტუტებთან

ურთიერთობა ადვოკატსა და კლიენტს შორის

ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო ანუ იძულებითი დაცვის შემთხვევისა.

ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში.

ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით.

ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.

ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიანოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.

ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.

ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი გაანაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის. ჰონორარის გადაუხდელობის შემთხვევაში ადვოკატი უფლებამოსილია

უარი თქვას საქმეზე ან მის წარმოებაზე. ამასთანავე გასათვალისწინებელია, ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.

ადვოკატს არა აქვს უფლება გადაუხადოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია პირს კლიენტისათვის პირადად მისი რეკომენდირებისათვის. ამ აკრძალვის დარღვევად არ ჩაითვლება, თუკი ერთ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატი საკუთარი ანაზღაურების ნაწილს გადასცემს ამ ბიუროში მომუშავე სხვა ადვოკატს, პენსიაზე გასულ ადვოკატს ან ადვოკატის მემკვიდრეს.

ადვოკატი უნდა ცდილობდეს მიაღწიოს დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტას, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატმა კლიენტს უნდა ურჩიოს საქმის მორიგებით დასრულება ან დავის ალტერნატიული მეთოდებით გადაწყვეტა. ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით. ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს, უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება.

ადვოკატმა პატიოსნად და უშიშრად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, მიუხედავად მისი პირადი ინტერესებისა ან მისთვის ან ნებისმიერი სხვა პირისათვის შესაძლო შედეგებისა. კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და განეული ხარჯი.

საადვოკატო საქმიანობის რეკლამირება

ადვოკატი უფლებამოსილია, განახორციელოს საკუთარი საქმიანობის რეკლამირება იმ პირობით, რომ გავრცელებული ინფორმაცია

სნორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, დაცულია პროფესიის ძირეული ფასეულობები და პირდაპირ ან ირიბად არ მიუთითებს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე.

ადვოკატის ურთიერთობა სასამართლოსთან

ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.

ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს ან შეხვდეს მოსამართლეს კონკრეტულ საქმეზე, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან შეთანხმების გარეშე, გარდა საპროცესო კანონმდებლობით ნებადართული შემთხვევებისა.

ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამარლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება.

ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას.

ურთიერთობა ადვოკატსა და სხვა ადვოკატს შორის

ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას. პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას მათი კლიენტების სასარგებლოდ სასამართლო პროცესების და სხვა კლიენტისთვის საზიანო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.

ადვოკატმა სხვა ადვოკატისაგან ან ნებისმიერი სხვა პირისაგან არ უნდა მოითხოვოს ან მიიღოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია კლიენტისათვის სხვა ადვოკატის რეკომენდირების ან რჩევისათვის.

ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება.

საკონტროლო კითხვები

4.1.

- რა არის პროფესიული ეთიკა, განმარტეთ მისი ცნება და საგანი?
- რა არის საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა პროფესიული ეთიკა?

4.2.1.

- რით რეგულირდება მოსამართლის ეთიკის ნორმები?
- როგორია მოსამართლის საქმიანობის ძირითადი პრინციპები და ეთიკის ნორმები?

4.2.2.

- რით რეგულირდება პროკურატურის მუშაკთა ეთიკის ნორმები?
- როგორია პროკურატურის მუშაკთა საქმიანობის ძირითადი პრინციპები და ეთიკის ნორმები?

4.2.3.

- რით რეგულირდება ადვოკატთა ეთიკის ნორმები?
- როგორია ადვოკატთა საქმიანობის ძირითადი პრინციპები და ეთიკის ნორმები?

ნაწილი მეორე

საჯარო-სამართალდამცავი, სპეციალური სამსახურების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და პროფესიული ეთიკის საკითხები

თავი პირველი

საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა პროფესიული ეთიკა და მისი თავისებურებანი

პრინციპი მომდინარეობს ლათინური „Principium"-ისაგან რაც ნიშნავს საფუძველს – სახელმძღვანელო იდეას, რომელსაც ემყარება ადამიანი თავის მოქმედებაში. პრინციპები სხვადასხვა სახის არსებობს: მეცნიერული, ზნეობრივი, რელიგიური, იურიდიული, პოლიტიკური და სხვა.[46] აქედან გამომდინარე, საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების საქმიანობის ძირითადი პრინციპების განხილვისას აქცენტს ვაკეთებთ იმ საკანონმდებლო აქტებზე რომლებიც, ერთნაირად ეხება აღნიშნულ სამსახურებს სხვადასხვა კანონებიდან გამომდინარე. კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ"[47] კანონის მე-11 მუხლის თანახმად, ვინაიდან საჯარო სამსახურებს წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიც, შესაბამისად, მათი მოსამსახურეებიც წარმოადგენენ საჯარო მოხელეებს, მათზე ვრცელდება კანონები „საჯარო სამსახურის შესახებ" და „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ", ასევე სხვა ნორმატიული აქტები, თუ კანონებით „პოლიციის შესახებ" (მე-5 მუხლი) და „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების შესახებ" (პირველი მუხლი) და სხვა საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ასევე „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის თანახმად, საჯარო დაწესებულებებში ეთიკისა და ქცევის წესები ვრცელდება: საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეებზე, მათთვის დადგენილ ეთიკის ან/და ქცევის სპეციალურ წესებთან ერთად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

46 ტ. რუხაიშვილი, გ. ქაურელი. „ფილოსოფია". თბ, 2006 წ. გვ. 246

47 საქართველოს კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ". 2015, 27 ოქტომბერი

შესაბამისად, განსაზღვრულია ზემოაღნიშნული სახელმწიფო დანესებულებიდან იმ პირთა წრე, რომელზეც ვრცელდება აღნიშნული კანონის მოქმედება. როდესაც ვსაუბრობთ საჯარო მოსამსახურეებზე, რომლებიც დასაქმებულნი არიან სამართალდამცავ და სპეციალურ სამსახურებში, აქ გასათვალისწინებელია მათი საქმიანობის სპეციფიკა, რაც, პირველ რიგში, რეგლამენტირებულია მოქმედი კანონმდებლობით და კონკრეტული უწყებების შიდასამართლებრივი აქტებით. ასე მაგალითად: „შს სამინისტროში სამსახურის გავლის წესის" შესაბამისად, ტერმინი პოლიციელი განმარტებულია როგორც – საჯარო მოხელე, რომელიც მსახურობს სამინისტროში ან სსიპ-ში, მინიჭებული აქვს შესაბამისი სპეციალური წოდება და დადებული აქვს პოლიციელის ფიცი, გარდა ამ კატეგორიისა, მსს სისტემაში დასაქმებულნი არიან წოდების არმქონე საჯარო მოხელეებიც. ამასთანავე კანონით „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ" განსაზღვრულია, სამსახურის საჯარო მოსამსახურის, მათ შორის, სამხედრო ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირის მიერ სამსახურის გავლის წესი და სხვა საკითხები. ხოლო „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით გათვალისწინებულია, რომ საჯარო მოსამსახურეთათვის დადგენილი ზოგადი წესების გარდა საჯარო მოსამსახურეთა ცალკეული კატეგორიებისათვის შესაძლოა დანესდეს საჯარო მოსამსახურეთა ქცევის სპეციალური წესები, რომლებიც აისახება შესაბამისი უწყებების ქცევის კოდექსებსა და ინსტრუქციებში, სამსახურის გავლის წესებსა და დებულებებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამართლებრივი, თეორიული და პრაქტიკული ასპექტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურის ძირითადი პრინციპების, ამ სამსახურების ეთიკისა და ქცევის საკითხების ერთ ჭრილში განხილვა. მით უფრო რომ საერთაშორისო აქტებში სამართალდამცავი და სამართალდამცავი-პოლიციური ფუნქციის მქონე სპეციალური სამსახურები ერთ ჭრილში განიხილება.

1.1. საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა პროფესიული თავისებურებები და ზნეობრივი ფაქტორები

საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა პროფესიული საქმიანობის თავისებურებები იმდენად სპეციფიკურია და ისე არსებითადაა დაკავშირებული ადამიანის

უფლებებსა და ინტერესებთან, რომ საჭიროა მათი დეტალური შესწავლა. მათი საქმიანობა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა, თითოეული მათგანი წარმოადგენს თანამდებობის პირს, ხელისუფლების წარმომადგენელს და შესაბამისად ახორციელებს სახელისუფლებო უფლებამოსილებას. ისინი ამ უფლებამოსილებით აღჭურვილები არიან იმ მოტივით, რომ დაიცვან საზოგადოების, სახელმწიფოს, მოქალაქეების, ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესები სხვადასხვა სახის ხელყოფისაგან და თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლებას. კანონი ცალკეულ შემთხვევაში პირდაპირ მიუთითებს ლეგიტიმურ საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების სახელმწიფოებრივ ხასიათზე.

საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა მოქმედებები და გადაწყვეტილებები ეხება მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს. ამიტომ ისინი უნდა შეესაბამებოდნენ მორალის პრინციპებს, ნორმებს და უნდა განამტკიცებდნენ სახელმწიფოსა და მისი ხელისუფლების წარმომადგენელთა ავტორიტეტს. სახელმწიფო მნიშვნელობის პროფესიული მოვალეობების შესრულება ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან მოითხოვს მოვალეობისადმი მაღალ პასუხისმგებლობას. ადამიანები, რომლებიც სხვების ბედს წყვეტენ, უნდა გამოირჩეოდნენ საკუთარ გადაწყვეტილებებზე, ქმედებებსა და ქცევაზე პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტებით. ამიტომაც საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეების პროფესიული საქმიანობა, სხვა დარგებისაგან განსხვავებით კანონმდებლობით დეტალურად არის რეგლამენტირებული. მათი ქმედებები და გადაწყვეტილებები როგორც შინაარსის, ასევე ფორმის მხრივ მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს. საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა, განსაკუთრებულად სამართალმცოდნეთა პროფესიული ეთიკისათვის დამახასიათებელია მათი პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმების მჭიდრო კავშირი.

სამართლებრივი და ზნეობრივი მოთხოვნების განხორციელებისას საჯარო მოსამსახურე ეყრდნობა კანონს. მისი ყოველი გადაწყვეტილება უნდა იყოს სამართლიანი და კანონიერი, უფრო მეტიც, კანონიერად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ სამართლიანი გადაწყვეტილება. საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა ყველა ის გადაწყვეტილება და ქმედება, რომელიც შეესაბამება კანონს, შესატყვისი უნდა იყოს იმ ზნეობრივ

ნორმებთან, რომლებსაც ეფუძნება კანონი. მისგან გადახვევა, გვერდის ავლა, შეგნებულად დამახინჯებული გაგება უკანონობასთან ერთად არის უზნეობა და ამორალურობა. მსგავსი რამ ეწინააღმდეგება არა მარტო სამართლებრივ, არამედ ზნეობრივ ნორმებს და მათ პროფესიულ ეთიკას. ამდენად, საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა პროფესიული ეთიკა ყალიბდება სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმების, პრინციპების, სამართლებრივი და ზნეობრივი ცნობიერების ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებულობის საფუძველზე.

დამოუკიდებლობა და მხოლოდ კანონისადმი მორჩილება ნარმოადგენს საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების საქმიანობის ფუნდამენტურ პრინციპს, რომელიც ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას მათი საქმიანობის ზნეობრივ შინაარსზე. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად მოსამართლეები დამოუკიდებლები არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში საქმიანობას ახორციელებენ სახელმწიფო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციებისგან დამოუკიდებლად, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის მკაცრი დაცვით. დამოუკიდებლობა და კანონის უზენაესობა საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეებისადმი, მოითხოვს ეთიკის საკითხებისადმი მაღალ სტანდარტებს. კანონის დამცველთა როლში გამოსვლისას ისინი საზოგადოების თვალში უნდა წარმოჩნდნენ მის სამაგალითო და შეუფერხებელ დამცველებად, კანონის დარღვევა მისი დამცველების მიერ ძირს უთხრის სახელმწიფო ინსტიტუტების ავტორიტეტს. საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეებს არა აქვთ უფლება, გვერდი აუარონ კანონს და დაემორჩილონ გარეშე პირების ბრძანებას, მითითებას, რჩევასა თუ თხოვნას, რაც არ უნდა მაღალი თანამდებობის პირებს წარმოადგენდნენ. ზემოაღნიშნული სამსახურების მოსამსახურეები ფუნქციების შესრულებისას უნდა ხელმძღვანელობდნენ ხალხისა და მისი ნების სახელით, საკუთარი მორალური პრინციპებით, კანონმდებლობის საფუძველზე. ისინი პირადად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ განხორციელებული ქმედებებისა და გადაწყვეტილებების, კანონიერებისა და უკანონობის, სამართლიანობისა და უსამართლობის, სიკეთისა და ბოროტების გამო და არანაირი უფლება არა აქვთ აღნიშნული გადააბრალონ სხვათა ბრძანებებსა და მითითებებს. ისინი ზნეობრივად აგებენ პასუხს როგორც

სახელმწიფოსა და საზოგადოების, ასევე კონკრეტული ადამიანის და საკუთარი სინდისის წინაშე.

საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეების პროფესიული საქმიანობის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს პროფესიული მოვალეობის განხორციელების და შედეგების საჯაროობა, მასზე საზოგადოებრივი კონტროლი, მისი შეფასება სამართლიანობისა და უსამართლობის, ზნეობრიობისა და უზნეობის კუთხით. ხოლო მათი საქმიანობის შეფასება სასამართლოში ხდება. საქართველოს კონსტიტუციის მიერ დადგენილია, რომ საქმის განხილვა ყველა ინსტანციის სასამართლოში არის ღია და საჯარო. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დაშვებულია განსაკუთრებულ შემთხვევაში, რასაც ითვალისწინებს შესაბამისი კანონმდებლობა. ღია განხილვა წარმოადგენს ჩვეულებრივ წესს, ხოლო დახურული – იშვიათ გამონაკლისს. განაჩენი ორივე შემთხვევაში ცხადდება საჯაროდ. მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლეები თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ ღია სასამართლო სხდომებზე საჯაროდ, მოქალაქეების თანდასწრებით. მათ საქმიანობაზე, გადაწყვეტილების მართებულობაზე კონტროლს აწესებს საზოგადოება. სისხლის სამართლის ღია პროცესზე პროკურორი სასამართლოს წინაშე მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას. ამ შემთხვევაში იგი მოქმედებს საზოგადოების თანდასწრებით, რომელიც ქმედებას სამართლებრივთან ერთად ზნეობრივ შეფასებას აძლევს. სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურე – გამომძიებელი აწარმოებს საქმეს, გამოძიების მასალების გაუთქმელობის საფუძველზე, მაგრამ მოგვიანებით მის მიერ საქმეზე მოპოვებული მასალები საჯაროდება ღია სასამართლო პროცესზე. ბრალდებული, მისი ადვოკატი, დაზარალებული, მოწმეები, სასამართლოში გამოძახებული სხვა პირები ხშირ შემთხვევაში აწვდიან ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა გამოძიება, როგორ იცავდა სამართალდამცავი ან სპეციალური სამსახურის მოსამსახურე – გამომძიებელი სამართლებრივ და ზნეობრივ ნორმებს.

საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურის საქმიანობა ხორციელდება სოციალური და ადამიანთაშორისი კონფლიქტების სფეროში. კერძოდ, სისხლის სამართლის სფეროში იგი მიზნად ისახავს დამნაშავის პასუხისგებაში მიცემას და შესაბამისად, დანაშაულის გამო შელახული უფლებების აღდგენას. ამასთან ერთად, მათი საქმიანობა ეხება მრავალი ადამიანის ურთიერთგამომრიცხავ ინტერესებს. საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების

მოსამსახურეები ვალდებული არიან, სამართლიანად გადაწყვიტონ რთული და ურთიერთგამომრიცხავი საკითხები არა მარტო მაშინ, როდესაც საქმე დანაშაულს ანუ სისხლის სამართლებრივ ქმედებას ეხება, არამედ მაშინაც, როდესაც კონფლიქტური სიტუაცია სამართლის სხვა სფეროებსაც მოიცავს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს გაფიცვის კანონიერებასთან, ქონებრივ და ოჯახურ დავებთან და ა.შ. მოსამსახურეს, რომლებსაც კანონის შესაბამისად ევალებათ სოციალური და ადამიანთაშორისი კონფლიქტების დარეგულირება საზოგადოების მხრიდან, მაღალი ზნეობრივი და სამართლებრივი სტანდარტებით მოქმედების პასუხისმგებლობა აკისრიათ.

1.2. საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ-ნებელობითი მახასიათებლები და მათი გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში

ეთიკურ-ზნეობრივი მოტივის შექმნაში მონაწილეობს ადამიანის მთელი ცნობიერება, მისი სამივე მხარე: აზროვნება, გრძნობა და ნებელობა[48]. იმისათვის, რომ ადამიანის ქცევას გააჩნდეს ეთიკურ-ზნეობრივი ღირებულება, მან უნდა იცოდეს, თუ რა არის ზნეობრივი ქცევა, რომელიც აზროვნების ფუნქციაა, ხოლო შემდეგ მას უნდა სურდეს ამ ქცევის განხორციელება, რომელიც ნებისა და გრძნობის ფუნქციაა; და ბოლოს მას უნდა შეეძლოს ამ ქცევის განხორციელება. იგულისხმება არა ფიზიკური ან მატერიალური, არამედ ფსიქოლოგიური შესაძლებლობები.[49] ამრიგად, ფსიქოლოგიურ-ნებელობით მახასიათებელს ეთიკისა და ქცევის საკითხებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

პროფესიული ეთიკა განიხილავს მხოლოდ გარკვეული პროფესიისათვის დამახასიათებელ ეთიკისა და ქცევის მახასიათებლებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თითოეული პროფესიის მოსამსახურეებისათვის მახასიათებლები ერთგვაროვანია, ზოგადი თვისებები მოიცავს პიროვნების მაღალ ზნეობრივ და უზნეო თვისებებს, ამასთანავე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, სხვადასხვა პროფესიის მოსამსახურეთა საქმიანობაში განსხვავებული ეთიკისა და ქცევის მახასიათებელს. მაგალითად, სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურის მოსამსახურეების მნიშვნელოვანი მახასიათებლებია, კანონიერება,

48 ნებელობა – ადამიანის მიერ საკუთარი ფსიქიკისა და საქციელის ცნობიერი მართვა. ვლინდება ცნობიერად დასახული მიზნისკენ სწრაფვისას წამოჭრილი სირთულეების გადალახვაში.

49 გელა ბანძელაძე „ეთიკა" თბ. 1966. გვ.44

მიუკერძოებლობა, ობიექტურობა, სიმტკიცე, ემოციური თავშეკავებულობა. რომლებიც ზოგიერთ პროფესიის ნარმომადგენლებისათვის სასურველია, მაგრამ არა იმდენად აუცილებელი.

საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა საქმიანობა ვინაიდან დაკავშირებულია ადამიანებთან მუდმივ ურთიერთობასთან, მათ ყოველდღიურად უხდებათ შეხება არა მხოლოდ ადამიანთა ქცევის შეფასების აუცილებლობასთან კანონთან მიმართებაში, არამედ მისი მომავალი პერსპექტივის განსაზღვრასთან. მათი საქმიანობა ნარმოადგენს სოციალური კუთხით რთულ სისტემას, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფოს სახელით და მიმართულია ადამიანის ქცევის ეთიკურობისაკენ, ზოგადად სოციალურ პროცესებზე ზემოქმედებისაკენ. ამ საქმიანობის განხორციელებისას მათ უყალიბდებათ მიზანსწრაფვა, სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და სამართლიანობისაკენ, ჭეშმარიტების პატივისცემისა და პასუხისმგებლობისაკენ, პატრიოტიზმისა და სხვა სოციალურად მისაღები ღირებულებებისაკენ. რადგანაც, ნებისმიერი პროფესიის ნარმომადგენლის მოტივაცია არის ძალზე დინამიური მოვლენა და შეიძლება იცვლებოდეს სხვადასხვა სოციალური და სუბიექტური გარე ფაქტორების გავლენით, პროფესიული საქმიანობის კონკრეტულ პირობებში ის ან მტკიცდება და ვითარდება, ან იწყებს პროფესიულ გადაღლას, გადაწვას და გადახრა/დეფორმაციას.

სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეებს პროფესიული მოვალეობის შესრულების პროცესში უხდებათ სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებთან, ადამიანებთან შეხება. ყოველივე ეს მოითხოვს კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურ მიდგომას, არსებული სიტუაციის კანონთან მიმართებაში შესაბამისობას. საკითხის სრულყოფილად შესწავლისა და გადაწყვეტისათვის, პროფესიულ ცოდნასთან ერთად მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური უნარ-ჩვევების გამომუშავება.

ვინაიდან ზნეობრივ-ფსიქოლოგიური-ნებელობითი ნიშნები: მოთხოვნილება, ინტერესი, ღირებულებითი ორიენტაციები, განწყობა, ტემპერამენტი, ხასიათის თავისებურებები, თავშეუკავებლობა, აგრესიულობა და სხვა მართლშეგნებისათვის დამახასიათებელი ნიშნების ჩათვლით ამჟღავნებენ, დამნაშავის პიროვნებისა და მსხვერპლის დამოკიდებულებას სხვადასხვა საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინსტიტუტების, სამართლებრივი ღირებულებების, ასევე შრომისა და თავისუფალი დროის გამოყენების ფორმებისა და სხვათა მიმართ. ამ ნიშნების შესწავლა საშუალებას აძლევს საჯარო-სამართლადამცავი

და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეებს, გამოავლინონ და შეიცნონ დანაშაულის ჩადენისათვის დამახასიათებელი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და მასთან პირდაპირ კავშირში მყოფი დამნაშავის პიროვნებისა და მსხვერპლის სტრუქტურული მახასიათებლები. მათი საშუალებით პიროვნების სტრუქტურის ყველა სხვა ელემენტი თავის თავს დანაშაულში ავლენს, ამიტომ როგორც ზემოთ ეთიკისა და კრიმინოლოგიის ურთიერთკავშირისას აღვნიშნეთ, ძირითადი ამოცანაა აღნიშნული ნიშნების დეფორმაციის ხარისხის გამოვლენა და შეფასება, აგრეთვე მათი შეცვლილი მდგომარეობის აღწერა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დამნაშავის პიროვნებისა და მსხვერპლის ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ-ნებელობითი დამახასიათებელი ნიშნები არ არის სტანდარტული, დამნაშავეთა და მსხვერპლთა ყველა კატეგორიისათვის. ხშირ შემთხვევაში, სახეზეა ამ ხარვეზების არამდგრადობა. მათი გარდაუვალობა არაა აუცილებელი. შემთხვევითი არაა, რომ ბევრი პრაქტიკოსი-კრიმინოლოგი ვერ პოულობს არსებით განსხვავებას დამნაშავესა და მსხვერპლს და ზოგადად დანაშაულის არრსადენი პირების შედარებისას. აქედან გამომდინარე, მკვლევრები ხშირად მიდიან დასკვნამდე რომ არ არსებობს რაიმე პიროვნული ნიშნების სისტემა, რომელიც მხოლოდ დამნაშავეებისთვისაა დამახასიათებელი.[50] კრიმინოლოგების აზრით, ძნელია მოიძებნოს პიროვნება, რომელსაც ერთხელ მაინც არ ჩაუდენია რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მაგრამ ეს ადამიანები სისხლის სამართლის მოქმედების ფარგლებს გარეთ აღმოჩენილან და ამიტომაც საზოგადოება მათ კანონმორჩილ მოქალაქეებად მიიჩნევს. ჟენევაში 1975 წელს გამართულ გაეროს დანაშაულობის თავიდან აცილებისა და სამართალდარღვევათა მიმართ მოპყრობისადმი მიძღვნილ მეხუთე კონგრესზე ოფიციალურად დაფიქსირდა, რომ კრიმინოლოგიაში სოციოლოგიური მიმართულების დიდ მიღწევად ჩაითვლება ცალკეული პიროვნების და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი დანაშაულებრივი ნიშნების ძიების დასრულება და მთელი აქცენტის გადატანა დანაშაულებრივი ქცევის ფორმირების საფუძველზე – პიროვნებასა და საზოგადოებას შორის დარღვეული ურთიერთობების მოქმედების მექანიზმების გამოვლენაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა პირადი ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ-ნებელობითი მახასიათებლები, რომლებიც გავლენას ახდენს მათ პროფესიულ საქმიანობაზე, ამასთანავე პროფესიულ საქმიანობაში ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ-ნებელობითი

50 Шнайдер Г.Й. „Криминология". М. 1994. с. 127

მახასიათებლების ცოდნა ეხმარება მათ დანაშაულის, დამნაშავის პიროვნების და მსხვერპლის სამართლებრივი და ეთიკური ქმედებების შეფასებაში, დანაშაულობის თავიდან აცილების მიზნით განსახორციელებელ საქმიანობაში.

1.3. საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა პროფესიული გადაღლა, გადაწვა, გადახრა/დეფორმაცია და მათი თავიდან აცილება

საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა საქმიანობა, რომელიც მიმართულია სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი, მაღალზნეობრივი, სამართლებრივი და სოციალური ამოცანების გადაჭრაზე, იცავს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს და ხელს უწყობს მორალურ-ფსიქოლოგიურ განვითარებასა და განმტკიცებას, რამდენადაც საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოქმედების მთელი სფერო წარმოადგენს განსაკუთრებული რისკის ზონას, მის წარმომადგენლებს კანონმდებლობა აძლევს მოვალეობის, დისკრეციული უფლების შესასრულებლად, სახელმწიფოს სახელით, არაორდინალურ, დაძაბულ პირობებში გამოიყენოს ნორმით დადგენილი იძულების ზომები, რაც შეიძლება გარკვეული ვითარებისას გახდეს მოსამსახურის პროფესიული ქრონიკული გადაღლის, გადაწვის, გადახრის/დეფორმაციის და სხვა პათოლოგიის საფუძველი. გარდა ამისა, აღნიშნული სამსახურები ისევე, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა შტოები, თავისი ბუნებით ისწრაფის მეტი გავლენისა და საზოგადოების მხრიდან უკონტროლობისაკენ, რასაც ხელს უწყობს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მძლავრი ბიუროკრატიული აპარატი, იძულების ზომების არაკანონიერი განხორციელება, ინფორმაციის ფლობა და მისი დაფარვის ან დამახინჯების დაუსჯელობა და სხვა.

განვიხილოთ პროფესიული ქრონიკული გადაღლა, რომლის დიაგნოსტიკა და რაციონალური მკურნალობა თანამედროვე მედიცინის აქტუალური პრობლემაა. აღნიშნული სინდრომი, რომელსაც დღეს ცივილიზაციის დაავადებად მოიხსენიებენ, პირველად ამერიკელმა მკვლევრებმა მე-20 საუკუნის მინურულს აღწერეს. შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ პრაქტიკულად უცნობი დაავადება ყოველწლიურად სულ უფრო მასობრივ ხასიათს იღებს და არა მხოლოდ ზრდასრულებში, არამედ მოზარდებსა და ბავშვებშიც ჭრმმისუნარიანობის

დაქვეითების, ცხოვრების ნორმალური რიტმის დარღვევის მთავარ მიზეზად გვევლინება.

გადაღლა წარმოადგენს სუბიექტურ მდგომარეობას, რომლის დროსაც ადამიანს აქვს სისუსტის შეგრძნება, თუმცა განსხვავდება სისუსტისგან. დაღლილობა მცირდება დასვენებით. დაღლილობა შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ასევე მენტალური. დაღლილობას აძლიერებს ფიზიკური დატვირთვა. გონებრივი გადაღლა წარმოადგენს გონებრივი შესაძლებლობების დროებით დაქვეითებას. გონებრივი დაღლილობა ვითარდება გონებრივი ამოცანების ხანგრძლივი შესრულების დროს.

კვლევებმა დაადგინა, რომ გადაღლის მიზეზებია: ხანგრძლივი მუშაობა, სტრესი, გადამეტებული სტიმულაცია, ან შემცირებული სტიმულაცია, დეპრესია, მოწყენილობა, დაავადებები, ძილის ნაკლებობა და სხვა. ქრონიკული გადაღლა სამედიცინო პარამეტრებით გრძელდება 6 თვეზე მეტ ხანს და უმეტესად, სხვადასხვა დაავადებების სიმპტომს წარმოადგენს.[51]

განვიხილოთ პროფესიული გადაწვის პრობლემა, რომლის წინაპირობად შეიძლება ქრონიკული გადაღლა ჩაითვალოს. ფსიქოლოგიური გადაწვის ტერმინი შემოღებულია ამერიკელი ფსიქიატრის ჰერბერტ ფრეიდენბერგერის (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1926-1999 წლებში) მიერ 1974 წელს. **ფსიქოლოგიურ გადაწვაში მოიაზრება ფიზიკური, ემოციური და გონებრივი გამოფიტვის მდგომარეობა, რომელიც ვლინდება იმ პროფესიებში, რომელთათვისაც დამახასიათებელია მონაწილეობა ცალკეული კატეგორიების ადამიანთა ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაში.**[52]

პროფესიულ გადაწვას ექვემდებარებიან ის მოსამსახურეები, რომელთაც მუდმივად ემუქრებათ სამუშაოს დაკარგვის საფრთხე სხვადასხვა მიზეზით: შტატების შემცირებით, ზღვრული ასაკის მიღნევით და სხვა, შიში იმისა, რომ ვერ იპოვის სამსახურს, შეიძლება გაბდეს გადაწვის სინდრომის განვითარების საფუძველი.

ამ მოვლენის ერთ-ერთმა პირველმა მკვლევარმა, ამერიკელმა ფსიქოლოგმა **ქრისტინა მასლანჩმა** თავის წიგნში „ემოციური გადაწვა – საზღაური თანაგრძნობისათვის" გამოყო ზოგადი ადაპტაციური სინდრომის, სტრესის სამი სტადია: 1. შფოთვის რეაქცია – ადაპტაციური შესაძლებლობებით შემოფარგლული მობილიზაცია;

51 თინათინ ფოცაძე – „ქრონიკული დაღლილობის სინდრომი", ჟურნალი „ოჯახის მკურნალი" 2009, 6 მარტი

52 „სამოსამართლო ეთიკა" ნ.დ ურიაშვილის რედაქციით, თბ. 2016. გვ 105.

2. წინააღმდეგობის სტადია; 3. გამოფიტვის სტადია. თითოეულ სტადიას გააჩნია დამახასიათებელი ცვლილებები ნერვიულ-ენდოკრინოლოგიურ ფუნქციონირებაში;

მუდმივი სტრესის ფონზე ჩამოყალიბებისა და ფსიქოლოგიური გადაწვის სინდრომი გადის სამ სტადიას:

პირველ სტადიაზე ვლინდება გულმავიწყობა გარკვეული დეტალებისა და წვრილმანებისადმი, როგორიცაა: მნიშვნელოვანი დოკუმენტების გაცნობის, სატელეფონო ზარების, საკომუნიკაციო საშუალებების, ხელმძღვანელისადმი ანგარიშის ჩაბარების და ა.შ. მუდმივი დავიწყება. აღნიშნული სტადია შეიძლება გაგრძელდეს სამიდან ხუთ წლამდე.

მეორე სტადიაზე ვლინდება სამუშაოსადმი, კოლეგებისადმი და ასევე ოჯახის წევრებისადმი ინტერესების დაკარგვა, ასეთი მოსამახურე თავს არიდებს კონტაქტებს იმათთან, ვისთანაც უხდება ურთიერთობა საქმიანობის დროს, სამუშაოს დასაწყისშივე შეიგრძნობს ენერგიის ნაკლებობას, ძალების დაკარგვას, ჯანმრთელობის პრობლემებს, აღნიშნული სტადია შეიძლება გაგრძელდეს ხუთიდან თხუთმეტ წლამდე.

მესამე სტადია ხასიათდება სამუშაოსადმი, პირადი ცხოვრებისადმი ყოველგვარი ინტერესის დაკარგვით და მას თან ახლავს ემოციური გულგრილობა. ჯანმრთელობისა და აზროვნების მოქნილობის, დამოუკიდებლობისა და კრიტიკულობის დაკარგვის შეგრძნება. ასეთი პირები მიისწრაფიან მარტოობისაკენ და მათი კონტაქტები შემოფარგლულია შინაურ ცხოველებსა და ბუნებასთან ურთიერთობით. ეს სტადია შეიძლება გაგრძელდეს ოც წლამდე.

სპეციალისტების შეფასებით, ფსიქოლოგიური გადაწვის ხელის შემწყობი პირობებია:

1. **ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური** – გამძლეობის, თვითკონტროლის, თვითშეფასების დაბალი დონე, მოჭარბებული შფოთვა, მორალური და მატერიალური პასუხისმგებლობის შიში, ჩაკეტილობა, სიმორცხვე;

2. **სოციალურ-ფსიქოლოგიური** – მხარდაჭერისა და კოლექტივში ურთიერთდახმარების სურვილის დაკარგვა, სამუშაოს შესრულებასთან შეუსაბამო ანაზღაურება, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისადმი წაყენებულ მოთხოვნებსა და მის შესაძლებლობებს შორის შეუსაბამობა, ასევე შეუსაბამობა პროფესიულ დამოუკიდებლობასა და ადმინისტრირებას შორის, ეთიკურ და პიროვნულ პრინციპებს შორის, სამართლიანობის ობიექტურ და სუბიექტურ გაგებას შორის;

3. **პროფესიული** – მუდმივი არამოტივირებული გადატვირთვა, დროის დეფიციტი, არანორმირებული საქმიანობა, ადამიანთა მუშაობა

ემოციურ დაძაბულ ვითარებაში, ადამიანებთან ურთიერთობაში უკუკავშირის უქონლობა, გადასაჭრელი პრობლემების მაღალი სოციალური სიმნშვავე, დამოუკიდებლობა და მაღალი პასუხისმგებლობა გადაწყვეტილების მიღებისას.

მოსამსახურეთა პროფესიული გადაწვისას მითითებული სიმპტომების თანდათანობით მასობრივად, ქრონიკულად, ჩამოყალიბებამ შეიძლება გამოიწვიოს მთლიანი ორგანიზაციის საქმიანობის შეფერხება. ასეთი პრობლემის მიმანიშნებლად უნდა ჩაითვალოს უმეტეს მათგანში მსგავსი ფსიქო-ემოციური სიმპტომების, ქცევითი გამოვლინებების არსებობა, რაც დამახასიათებელია გადაწვის სინდრომისათვის.

პროფესიული გადაწვის ძირითადი მიზეზებია: ყველა დონის ხელმძღვანელთა ხშირი როტაცია; ხშირი საორგანიზაციო-სამეტატო ცვლილებები; მუდმივი კონფლიქტი ხელმძღვანელთა სტრატეგიასა და ტაქტიკას შორის; მოსამსახურეებისადმი მომატებული მომთხოვნელობა. მათი უფლებამოსილების დელეგირება, ვინც თავის პროფესიული და მორალურ-ფსიქოლოგიური თვისებებით არ არის მზად და არ შეუძლია სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელება; შესრულებული სამუშაოების შეფასების კრიტერიუმების არ არსებობა; მოსამსახურეთა მოტივაციისა და სტიმულირების არაეფექტური სისტემა;

ფსიქოლოგიური გადაწვის პრევენციის პროცესში წყდება იგივე ამოცანები, რაც პროფესიული გადახრებისას, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ინდივიდუალური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ამოცანების გადაწყვეტას, რაშიც იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, პროფესიული საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა: მოსამსახურეთა პროფესიული დამოუკიდებლობისა და შრომის შედეგების მოტივაციისათვის; პროფესიული უნარ-ჩვევების დაუფლებისათვის; მორალური და მატერიალური სტიმულირებისათვის; სამსახურის მხრიდან მოსამსახურე – სპეციალისტის აღიარებისათვის; სამუშაო ადგილზე კომფორტული გარემოსათვის;

პროფესიული გადაწვისადმი მდგომარეობა ბევრადაა დამოკიდებული თითოეული მოსამსახურის უნარზე, ჩამოაყალიბოს და შეინარჩუნოს პოზიტიური, ოპტიმისტური განწყობა და ფასეულობები, როგორც საკუთარი თავის, ისე სხვა ადამიანების მიმართ.

ამერიკელმა ფსიქოლოგმა ქრისტინა მასლაჩმა ჩამოაყალიბა პროფესიული გადაწვისადმი მდგრადობის საკუთარ თავში აღზრდის წესები: „თქვენ შეგიძლიათ ნეგატიურად მიუდგეთ თქვენს მდგომარეობას, ჩათვალოთ, რომ თქვენი პროფესიული გადაწვა თქვენი მტერია. მე ასე არ წარმომიდგენია, პირიქით, ვთვლი, რომ იგი თქვენი მეგობარია,

რომელიც ხმამაღლა გეუბნებათ: თქვენი რესურსები ამოიწურა. დადგა დრო იპოვო ძალის ახალი წყაროები. თქვენი მეგობარი მართალს გეუბნებათ. განა საჭიროა მასთან ბრძოლა. იქნებ უკეთესია მოუსმინოთ, გააგოთ და მიყვეთ მის რჩევას. ნება მიბოძეთ მოვიყვანო მარტივი მაგალითი. თქვენ დიდხანს მგზავრობდით ავტომობილით რთულ გზაზე. გიარეთ 140 კმ და დაინახეთ, რომ ხელსაწყოთა პანელზე აინთო ინდიკატორი, რომელიც გაჩვენებთ, რომ ბენზინი თავდება. ბრძოლას დაიწყებთ ამ სიგნალს? ალბათ დაიწყებთ უახლოესი ბენზინგასამართი სადგურის ძებნას. სწორედ ამას გირჩევთ მე".[53]

ხოლო რაც შეეხება პროფესიულ გადახრას[54]/დეფორმაციას გადაგვისთან შედარებით უფრო რთული პათოლოგიაა და ხშირად მისგან გამომდინარეობს. რადგან გადახრა[55] დეფორმაციის უმარტივეს სახედ ითვლება, აღნიშნული გვაძლევს შესაძლებლობას ისინი განვიხილოთ ერთ ჭრილში.

ტერმინი „პროფესიული დეფორმაცია" XX საუკუნის დასაწყისში ცხოობლმა რუსმა-ამერიკელმა ფილოსოფოსმა და სოციოლოგმა **პიტირიმ სოროკინმა** (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა **1889-1968** წლებში) შემოიღო. პროფესიული დეფორმაცია არის კვალი, რომელსაც ადამიანს პროფესიული საქმიანობა ამჩნევს, ადამიანს პროფესიული განსყოობები, სტანდარტები და მახასიათებლები ყოველდღიურ ცხოვრებაში გადაადგს. მასში მოიაზრება ისეთი ფრიქოლოგიური ცვლილებები, რომლებიც ნეგატიურად მოქმედებენ შრომითი დავალებების შესრულებაზე და პიროვნების ფსიქოლოგიურ სტრუქტურაზე. პროფესიული დეფორმაციისაკენ მიდრეკილნი არიან იმ სფეროში მიმუშავეები, რომლებსაც პროფესიის სპეციფიკიდან, სამუშაო პირობებიდან გამომდინარე, აქვთ რთულად კონტროლირებადი და ზეკაცურად შეზღუდული ძალაუფლება. პიროვნების დეფორმაციას ყველაზე მეტად ექვემდებარებიან ადამიანებთან მომუშავე პროფესიების წარმომადგენლები: სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურის მოსამსახურეები, პედაგოგები, მედიცინის მუშაკები და სხვა.

საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეების საქმიანობაში ზემოაღნიშნული განსაზღვრება შეიგრძნობა

---

53 ე. მასლოჩი „პროფესიული გადაგვა: როგორ უმკლავდებიან ადამიანები". სოციალური სამსახურის მუშაკი №1. 2005. გვ.45

54 გადახრა – დევიაცია, სოციოლოგიური ტერმინია და ფულისხმობს ქცევას, რომლის ფარგლებიც შესაძლებელია კანონმდებლობა არ ირღვეოდეს მაგრამ ენინააღმდეგებოდეს საზოგადოებაში აღიარებულ ნორმებს. მალხაზ ბაძაღუა „კრიმინოლოგიის ძირითად ტერმინთა განმარტებები" თბ. 2016. გვ.33

55 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 3, თბ., 1978.გვ. 488

უფრო მწვავედ, უარყოფითად აისახება პიროვნებაზე და მოქმედებს ხელისუფლების ავტორიტეტზე.

საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა საქმიანობაში, პიროვნული გამოვლინებების არაერთმნიშვნელოვნობა და მრავალასპექტიანობა იწვევს მათი მხრიდან სამომავლო მოქმედების ღრმა შემეცნების საჭიროებას. პროფესიული გადახრა – ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივი ნორმებიდან გადახრა, თუ სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურის მოსამსახურე მორალურად არამდგრადია, მაშინ არსებობს მოსალოდნელი საფრთხე, მისი მხრიდან სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა ან თავის თანამდებობრივი მოვალეობების არაკეთილსინდისიერად შესრულებისა. ამიტომ მორალური მდგომარეობა, როგორც პროფესიული გადახრის შემფასებელი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ზემოაღნიშნული სამსახურების მოსამსახურეთა პროფესიულ შერჩევაში, თანამდებობრივ წინსვლაში.

საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა პროფესიული გადახრის/დეფორმაციის მიზეზები არსებობს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე:

– **ობიექტურ ფაქტორებს მიეკუთვნება**: უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, ნაკლოვანებები საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების სისტემურ მართვაში, ამ სამსახურების მოსამსახურეთა ფსიქოლოგიურ გადატვირთვასა და მოქმედების არასათანადო ინფორმაციულ-ტექნიკურ აღჭურვაში, კადრების მომზადებასა და შერჩევაში, განაწილებაში და ა.შ.

– **სუბიექტურ ფაქტორებს წამოადგენს**: არასათანადო პროფესიული მომზადება და მისი სრულყოფის სურვილის არარსებობა, თვითდაჯერებულობა პროფესიულ უნარ-ჩვევებთან მიმართებაში, სამსახურში არასასურველი ატმოსფერო: კარიერიზმი, ნეპოტიზმი, კრონიზმი, სნობიზმი, ქედმაღლობა, ამპარტავნობა, თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებისადმი გულგრილი დამოკიდებულება და სხვა. სამუშაო დროის დაგეგმვის უუნარობა, ნეგატიური ემოციებისაგან თავის დაღწევის მიზნით, თავისუფალი დროის გამოყენების (სპორტი, ოჯახური დასვენება და ჰობი) შეუძლებლობა, „განტვირთვა" სპირტიანი სასმელებით, როგორც უნივერსალური საშუალება სტრესის მოსახსნელად და სხვა მავნე ჩვევები.

პროფესიული გადახრების ფორმებს შესაძლოა ჰქონდეს ღია და ლატენტური-ფარული ხასიათი. ღია ფორმებია: 1. გულგრილი

დამოკიდებულება ადამიანისადმი, საკუთარი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება; 2. ადამიანებისადმი ნეგატიური განწყობა და ეჭვიანობა. 3. თვითკრიტიკის არარსებობა, გადაჭარბებული თვითდაჯერებულობა; 4. ცალკეული პიროვნებების ღირსების დამცირება და პირადი ცხოვრებისადმი უპატივცემულობა; 5. ჩაცმის ნესების დარღვევა, არაჰიგიენურობა და ა.შ.

პროფესიული გადახრის მნიშვნელოვანი ლატენტური ფორმები განპირობებულია ადამიანის აღზრდითა და განათლებით, რაც ელინდება თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და სამსახურეობრივი ამოცანების მცდარ გაგებაში, კორუფციაში, ამორალურ ქცევაში და ა.შ. **პროფესიული გადახრის/დეფორმაციის თავიდან აცილება არის პრევენციული ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც ორიენტირებულია პროფესიული გადახრების პროცესის წინაპირობების განვითარების თავიდან აცილებაზე და შეჩერებაზე, შეიცავს როგორც ფსიქოლოგიურ, ისე ორგანიზაციულ მმართველობითი ხასიათის ზომებს.**[56]

საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურის მოსამსახურეთა პროფესიული გადახრა/დეფორმაციის თავიდან აცილების ღონისძიებებია: 1. კადრების პროფესიული ფსიქოლოგიური შერჩევა; 2. სოციალური და პროფესიულ მოტივაციური თვისებების განვითარება და განმტკიცება; 3. პროფესიული იმუნიტეტის გამომუშავება, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური და სოციალურ-სამართლებრივი მახასიათებლების განვითარება; 4. მორალურ, პროფესიულ-ფსიქოლოგიური მომზადების დონის ამაღლება და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის განწყობის ფორმირება; 5. მოსამსახურეებთან საქმიანობის ორგანიზაციულ-სოციალური ფორმების სრულყოფა.

პროფესიული გადახრების თავიდან აცილებაზე მუშაობა, ეს არის თვითაღზრდა, რომელზეც შეიძლება ზემოქმედების მოხდენა სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის კონტროლის გამკაცრებით, სასჯელებით, აიძულო ადამიანი შეცვალოს თავისი ქცევის გარეგანი ფორმა, რაც შეეხება შინაგანი პოზიციის შეცვლას, განსაკუთრებით ღრმად წასული პროცესების, ზნეობრივი გახრწნისა და პიროვნების დეგრადაციის შემთხვევაში მხოლოდ პირადად მას შეუძლია.

საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა პროფესიულ საქმიანობაში კონფლიქტი ჩადებულია თვით ამ სამსახურების ბუნებაში, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ სახელმწიფოს მხრიდან კანონით გათვალისწინებული იძულებითი

56 ვ.ნ. სმირნოვი, „იურიდიული ფსიქოლოგია" მოსკოვი. 2009. გვ 69-70.

ღონისძიებების გამტარებელ სტრუქტურებს, რაც ხორციელდება მუდმივი დაძაბულობის, არანორმირებული სამუშაო დროის, ემოციური დისკომფორტის, ადამიანური და პროფესიული გადაღლის ფონზე. ასეთ მდგომარეობაში შეიძლება გამოვლინდეს პროფესიული გადაწვის სიმპტომები: აპათია, გულგრილობა, სიძულვილი სამუშაოსადმი, მაღალი კონფლიქტურობა და ნეგატიური დამოკიდებულება ადამიანებთან მიმართებაში, პროფესიული შეუმდგარობის განცდა, სამუშაოთი უკმაყოფილება, გაღიზიანება, განცდების მოხსნისა და ფსიქოლოგიური განტვირთვის შეუძლებლობა ქმნის სერიოზული ფიზიკური და ფსიქოლოგიური გადაღლის საფრთხეს, ხოლო ნეგატიური სიმპტომების თავმოყრა ინვეეს ფსიქოლოგიურ რღვევას, რაც მოითხოვს სპეციალურ ფსიქოლოგიურ დახმარებას, მომზადებასა და რეაბილიტაციას.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული გადაღლის, გადაწვის და გადახრა/დეფორმაციის წინააღმდეგ ერთიანი მიდგომა არ არსებობს, ეს პრობლემები წყდება როგორც ინდივიდუალურ, ისე სოციალურ დონეზე. ნებისმიერ შემთხვევაში სხვადასხვა რანგის მოსამსახურე-სპეციალისტი დროდადრო უნდა შეჩერდეს იმის გასააზრებლად, თუ რას აკეთებს მოცემულ მომენტში, საით მიდის და რისკენ ისწრაფვის. საკუთარი პროფესიული საქმიანობისათვის სხვა კუთხიდან შეხედვისას არსებობს ბევრი ახალი პოზიტიური შესაძლებლობის დანახვის შანსი და ამ ახალ ხედვაში არის როგორც ფსიქოლოგიური, ასევე მორალური შემადგენელიც.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ორგანიზაციის მხრიდან კორპორატიულ-კოლექტივიზმის პრინციპებზე დაფუძნებით საჯარო მოსამსახურის მიმართ კოლეგიალური ურთიერთდახმარება და მხარდაჭერა. კორპორატიულობა, ინდივიდუალიზმის პრინციპთან ერთად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პროფესიული ნიშნით, არამედ ასევე ზოგადსაკაცობრიო მოსაზრებით, რადგანაც მასში მდგომარეობს პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის მთავარი არსი, სახელმწიფოს, საზოგადოების და პიროვნების ინტერესების ერთიანობა.

1.4. საჯარო სამსახურის მართვის, კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლის, სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მონიტორინგის მექანიზმები

საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ" მესამე თავით საჯარო სამსახურის მართვის ცენტრალიზებული ფუნქცია და

ამოცანები საჯარო სამსახურის საბჭოსა და ბიუროს აქვს დაკისრებული. ხოლო საჯარო-სამართალდამცავ და სპეციალურ სამსახურში, სამოხელეო, კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ" კანონის საფუძველზე, ეკისრება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულ სააგენტოს (დეპარტამენტი), რომლის ფუნქცია და ამოცანები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ".[57] რაც შეეხება საჯარო-სამართალდამცავ და სპეციალურ სამსახურებში მონიტორინგის მექანიზმს, აღნიშნული წარმოადგენს შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულს – გენერალურ ინსპექციას.

1.4.1. საჯარო სამსახურის საბჭო და ბიურო

საჯარო სამსახურის საბჭო

საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობის მიზნით „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-19 მუხლის თანახმად, ფუნქციონირებს საჯარო სამსახურის საბჭო, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანო, საბჭოს თავმჯდომარეა საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საბჭო შედგება 11 წევრისაგან. საჯარო სამსახურის საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა განსაზღვრულია 4 წლით.

საჯარო სამსახურის საბჭოს 2 წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი თავისი შემადგენლობიდან, 2 წევრს – საქართველოს მთავრობა თავისი შემადგენლობიდან, 2 წევრს – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთაგან, თითო წევრს ირჩევენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები თავიანთი შემადგენლობებიდან, ხოლო 2 წევრს ირჩევს თვითმმართველობის ასოციაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენლებისგან.

საბჭო უფლებამოსილია: განიხილოს წინადადებები საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფისათვის; მოისმინოს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ განეული საქმიანობის შესახებ ანგარიში და ამ ანგარიშში ასახულ საკითხებთან

57 საქართველოს მთავრობის №385 დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ". 2015, 30 ივლისი.

დაკავშირებით შეიმუშაოს რეკომენდაციები; კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში კენჭი უყაროს საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის თანამდებობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხს; განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

საჯარო სამსახურის ბიურო

„საჯარო სამსახურის შესახებ" კანონი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროს საქმიანობის მიზნებს, მისი დაკომპლექტების წესსა და ფუნქციებს. აღნიშნული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო იქმნება საჯარო სამსახურის სფეროში საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობის, ამავე კანონით განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების განხორციელების, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მიღების, საჯაროობისა და კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული ბიუროს ხელმძღვანელს თანამდებობაზე 5 წლის ვადით ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

ბიუროს ძირითადი ფუნქციებია: შეისწავლოს და გაანალიზოს საჯარო სამსახურის სფეროში არსებული მდგომარეობა, ასევე მონიტორინგი გაუნიოს საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას, მასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების შესრულებას და ამ მიმართულებით უნდა შეიმუშავოს შესაბამისი, რეკომენდაციები.

ბიუროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, საჯარო სამსახურის სფეროში სამოქმედო სტანდარტების, ინსტრუქციების, სხვა მეთოდური აქტების, ნორმატიული აქტებისა და საკანონმდებლო წინადადებების პროექტების შემუშავება. ამასთან, ბიურო მეთოდურ დახმარებას უწევს საჯარო დაწესებულებებს სამართლებრივი აქტების ერთგვაროვანი შესრულების მიზნით. ბიუროს ვალდებულებაა ანარმოოს საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონულ სისტემა.

საჯარო სამსახურის ბიურო შეისწავლის და განაზოგადებს მოხელეთა სამსახურში მიღების, შეფასების, კარიერული განვითარების, კარიერის მართვის, პროფესიული განვითარების, საჯარო მოსამსახურეთა მიერ ეთიკის ნორმების დაცვის, აგრეთვე სამსახურიდან გათავისუფლების არსებულ პრაქტიკას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

გარდა ამისა, საჯარო სამსახურის ბიურო, შეიმუშავებს მოხელეთა პროფესიული განვითარების ერთიან სტანდარტებს და ზედამხედველობს

მათ შესრულებას. იგი ასევე განაზოგადებს საჯარო სამსახურის სფეროში სხვა სახელმწიფოთა გამოცდილებას და თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

საჯარო სამსახურის ბიუროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია არის ანალიტიკური საქმიანობა. იგი აანალიზებს სამოხელეო სამართლებრივ დავებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს, რათა მოახდინოს არსებული პრაქტიკის მუდმივი სრულყოფა. კანონით მინიჭებული კომპეტენციების ფარგლებში, ბიურო მონანილეობს საჯარო სამსახურში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში. ამ მიმართულებით, იგი უზრუნველყოფს თანამდებობის პირის მიერ შევსებული ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგს და ასევე ახორციელებს „საჯარო დანესებულებებში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს. საჯარო სამსახურის ბიუროს ერთგვარი საგანმანათლებლო ფუნქციაც აქვს, იგი უზრუნველყოფს საჯარო სამსახურში დასაქმების მსურველთა სერტიფიცირებას. საჯარო სამსახურის ბიურო ვალდებულია 6 თვეში ერთხელ საჯარო სამსახურის საბჭოს ნარუდგინოს მის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საჯარო სამსახურის ბიუროს საქმიანობის პრაქტიკული გააზრების მიზნით განვიხილოთ ბიუროს 2016 წლის ანგარიში.[58] რომლის თანახმადაც ბიურომ კომპეტენციების გათვალისწინებით მოამზადა საჯარო დანესებულებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა, მათ შორის, „საჯარო სამსახურის შესახებ კანონის" ახალი ვერსია და საჯარო სამსახურში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები. მნიშვნელოვანი ღონისძიება იქნა გატარებული „საჯარო სამსაურის შესახებ" ახალი კანონით გათვალისწინებული მოსამსახურეთა სერთიფიცირების პროცესის მომზადებისა და დანერგვის მიმართულებით და სხვა.

საჯარო სამსახურის ბიურო აქტიურად თანამშრომლობს საჯარო დანესებულებებთან ადამინური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის დასანერგად, ახორციელებს სტაჟირების სახელმწიფო პროგრამას საჯარო დანესებულებებში, რომელშიც 2016 ნელს მონანილეობა მიიღო 1425-მა სტაჟიორმა (სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა). ახალი კანონმდებლობით დაკისრებული დეკლარაციის მონიტორინგის ფუნქციიდან გამომდინარე, აღნიშნული სისტემის ჩამოყალიბების მიზნით ბიურომ შეიმუშავა შესაბამისი ინსტრუქცია და სხვა.

58 საჯარო სამსახურის ბიუროს 2016 წლის ანგარიში – http://csb.gov.ge/uploads/2017book.pdf

1.4.2. საახალციხეს უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო

გაეროს კონვენცია „კორუფციის წინააღმდეგ" (UNCAC) არის ყველაზე ფართოდ ცნობილი ანტიკორუფციული სამართლებრივი დოკუმენტი. ეს მრავალმხრივი კონვენცია მიიღეს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე 2003 წლის 31 ოქტომბერს. კონვენცია ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს მიიღონ ცალკეული ანტიკორუფციული ზომები, რომელთა მიზანია კორუფციის აღმოფხვრა, ცალკეული ქმედებების კრიმინალიზაცია, საერთაშორისო სამართალდამცავი ინსტრუმენტების გაძლიერება და სხვა. საქართველოში შემუშავებულია და მოქმედებს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია.

ქვეყანაში ანტიკორუფციულ სამართალდამცავ მექანიზმს წარმოადგენს საქართველოს უსაფრთხოების სამსახური, რომელიც „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ" კანონის საფუძველზე ამ მიმართულებით საქმიანობას ანხორციელებს ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტი) მეშვეობით, დებულების[59] თანახმად, **ანტიკორუფციული სააგენტოს ძირითადი ამოცანებია**: სამოხელეო, კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება; კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელება; კანონმდებლობით დადგენილი წესით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება; კორუფციული დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ შესაბამის რეაგირების ღონისძიებების გამოყენება; დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ" და „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ" კანონებით და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელება.

ანტიკორუფციული სააგენტოს კომპეტენციაში ასევე შედის: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი დანაშაულებრივი ქმედებების გამოვლენა, თავიდან აცილება და აღკვეთა; დანაშაულის თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებების

59 საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის №9 ბრძანება „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტი) დებულების დამტკიცების შესახებ", 2015, 1 აგვისტო.

ჩატარება ან მასში მონაწილეობის მიღება გამომძიებლის ან პროკურორის მოთხოვნით; კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებითა და წესით შესაბამისი იძულებითი ხასიათის ღონისძიებების გამოყენება; ოპერატიულ-სამძებრო და კონტრდაზვერვითი ღონისძიებების განხორციელება; კანონმდებლობის საფუძველზე საქართველოს მოქალაქეთა, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ნებაყოფლობითი დახმარების გამოყენება და მათთან ღია და ფარული ურთიერთობების დამყარება; დადგენილი წესით ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებების და სამსახურის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ქვედანაყოფების შესაძლებლობების გამოყენება; თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსისა და სამსახურის უფროსის კურატორი მოადგილის დავალებათა შესაბამისად სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

ანტიკორუფციული საქმიანობის პრაქტიკული გააზრებისათვის განვიხილოთ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2016 წლის ანგარიში.[60] კერძოდ, ანტიკორუფციულმა სააგენტომ ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს მთავარ პროკურატურასთან ერთობლივად, განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად სისხლის სამართლის 47 საქმეზე დაიწყო გამოძიება, მათ შორის ქრთამის აღების 22, ქრთამის მიცემის 2, თაღლითობის 8, კომერციული მოსყიდვის 5, სამსახურეებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების 4, მითვისების ან გაფლანგვის 2, სამსახურებრივი გულგრილობის 2, და სხვა ცალკეულ დანაშაულობებზე. საანგარიშო პერიოდში ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული იქნა 59 პირი 32 საქმეზე.

1.4.3. საჯარო-სამართალდამცავ და სპეციალურ სამსახურებში პროფესიული ეთიკის საკითხების მონიტორინგი

მონიტორინგი არის საჯარო სამსახურში მენეჯმენტის განხორციელების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ემსახურება სამსახურში არსებული პრობლემების სრულყოფილად შესწავლასა და გადაჭრას.

60 საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2016 წლის ანგარიში – http://ssg.gov.ge/uploads/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/angarishi2016.pdf

შესაბამისად, მონიტორინგი მჭიდროდ არის დაკავშირებული საჯარო მოხელეთა საქმიანობის ეთიკური მხარის კონტროლთან და ამ მიმართულებით პრობლემების გამოსწორებასთან. მონიტორინგის ეფექტური მექანიზმების არსებობის გარეშე ნებისმიერი სამსახურისთვის თანამშრომელთა პროდუქტიული საქმიანობის უზრუნველყოფა სირთულეებს უკავშირდება, ეთიკის ნორმები მკაცრად და იმპერატიულად ნორმატიულ აქტებით არ არის განერილი, არამედ შესაბამისი დაწესებულების ეთიკის კოდექსებითაა განსაზღვრული, რომელთა შესრულებაზე სათანადო კონტროლისა და დარღვევებისათვის პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომების/მექანიზმის არსებობის შემთხვევაში, ეთიკის ნორმები ისეთივე სავალდებულო ხდება, როგორც ნებისმიერი სხვა ნორმა, რომლის შესრულებაზე კონტროლს უზრუნველყოფს შესაბამისი სამსახურის სტრუქტურული დანაყოფი (გენერალური ინსპექცია, შიდა უსაფრთხოების სამსახური და სხვა.) რომელმაც თავისი ამოცანები და ფუნქციები უნდა განახორციელოს არა მხოლოდ რეპრესიული, არამედ უპირველესად პროფესიული საქმიანობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული პრევენციული მოქმედებებით. ამდენად, როდესაც საუბარია საჯარო სამსახურში მოსამსახურეთა საქმიანობის ეთიკურობაზე, მისი დანერგვა და სრულყოფა შეუძლებელია მონიტორინგის მექანიზმების გარეშე, რომელიც მიმართული იქნება სამსახურში არსებული არაეთიკური ქმედებების შესწავლის, მისი გამომწვევი მიზეზების, ხელისშემწყობი პირობების დადგენისა და თავიდან აცილებისაკენ.

პრაქტიკაში არსებობს მონიტორინგის ძირითადად ორი ფორმა, შიდა და გარე მონიტორინგი, რომელთა საქმიანობა მნიშვნელოვანია ნებისმიერი ორგანიზაციის გამართული მუშაობისათვის. მონიტორინგის ფორმებიდან საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობის ეთიკურობის შესამოწმებლად ყველაზე მნიშვნელოვანია შიდა მონიტორინგი, რომელიც მოიცავს დისციპლინარულ მონიტორინგს, ფინანსურ მონიტორინგს, ტრენინგ მონიტორინგს და სხვა. ხოლო გარე მონიტორინგში იგულისხმება სახელმწიფოს მხრიდან საპარლამენტო, სამთავრობო, სასამართლო, საპროკურორო, სახელმწიფო აუდიტის, ასევე საზოგადოების მხრიდან, არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიის კონტროლი და ზედამხედველობა. ამ ჭრილში „მნიშვნელოვანია, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის არსებობა პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში, რომელსაც პროცესუალურ ხელმძღვანელობას და კონტროლს გაუწევს მთავარი პროკურატურა. იგი გამოიძიებს საჯაროსამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა

მიერ ჩადენილ დანაშაულს და სხვა..."[61] ზოგადად, გარე მონიტორინგის მიერ შეიძლება გამოვლინდეს ეთიკის ნორმების ისეთი დარღვევები, რომელიც შიდა მონიტორინგისათვის სხვადასხვა მიზეზებით შეუმჩნეველი ან რეაგირების გარეშე რჩება, სამსახურში მიღებული პრაქტიკიდან გამომდინარე. შიდა მონიტორინგი, თავის თავში გულისხმობს არა მხოლოდ სამსახურში მოსვლისა და ნასვლის ან/და მოსამსახურეთა მხრიდან დაკისრებული ვალდებულებების ვადებში შესრულების კონტროლს, არამედ, ასევე, საჯარო მოსამსახურეთა მოქალაქეებთან და კოლეგებთან ეთიკური ნორმის ფარგლებში ურთიერთობის, ჩაცმის წესის დაცვის კონტროლს, სამსახურებრივი საიდუმლოების დაცვისა და გაუხმაურებლობის შემოწმებას და ა.შ. მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს იმ ფაქტორზეც, რომ მხოლოდ მონიტორინგი ვერ იქნება ეფექტიანი, თუ მასთან ერთად არ იარსებებს ანალიზის მექანიზმებიც. სწორედ ანალიზის საფუძველზეა შესაძლებელი მომავალში პრაქტიკაში არსებული ხარვეზების თავიდან აცილება და არაეთიკური ქცევის პრევენციაზე ყურადღების გამახვილება. მონიტორინგთან ერთად ანალიზის განხორციელება იძლევა არსებული პრაქტიკის შემოწმების, გაკონტროლების, არსებულ პრობლემებსა და დარღვევებზე ინფორმაციის შეგროვების, მათი განზოგადების, პროგნოზირებისა და სათანადო ღონისძიებების დაგეგმვის შესაძლებლობას. რამდენადაც მონიტორინგის სამსახურის ძირითადი საქმიანობა არის საჯარო მოსამსახურეების ეთიკურ ქცევაზე კონტროლის განხორციელება, სწორედ მათ მოეპოვებათ ინფორმაცია არსებული პრობლემების შესახებ, ამიტომაც სწორედ მათ კომპეტენციასა და დაქვემდებარებაში უნდა შედიოდეს მოცემული მიმართულებით ანალიტიკური ფუნქციების განხორციელება. მონიტორინგს საკმაოდ ბევრი დადებითი ეფექტი აქვს, რის გამოც იგი შეიძლება ჩაითვალოს საჯარო სამსახურში მოხელეთა არაეთიკური ქცევის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვან საშუალებად. უპირველეს ყოვლისა, მონიტორინგის მექანიზმის მეშვეობით ეთიკის ნორმების გამოყენება აქტუალურობას იძენს და ექცევა რეგულაციის გარკვეულ ფარგლებში. შესაბამისად, მონიტორინგის მეშვეობით შესაძლებელია ეთიკური ნორმების კიდევ უფრო გაუმჯობესება და დახვეწა, ისეთი ნორმების გაუქმება, რომელთა ამოქმედება ან კონტროლი პრაქტიკულად შეუძლებელია და ისეთი ნორმების შემოღება, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკაში

61 ჯემალ გახოიძე, მალხაზ ბაძაღუა „ექსპერტთა მოსაზრება შინაგან საქმეთა სამინისტროს რეორგანიზაცია – რეფორმირებასთან დაკავშირებით", ჟურნალი „პიზნესინჟინერინგი" №1, თბ. 2015, გვ.221-224

დასარეგულირებელი ეთიკის საკითხების შესასრულებლად სავალ-დებულო ხასიათის მინიჭებას. ვინაიდან საზოგადოებისა და საჯარო სამსახურის განვითარებასთან ერთად იცვლება ეთიკური საკითხების მიმართ შეხედულებები. რაც არაეთიკური იყო 10-20 წლის წინ, დღეს ეთიკურია და პირიქით. ამიტომაც, მონიტორინგის დადებითი მხარე გამოიხატება არსებული პრაქტიკის შეფასებასა და ეთიკის ნორმე-ბის განვითარებაში. მეორე მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტი არის ის, რომ მონიტორინგის საფუძველზე ადვილად არის შესაძლებელი, პრაქტიკაში არსებული სირთულეების გამოსწორების მიზნით, სამმა-ვლო ღონისძიებების გატარების აუცილებლობის პროგნოზირება, მათ შორის, საჯარო სამსახურში დასაქმებულ მოსამსახურეთათვის სათა-ნადო უნარ-ჩვევების შესაძენად ტრენინგების ჩატარება. მონიტორინ-გის მექანიზმის არსებობა უზრუნველყოფს საჯარო მოსამსახურების მხრიდან საქმიანობის გაუმჯობესებას, მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგის შედეგად შემუშავებული ეთიკის სტანდარ-ტების პრაქტიკაში დანერგვას. თუმცა, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მონიტორინგის მექანიზმის რეპრესიულ იარაღად გამოყენება უკუშედეგის მომცემია და შეიძლება, თავად მონიტორინგის თანამ-შრომლების საქმიანობის არაეფექტურობის საფუძველი გახდეს. ასევე, შეიძლება გამოიწვიოს თანამშრომლებში მოტივაციის დაქვეითება, საქმის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება და შიშის დანერგვაც. ამდენად, მნიშვნელოვანია, მონიტორინგის სამსახური ძირითადად კონტროლისა და პრევენციის მიმართულებით მოქმედებდეს. ასევე იმისათვის, რათა თავად მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლების მხრიდან არ ჰქონდეს ადგილი არაეთიკურ მოქმედებებს კოლეგების მიმართ, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია გარე მონიტორინგის მექანიზმების საქმიანობა.

ზემოაღნიშნული მსჯელობის შედეგად, ნათელია მონიტორინ-გისა და ეთიკის მჭიდრო ურთიერთკავშირი. მნიშვნელოვანია ყველა დაწესებულებაში არსებობდეს მონიტორინგი, როგორც საჯარო მო-სამსახურეთა ეთიკური ქმედებისა და პრაქტიკაში არსებული დარღ-ვევების კონტროლის ეფექტური მექანიზმი. დარღვევების გამოვლენა და მისი აღმოფხვრა უზრუნველყოფს მომავალში მოსამსახურეთა ეთიკურ ქცევას. მონიტორინგის კონტროლის ფარგლებში შეიძლე-ბა განხორციელდეს მთელი რიგი პრევენციული ღონისძიებები. რა თქმა უნდა, რეაქტიულ მოქმედებებს ბევრად ჯობია პროაქტიული მოქმედებების განხორციელება. მაგალითად, მონიტორინგის ფარ-გლებში აუცილებელია საჯარო მოსამსახურეებთან ხშირი კონტაქტი

იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მათი საქმიანობის ეთიკური ნორმების დაცვით განხორციელებაში. ეს გარემოებები შეიძლება იყოს გადატვირთული გრაფიკის შედეგად ფსიქოლოგიური გადაღლილობა, სამსახურის რუტინულობა ან თუნდაც ჩაცმის სტილი, რომელიც მოქალაქეებში აგრესიას, ან უფრო მეტიც, ქილიკის საფუძველს ბადებს, რაც საჯარო მოსამსახურეს უბიძგებს თავადაც არაეთიკურად მოიქცეს. ამდენად, მონიტორინგის სწორი და სათანადო განხორციელება პირდაპირ კავშირშია საჯარო სამსახურში ეთიკის სტანდარტების ზრდასთან.

მონიტორინგის განხორციელება თავის თავში მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან ეტაპს, რომლებიც მონიტორინგის განხორციელების ციკლად შეგვიძლია ნარმოვიდგინოთ, მათ შორის, მნიშვნელოვანია ოთხი ეტაპი: დაკვირვება-შეფასება-მოქმედებათა დაგეგმვა-გამოსწორება.

აღნიშნული ეტაპებიდან გამომდინარე, თითოეული ეტაპი მიმართული უნდა იყოს არსებული ან სამომავლო არაეთიკური ქმედებების აღმოფხვრისა და თავიდან აცილებისკენ. მოცემული ციკლის მეშვეობით მონიტორინგის სამსახური არ გადაიქცევა მხოლოდ დამსჯელობით მექანიზმად და შეძლებს შეინარჩუნოს თანამშრომელთა ნდობა, რაც, თავის მხრივ, პრაქტიკაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, თანამშრომლებისგან გახსნილი და რეალური ინფორმაციის მიღების გარანტი იქნება. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი გახდება ღონისძიებების დაგეგმვა ორგანიზაციაში არსებული ხარვეზების გამოსწორებისა და საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.[62]

ზოგადად საჯარო სამსახურში და კონკრეტულად სამართალდამცავ და სპეციალურ სამსახურებში: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში პროფესიული ეთიკის მონიტორინგის განხორციელების ფუნქცია და უფლებამოსილება მოქმედი კანონმდებლობით აკისრია შესაბამისი სამსახურების სტრუქტურულ ქვედანაყოფებს – გენერალურ ინსპექციებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ამოცანები, ფუნქციები და უფლებამოსილება განსაზღვრულია დებულებით[63]

62 „ეთიკისა და ქცევის ზოგადი ნესები საჯარო სამსახურში," 2015, თბ. გვ. 67.

63 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №123 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) დებულების დამტკიცების

გენერალური ინსპექციის ამოცანებია: სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, ტერიტორიულ ორგანოებში, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი შესრულების კონტროლი;

სამინისტროს მოსამსახურეების ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტების გამოვლენა, სამსახურებრივი ეთიკის ნორმების შესრულებისთვის კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება; სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება;

საქართველოს მთავარი პროკურორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ გამოსაძიებლად გადმოცემულ საქმეებზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება;

სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენისა და პრევენციის, სამინისტროს სისტემაში შემავალი დანაყოფების საქმიანობაში არსებული დარღვევების და ნაკლოვანებების გამოვლენის, აღმოჩენილი ხარვეზებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით მინისტრისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება;

ერთიანი საინფორმაციო პოლიტიკის გატარების მიზნით სამინისტროს იმ ქვედანაყოფებთან თანამშრომლობა, რომლებიც ახორციელებენ საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნქციებს; გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრის შესწავლა;

სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი მასალების და/ან სხვა სამსახურებრივი ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო გამჟღავნების შესაძლო არხების გამოვლენა.

გენერალური ინსპექციის კომპეტენციაა: გენერალური ინსპექციის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულების მიზნით, შესაბამისი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება, აგრეთვე აღნიშნული ამოცანების შესრულებისთვის სამინისტროს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ქვედანაყოფის შესაძლებლობების გამოყენება;

შესახებ". 2015, 23 თებერვალი.

სამინისტროს სისტემაში შემავალი დანაყოფების, მათ შორის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შემოწმება, არსებული დარღვევებისა და ნაკლოვანებების გამოვლენის, მატერიალური და ფინანსური რესურსების ხარჯვის, კანონიერებისა და მიზანშეწონილობის მიზნით;

სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, პროკურატურასა და ადმინისტრაციულ ორგანოებთან, ასევე იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან თანამშრომლობა;

სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენისა და პრევენციის მიზნით განხორციელებული შემოწმების პროცესში მოპოვებული მასალების შესწავლა, ანალიზი და სათანადო რეკომენდაციების მინისტრისათვის წარდგენა; სამსახურებრივი შემოწმების შედეგად შესაბამისი დასკვნის ან ცნობის მომზადება;

სამსახურებრივი შემოწმების შედეგად სამინისტროს მოსამსახურის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში მოპოვებული მასალების პროკურატურისთვის დადგენილი წესით გადაგზავნა; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება საქართველოს მთავარი პროკურორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ გამოსაძიებლად გადმოცემულ საქმეებზე;

განვიხილოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის პრაქტიკული საქმიანობა საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის შესწავლის შედეგების[64] ანგარიშის საფუძველზე. კერძოდ, სახალხო დამცველის აპარატმა 172 საქმიდან 165 ადგილზე შესწავლილი და 7 ინდივიდუალური განცხადების საფუძველზე გადაცდომა დაადასტურა. მათგან დისციპლინური პასუხისმგებლობა მხოლოდ 8 შემთხვევას მოჰყვა. ამათაგან, ერთ შემთხვევაში გადაცდომა 2 პირის მიმართ დადასტურდა და შესაბამისად, 2 პირს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა. შესაბამისად, სულ 9 პირს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა. მასალის შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ მოქალაქეები გენინსპექციას ძირითადად სატელეფონო ცხელი ხაზით უკავშირდებიან. ხშირია არარელევანტური (სამოქალაქო დავა, გაურკვეველი მოთხოვნა) ტიპის განცხადებები. გარდა ამისა,

64 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის შესწავლის შედეგები, „დისციპლინური წარმოება, მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიმართ“ – http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4923.pdf

მოქალაქეები ხშირად თავად გაითხოვენ საკუთარ საჩივრებს. საჩივრის გათხოვის მიზეზად მითითებულია, რომ „მოქალაქე გაერკვა ვითარებაში და პრეტენზია აღარ აქვს".

მიუხედავად განმცხადებელთა დიდი რაოდენობისა, აშკარაა, რომ მოქალაქეებს სათანადო წარმოდგენა არ აქვთ გენინსპექციის უფლებამოსილებაზე. წარმოდგენილ მასალაში მაღალი იყო რაოდენობა ისეთი ტიპის საჩივრებისა, რომელიც სხვა ორგანოს განსახილველ საკითხს წარმოადგენდა. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ გენინსპექცია არ იწყებს სამსახურებრივ შემოწმებას სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე წარდგენილ საჩივრებზე და განცხადებას აგზავნის პროკურატურაში.

რელევანტური საჩივრების უმეტესობა შეეხება პოლიციელთა გულგრილობის ან უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევებს, რა დროსაც ხდება დოკუმენტაციის (მაგ. სამართალდარღვევის ოქმის) მოძიება და საჩივრის ადრესატის გამოკითხვა. თუკი სამართალდარღვევის ოქმში დეტალურად არ არის აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები, ინფორმაციის შევსება ხდება ახსნა-განმარტების ოქმით. ინსპექტორები რეგულარულად უკავშირდებიან მოქალაქეებს და მოიპოვებენ საჩივართან დაკავშირებულ ინფორმაციას. საჩივრებზე რეაგირება მყისიერია, რასაც ხელს უწყობს რეგიონული ოფისების არსებობა.

დოკუმენტაციის მოპოვებასთან დაკავშირებით არსებობს ორი ტიპის არსებითი ხარვეზი. პირველ მათგანს წარმოადგენს სამხრე კამერების ჩანაწერების მოპოვება. უწყების წარმომადგენელთა ზეპირი განმარტებით, წარმოდგენილ მასალებში, ტექნიკური მიზეზების გამო, შესაძლოა გარკვეული დოკუმენტები არ ყოფილიყო ასახული. თუმცა აშკარაა, რომ არცერთ წარმოდგენილ საქმეში არ ფიგურირებდა სამხრე კამერის ჩანაწერის მოპოვებასთან დაკავშირებით უწყების მიერ განხორციელებული მოქმედება და შესაბამისად, არც ჩანაწერები არსებობს. მეორე მნიშვნელოვანი ხარვეზია ის, რომ საქმისწარმოება წყდება, თუკი პირი ვერ ახდენს პოლიციელის იდენტიფიცირებას. ეს პრობლემას წარმოადგენს იმ შემთხვევებში, როდესაც გენინსპექციას თავად შეეძლო საჩივრის ადრესატის იდენტიფიკაცია (მაგ. მაშინ, როდესაც შემთხვევა მეტროს ტერიტორიაზე ხდებოდა). განსაკუთრებით პრობლემატურია ისეთი საქმეები, როდესაც საქმეში არსებობს დარღვევის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულება, მაგალითად, ვიდეოკამერის ჩანაწერის, ან სასამართლო გადაწყვეტილების სახით, თუმცა, საქმისწარმოება წყდება იმის გამო, რომ, გაურკვეველი მიზეზით, „უფლების დარღვევამ დადასტურება ვერ ჰპოვა".

შემოწმების მასალებში ხშირია პოლიციელთა ახსნა-განმარტებების იდენტური ტექსტები. სიტყვასიტყვით მეორდება არა მხოლოდ ცალკეული ნინადადებები, არამედ, ხშირად, მთლიანი ახსნა-განმარტებაც, რაც შემოწმების ობიექტურობას ეჭვქვეშ აყენებს.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს გენინსპექციის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების დასაბუთება. საქმეებში არსებული შემაჯამებელი ტიპის დოკუმენტი, როგორც წესი, მინიმალურ ინფორმაციას შეიცავს. საქმეებში არ გვხვდება მოქალაქეებისთვის ამ ინფორმაციის გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა, რამდენიმე საქმეში არსებობდა მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებელს საქმის დასრულების შესახებ სატელეფონო საუბრით ეცნობა. მნიშვნელოვანია, საჩივართან დაკავშირებით განხორციელებული სამართლებრივი რეაგირებისა და შედეგის შესახებ განმცხადებელს წერილობითაც ეცნობოს.

დასაბუთების ნაკლებობა პრობლემას წარმოადგენს მაშინაც, როდესაც ხდება პოლიციელისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრება. წარმოდგენილ მასალებში ზოგჯერ გაურკვეველია, თუ რაში გამოიხატა დარღვევა. შესწავლილ დოკუმენტებში აღნიშნულია მხოლოდ ზოგადი მითითება სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობაზე, კერძოდ, რომ პოლიციელმა არ შეასრულა შს მინისტრის 201-ე ბრძანება. აუცილებელია, რომ შემაჯამებელი დოკუმენტიდან ნათელი იყოს ის კონკრეტული ქმედება, რომელმაც გამოიწვია სახდელის დადება და სამართლებრივი ნორმა, რომელიც პოლიციელმა დაარღვია.

172 საქმიდან შვიდი ინდივიდუალური საქმის შესწავლის შედეგად გაცილებით უფრო მძიმე სურათი გამოიკვეთა. სახალხო დამცველის შეფასებით სამსახურებრივ შემონმება არ იყო სრულყოფილი; არ იყო მოპოვებული ადვილად ხელმისაწვდომი, საქმისთვის რელევანტური ინფორმაცია. მაგალითად:

- რამდენიმე საქმეში ახსნა-განმარტება არ ჩამოერთვა თავად საჩივრის ავტორებს, რომლებიც სავარაუდო უფლებადარღვევაზე აცხადებდნენ;
- მოქალაქის განცხადების მიუხედავად, რომელიც შეეხებოდა ნარკოლოგიური შემონმების ცენტრში მისი უფლების დარღვევის ფაქტებს, არ მოხდა წერილობითი, ვიდეო ან სხვა ტიპის დოკუმენტაციის მოპოვება; სხვა შემთხვევაში, გამოიკითხა აღნიშნულ ცენტრში მყოფი მხოლოდ ერთი პირი;
- მოქალაქე აცხადებდა, რომ შსს-ს ერთ-ერთი დეპარტამენტის შენობის ეზოსა და შენობაში, სადაც, სავარაუდოდ, განთავსებულია

ვიდეო სათვალთვალო კამერები, მის მიმართ განხორციელდა სიტყვიერი შეურაცხყოფა. მიუხედავად ამისა, არავითარი ღონისძიება არ განხორციელებულა ვიდეოჩანაწერის მოსაპოვებლად.

შესაბამისად, ამ საქმეებში გენინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება ვერ ჩაითვლება სრულყოფილად. გარდა ამისა, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა შემოწმების ფორმალური მიმდინარეობა, კერძოდ:

• ინფორმაციას ისეთი უფლებადარღვევის თაობაზე, რომელიც არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს და აშკარად დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს, გენინსპექცია აგზავნის პროკურატურაში და სამსახურებრივი შემოწმება მხოლოდ პროკურატურის მიერ საქმის უკან დაბრუნების შემდეგ იწყება, რაც პროცესს დროში აჭიანურებს და ამცირებს ობიექტური მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას;

• შემოწმების მასალების მიხედვით, გაურკვეველია დასკვნაში დადგენილად მიჩნეული ფაქტების თაობაზე ინფორმაციის მიღების წყარო. საქმის მასალებში არ მოიპოვება შეტყობინება, განცხადება ან/და პატაკი იმის შესახებ, თუ რა ინფორმაციამ განაპირობა შემოწმების დაწყება;

• კანონმდებლობა არ არეგულირებს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს. ინტერესთა კონფლიქტის სავარუდო შემთხვევაზე მიუთითებდა ერთ-ერთი განმცხადებელი სახალხო დამცველის აპარატისადმი მომართვაშიც, რაც, გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული შემოწმების ობიექტურობას ეჭვქვეშ აყენებს.

დასკვნის სახით სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია რომ, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენინსპექციის მიერ შედგენილი დასკვნების დასაბუთების ხარისხი არის იმდენად დაბალი, რომ მათი კანონიერების შემოწმება შეუძლებელია და გამოსწორებას საჭიროებს.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალური ინსპექციის ამოცანები, ფუნქციები და უფლებამოსილება განსაზღვრულია დებულებით[65]

გენერალური ინსპექციის ამოცანებია: სამსახურის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, ტერიტორიულ ორგანოებში და სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიულ პირში კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი შესრულების კონტროლი; სამსახურის სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების

65 საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის №8 ბრძანება „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) დებულების დამტკიცების შესახებ". 2015, 1 აგვისტო.

დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება;

სამსახურის სისტემის მოსამსახურეთა მიერ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენისა და პრევენციის, სამსახურის სისტემაში შემავალი დანაყოფების საქმიანობაში არსებული დარღვევების და ნაკლოვანებების გამოვლენის, აღმოჩენილი ხარვეზებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით სამსახურის უფროსისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მინოდება;

სამსახურის მოსამსახურეების ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტების გამოვლენა, სამსახურებრივი ეთიკის ნორმების შესრულებისთვის კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;

ერთიანი საინფორმაციო პოლიტიკის გატარების მიზნით სამსახურის იმ ქვედანაყოფებთან თანამშრომლობა, რომლებიც ახორციელებენ საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნქციებს;

სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი მასალების და/ან სხვა სამსახურებრივი ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო გამჟღავნების შესაძლო არხების გამოვლენა;

საქართველოს მთავარი პროკურორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ გამოსაძიებლად გადმოცემულ საქმეებზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება; კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამსახურის სისტემის კომპეტენციაში შემავალი ამოცანების შესრულების კონტროლი.

გენერალური ინსპექციის კომპეტენციაა: გენერალური ინსპექციის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულების მიზნით, შესაბამისი ოპერატიულ-სამძებრო და კონტრდაზვერვითი ღონისძიებების განხორციელება, აგრეთვე აღნიშნული ამოცანების შესრულებისთვის სამსახურის ოპერატიულ-სამძებრო და კონტრდაზვერვითი საქმიანობის განმახორციელებელი ქვედანაყოფების შესაძლებლობების გამოყენება; სამსახურის სისტემაში შემავალი დანაყოფების, მათ შორის, ოპერატიულ-სამძებრო და კონტრდაზვერვითი საქმიანობის შემოწმება არსებული დარღვევებისა და ნაკლოვანებების გამოვლენის, მატერიალური და ფინანსური რესურსების ხარჯვის, კანონიერებისა და მიზანშეწონილობის მიზნით;

სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, პროკურატურასა და ადმინისტრაციულ ორგანოებთან, ასევე იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან თანამშრომლობა; სამსახურებრივი შემოწმების შედეგად

სამსახურის მოსამსახურის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში მოპოვებული მასალების პროკურატურისთვის დადგენილი წესით გადაგზავნა; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება საქართველოს მთავარი პროკურორის, ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ გამოსაძიებლად გადმოცემულ საქმეებზე;

სამსახურის მოსამსახურეთა მიერ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენისა და პრევენციის მიზნით განხორციელებული შემოწმების პროცესში მოპოვებული მასალების შესწავლა, ანალიზი და სათანადო რეკომენდაციების სამსახურის უფროსისათვის წარდგენა; სამსახურებრივი შემოწმების შედეგად შესაბამისი დასკვნის ან ცნობის მომზადება;

განვიხილოთ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალური ინსპექციის პრაქტიკული საქმიანობა საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის შესწავლის შედეგების[66] ანგარიშის საფუძველზე.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალურ ინსპექციას მოქალაქეები, სხვა ორგანოებთან შედარებით, გაცილებით იშვიათად მიმართავენ. მიმართვიანობის სიმწირე ტენდენციების გამოკვეთის შესაძლებლობასაც არ ქმნის, თუმცა, 12 საქმის ანალიზზე დაყრდნობით გარკვეული შეფასებები სახალხო დამცველის აპარატმა მაინც შეძლო. 12 საქმის შემოწმების შედეგად გადაცდომა დადასტურდა 1 შემთხვევაში, რომელსაც მოჰყვა პირის დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში გადაცდომა არ დადასტურდა. 12-დან 7 შემთხვევაში საჩივარი ეხებოდა ისეთ საკითხებს, რაც არ განეკუთვნება გენინსპექციის კომპეტენციას. არაკომპეტენციას მიკუთვნებულ საჩივრებს შორის იყო ისეთიც, როდესაც მოქალაქის მიერ მითითებული პირი არ მუშაობდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში.

ამ საქმეთა შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სამასხურის გენინსპექცია სამსახურებრივ შემოწმებას იწყებს და რიგ მოქმედებებს ახორციელებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც საჩივარი აშკარად არარელევანტურია და შეეხება, მაგალითად, სამოქალაქო ტიპის დავას. ერთ-ერთ შემთხვევაში, სამსახურებრივი შემოწმება არასრულყოფილად

66 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის შესწავლის შედეგები, „დისციპლინური წარმოება, მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიმართ" – http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4923.pdf

განხორციელდა. კერძოდ, დაგვიანებით მოხდა ვიდეოჩანაწერის გამოთხოვა, რის გამოც მისი მოპოვება შეუძლებელი გახდა. ასევე არ გამოიკითხა პირი, ვისზეც უთითებდა განმცხადებელი და რომლის იდენტიფიცირებაც პრობლემას არ წარმოადგენდა. სხვა შემთხვევებში, გენინსპექციის მოქმედებები გონივრულ ვადაში განხორციელდა. გენინსპექციის დასკვნა, როგორც წესი, დასაბუთებულია, თუმცა, გვხვდება გამონაკლისებიც, რასაც შემოწმების არასრულყოფილი ხასიათი განაპირობებს. ერთ-ერთ საქმეში სამსახურებრივი შემოწმების დასკვნა საერთოდ არ იყო შედგენილი. მნიშვნელოვანია, სამსახურებრივი შემოწმების დასრულებისას ყველა შემთხვევაში შედგეს დასკვნა, სადაც შემოწმების პროცესის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია აისახება. შესწავლილი საქმეების უმეტესობაში განმცხადებელს შემაჯამებელი პასუხი აცნობა გენინპექციამ, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

მიზანშეწონილია საჯარო სამსახურებში და განსაკუთრებით სამართალდამცავ და სპეციალურ სამსახურებში გაიმიჯნოს შიდა და გარე მონიტორინგის მექანიზმები, საპარლამენტო, სამთავრობო, სასამართლო, საპროკურორო, სახელმწიფო აუდიტის, ასევე საზოგადოების მხრიდან, არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიის კონტროლი და ზედამხედველობა, ასევე გარე მონიტორინგში მოიაზრება, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით დამოუკიდებელი საგამომძიებლო ფუნქციის მქონე სტრუქტურა, რომელიც თავიდან აიცილებს, გამოავლენს და გამოიძიებს საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურის მოსამსახურეთა მხრიდან კორუფციულ და სხვა სახის დანაშაულს, რაც შეეხება შიდა კონტროლს, რომელსაც განხორციელებს გენინსპექცია, როგორც დისციპლინური დევნისა და პროფესიული ეთიკის მონიტორინგის მექანიზმი, მის ფუნქციაში შევა ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსით, სამსახურეობრივი ეთიკის კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი არაეთიკური ქმედებებისა და ქცევის წესების დარღვევის გამოვლენა, რეაგირება და თავიდან აცილება.[67]

1.5. საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალურ სამსახურების მოსამსახურეთა პროფესიული მომზადება

გლობალიზაციის პირობებში თანამედროვე საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ახალი გამოწვევები, ცვლილებები და სიახლეები,

67 ფეფალ გახოიძე, მალხაზ ბაძაღუა „ექსპერტთა მოსაზრება შინაგან საქმეთა სამინისტროს რეორგანიზაცია – რეფორმირებასთან დაკავშირებით", ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი" №1, თბ. 2015, გვ.221-224

რომელთა გადაწყვეტა, შესაბამისად განსხვავებული ეთიკური პრობლემების თავიდან აცილება მოითხოვს სპეციალურ შესწავლას და განზოგადოებას როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მომავალი სპეციალისტის, ასევე პროფესიულ სასწავლებლებში, შესაბამისი სახელმწიფო დანესებულების მოსამსახურის მომზადებისა და გადამზადების ფარგლებში.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას ემსახურება სასწავლო კურსი „პროფესიული ეთიკის საფუძვლები, საჯარო-სამართალდამცავ და სპეციალურ სამსახურებში", რომლის მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო და შესაბამის სახელმწიფო დანესებულებებში პროფესიული მომზადებისა და დაოსტატებისათვის დაეუფლონ პროფესიული ეთიკის საფუძვლებს, საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურის საქმიანობის პრინციპებს და ამ სამსახურებში პროფესიული ეთიკისა და ქცევის თანამედროვე სტანდარტებს.

პროფესიული დაოსტატება წარმოადგენს სწავლების, ცოდნის, უნარ-ჩვევების ერთობლიობას, რომლებიც ერთმანეთისაგან შინაარსის, დანიშნულებისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით განსხვავდებიან.

პროფესიულ ცოდნა არის პროფესიულად დიდმნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც სპეციალისტის ცნობიერების, მეხსიერების კუთვნილება გახდა. საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეების პროფესიული ცოდნის საფუძველია კანონმდებლობისა და ეთიკური ნორმების ცოდნა, მათი მხრიდან კანონის გამოუყენებლობა, უგულველყოფა და არცოდნა დანაშაულია, ხოლო არაეთიკური ქმედებები საზოგადოების მხრიდან გაკიცხვას და უნდობლობას იმსახურებს.

პროფესიონალი არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია იმოქმედოს პროფესიონალურად, მაღალი პროფესიული სტანდარტებით მიიღოს პრაქტიკული შედეგები. ამის უზრუნველყოფ ფსიქოლოგიურ კომპონენტად გვევლინება პროფესიული უნარ-ჩვევები. **პროფესიულ ჩვევას უწოდებენ მოქმედების შესრულების ავტომატიზირებულ ხერხს**, რომელიც ამ უკანასკნელის ეფექტიანობას უზრუნველყოფს. ჩვევების მახასიათებლებია: სისწრაფე, სიზუსტე, ეკონომიურობა – ადამიანური და ფინანსური რესურსების, მექანიკურობა – მოქმედების შესრულების ტექნიკა ყურადღების კონცენტრაციის გარეშე, სტერეოტიპულობა – შესრულების ერთსახოვნება განმეორებისას, კონსერვატიულობა – ცვალებადობის სიძნელე, საიმედოობა, ნარუმატებლობა.

ჩვევას საფუძვლად უდევს ერთმანეთთან დაკავშირებული, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური სისტემურობა. ის, რასაც ვუყურებთ გამოცდილი პროფესიონალის მიერ სწრაფ, ზუსტ, იმავდროულად თავისუფლად შესრულებულ მოძრაობასა და მოქმედებას, ეს არის ჩამოყალიბებული შინაგანი ჩვევის მხოლოდ გარეგნული გამოხატულება, რომელიც ასრულებს დამაპროგრამებელ, შემფასებელ და მარეგულირებელ როლს.

თავისი ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისებურებების გამო ჩვევები არის სენსორული, რომლებიც უზრუნველყოფენ მეთვალყურეობას, დოკუმენტების შემონმებას, თანამოსაუბრის თავისებურებების გამოვლენას, წერილმანი დეტალების გარჩევას, მათ იდენტიფიკაციას და ა.შ. გონებრივი ჩვევა ეს არის დოკუმენტებთან მუშაობა, მათი გაფორმება და შევსება, რუკებისა და სქემების წაკითხვა, ვითარების სწრაფი შეფასება, კანონებისა და ნორმების დაცვა, მუშაობის დაგეგმვა და სხვა. მამოძრავებელი ჩვევა არის საგზაო მოძრაობის მარეგულირებლის, ჟესტიკულაცია, ხელების მოძრაობა, დამნაშავის დაკავების ან თავდაცვის ხერხების პროფესიონალური შესრულება, საგამომძიებლო-კრიმინალისტიკური ჩანთის მონყობილობების ხმარება, ხელების მოძრაობა ადამიანის ჩხრეკის დროს, ბუდიდან იარაღის სწრაფი ამოღება და ა.შ. კომპლექსური ჩვევები ეს არის ურთიერთობის ჩვევები, საშიში სიტუაციების რეგულირება, იარაღიდან სროლა, კომპიუტერთან მუშაობა და სხვა. ჩვევების კლასიფიკაცია სხვა ნიშნებითაც ხდება მაგალითად, შინაარსობრივ-ფუნქციურ თავისებურებათა მიხედვით: დოკუმენტებზე, კავშირგაბმულობის საშუალებებზე, კრიმინალისტიკური მუშაობის ჩვევა.

პროფესიული უნარი არის სპეციალისტის მიერ ათვისებული არასტანდარტულ, უჩვეულო, რთულ სიტუაციებში პროფესიული მოქმედების წარმატებული შესრულების კომპლექსური ხერხი, მასში გაერთიანებულია ცოდნისა და ჩვევათა ჯგუფები საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა სპეციალურ განსწავლულობასთან ერთად, რათა ისინი გამოყენებულ იქნენ ასეთ სიტუაციებში. უნარში არის ავტომატიზმის ელემენტები, მაგრამ მთლიანად იგი მუდამ ცნობიერად ხორციელდება. ჩვევისაგან განსხვავებით უნარში ნათლად და აქტიურად წარმოდგენილია აზროვნება. თუ ჩვევები უზრუნველყოფენ დამაჯერებელ და ეფექტიან მოქმედებას სტანდარტულ, თითქმის თანაბარ განმეორებით სიტუაციებში, უნარი ასეთ მოქმედებას უზრუნველყოფს არასტანდარტულ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ სიტუაციებში. იგი შესამჩნევია მოცემული

სიტუაციის თავისებურების სწორ შესწავლასა და გაგებაში, ადეკვატური გადაწყვეტილების მიღებაში, მოქმედების წესისა და ხერხის სახეცვლილებაში, ისე, რომ ისინი შეესაბამებოდნენ ვითარებას მოცემულ შემთხვევაში. უნარის დამახასიათებელი ნიშნებია: სიტუაციის სპეციფიკის ადეკვატურობა, აზრიანობა, ვითარების შესაბამისი მოქნილობა, შესრულების სისწრაფე, საიმედოობა და ნარმატებულობა.[68]

განასხვავებენ მარტივ და რთულ უნარს. თუ საჭირო არ არის გამოყენებული ცოდნის გარდაქმნა და მათგან პირდაპირ გამომდინარეობს, თუ რა და როგორ გაკეთოს, მაშინ მოსამსახურე ადეკვატურად ავლენს მარტივ უნარს, ცოდნას. ზოგჯერ ასეთი ცოდნა-უნარი გვეელინება, როგორც რაიმე ჩვევის ფორმირების ეტაპი და ოსტატობისათვის დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს. სხვა საქმეა რთული ცოდნა-უნარი, რომელიც შეიცავს ცოდნასა და ჩვევებს, მაგრამ თვითონ ჩვევად არ გადაიქცევა. მაგალითად, ისეთი პროფესიული მოქმედებანი, როგორიც არის შემთხვევის ადგილის დათვალიერება, დაკითხვა, შეიარაღებული დამნაშავის დაკავება, პირის ძებნა, გამოკითხვა, ოპერატიული საქმიანობა, პატრულირება, დანაშაულის გახსნა, მძევლების განთავისუფლება და სხვა. რამდენჯერაც არ უნდა შეასრულოს სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურის ერთი და იმავე მოსამსახურემ, არასდროს სრულდება დაუფიქრებლად, მექანიკურად, მუდმივად საჭიროა დაძაბული ფიქრი, შემოქმედებითი ძიება და დამოუკიდებელი მოქმედება.

რთული პროფესიული უნარი სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურის მოსამსახურის პროფესიული ოსტატობისა და სპეციალური განსწავლულობის სათავეა. მათთვის პროფესიული უნარის ათვისება მათი პროფესიული მომზადების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

როდესაც ვასწავლით პროფესიულ უნარ-ჩვევებს უმაღლეს საგანმანათლებლო და შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებში სტუდენტებსა და სამსახურის მოსამსახურეებს, სრულვყოფთ ოსტატობას, პრაქტიკით საჭიროა განვსაზღვროთ ცოდნის, ჩვევებისა და უნარის ზუსტი ნუსხა, რომელთა შეძენა და სრულყოფა ხდება სწავლების პროცესში, სასწავლო დისციპლინის შესწავლისას.

დასკვნით სახით აღვნიშნავთ, რომ საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურის მოსამსახურეთა პროფესიულ მომზადებისათვის მნიშვნელოვანია უმაღლეს საგანმანათლებლო და შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებების პროფესიული მომზადების ცენტრებში დაინერგოს სპეციალური სასწავლო კურსი „პროფესიული

68 მალხაზ ბაძაღუა „იურიდიული პედაგოგიკა" თბ. 2006. გვ 70.

ეთიკის საფუძვლები, საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალურ სამსახურებში".

საკონტროლო კითხვები

1.1.

- რა პროფესიული თავისებურებები ახასიათებს საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურის მოსამსახურეებს?
- რა ზნეობრივი ფაქტორები ახდენს გავლენას საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურის მოსამსახურეებზე?

1.2.

- რა იგულისხმება ფსიქოლოგიურ-ნებელობით მახასიათებლებში?
- რა მნიშვნელობა აქვს ეთიკისა და ქცევის ფსიქოლოგიურ-ნებელობით მახასიათებლებს საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა საქმიანობაში?

1.3.

- რა მოიაზრება პროფესიული გადაღლის ტერმინში და მისი გავლენა პროფესიულ საქმიანობაზე?
- რა მოიაზრება პროფესიული გადაწვის ტერმინში და მისი გავლენა პროფესიულ საქმიანობაზე?
- რომელი ფსიქოლოგიური გადანვის სტადიებს იცნობთ?
- რა უწყობს ხელს ფსიქოლოგიურ გადანვას და როგორ ავიცილოთ?
- რას ნიშნავს პროფესიული გადახრა/დეფორმაცია?
- რა ინვევს პროფესიულ გადახრა/დეფორმაციას?
- პროფესიული გადახრა/დეფორმაციის პრევენციის, რომელ ღონისძიებებს იცნობთ?

1.4.

- რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდება საჯარო სამსახურის საბჭოს და ბიუროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალური ინსპექციების საქმიანობა?

1.4.1.

- რა ფუნქციები აქვს დაკისრებული საჯარო სამსახურის საბჭოს და ბიუროს?
- მოიყვანეთ მაგალითები საჯარო სამსახურის ბიუროს საქმიანობის პრაქტიკიდან.

1.4.2.

- რა ძირითადი ამოცანები და კომპეტენცია აქვს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულ სააგენტოს?
- მოიყვანეთ მაგალითები ანტიკორუფციული საქმიანობის პრაქტიკიდან.

1.4.3.

- რას ნიშნავს მონიტორინგი საჯარო სამსახურში ?
- მონიტორინგის რომელი ფორმებია გავრცელებული?
- რომელი ძირითადი ეტაპებისაგან შედგება მონიტორინგის განხორციელება?
- რა ამოცანები და კომპეტენცია აკისრია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას?
- მოიყვანეთ მაგალითები შინაგან საქმეთა სამინიოსტროს გენერალური ინსპექციის საქმიანობის პრაქტიკიდან.
- რა ამოცანები და კომპეტენცია აკისრია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალურ ინსპექციას?
- მოიყვანეთ მაგალითები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალური ინსპექციის საქმიანობის პრაქტიკიდან.

1.5.

- პროფესიული მომზადების და სნავლების მნიშვნელობა საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურებისათვის.
- რას ნიშნავს პროფესიული დაოსტატება, ცოდნა და უნარ-ჩვევები?

მეორე თავი

საჯარო სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები, ინტერესთა შეუთავსებლობა და კორუფცია, პროფესიული ეთიკისა და ქცევის საკითხები

2.1. საჯარო სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

საჯარო სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე, კანონებით: „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“.

კანონმდებლობით საჯარო სამსახური არის სახელმწიფო სამსახურში საქმიანობა, გარდა კანონით განსაზღვრული პირების მიერ განხორციელებული საქმიანობისა, (დანართი №1, „პირები, რომლებზედაც არ ვრცელდება კანონის მოქმედება“) მუნიციპალიტეტის ორგანოებში-დაწესებულებებში საქმიანობა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობა, გარდა კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კელევით, სასპორტო და რელიგიურ, წევრობაზე დაფუძნებულ და „საჯარო სამსახურის შესახებ“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონებით განსაზღვრული კატეგორიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობისა. საჯარო სამსახურად ითვლება აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოების აპარატებში, საქართველოს ეროვნული ბანკის აპარატში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში, საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიების აპარატებში, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციაში საქმიანობა.

საქართველოს კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“ განსაზღვრულია საჯარო სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები: ა) კანონიერების პრინციპი; ბ) ერთგულების პრინციპი; გ) კანონის წინაშე

თანასწორობის პრინციპი; დ) ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპი; ე) დამსახურებაზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის პრინციპი; ვ) მიუკერძოებლობის პრინციპი; ზ) საქართველოს მოქალაქეთათვის საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპი; თ) ანგარიშვალდებულების პრინციპი; ი) პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპი; კ) კარიერული განვითარების პრინციპი; ლ) გამჭვირვალობის და ღიაობის პრინციპი; მ) მოხელის სოციალური და სამართლებრივი დაცვის პრინციპი.

კანონმა, საჯარო მოხელის საქმიანობის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, განსაზღვრა საჯარო მოხელის ფიცის მიღების პროცედურა და ფიცის ტექსტი, რომლის დადების მომენტიდან იწყება მოხელის სამობელეო სამართლებრივი ურთიერთობები. საჯარო მოხელის ფიცის ტექსტში აღნიშულია **„შეგნებული მაქვს საჯარო სამსახურში ჩემთვის დაკისრებული უდიდესი პასუხისმგებლობა და ვაცხადებ, რომ ერთგულად ვემსახურები ხალხსა და სახელმწიფოს, დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, კანონებსა და სხვა სამართლებრივ აქტებს, პატივს ვცემ საჯარო ინტერესებს, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, კეთილსინდისიერად აღვასრულებ ჩემს მოვალეობებს."**

ფიცის მიღებიდან საჯარო მოსამსახურე იღებს ვალდებულებას პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დაიცვას კანონმდებლობით დაკისრებული ძირითადი პრინციპები, ასევე ეთიკისა და ქცევის ნორმები.

განვიხილოთ საჯარო სამსახურის საქმიანობის თითოეული ძირითადი პრინციპი:

ა) კანონიერების პრინციპი

საჯარო სამსახურში კანონიერების პრინციპის თანახმად, საჯარო მოსამსახურე[69] უნდა მოქმედებდეს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. საჯარო მოსამსახურის ნებისმიერი ქმედება კანონის უზენაესობისა და კანონისმიერი დათქმის პრინციპებს უნდა ემყარებოდეს.

საჯარო მოსამსახურეს კანონმდებლობით დადგენილი ნესით ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის, კანონიერებისათვის. იგი ვალდებულია მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვის საფუძველზე, რათა მის მიერ

69 საჯარო მოსამსახურე – „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით განსაზღვრული საზელმწიფო მოსამსახურე, პროფესიული საჯარო მოხელე და საჯარო სამსახურში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, აგრეთვე ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის პირები.

განხორციელებულმა საჯარო საქმიანობამ ამ მნიშვნელოვანი პრინციპის დარღვევა არ გამოიწვიოს.

ბ) ერთგულების პრინციპი

საჯარო სამსახურში ერთგულების პრინციპი თანახმად, საჯარო მოსამსახურე ვალდებულია თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება საჯარო სამსახურის პრინციპებისა და საჯარო ინტერესების დაცვის საფუძველზე განახორციელოს.

საჯარო მოსამსახურე ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისას იცავს ერგულების პრინციპს და მის ფარგლებში მოქმედებს. მისი მხრიდან საქმიანობის ერთგულება აისახება საჯარო სამსახურის ეფექტიანობაზე და დადებით გავლენას ახდენს მთლიანად საჯარო მმართველობით პროცესზე. ერთგულების პრინციპი გააზრებული და აღქმული უნდა იქნას სახელმწიფოს და საჯარო დანესებულებების წინაშე აღებული პასუხისმგებლობების ჭრილში. მაგალითად: საჯარო მოსამსახურე, რომელიც სამსახურში ცხადდება განსაზღვრულ დროს, სამუშაო ადგილს დროზე ადრე არ ტოვებს, ხოლო დაკისრებულ სამუშაო ფუნქციებს არასრულფასოვნად ასრულებს, ვერ ვიტყვით რომ საკუთარი საქმისადმი ერთგულების პრინციპის დაცვით მოქმედებს. ერთგულების პრინციპი თავის არსში საჯარო სამსახურში საქმიანობის ძირითადი პრინციპების ყველა კომპონენტის დაცვის მიზანს ემსახურება.

გ) კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი

საჯარო სამსახურში კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი ეფუძნება, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის „საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი" მე-14 მუხლს „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა".

ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული საკითხი, საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით მეორე თავის „ადამიანის ძირითადი უფლებები" მე-11 მუხლის „თანასწორობის უფლება" წარმოდგენილია შემდეგი სახით:

„ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით."

ამ პრინციპის თანახმად, ყველა საჯარო მოსამსახურე თანასწორია კანონის წინაშე. დაუშვებელია სამოხელეო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის კანონიერი უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ან საცხოვრებელი ადგილის, ენებრივი ან ნოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

დ) ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპი

საჯარო სამსახურში ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპის თანახმად, საჯარო მოსამსახურე ვალდებულია რესურსების ეკონომიურად გამოყენებითა და ხარჯვით ეფექტიანად, სწორად და კოორდინირებულად წარმართოს საჯარო სამსახურში ორგანიზაციული პროცესი ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად და ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესასრულებლად.

ამ პრინციპიდან გამომდინარე კანონის თანახმად, **საჯარო მოსამსახურე ვალდებულია**:

– სამსახურებრივი უფლებამოსილება რესურსების ეკონომიურად გამოყენებითა და ხარჯვით განახორციელოს და რაციონალურად გამოიყენოს საჯარო დანესებულების ქონება, რომელიც დაწესებულების გამართულ საქმიანობას განაპირობებს.

– შვებულებაში გასვლამდე, აგრეთვე თანამდებობიდან გათავისუფლებამდე სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით მისთვის მინდობილი საჯარო დაწესებულების ქონების დასაბრუნებლად მიმართოს საამისოდ უფლებამოსილ პირს, რომელიც ვალდებულია ჩაიბაროს ქონება.

– სამუშაო დრო ეფექტიანად და მხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოიყენოს.

ამასთანავე მოხელის მიერ საჯარო დაწესებულების ქონებისა და სხვა რესურსების პირადი მიზნით გამოყენება კანონის თანახმად დაუშვებელია.

ე) დამსახურებაზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის პრინციპი

დამსახურებაზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის პრინციპის

თანახმად, მოხელის სამსახურში მიღების შესახებ გადაწყვეტილება და მის კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილება მიუკერძოებლად უნდა იქნეს მიღებული და უნდა ეფუძნებოდეს მოხელის კომპეტენციისა და სამუშაოს შესრულების უნარის სამართლიან და გამჭვირვალე შეფასებას, რომლის მიზანია საუკეთესო კანდიდატის შერჩევა.

კანონის თანახმად, მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის დგინდება შესაბამისი აუცილებელი სპეციალური მოთხოვნები: რანგისათვის აუცილებელი სათანადო ცოდნა, კვალიფიკაცია და გამოცდილება, რომელიც განისაზღვრება „პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის აუცილებელი სპეციალური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილებით. დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ადგენს საჯარო დანესებულების ხელმძღვანელი საჯარო სამსახურის ბიუროსთან შეთანხმებით, თითოეული თანამდებობის სპეციფიკის და ამ თანამდებობისათვის დადგენილი სამუშაო აღწერილობის შინაარსის გათვალისწინებით.

ვ) მიუკერძოებლობის პრინციპი

საჯარო სამსახურში მიუკერძოებლობის პრინციპის თანახმად, საჯარო მოსამსახურე თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მიუკერძოებელი უნდა იყოს და უნდა ხელმძღვანელობდეს მხოლოდ საჯარო ინტერესებით. მას ეკრძალება პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობა.

მიუკერძოებლობის პრინციპთან არის დაკავშირებული ფავორიტიზმი, რომელიც მომდინარეობს ლათინური „favor"-სგან, რაც კეთილგანწყობას ნიშნავს. იგი არის განუვითარებელ სამოქალაქო საზოგადოებაში ორგანიზაციის თვითნებური მართვის სტილი, როდესაც ორგანიზაციის ხელმძღვანელი, პირადი დაინტერესებით, მმართველობით გადაწყვეტილებებს იღებს მისი რჩეულის უშუალო ზეგავლენით. [70]

ზ)საქართველოს მოქალაქეთათვის საჯარო სამსახურის თანაბარად ხელმისაწვდომობის პრინციპი

საქართველოს მოქალაქეთათვის საჯარო სამსახურის თანაბარად ხელმისაწვდომობის პრინციპის თანახმად, საქართველოს ყველა მოქალაქისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჯარო სამსახურში შესვლის თანაბარი შესაძლებლობა, მათი უნარის, კვალიფიკაციისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად. ამ პრინციპით უნდა მოქმედებდნენ საჯარო დანესებულებები, რაც ხელს შეუწყობს საჯარო

70 „მოხელის სამაგალო ლექსიკონი", შემდგენელი სამსონ ურიელია და სხვა. თბ., 2004. გვ.483

სამსახურში პროფესიული სტანდარტების ჩამოყალიბებას და განაპირობებს მის ეფექტურ საქმიანობას.

მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: ა) იცის სახელმწიფო ენა; ბ) მიაღწია 18 წელს; გ)აქვს კანონით გათვალისწინებული მოხელის სერტიფიკატი. პირი მოხელის თანამდებობაზე განსაზღვრელი ვადით ინიშნება.

ამასთანავე მოქმედებს კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები. კერძოდ პირი მოხელედ არ მიიღება, თუ: ა) იგი ნასამართლევია განზრახი დანაშაულისათვის; ბ) იგი საჯარო სამსახურიდან გათავისუფლდა დისციპლინური გადაცდომისათვის და დისციპლინური გადაცდომისათვის გათავისუფლებიდან ერთი წელი არ არის გასული; გ) მან სამსახურში მიღებისას არ წარმოადგინა კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ან წარმოდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს; დ) მას სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს საჯარო სამსახურში შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება; ე) იგი სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე ქმედუნარიანი პირი, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 18 წელს და იცის სახელმწიფო ენა, საჯარო სამსახურში შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

თ) ანგარიშვალდებულების პრინციპი

საჯარო სამსახურში ანგარიშვალდებულების პრინციპის თანახმად, საჯარო მოსამსახურე თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობისთვის პირადად აგებს პასუხს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მოხელე ვალდებულია შეასრულოს უშუალო ხელმძღვანელის განკარგულება, რომელიც შეესაბამება კანონმდებლობას, იმ შემთხვევაშიც, თუ ასეთი განკარგულების შესრულება არ განეკუთვნება მის ფუნქციებს და მისი შესრულება, საჯარო დანესებულების ფუნქციონირების ინტერესების გათვალისწინებით, აუცილებელია სტიქიური უბედურებისა და უბედური შემთხვევის თავიდან დროულად ასაცილებლად, ქონების დაღუპვისა და გაფუჭებისაგან დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი განკარგულების შესრულება საზიანოა მოხელის ჯანმრთელობისათვის ან აშკარად აღემატება მის შესაძლებლობებს.

ი) პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპი

საჯარო სამსახურში პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა პარტიული (პოლიტიკური) მიზნებისათვის ან/და ინტერესებისათვის გამოიყენოს. საჯარო მოსამსახურეს ასევე უფლება არა აქვს, სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მონაწილეობა მიიღოს აგიტაციასა და წინასაარჩევნო კამპანიაში. საჯარო მოსამსახურეს ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერი ან საწინააღმდეგო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება.

მოხელე სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვით, რომელიც გულისხმობს მის ვალდებულებას, სამუშაო საათებში თავი შეიკავოს პოლიტიკური აქტივობისაგან საჯარო სამსახურის მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად.

კ) კარიერული განვითარების პრინციპი

საჯარო სამსახურში კარიერული განვითარების პრინციპის თანახმად, კარიერული განვითარება ემყარება შეფასების სამართლიან სისტემას და სხვა მექანიზმებზე დაფუძნებულ პროფესიულ განვითარებას.

კანონის თანახმად, მოხელის თითოეული თანამდებობა შეესაბამება თითო კარიერულ საფეხურს, შემდეგი ფაქტორების მიხედვით: ა) პასუხისმგებლობა; ბ) მოვალეობათა შესრულების სირთულე; გ) კომპეტენციები; დ)აუცილებელი კვალიფიკაცია; ე) სამუშაო გამოცდილება. აღნიშნული ფაქტორები ნანილდება იერარქიულ რანგებში. მოხელის კარიერული განვითარება ხდება, ქვედა იერარქიული რანგის თანამდებობიდან ზედა იერარქიული რანგის თანამდებობაზე გადასვლისას და დაბალი თანამდებობიდან იმავე იერარქიული რანგის მაღალ თანამდებობაზე გადასვლისას.

მოხელის კარიერული განვითარება ხორციელდება დახურული კონკურსის საფუძველზე, კანონით დადგენილი წესით.

მოხელე ვალდებულია, საჯარო სამსახურის მიზნებიდან გამომდინარე, განავითაროს საკუთარი პროფესიული შესაძლებლობები საჯარო სამსახურის მიერ შეთავაზებულ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობით. მოხელის პროფესიული განვითარების მიზანია მისი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, საჯარო დანესებულების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

საჯარო დაწესებულება, მისი მიზნებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მოხელის პროფესიული განვითარების საგალდებულო პროგრამებში მონაწილეობას და ხელს უწყობს მის საჯარო სამსახურის სისტემის გარეთ არსებულ პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობას. საჯარო მოსამსახურის პროფესიული განვითარების საჭიროებას განსაზღვრავს საჯარო დაწესებულება ასევე თვით საჯარო მოსამსახურე, რომელსაც უფლება აქვს საჯარო დაწესებულებასთან შეთანხმებით მოითხოვოს შესაბამისი ანაზღაურებადი ან ანაზღაურების გარეშე შვებულება კანონით დადგენილი წესით.

მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესი, პროფესიული განვითარების სტანდარტი და წესი მტკიცდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

ლ) გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპი

საჯარო სამსახურში გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპის თანახმად, საჯარო სამსახური ხორციელდება გამჭვირვალედ და ღიად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. კერძოდ, **საჯარო სამსახურში მოსამსახურე ვალდებულია:** ა) საქმიანობა გამჭვირვალედ და ღიად განახორციელოს; ბ) უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის დაინტერესებულ პირზე გაცემა ან/და ხელი შეუწყოს მის გაცემას კანონმდებლობით დადგენილი წესით; გ) გამჟღავნებისგან დაიცვას სხვისი პერსონალური მონაცემები, სახელმწიფო, კომერციული და პროფესიული საიდუმლოებები, რომლებიც მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გახდა ცნობილი; დ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოპოვებული ინფორმაცია მხოლოდ კანონით განსაზღვრული მიზნით გამოიყენოს.

კანონის თანახმად, თანამდებობის პირის (დანართი № 2) ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისა და წარდგენის ვალდებულება, ინტერესთა შეუთავსებლობის, თანამდებობრივი შეუთავსებლობისა და გარიგების დადების შეზღუდვის საკითხები წესრიგდება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონით.

მ) მოხელის სოციალური და სამართლებრივი დაცვის პრინციპი

საჯარო სამსახურში მოხელის სოციალური და სამართლებრივი დაცვის პრინციპის თანახმად, ხალხისა და სახელმწიფოს ერთგულების პრინციპის დაცვის ხელშესაწყობად კანონმდებლობით განისაზღვრება მოხელის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები.

საჯარო სამსახურში მოხელის სოციალური და სამართლებრივი დაცვის საკითხები ძირითადად განსაზღვრულია „საჯარო სამსახურის

შესახებ“ კანონის მეშვიდე თავით „მოხელის უფლებები, გარანტიები და მოვალეობები“. რომლის თანახმად, მოხელეს უფლება აქვს, ჰქონდეს უსაფრთხო სამუშაო პირობები და მიიღოს სამსახურებრივი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები. საჯარო დაწესებულება ვალდებულია შექმნას შესაბამისი სამუშაო გარემო მოხელის კანონით გათვალისწინებული პირობებითა და საშუალებებით უზრუნველსაყოფად, აგრეთვე უზრუნველყოს მოხელეების მიმართ თანაბარი და სამართლიანი მოპყრობა ადამიანური რესურსების მართვის, კარიერული წინსვლის, ანაზღაურებისა და სამართლებრივი დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

ასევე მოხელეს აქვს უფლება, სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამის თანამდებობაზე გადაყვანის მოთხოვნის.

კანონი უფლებას აძლევს მოხელეს საჯარო სამსახურში საკუთარი უფლებების დასაცავად შექმნას პროფესიული კავშირი ან იყოს მისი წევრი; არჩეულ იქნეს პროფესიული კავშირის მართვის ორგანოებში და მონაწილეობა მიიღოს მის საქმიანობაში ანაზღაურების გარეშე, სამსახურისაგან თავისუფალ დროს.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით დალუპვის ან სხეულის დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად აღიარების ან დასახიჩრების შემთხვევაში საჯარო მოხელეს და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეციალური ნოდების მქონე თანამშრომელს ეძლევა კანონით განსაზღვრული ერთჯერადი ფულადი დახმარება. ასევე, კანონმდებლობით დადგენილია მოხელის საპენსიო უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნული კანონი ასევე ადგენს, რომ მოხელე ქალი არ შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის ან მოხელის შეფასების შედეგების გამო.

ამასთანავე კანონით განსაზღვრულია საჯარო მოხელის უფლების დაცვის საკითხები კერძოდ, მოხელეს უფლება აქვს, სამსახურებრივ საკითხზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, აგრეთვე ქმედება გაასაჩივროს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით. მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას.

მოხელის უფლებების დაცვის ნაწილში კანონი ადგენს, რომ ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. თუ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით. სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სხვა საჯარო დაწესებულებაში ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა დასაშვებია უკანონოდ გათავისუფლებული მოხელისა და ამ საჯარო დაწესებულების თანხმობით. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამსახურში აღდგენილ მოხელეს ეძლევა განაცდური შრომითი გასამრჯელო. ხოლო როდესაც მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია, იგი მოხელეთა რეზერვში ირიცხება და ეძლევა განაცდური შრომითი გასამრჯელო, აგრეთვე კომპენსაცია ბოლო თანამდებობრივი სარგოს სრული ოდენობით 6 თვის განმავლობაში.

2.2. ინტერესთა შეუთავსებლობა[71] და კორუფცია საჯარო სამსახურში[72]

კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“,[73] რომელშიც შეტანილი ცვლილებებით, მიღებულია კანონის კონსოლიდირებული ვერსია „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, ადგენს: საჯარო დაწესებულებებში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის და კორუფციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირთა პასუხისმგებლობის ძირითად პრინციპებს, სამართლებრივი რეგლამენტაციის

71 „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობა“ – საჯარო მოსამსახურის ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესის დაპირისპირება საჯარო დაწესებულების ინტერესებთან.

72 „კორუფცია საჯარო სამსახურში“ – საჯარო მოსამსახურის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით, აგრეთვე მისთვის ამ სიკეთის გადაცემა ან მის მიღებასა და დაკანონებაში ხელის შეწყობა.

73 საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“,1997, 17 ოქტომბერი

საფუძვლებსა და მექანიზმებს, არეგულირებს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების წარდგენის, წარდგენილი დეკლარაციების მონიტორინგის პირობებსა და მექანიზმს, აგრეთვე მამხილებელთა დაცვის, ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების ძირითად საფუძვლებს.

2.2.1. საჯარო მოსამსახურის ვალდებულებების და მოქმედებების შეზღუდვები

საჯარო სამსახურში ეთიკური ნორმების გათვალისწინებით „საჯარო დანესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონით საჯარო მოსამსახურის ვალდებულებები და მოქმედების შეზღუდვები განსაზღვრულია კანონის მეორე თავით „მოქმედების შეზღუდვა",რომლის თანახმადაც

ა) საჯარო მოსამსახურეს უფლება არ აქვს:

– სამსახურებრივი უფლებამოსილება ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობა გამოიყენოს საჯარო დანესებულების ინტერესების საწინააღმდეგოდ ან იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც მის სამსახურებრივ უფლებამოსილებას არ განეკუთვნება.

– გაამჟღავნოს ან არასამსახურებრივი მიზნით გამოიყენოს სამსახურებრივი საიდუმლოების შემცველი ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია, რომლის საჯაროობაც შეზღუდულია კანონმდებლობით და რომელიც მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გახდა ცნობილი.

– მიიღოს რაიმე ანაზღაურება საჯარო სექტორში შექმნილი ან მოპოვებული ინფორმაციის ან ამ ინფორმაციის საფუძველზე მომზადებული ნაშრომის, მოხსენების ან სხვა მასალის გამოქვეყნებისათვის.

ბ) საჯარო მოსამსახურე ვალდებულია:

– უფასოდ გასწიოს მომსახურება ან მიიღოს გადაწყვეტილება, ამასთანავე **უფლება არ აქვს**, ამისათვის მიიღოს ან მოითხოვოს ანაზღაურება ქონებრივი ან სხვა სიკეთის სახით.

– ოფიციალური წესით დადგენილი ოდენობის საფასურად გასწიოს მომსახურება ან მიიღოს გადაწყვეტილება, **უფლება არა აქვს**, ამისათვის მიიღოს ან მოითხოვოს უფრო დიდი ოდენობის ანაზღაურება.

ზემოალნიშნული კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვები არ მოქმედებს, თუ ინფორმაცია საჯაროა და მისი მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

გ) საჯარო მოსამსახურეს, პირადი ინტერესიდან გამომდინარე, ეკრძალება:

– შეიძინოს გარიგების დასადებად მისთვის მინდობილი საჯარო დანესებულების ქონება.

– დადოს ქონებრივი გარიგება იმ საჯარო დანესებულებასთან, სადაც მუშაობს, გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა.

– თავის სამენარმეო საქმიანობის სუბიექტთან, პოლიტიკურ პარტიასთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან დადოს გარიგება, როგორც საჯარო მოსამსახურემ.

– თავის ოჯახის ნევრთან ან ახლო ნათესავთან დადოს ქონებრივი გარიგება, როგორც საჯარო მოსამსახურემ.

ამასთანავე კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით დადებული გარიგება ბათილია.

საჯარო მოსამსახურე, რომლის მოვალეობაა კოლეგიური ორგანოს შემადგენლობაში იმ გადაწყვეტილების მიღება, რომლის მიმართაც მას ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი აქვს, **ვალდებულია** ამის შესახებ აცნობოს ამ ორგანოს სხვა ნევრებს ან თავის უშუალო ხელმძღვანელს და უარი განაცხადოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობაზე.

საჯარო მოსამსახურე, რომლის მოვალეობაა იმ გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღება, რომლის მიმართაც მას ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი აქვს, **ვალდებულია** განაცხადოს თვითაცილების შესახებ და ამის თაობაზე ნერილობით აცნობოს თავის უშუალო ხელმძღვანელს ან ზემდგომ ორგანოს, რომელიც ან თვითონ იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ან ამ მოვალეობას სხვა თანამდებობის პირს აკისრებს.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საჯარო მოსამსახურეს გადაწყვეტილებაზე ხელის მოწერა შეუძლია მხოლოდ თავისი უშუალო ხელმძღვანელის ან ზემდგომი ორგანოს წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რის შესახებაც უნდა მიეთითოს შესაბამის გადაწყვეტილებაში.

ზემოაღნიშნული კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ვრცელდება საქართველოს პრეზიდენტზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრზე, საქართველოს პარლამენტის ნევრზე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი ნარმომადგენლობითი ორგანოების ნევრებსა და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებზე.

2.2.2. საჯარო მოსამსახურის თანამდებობრივი და ინტერესთა შეუთავსებლობა

საჯარო სამსახურში თანამდებობრივი და ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხები განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით ხელისუფლების სამივე შტოსთან მიმართებაში, კერძოდ, მესამე თავის „საქართველოს პარლამენტი" 53-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, მეოთხე თავის „საქართველოს პრეზიდენტი" 72-ე მუხლით, მეოთხე[1] თავის „საქართველოს მთავრობა" 81[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტით, მეხუთე თავის „სასამართლო ხელისუფლება" 86-ე მუხლის მე-3 პუნქტით.

საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ზემოაღნიშნული საკითხები წარმოდგენილია: მესამე თავის „საქართველოს პარლამენტი" 39-ე მუხლის მეოთხე პუნქტით და მეხუთე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით, მეოთხე თავის „საქართველოს პრეზიდენტი" 51-ე მუხლის მე-4 პუნქტით, მეხუთე თავის „საქართველოს მთავრობა" 54-ე მუხლის მე-6 პუნქტით, მეექვსე თავის „სასამართლო ხელისუფლება და პროკურატურა" 63-ე მუხლის მე-4 პუნქტით.

საქართველოს ორგანული კანონებით: „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ"[74] კანონის მე-17 მუხლით; „ეროვნული ბანკის შესახებ" კანონის[75] მე-20 მუხლის „პროფესიული საიდუმლოება და ინტერესთა შეუთავსებლობა" მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტებით; „სახალხო დამცველის შესახებ" კანონის[76] მე-8 მუხლის პირველი პუნქტით; „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" კანონის[77] 39-ე მუხლით „მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის თანამდებობრივი შეუთავსებლობა", 42-ე მუხლით „მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნევრის თანამდებობრივი შეუთავსებლობა", 55-ე მუხლით „გამგებლის/მერის თანამდებობრივი შეუთავსებლობა", 58-ე მუხლით „გამგებლის/მერის პირველი მოადგილისა და მოადგილის თანამდებობრივი შეუთავსებლობა"; „საერთო სასამართლოების შესახებ" კანონის[78] 35[3]-ე მუხლით „ინტერესთა შეუთავსებლობა", 39-ე მუხლით „მოსამართლის თანამდებობრივი შეუთავსებლობა".

---

74 საქართველოს ორგანული კანონი: „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ", 1996, 31 იანვარი.

75 საქართველოს ორგანული კანონი „ეროვნული ბანკის შესახებ", 2009, 24 სექტემბერი.

76 საქართველოს ორგანული კანონი„სახალხო დამცველის შესახებ", 1996, 16 მაისი.

77 საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი". 2014, 5 თებერვალი.

78 საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ", 2009, 4 დეკემბერი.

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონის მესამე თავი აწესრიგებს თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხებს საჯარო სამსახურში. კერძოდ, **საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს:**

– ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს (გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა), ეკავოს სხვა თანამდებობა რომელიმე საჯარო დაწესებულებაში ან კერძო სამართლის იურიდიულ პირში ან იყოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, ან ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს ან ეკავოს რაიმე თანამდებობა სხვა ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში. საჯარო მოსამსახურის მიერ შეთავსებით ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება დასაშვებია მხოლოდ იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში.

– იღებდეს შემოსავალს იმ ორგანიზაციიდან, რომელსაც სამსახურებრივად ზედამხედველობს.

– ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელიმე საწარმოში.

– იყოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, საკონტროლო, სამეთვალყურეო და სარევიზიო ორგანოების წევრი.

– განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა, მას მხოლოდ აქციებისა და წილის ფლობა შეუძლია.

– იყოს რომელიმე ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის წარმომადგენელი ან რწმუნებული, ან განახორციელოს წარმომადგენლობა ან დაცვა სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე რომელიმე საჯარო დაწესებულების წინაშე ან წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი არის ამ ფიზიკური პირის მეურვე, მზრუნველი ან მხარდამჭერი.

– მისი განთავისუფლების დღიდან ერთი წლის განმავლობაში მუშაობა დაიწყოს იმ საჯარო დაწესებულებაში ან საქმიანობას ახორციელებდეს იმ საწარმოში, რომელსაც იგი ბოლო 3 წლის განმავლობაში სისტემატურად ზედამხედველობდა სამსახურებრივად. ამ ხნის განმავლობაში მას, აგრეთვე, უფლება არა აქვს, მიიღოს შემოსავალი ასეთი საჯარო დაწესებულებიდან ან საწარმოდან.

თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს უფლება არა აქვთ:

– ეკავოთ რაიმე თანამდებობა ან ასრულებდნენ რაიმე სამუშაოს საქართველოში რეგისტრირებულ იმ საწარმოში, რომლის სამეწარმეო საქმიანობის კონტროლიც ამ თანამდებობის პირის ან მისი სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

– ფლობდნენ აქციებს ან კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომლის საქმიანობის კონტროლიც ამ თანამდებობის პირის ან მისი სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

საჯარო მოსამსახურეს არ შეიძლება დაეკისროს იმ ორგანიზაციაზე სამსახურებრივი ზედამხედველობა, რომლის ხელმძღვანელ ორგანოშიც მისი ოჯახის წევრი საქმიანობს.

არ შეიძლება თანამდებობის პირის სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ თანამდებობაზე მოხელედ, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ან შრომითი ხელშეკრულებით დაინიშნოს (გარდა კონკურსის წესით დანიშვნისა) ამ თანამდებობის პირის ახლო ნათესავი.

საჯარო მოსამსახურე ვალდებულია მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სამსახურის გავლის ვადით სხვას სამართავად გადასცეს მის საკუთრებაში არსებული სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის სანარმოს კაპიტალის ნილი (აქციათა პაკეტი) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თანამდებობის პირი, მისი ოჯახის წევრი ვალდებულია ამ თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის დაკავებიდან 10 დღის ვადაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გადადგეს შეუთავსებელი თანამდებობიდან, შეწყვიტოს შეუთავსებელი საქმიანობა.

თანამდებობის პირი თავისი და თავისი ოჯახის წევრის შეუთავსებლობის აღმოფხვრის დამადასტურებელ დოკუმენტებს **წარუდგენს** იმ ზემდგომ თანამდებობის პირს (ორგანოს), რომლის უშუალო დაქვემდებარებაშიც იგი იმყოფება, აგრეთვე ადამიანური რესურსების მართვის ერთეულს.

თანამდებობის პირი, თუ საქართველოს კონსტიტუციით ან ორგანული კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, უნდა განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან, თუ: ა) მან ან მისმა ოჯახის წევრმა დაარღვია ამ კანონით დადგენილი თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნები, ბ) სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ იგი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონების[79] მფლობელია. აღნიშნული დადგენილი შეზღუდვები არ ვრცელდება საკრებულოს იმ წევრზე, რომელიც საკრებულოს თანამდებობის პირი არ არის.

---

79 „დაუსაბუთებელი ქონება" – ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს ან ახლო ნათესავს არ გააჩნია ან იგი შეძენილია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით.

2.2.3. საჯარო მოსამსახურის ქცევის ზოგადი წესები

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მესამე[1] თავით განსაზღვრულია საჯარო მოსამსახურეთა ქცევის ზოგადი წესები, რომლის მიზანია საჯარო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მისი ქცევის მომწესრიგებელი ზოგადი პრინციპების დამკვიდრება და განუხრელი შესრულება.

საჯარო მოსამსახურის ქცევის ზოგადი წესების გარდა, საჯარო მოსამსახურეთა ცალკეული კატეგორიებისათვის ან/და ცალკეული საჯარო დაწესებულებებისათვის, (მაგ: პოლიციაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში და სხვ.) შეიძლება დაწესდეს საჯარო მოსამსახურის ქცევის სპეციალური წესები.

საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი საჯარო დაწესებულების საჯარო მოსამსახურეთათვის საჯარო მოსამსახურის ქცევის ზოგადი და სპეციალური წესების ხელმისაწვდომობა და გაცნობა. **საჯარო მოსამსახურე ვალდებულია** დაიცვას საჯარო მოსამსახურის ქცევის ზოგადი და სპეციალური წესები. **საჯარო მოსამსახურე ანგარიშვალდებულია** თავისი უშუალო ხელმძღვანელის წინაშე, თუ კანონით ან შესაბამისი საჯარო დანესებულების დებულებით (რეგლამენტით) ან ამ საჯარო დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საჯარო მოსამსახურემ თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს კანონმდებლობით, განსაზღვრული საჯარო სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპების დაცვის საფუძველზე და საჯარო მოსამსახურის ქცევის ზოგადი წესების შესაბამისად.

საჯარო სამსახურში კანონიერების, მიუკერძოებლობის, ეკონომიურობისა და ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპებიდან გამომდინარე, კანონის თანახმად **საჯარო მოსამსახურე ვალდებულია:**

– დაიცვას ის მოთხოვნები, რომლებიც მას და მის თანამდებობას შეეხება.

– თავის სამსახურებრივ მოვალეობას მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად ასრულებდეს.

– იმოქმედოს კოლეგიურობის პრინციპის დაცვით, სამსახურებრივი ვალდებულების გათვალისწინებით, სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობისას უნდა დაიცვას კანონით დადგენილი

საჯარო მოსამსახურის ქცევის ზოგადი წესები, განსაკუთრებით იმ მოქალაქეებთან ურთიერთობისას, რომელიც მისი მომსახურებით სარგებლობს.

– სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიცვას ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპი. საჯარო მოსამსახურემ ბოროტად არ უნდა ისარგებლოს სამსახურებრივი რესურსებით, რათა არ გაიფლანგოს ისინი.

– დაპატიმრების ან დაკავების, ან მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობის შემთხვევაში ამის შესახებ აცნობოს შესაბამისი საჯარო დანესებულების ხელმძღვანელს.

– თავიდან აიცილოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ზიანს მიაყენებს პირადად მის რეპუტაციას, შესაბამისი საჯარო დანესებულების ან სახელმწიფო სამსახურის/საჯარო სამსახურის რეპუტაციას.

– სამსახურებრივი უფლებამოსილება, სამსახურებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი მონმობები, სიმბოლოები და იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები გამოიყენოს კეთილსინდისიერად, მხოლოდ სამსახურებრივი მიზნით და არა რაიმე უპირატესობის მოსაპოვებლად.

– გადაწყვეტილების მიღებისას, გამჭვირვალობისა და კანონიერების პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს. დაუშვებელია კანონმდებლობის ან სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგო განკარგულების ან/და დავალების გაცემა.

საჯარო სამსახურის გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპიდან გამომდინარე:

– **საჯარო დანესებულების ხელმძღვანელი ვალდებულია** უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და შეუფერხებლად გაცემის მექანიზმის ნორმალური ფუნქციონირება.

– **საჯარო მოსამსახურის მხრიდან დაუშვებელია** მიზანმიმართულად გაავრცელოს საეჭვო, გადაუმოწმებელი ან/და მცდარი ინფორმაცია.

– **საჯარო მოსამსახურე ვალდებულია** საჯარო ინფორმაცია გასცეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და იმ საჯარო დანესებულებისათვის დადგენილი ნორმებისა და სხვა მოთხოვნების დაცვით, სადაც ის მუშაობს.

– თუ საჯარო მოსამსახურის სამსახურებრივ უფლებამოსილებას განეკუთვნება ინფორმაციის საჯაროობის შეზღუდვა, მან ზუსტად უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლობით დადგენილი კრიტერიუმებით. აუცილებლობის შემთხვევაში საჯარო მოსამსახურემ

დაუყოვნებლივ უნდა დააყენოს ამ ინფორმაციის საჯაროობის შეზღუდვის საკითხი კანონით დადგენილი წესით.

– საჯარო მოსამსახურემ უნდა მიიღოს საჭირო ზომები სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი, საჯარო მოსამსახურის რეპუტაციასთან დაკავშირებული, სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მოპოვებული, პერსონალური მონაცემების შემცველი და სხვა ინფორმაციის (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით) კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად. ეს მოთხოვნა საჯარო მოსამსახურეზე მისი სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგაც ვრცელდება.

საჯარო სამსახურის კანონიერების, ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპებიდან გამომდინარე, საჯარო მოსამსახურეს არა აქვს იმ სარგებლის შეთავაზების ან მიღების უფლება, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო სამსახურში ან/და საჯარო სამსახურში მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საჯარო მოსამსახურე ვალდებულია: ყურადღება გაამახვილოს ნებისმიერ არსებულ თუ შესაძლო ინტერესთა შეუთავსებლობაზე; მიიღოს ზომები ინტერესთა შეუთავსებლობის ნებისმიერი შემთხვევის დაუშვებლობისათვის; განაცხადოს ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნამდე/არჩევამდე ან დანიშვნის/არჩევის შემდეგ, როგორც კი მისთვის ცნობილი გახდება ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტი.

საჯარო მოსამსახურეს კანონით განსაზღვრულ ვადაში ავალდებულებს შესაბამის თანამდებობაზე მისი დანიშვნის/არჩევის და შემდგომ ყოველი მომდევნო კალენდარულ წელს საჯაროდ განაცხადოს მასთან დაკავშირებული იმ პირის შესახებ, რომელიც მუშაობს იმავე საჯარო დანესებულებაში, სადაც საქმიანობს საჯარო მოსამსახურე. საჯარო მოსამსახურის სათანადო წერილობითი განცხადება, რომელშიც მითითებულია მასთან დაკავშირებული პირის[80] საიდენტიფიკაციო ინფორმაცია და მათი კავშირის ამსახველი ინფორმაცია, წარედგინება და აღირიცხება შესაბამისი საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულში.

80 „საჯარო მოსამსახურესთან დაკავშირებული პირი" – „ოჯახის წევრი", „ახლო ნათესავი", აგრეთვე სხვა პირი, რომლებთანაც საჯარო მოსამსახურეს აქვს ერთიანი საოჯახო მეურნეობა (შინამეურნეობა), ანუ ისეთი განსაკუთრებული ურთიერთობა, რომელშიც შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე.

2.2.4. საჯარო თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებასთან, წარდგენასთან დაკავშირებული ვალდებულება და პასუხისმგებლობა

საჯარო სამსახურის კანონიერების, გამჭვირვალობისა და ღიაობის, მიუკერძოებლობის და ანგარიშვალდებულების პრინციპებიდან გამომდინარე, „საჯარო დანესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონის თანახმად, **საჯარო თანამდებობის პირი ვალდებულია** განწესებიდან ორი თვის ვადაში წარადგინოს საჯარო სამსახურის ბიუროში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

თანამდებობის პირი ვალდებულია თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში ყოველწლიურად, წინა დეკლარაციის შევსების შესაბამის დროს შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.

პირი ვალდებულია თანამდებობიდან განთავისუფლებიდან 2 თვის ვადაში, თუ მას თანამდებობიდან განთავისუფლების კალენდარული წლის განმავლობაში წარდგენილი არ ჰქონდა დეკლარაცია, ასევე თანამდებობიდან განთავისუფლებიდან ერთი წლის შემდეგ, წინა დეკლარაციის შევსების შესაბამის დროს, იმავე თვის განმავლობაში, თუ იგი სხვა თანამდებობაზე არ განწესდება, შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.

პირი, რომელსაც იმავე საჯარო დანესებულების სისტემაში დროებით დაკისრებული აქვს თანამდებობის პირის ფუნქციების შესრულება კონკრეტული ვადით, მაგრამ არაუმეტეს 2 თვისა, თავისუფლდება თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან.

საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი ვალდებულია პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციიდან ერთი კვირის ვადაში, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი გამარტივებული ფორმით შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.

თანამდებობის პირი ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას აკსებს წელიწადში ერთხელ. თუ პირს შევსებული აქვს დეკლარაცია და დადგენილი წესის შესაბამისად, მიმდინარე წლის განმავლობაში კვლავ წარმოიშვა დეკლარაციის შევსების საფუძველი, თანამდებობის

პირი თავისუფლდება დეკლარაციის ხელმეორედ შევსების ვალდებულებისაგან.

თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობისათვის გამოიცემა დაჯარიმების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი-განკარგულება.

დეკლარაციაში შესატანი ინფორმაცია თუ განეკუთვნება სახელმწიფო ან სამსახურებრივ საიდუმლოებას ან წარმოადგენს სხვაგვარ კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომლის საჯაროობაც შეზღუდულია მოქმედი კანონმდებლობით, ეს ინფორმაცია აისახება მხოლოდ დეკლარაციის სპეციალურ (საიდუმლო) გრაფაში, შესაბამისი წყაროდან მიღებული ქონების სახეობის (შინაარსის), ქონებასთან თანამდებობის პირისა და მისი ოჯახის ნევრების კავშირის, ქონების საბაზრო ღირებულების ან/და ოდენობის მითითებით. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირმა დეკლარაციას უნდა დაურთოს მითითება იმ სამართლებრივ აქტზე, რომლის საფუძველზეც დეკლარაციაში შესატანი ინფორმაცია განეკუთვნება სახელმწიფო ან სამსახურებრივ საიდუმლოებას ან არის სხვაგვარი კონფიდენციალური ინფორმაცია, რომლის საჯაროობაც შეზღუდულია.

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მიღებას, შესაბამისი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის საჯაროობას, დეკლარაციის კანონმდებლობის შესაბამისად ჩაბარების კონტროლსა და თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში სრული და სწორი მონაცემების შეტანის და დეკლარაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგს ახორციელებს საჯარო სამსახურის ბიურო.

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის დაწყების საფუძველია: ა) თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ერთიანი ელექტრონული სისტემის მიერ დეკლარაციების შემთხვევითი შერჩევა, ბ) დასაბუთებული წერილობითი განცხადება.

ყოველწლიურად შესამონმებელ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებს, აგრეთვე, მიეკუთვნება ბიუროს უფროსის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი კომისიის მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და განსაკუთრებული ფაქტორების გათვალისწინებით შერჩეული დეკლარაციები. განსაკუთრებული ფაქტორება: განსაკუთრებული კორუფციული რისკი, მაღალი

საზოგადოებრივი ინტერესი, განხორციელებული მონიტორინგით გამოვლენილი დარღვევა. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგი ხორციელდება შევსებულ დეკლარაციაში არსებული მონაცემების სისწორის საჯარო დანესებულებების მიერ ადმინისტრირებულ ელექტრონულ ბაზებში გადამოწმებით, თანამდებობის პირის მიერ ბიუროსთვის წარდგენილი ან/და სხვა წერილობითი მტკიცებულების გადამოწმებით, აგრეთვე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-16-მე-19 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთდახმარების ვალდებულების შესრულებით. შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის შედეგად საჯარო სამსახურის ბიურო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში დარღვევის არარსებობის შესახებ; თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში დარღვევის არსებობის შესახებ.

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია უარყოფითად ფასდება ბიუროს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარუდგენლობის ან დეკლარაციაში არასრული და არასწორი მონაცემების, აგრეთვე „საჯარო დანესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" და „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონთან შეუსაბამო მონაცემის არსებობის გამოვლენის შემთხვევაში. დეკლარაციაში არასრული ან არასწორი მონაცემის განზრახ შეტანის შემთხვევაში დანაშაულის ნიშნების არსებობისას ბიურო ვალდებულია შესაბამისი დეკლარაცია და წარმოების მასალები შემდგომი რეაგირებისათვის სათანადო სამართალდამცავ ორგანოს გადაუგზავნოს. ამასთან, საჯარო მოსამსახურის მიერ კანონით გათვალისწინებული კონფიდენციალურობის პრინციპის ბრალეული დარღვევის შემთხვევაში, თუ ეს ქმედება დანაშაული ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ არის, იწვევს საჯარო მოსამსახურის დისციპლინურ პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით.

ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს, მიიღოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ასლი და გაეცნოს მას, არ შეიძლება დანესდეს ან შეიქმნას რაიმე დაბრკოლება მის მისალებად, გარდა ამ დეკლარაციაში აღნიშნული პირადი ნომრისა, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართისა და ტელეფონის ნომრისა,

თანამდებობაზე პირველად განწესებამდე პერიოდისთვის ან/და თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგი პერიოდისთვის მიკუთვნებული „საჯარო დანესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონის მე-15 მუხლის „კ" პუნქტით „საქართველოში ან სხვა ქვეყანაში პირის, მისი ოჯახის წევრის მიერ შესრულებული ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაო, სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის გარდა – სამუშაოს შემსრულებელი პირის ვინაობა, სამსახური, რომელშიც პირს უკავია /ეკავა თანამდებობა ან ასრულებს /ასრულებდა სამუშაოს, თანამდებობის დასახელება ან სამუშაოს შინაარსი, საანგარიშო პერიოდში სამუშაოს შესრულებითი მიღებული შემოსავალი," გათვალისწინებული ინფორმაციისა და დეკლარაციის საიდუმლო გრაფისა, აგრეთვე იმ თანამდებობის პირის დეკლარაციისა, რომლის თანამდებობას „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" კანონის შესაბამისად საიდუმლოობის გრიფი აქვს მინიჭებული.

„საჯარო დანესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონით განსაზღვრულია თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის სახეები, კერძოდ, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში დარღვევის არსებობის ან/და განსაზღვრულ ვადაში მისი წარუდგენლობის შემთხვევაში, თანამდებობის პირი ჯარიმდება 1000 ლარით, რის შესახებაც გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – განკარგულება. ჯარიმის დაკისრების შესახებ განკარგულებას გამოსცემს საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. თანამდებობის პირმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს ჯარიმის დაკისრების შესახებ განკარგულების ოფიციალური გაცნობიდან არაუგვიანეს 30 დღისა. ჯარიმა გადახდილად ჩაითვლება ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ბიუროსთვის წარდგენის მომენტიდან. ჯარიმის გადახდა თანამდებობის პირს არ ათავისუფლებს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან. ჯარიმის დაკისრების შესახებ განკარგულების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას. კანონით გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრების შესახებ განკარგულების ან სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან 2 კვირის ვადაში თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობა გამოინვევს მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება თანამდებობის პირს არ ათავისუფლებს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის

წარდგენის ვალდებულებისაგან. ასეთ შემთხვევაში თანამდებობის პირი ვალდებულია დეკლარაცია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის დღიდან 2 კვირის ვადაში წარადგინოს.

იმ საჯარო მოსამსახურის მიერ, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება დისციპლინურ პასუხისმგებლობას, კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის განზრახ ან გაუფრთხილებლობით დარღვევა, თუ ეს ქმედება დანაშაული ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ არის, ინვევს საჯარო მოსამსახურის დისციპლინურ პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით.

თუ საჯარო მოსამსახურე, რომელმაც დაარღვია კანონით გათვალისწინებული მოთხოვნა და რომელსაც ამ ქმედებისათვის შეეფარდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, გარდა თანამდებობიდან განთავისუფლებისა, 3 წლის განმავლობაში ჩაიდენს ახალ, ამ კანონით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას, იგი ექვემდებარება სამსახურიდან სავალდებულო გათავისუფლებას.

2.3. ეთიკისა და ქცევის საკითხები საჯარო სამსახურში

პროფესიული ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები საჯარო სამსახურში განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით „საჯარო დაწესებულებებში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ", „ნორმატიული აქტების შესახებ"[81] კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ"[82] კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონის 13[5] მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე.

საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შესახებ ნორმატიული აქტი შედგება ოთხი თავისაგან: პირველი „ზოგადი დებულებანი", მეორე „საჯარო მოსამსახურის ურთიერთობა სახელმწიფოსთან", მესამე „საჯარო მოსამსახურის პროფესიული საქმიანობის სტანდარტები", მეოთხე "საჯარო მოსამსახურის ურთიერთობა საზოგადოებასთან".

საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის დადგენილი წესების მიზანია საჯარო დაწესებულებაში ეთიკური გარემოს შექმნა და

81 საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ", 2009, 22 ოქტომბერი.

82 საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ", 2004, 11 თებერვალი

საჯარო მოსამსახურის პროფესიული სტანდარტების დამკვიდრება, რაც უზრუნველყოფს მიუკერძოებელი, ობიექტური და კოლეგიალური საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებას, ასევე საჯარო სამსახურის მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდას. საჯარო დანესებულებაში ეთიკური გარემოს შექმნა და პროფესიული სტანდარტების დამკვიდრება გულისხმობს საჯარო მოსამსახურის ქცევის წესების განსაზღვრას, რაც უზრუნველყოფს საჯარო სამსახურში აღიარებული პრინციპებისა და ღირებულებების პრაქტიკაში გატარებას.

საჯარო დანესებულებებში ეთიკისა და ქცევის წესები ვრცელდება: საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეებზე; მათთვის დადგენილ ეთიკის ან/და ქცევის სპეციალურ წესებთან ერთად, ასეთის არსებობის შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეებზე, თუ სპეციალური კანონმდებლობით სხვა რამ არ იქნა დადგენილი.

2.3.1. საჯარო მოსამსახურის პროფესიული ქცევის სტანდარტები

კანონქვემდებარე აქტით, „საჯარო დანესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესებით" განსაზღვრულია საჯარო მოსამსახურის პროფესიული საქმიანობის ძირითადი სტანდარტები: ა)პროფესიონალიზმი; ბ)დამოუკიდებლობა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას; გ) თანასწორობა; დ)სექსუალური შევიწროების დაუშვებლობა; ე)ობიექტურობა და მიუკერძოებლობა; ვ)პროპორციულობა/თანაზომიერება; ზ) ეკონომიურობა/ეფექტიანობა/ეფექტურობა; თ)ანგარიშვალდებულება; ი) თავაზიანობა; კ) კოლეგიალობა; ლ)კომუნიკაცია; მ)სამუშაოს დაგეგმვა და ორგანიზება; ნ) საჯარო მოსამსახურის ურთიერთობა ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფ საჯარო მოსამსახურესთან; ო) ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი საჯარო მოსამსახურის ურთიერთობა მის დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო მოსამსახურეებთან; პ)მხილება.

განვიხილოთ, ზემოაღნიშნული პროფესიული საქმიანობის ძირითადი სტანდარტები:

ა) პროფესიონალიზმის სტანდარტი

საჯარო მოსამსახურე ხელმძღვანელობს პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების საფუძველზე. ასევე უზრუნველყოფს პროფესიული საქმიანობის განხორციელებას სამსახურში ნარმოქმნილი პირადი ურთიერთობების გავლენისაგან თავისუფლად.

საჯარო მოსამსახურე არის ღია და თავისუფალი ახალი იდეებისა და მეთოდების პრაქტიკაში დასამკვიდრებლად. იგი მზადაა, პროფესიული ცოდნა და გამოცდილება გაუზიაროს თანამშრომლებს, ამასთანავე ინარჩუნებს სიმშვიდეს რთულ და სტრესულ სიტუაციებში. ცდილობს საკუთარი ცოდნა და უნარები შესაბამისობაში მოიყვანოს თანამედროვე ტექნოლოგიის მოთხოვნებთან და საკანონმდებლო ცვლილებებთან, ასევე სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებისას გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიის სიკეთეები და უპირატესობები. საჭიროებისამებრ იუმჯობესებს პროფესიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს საჯარო დაწესებულების მიერ შეთავაზებულ ან საჯარო მოსამსახურის მიერ მისი საჭიროებების გათვალისწინებით შერჩეულ პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობის გზით.

საჯარო მოსამსახურე პატივს სცემს და სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ითვალისწინებს საჯარო დაწესებულებაში არსებულ სუბორდინაციულ მიდგომებს. სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებით პირველ რიგში უკავშირდება უშუალო უფროსს და მისი გვერდის ავლით არ ახდენს ზემდგომ თანამდებობის პირთან სამსახურებრივ საკითხებზე კომუნიკაციას, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.

საჯარო მოსამსახურე უზრუნველყოფს თავისი სამსახურებრივი, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული დოკუმენტაციის შენახვასა და მონესრიგებას, იცავს სამსახურში გამოცხადების, საშუშაო დროის დაწყებისა და დამთავრების, სამსახურში დაგვიანების შეტყობინების, საჯარო დაწესებულების შინაგანაწესით გათვალისწინებულ წესებს. ზრუნავს პირად ჰიგიენასა და იერსახეზე და იცავს დაწესებულების შინაგანაწესით დადგენილ ჩაცმულობისათვის განსაზღვრულ წესრიგს. საზღვარგარეთის ქვეყნებში ჩაცმულობის წესს უწოდებენ – „dress code"-ს, რომელიც არის იმ დადგენილი სტანდარტების ერთობლიობა, რომლის თანახმადაც განისაზღვრება სამსახურში თანამშრომლებისათვის მისაღები ჩაცმულობა. არსებობს ფორმალური ან როგორც მას ხშირად უწოდებენ, თავისუფალი ბიზნეს ჩაცმულობას (business casual) და თავისუფალი (casual). სამსახურში ჩაცმის წესის ფორმალურობა, დამოკიდებულია თანამშრომელთა მხრიდან მოქალაქეებთან ურთიერთობის ხარისხზე. საჯარო დაწესებულებაში,[83] სადაც ზოგიერთ თანამშრომელს უნევს

83 საჯარო დაწესებულება – სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და

მოქალაქეებთან ურთიერთობა, ხოლო ზოგიერთს – არა, შეიძლება არსებობდეს ორი სახის ჩაცმის სტილი. შედარებით თავისუფალი, იმ თანამშრომელთათვის, რომელთაც არ აქვთ მოქალაქეებთან კონტაქტი. ამასთანავე დანესებულების კატეგორიის მიხედვით, არსებობს მკაცრი დეტალებით განსაზღვრული ჩაცმის წესი, ან თავისუფალი – მცირე აუცილებელი დეტალებით.[84]

მაგალითად, სასამართლოში ჩაცმის წესს განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ" 74-ე მუხლი, რომლის თანახმად, მოსამართლე საქმის სასამართლო განხილვაში მონაწილეობს განსაკუთრებული ჩაცმულობით და თანამდებობრივი განმასხვავებელი ნიშნით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

პროკურატურაში ჩაცმის წესი განისაზღვრება „პროკურატურის შესახებ" კანონის 45-ე მუხლით „ბეჭედი, პირადობის მოწმობა, ფორმის ტანსაცმელი და განმასხვავებელი ნიშნები", გათვალისწინებული იყო სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პროკურატურის მუშაკის მიერ ფორმის ტანსაცმლის ტარება განმასხვავებელი ნიშნებით, რაც 2013 წლის 30 მაისს კანონიდან ამოღებულია. ამასთანავე „საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსის" მე-16 მუხლის თანახმად, რომელიც ითვალისწინებს პროკურატურის მუშაკის სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებთან ურთიერთობას, მას აკისრებს ვალდებულებას, საქმის განხილვის ყველა სტადიაზე დაიცვას ოფიციალური ჩაცმულობის სტილი სასამართლოში.

ადვოკატურაში ჩაცმის წესს განსაზღვრავს „ადვოკატთა შესახებ" კანონის 39-ე მუხლი „ადვოკატის მანტია", რომლის თანახმადაც, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო და საერთო იურისდიქციის სასამართლოებში საქმის განხილვისას ადვოკატისათვის შეიძლება შემოღებულ იქნეს განსაკუთრებული ჩაცმულობა – მანტია.

პოლიციელის საქმიანობა ძირითადად საზოგადოების თვალწინ მიმდინარეობს, ამიტომ გასათვალისწინებელია, რომ მისი მოქმედებებით, იერით, გამომეტყველებით და ჩაცმულობით მსჯელობენ პირადად პოლიციელის და სამსახურის პროფესიულ და კულტურის

შესაბამისი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დანესებულება, აგრეთვე მის წინაშე ანგარიშვალდებული/მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაცია, ასევე სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თუ იგი არის შესაბამისი დონის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია და მასში მუშაობენ საჯარო მოსამსახურეები.

84 „ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები საჯარო სამსახურში", 2015, თმ. გვ. 8.

დონე)ზე. პოლიციელის უპირველესი მოთხოვნაა ფორმით სიარული, ფორმა და ფეხსაცმელი ყოველთვის მოწესრიგებული უნდა ეცვას, ქუდი უნდა ეხუროს სწორად.[85]

პოლიციელის ჩაცმის წესს განსაზღვრავს „პოლიციის შესახებ"[86] კანონის 47-ე მუხლი „პოლიციელის ფორმის ტანსაცმელი", რომლის თანახმად პოლიციელი ატარებს დადგენილ ფორმის ტანსაცმელს. ამასთანავე, „საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსის"[87] მე-2 თავის თანახმად, პოლიციელი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას უნდა იყოს მოწესრიგებული და შესაბამისად ჩაცმული. ამავე თავით, უნიფორმაში მყოფ მოსამსახურეს ეკრძალება ისეთ გარემოში ყოფნა (ალკოჰოლური სასმელების გასაღებისა და მოხმარების ადგილები, ზოგიერთი ტიპის გასართობი ობიექტები და ა.შ.), რომლებიც შეუფერებელია მოსამსახურის პროფესიისთვის.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ჩაცმის წესს განსაზღვრავს „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ"[88] კანონის 38-ე მუხლი „მოსამსახურის ფორმის ტანსაცმელი", რომლის თანახმადაც, მოსამსახურე შეიძლება ატარებდეს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ტანსაცმელს. ამასთანავე, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსის"[89] მე-2 თავის თანახმად, მოსამსახურე სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას უნდა იყოს მოწესრიგებული და შესაბამისად ჩაცმული. ამავე თავით, მოსამსახურეს ეკრძალება სამორინესა და სათამაშო აპარატების სალონში შესვლა, გარდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებთან დაკავშირებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შემთხვევებისა. უნიფორმაში მყოფ მოსამსახურეს ასევე ეკრძალება ისეთ გარემოში ყოფნა (ალკოჰოლური სასმელების გასაღებისა და მოხმარების ადგილები, ზოგიერთი ტიპის გასართობი ობიექტები და ა.შ.), რომლებიც შეუფერებელია მოსამსახურის პროფესიისთვის.

---

85 რუბენ ასანიძე „პოლიციის თანამშრომლის პროფესიული ეთიკა და ტაქტი" ქუთაისი. 1994. გვ. 8.40.

86 საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ", 2013, 4 ოქტომბერი.

87 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №999 ბრძანება „საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთი მოსამსახურეთა ქცევის ინსტრუქციები", 2013, 31 დეკემბერი.

88 საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ" 2015, 8 ივლისი.

89 საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის №5 ბრძანება „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ ", 2015, 1 აგვისტო.

ამასთან, მნიშვნელოვანია, დადგინდეს, ზოგადად საჯარო დაწესებულებებში, კონკრეტულად პოლიციასა და სპეციალურ სამსახურებში, სამხედრო და სპეციალური წოდების არმქონე სამოქალაქო მოსამსახურეთათვის შესაბამისი ჩაცმის წესი, რომლის მონიტორინგს განახორციელებს შესაბამისი შიდა მონიტორინგის სამსახური და მოსამსახურის უშუალო ხელმძღვანელი პირი, რამდენად შეესაბამება სამსახურში არსებული ჩაცმის წესი მოქალაქეთა შეხედულებებს და სამსახურის მოსამსახურის მოქალაქეებთან ურთიერთობის პოლიტიკას.

ბ) დამოუკიდებლობის სტანდარტი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას

საჯარო მოსამსახურე დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით. სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებისას თავისუფლად აფიქსირებს თავის პოზიციას თანამშრომლებსა და ხელმძღვანელობასთან სამსახურებრივ საკითხებთან მიმართებით, მათ შორის, კრიტიკულ და განსხვავებულ მოსაზრებას. აღნიშნული საჯარო მოსამსახურეს თავისუფლად მოქმედების საშუალებას აძლევს, რაც თავის მხრივ სამართლებრივ ჩარჩოში არის მოქცეული.

გ) თანასწორობის სტანდარტი

საჯარო მოსამსახურის თანასწორობის სტანდარტის საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია და „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით განსაზღვრული პრინციპი, იგი პატივს სცემს ყველა ადამიანის ღირსებასა და საჯარო სამსახურში არსებულ მრავალფეროვან გარემოს. უზრუნველყოფს საჯარო სამსახურში თანასწორი გარემოს ჩამოყალიბებას ვინმესთვის დაუმსახურებელი უპირატესობის მინიჭების ან ვინმეს არაუპირატეს მდგომარეობაში ჩაყენების აკრძალვის გზით. ცდილობს, თავიდან აირიდოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, განსაკუთრებით ისეთი მოწყვლადი ჯგუფების მიმართ, როგორებიცაა განსხვავებული საჭიროების მქონე პირები და უმცირესობები. ასევე გადაწყვეტილების მიღების პროცესში თავიდან აირიდოს საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების გავლენა. საჯარო დაწესებულება ხელს უწყობს საჯარო დაწესებულებაში გენდერული ბალანსის მიღწევას და უზრუნველყოფს განსხვავებული სქესისათვის თანაბარი პირობებისა და შესაძლებლობების მქონე სამუშაო გარემოს შექმნას. თანასწორობის დაცვა მნიშვნელოვანია, როგორც ზედა იერარქიული რანგის მიერ ქვედა იერარქიული რანგის მოსამსახურეებთან მიმართებაში, ისე ერთი და იმავე რანგის მოსამსახურეთა შორის ურთიერთობისას.

დ) სექსუალური შევიწროების დაუშვებლობის სტანდარტი

საჯარო მოსამსახურე პატივისცემით ეპყრობა თანამშრომლებს, განურჩეველად მათი გენდერული იდენტობისა თუ სექსუალური ორიენტაციისა. კარგადაა ინფორმირებული სექსუალური შევიწროების ფენომენისა და ამგვარი პრაქტიკის დაუშვებლობის შესახებ, როგორც სამუშაო ადგილას, ისე საჯარო სივრცეში. მოსამსახურე არ ახორციელებს სექსუალურ შევიწროებას, ინფორმირებულია ამგვარი ფაქტების მხილების შიდაუწყებრივი და ზოგადი პროცედურების შესახებ.

ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი საჯარო მოსამსახურე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახდენს რეაგირებას და მაღალი მგრძნობელობითა და კონფიდენციალობის სრული დაცვით ეპყრობა სექსუალური შევიწროების ფაქტის აღმოფხვრისკენ მიმართულ ნებისმიერ განხილვას, კომუნიკაციასა თუ ქმედებას.

სექსუალურ შევიწროვებასთან ერთად განვიხილოთ, საჯარო სამსახურში ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა „მობინგი", რომელიც წარმოადგენს კონფლიქტურ მდგომარეობას, როდესაც სისტემატური ხდება მსხვერპლის ჩაგვრა და მისი უფლებების ხელყოფა. აღნიშნული ძალადობის ხანგრძლივად და სისტემურად გაგრძელებამ, შესაძლებელია პირის შრომის უნარიანობის დაქვეითება და გამოწვეულმა მენტალურმა ტრავმამ საბოლოო ჯამში სამსახურის დაკარგვა გამოიწვიოს.

აუცილებელია შეიქმნას სამთავრობო და ასევე არასამთავრობო სექტორში სპეციალური ორგანიზაციები, რომელნიც უზრუნველყოფენ სამსახურებში სექსუალური შევიწროვების და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვას, ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ რეაბილიტაციას.

ე) ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის სტანდარტი

საჯარო მოსამსახურე გადაწყვეტილების მიღებისას შეისწავლის საქმის მასალებს და აფასებს შესაბამის ფაქტებსა და გარემოებებს, არსებობის შემთხვევაში, ისმენს მხარეთა პოზიციებს და იღებს გადაწყვეტილებას ობიექტური გარემოებების შესაბამისად და არა პირადი ინტერესების საფუძველზე. უზრუნველყოფს მიუკერძოებელი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევისა და საჯარო მოსამსახურის კარიერის მართვის ნებისმიერ ეტაპზე.

ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის სტანდარტთან არის დაკავშირებული საზოგადოებისათვის მგრძნობიარე ანტისაზოგადოებრივი მოვლენები, როგორიცაა „ნეპოტიზმი", „კრონიზმი", „სნობიზმი".

განვიხილოთ თითოეული მათგანი. ტერმინი „ნეპოტიზმი", მომდინარეობს ლათინური „nepotis"-სგან, რაც დისშვილს/ ძმისშვილს ან შვილიძვილს ნიშნავს. **ნეპოტიზმი არის მეგობრებისა და ნათესავებისათვის განსაკუთრებული პრივილეგიების მინიჭება მათი დამსახურებისდა მიუხედავად.**[90] ნეპოტიზმი დაკავშირებულია საჯარო მოსამსახურის, უფლებამოსილების ბორროტად გამოყენებასთან, როდესაც იგი უპირატესობას ანიჭებს ნათესავებსა და მეგობრებს, განსაკუთრებით მათი სამსახურში მიღებისას. ნეპოტიზმს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ადამიანი დასაქმებულია თავისი ოჯახური კავშირებიდან გამომდინარე. ზოგადად, ნეპოტიზმი მიიჩნევა არაეთიკურ საქციელად, როგორც დამსაქმებლის, ასევე, დასაქმებულის მხრიდან. ნეპოტიზმის შედეგად ახლობლის დასაქმების გამამართლებელი მიზანი შეიძლება იყოს მისი მხრიდან ერთგულების მოლოდინი.

ნეპოტიზმი, კორუფციის ფორმად ითვლება რადგან კორუფციის სხვადასხვა გამოვლენას სხვადასხვა ეთიკური შეფასება აქვს. ზოგი ქმედება დანაშაულად ითვლება, ზოგი კი – მხოლოდ არაზნეობრივად. ნათლიმამობას და მფარველობას კი საყოფაცხოვრებო კორუფციას მიაკუთვნებენ.

კრონიზმი მომდინარეობს ინგლისური „Crony capitalism"-სგან, რომელიც შეიძლება ითარგმნოს, როგორც ნათლიმამური, "ძველბიჭური" კაპიტალიზმი, სადაც ნარმატება სახელმწიფო მოხელეებთან პირად კავშირებზეა დამოკიდებული. **კრონიზმი – ესაა ფავორიტიზმი ძველი მეგობრების მიმართ, მიუხედავად მათი კვალიფიკაციისა.** კრონიზმი ყველგან არის გავრცელებული, განსაკუთრებით ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

გარდა ნეპოტიზმისა და კრონიზმისა, გავრცელებულია ინტელექტუალური და პროფესიული სნობიზმი, რომელიც მომდინარეობს ლათინური „snob"-სგან, რაც წარმომავლობის გარეშე, მდაბიოს ნიშნავს. იგი გავრცელებულია ყველგან, სადაც პირველ ადგილზე დგას არა საქმე, პროფესიონალიზმი, არამედ პირადი ამბიცია. **სნობი არის პრეტენზიული, ამპარტავანი, არასაიმედო, სუსტი, ეგოისტი, ავი, შეშინებული, უხეში, ზედაპირული და ა.შ. ადამიანი, რომელიც ინტელექტუალობაზე, დახვეწილ გემოვნებაზე და პირველობაზე პრეტენზიას აცხადებს.** სინამდვილეში, სნობი არაა დარწმუნებული თავში, ამიტომ ცდილობს თანამდებობის პირებთან ნაცნობობის დამყარებას, "თბილი" ადგილის დაკავებას. ის იკვებება უარყოფითი ენერგიით, სხვისი დამცირებისა და უხერხულობის

90 Modern Language Association (MLA):"nepotism." The American Heritage, New Dictionary of Cultural Literacy, Third Edition. Houghton Mifflin Company, 2005. 10 Aug.

ხარჯზე. ახალბედა თანამშრომელი პირველ ხანებში მათ "წმინდა რიგებში" მოხვედრას ცდილობს, ვიდრე არ მიხვდება, რომ უაზრობაა მთავარ სნობთან გატოლება. მან ყოველივე ადამიანური დიდი ხანია დაკარგა...[91]

გარკვეულად ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის სტანდარტთან არის ასევე დაკავშირებული ე.წ. „შავი სია" რომელიც არის დანესებულებათა ან პირთა რეესტრი. მათ ამა თუ იმ მიზეზით უარს ეუბნებიან კონკრეტულ პრივილეგიაზე, სამსახურზე, მობილობაზე, წვდომასა ან აღიარებაზე.[92]

„შავი სია" შეიძლება აწარმოოს, როგორც ბიზნეს-საწარმომ, ასევე საჯარო დანესებულებამ. ამასთანავე, იგი შეიძლება იყოს საჯარო ან საიდუმლო. „შავი სიის" წარმოება შეიძლება ფორმალურად ან არაფორმალურად. დასაქმებისას, აპლიკანტები, რომლებიც მიუხედავად მათი კვალიფიკაციისა, განაცხადს აგზავნიან ნებისმიერ პოზიციაზე, შესაძლოა, დაიბლოკონ რამდენიმე განაცხადის წარდგენის შემდგომ. ეს შეიძლება იყოს არაფორმალური არჩევანი, რომელსაც გააკეთებს ერთი პირი ან შესაძლოა იყოს ოფისის მიერ მიღებული ფორმალური გადაწყვეტილება, მაგრამ იგი არ ჩაითვლება „შავი სიის" წარმოებად.

„შავი სია" წარმოადგენს იმ პირთა რეესტრს რომლებიც: ნასამართლევი არიან ან რომელთა მიმართაც მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა ან იმყოფებიან პატიმრობაში; სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილი არიან ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ; სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვთ შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება; ჯანმრთელობაც, სამედიცინო დასკვნის თანახმად, არ აკმაყოფილებს მოცემული თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს; ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ფსიქიკური ან/და სხვა სნეულებით დაავადებული პირები და სხვა. ასევე ორგანიზაციების რეესტრს: რომლებსაც აქვთ უარყოფითი საკრედიტო ისტორია და შესაბამისად დაბალი საკრედიტო ქულა; რომლებიც იყენებდნენ გადასახადის გადამხდელების ბეჭდებს და სალარო აპარატების ჩეკის ესკიზებს ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დასამზადებლად და სხვა.

ნეპოტიზმის, კრონიზმის, სნობიზმის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია არსებობდეს ადამიანის რესურსებთან მუშაობის სისტემური მართვის მექანიზმების დახვეწა, ყველა ვაკანსია უნდა გამოცხადდეს ღიად და ხელმისაწვდომად, კანდიდატების შერჩევას უნდა

91 ომარ შუდრა „ნეპოტიზმი, სნობიზმი და კორპორაციული კულტურა" http://omarshudra.ucoz.com/load/nep'ot'izmi-snobizmi-da-k'orp'oratsiuli-k'ult'ura/1-1-0-94

92 „ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები საჯარო სამსახურში," 2015, თბ, გვ. 70.

უზრუნველყოფდეს პროფესიული და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული სპეციალური კომისია, აუცილებელია, არსებობდეს გარე მონიტორინგის ორგანო, რომელიც დააკვირდება და შეისწავლის კონკურსის ჩატარების პროცესს, რათა მოქალაქეს ჰქონდეს შესაძლებლობა სასამართლოსადმი მიმართვამდე გამოიყენოს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები.

საჯარო და კერძო სექტორმა მნიშვნელოვანია ანარმოონ „შავი სიის" რეესტრი, რათა თავიდან აიცილონ პირის დასაქმების ან და ორგანიზაციასთან ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მოსალოდნელი საფრთხეები.

ვ) პროპორციულობის/თანაზომიერების სტანდარტი

საჯარო მოსამსახურე, ურთიერთდაპირისპირებულ სიკეთეებს შორის პრიორიტეტულობის დადგენის მიზნით, ქმედების განხორციელებამდე განსაზღვრავს მისაღწევ ლეგიტიმურ მიზანს. მის მიერ განხორციელებული ქმედება უნდა იყოს შესაბამისი და აუცილებელი განსაზღვრული მიზნის მისაღწევად. ასევე მოსამსახურის მიერ განხორციელებული ქმედება არის აუცილებელი, როდესაც საჯარო მოსამსახურეს, განსაზღვრული მიზნის მისაღწევად არ აქვს სხვა უფრო მსუბუქი ზიანის მიმყენებელი ქმედების განხორციელების საშუალება. ხოლო მის მიერ განხორციელებული ქმედება არის შესაბამისი, როდესაც ის ემსახურება განსაზღვრულ მიზანს და შესაძლებელს ხდის ამ მიზნის მიღწევას.

საჯარო მოსამსახურე, განსაკუთრებით სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურის მოსამსახურეები რომლებიც იყენებენ კანონით დადგენილ იძულებით ზომებს განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შესაბამისი და აუცილებელი ქმედების განხორციელებისას, ადგენს, არის თუ არა მის მიერ განხორციელებული ქმედება პროპორციული/თანაზომიერი განსაზღვრულ მიზანთან.

ზ) ეკონომიურობის/ეფექტიანობის/ეფექტურობის სტანდარტი

საჯარო მოსამსახურე ცდილობს, მინიმალურად ხარჯოს ადმინისტრაციული რესურსები, რომელსაც იყენებს საჯარო სამსახურის საჭიროებების შესაბამისად და გონივრული დანახარჯით აღწევს სასურველ შედეგს. მაგალითად ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების თუ სხვა მატერიალური და არამატერიალური ქონების ეფექტიანი მართვა.

თ) ანგარიშვალდებულების სტანდარტი

საჯარო მოსამსახურე ანგარიშვალდებულია, იღებს პასუხისმგებლობას მისთვის გადაცემული (დელეგირებული) უფლებამოსილებისა

და პასუხისმგებლობის ფარგლებში. იგი უზრუნველყოფს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და განხორციელებული ქმედებების შესაბამის დასაბუთებას.

საჯარო მოსამსახურე ცდილობს, იყოს სამაგალითო სხვა საჯარო მოსამსახურეებისა და საზოგადოებისათვის.

ი) თავაზიანობის სტანდარტი

საჯარო მოსამსახურე არის კორექტული და თავაზიანი თანამშრომლებთან ურთიერთობისას. ცდილობს, თავიდან აირიდოს თანამშრომლებთან მიმართებით საჯარო მოსამსახურისათვის შეუფერებელი საქციელი და ამგვარი საქციელის გამოვლენისას მზად არის მოიხადოს ბოდიში. მაგალითად, კორექტული, საქმიანი ურთიერთობა, როგორც ხელმძღვანელის მხრიდან, მის დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო მოხელეებთან ასევე პირიქით.

კ) კოლეგიალობის სტანდარტი

საჯარო მოსამსახურე პატივს სცემს თანამშრომლების კომპეტენციას, გამოცდილებასა და შეხედულებებს. საჭიროების შემთხვევაში, დახმარებას უწევს თანამშრომელს სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებისას. იგი სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებით თანამშრომლის მიმართ არსებულ კრიტიკულ მოსაზრებებს პირველ რიგში განიხილავს უშუალოდ ამ თანამშრომელთან. საერთო დავალების შესრულებისას ან გუნდური მუშაობის დროს ცდილობს, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მიაღწიოს კონსენსუსს და შესაძლო შედეგებზე იღებს ერთობლივ პასუხისმგებლობას, ასევე ჯგუფის ინტერესებს აყენებს პირად ინტერესებზე მაღლა.

კოლეგიალობის სტანდარტიდან გამომდინარე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად, რაც გულისხმობს აღმასრულებელი უფლებამოსილების მქონე და ფინანსური, სამართლებრივი ან სხვა პროფესიული საკითხებით დაკავებული პირების მიერ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების ერთობლივად მიღებას და დადასტურებას, სამსახურში დაუდევრობისა და კორუფციის თავიდან ასაცილებლად გამოიყენება ე.წ. „ოთხი თვალის პრინციპი". რომლის თანახმად, ცალკეული მოქმედება, როგორიცაა გადაწყვეტილება, ფინანსური ტრანზაქცია და სხვა, უნდა დადასტურდეს სულ ცოტა ორი პირის მიერ. ამ შემთხვევაში მაკონტროლებელი მექანიზმი გამოიყენება უფლებამოსილების დელეგირებისა და გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით. მაგალითად:

- ბევრ სამართლებრივ და ფინანსურ დოკუმენტს სჭირდება ორი ან მეტი პირის ხელმოწერით დადასტურება;

• ბანკები, სხვა ფინანსური დაწესებულებები და მნიშვნელოვანი სამხედრო სფეროები ხშირად მოიცავენ ზონას, სადაც არ შეიძლება მარტო შესელა, ადგილი, სადაც უნდა იმყოფებოდეს ორი ადამიანი, რომლებიც ყოველთვის უნდა იყვნენ ერთმანეთის ხედვის არეალში.

• მონაცემთა მართვის ზოგიერთი სისტემისთვის აუცილებელია, რომ ჩანაწერთა მნიშვნელოვანი განახლება დადასტურდეს ცალ-ცალკე ორი უფლებამოსილი პირის მიერ, სანამ შეიცვლება მონაცემები. მართალია, ოთხი თვალის პრინციპი გადაწყვეტილების მიღების პროცესში არის კორუფციასთან ბრძოლის და ეთიკის ნორმების დაცვის დამატებითი უსაფრთხოების ელემენტი, თუმცა მისი ეფექტურობა დამოკიდებულია, ჩართული პირების შესაძლებლობებზე, პატიოსნებასა და გულისხმიერებაზე.

აღნიშნულ პრინციპთან ერთად გამოიყენება შემთხვევითი როტაციის პრინციპი, კერძოდ, გადაწყვეტილებას ე.წ. „ოთხი თვალის პრინციპით" უფლებამოსილი პირები მიიღებენ შემთხვევითი როტაციის წესით და წინასწარ არ იქნება ცნობილი, რომელი ორი პირი მიიღებს მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.[93]

სამსახურში კოლეგიალობის სტანდარტიდან გამომდინარე, არაეთიკური ქმედებების, დაუდევრობის და კორუფციის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია საფინანსო, სამართლებრივი და სხვა ვიწრო პროფესიული კუთხით გადაწყვეტილებების მიღება, დოკუმენტის შედგენა ან სხვა მოქმედებები განხორციელდეს სულ ცოტა ორი შესაბამისი პროფესიის უფლებამოსილი პირის მონაწილეობითა და დადასტურებით.

ლ) კომუნიკაციის სტანდარტი

საჯარო მოსამსახურე გამოხატავს აზრს მკაფიოდ, გასაგებად და დასაბუთებულად. ყურადღებით უსმენს სხვებს, უზრუნველყოფს მიღებული ინფორმაციის სნორ ინტერპრეტაციას და ახდენს შესაბამის რეაგირებას.

საჯარო მოსამსახურე სამიზნე ჯგუფის შესაბამისად არჩევს საუბრის ენას, ტონს, სტილსა და ფორმატს, რათა უზრუნველყოს ინფორმაციის გაცვლა და ღია დიალოგი.

მ) სამუშაოს დაგეგმვისა და ორგანიზების სტანდარტი

საჯარო მოსამსახურე განსაზღვრავს განსახორციელებელი ღონისძიებებისა და დავალებების პრიორიტეტულობას. პრიორიტეტთა განანილებისას წარმოშობილი წინააღმდეგობის შემთხვევაში, იგი მიმართავს უშუალო ხელმძღვანელს შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

93 „ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები საჯარო სამსახურში", 2015, თბ. გვ. 63.

საჯარო მოსამსახურე გონივრულად ანაწილებს სამუშაო დროსა და რესურსებს დავალებების შესრულებისას. იგი სამუშაოს დაგეგმვისას გონივრულად აფასებს შესაძლო რისკების ან სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებების წარმოშობის შესაძლებლობებს და შეიმუშავებს გზებსა და სტრატეგიებს მათ აღმოსაფხვრელად. ზედამხედველობას უნევს სამუშაოს დაგეგმვისა და ორგანიზების პროცესს და უზრუნველყოფს მის შესაბამისობას საჯარო სამსახურის მიზნებთან.

სამუშაო დაგეგმვისა და ორგანიზაციის სტანდარტზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით სამსახურის მართვის ერთ-ერთ ცნობილ მეთოდს „როტაციას", იგი მომდინარეობს ლათინური „rotatio"-სგან, რაც წრიულ, ბრუნვით მოძრაობას ნიშნავს. როდესაც პირი ერთ ორგანიზაციაში პერიოდულად იცვლის სხვადასხვა პოზიციას და სტრუქტურულ დანაყოფს. მისი მიზანია კორუფციის აღმოფხვრა, ასევე, დასაქმებულთა მიერ სხვადასხვა გამოცდილების გაზიარება, ახალი უნარების შეძენა და სამსახურის პროდუქტიულობის ამაღლება. როტაციის პრინციპს სულ უფრო მეტი ორგანიზაცია იყენებს სხვადასხვა მიზნით. თუმცა, მას სამსახურში აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ეფექტი, რაც უნდა გაითვალისწინოს ორგანიზაციამ ამ მეთოდის გამოყენებისას.

შესაძლებელია სამსახურში როტაციის, როგორც კონტროლის საშუალების გამოყენება, ეთიკური გადაცდომისა და დარღვევის გამოსაცლენად. იგი ამცირებს ინდივიდებს შორის არაკანონიერი გზით მორიგების რისკს. ორგანიზაციებს, რომლებიც ფლობენ მნიშვნელოვან ინფორმაციას ან პერსონალურ მონაცემთა სისტემებს, შეუძლიათ მიმართონ სამსახურში როტაციის მეთოდს. როტაციის მეთოდი გამოიყენება ფიზიკური და მენტალური სტრესის შესამცირებლად, რომელსაც დასაქმებულები წლების განმავლობაში ერთსა და იმავე პოზიციაზე მუშაობისას განიცდიან. ამასთანავე, სამსახურში როტაციის განხორციელება უკავშირდება ხარჯებს, რადგან გადაყვანილი თანამშრომლების გადამზადებისთვის დროისა და ფულის ინვესტირება, თანამშრომელთა სხვადასხვა პოზიციაზე გადაყვანის პროცესის თანმდევია. კიდევ ერთი უარყოფითი მხარეა ისიც, რომ ზოგიერთი თანამშრომელი, მიუხედავად ტრენინგ-პროგრამის ეფექტურობისა, კარგად ვერ ეწყობა როტაციის შედეგად შეცვლილ პოზიციას ორგანიზაციაში.

მიუხედავად ამისა, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასურველია, ყველა ორგანიზაციაში მოსამსახურეთა შემადგენლობის პერიოდული განახლება როტაციის პრინციპის შესაბამისად ხორციელდებოდეს. ამ მიდგომის უპირატესობა არის ის, რომ

თანამშრომელთა ურთიერთშენაცვლება ხელს უნყობს თითოეული თანამშრომლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენას და ორგანიზაციის მიზნების მიღნევის ეფექტიანობის ზრდას.

ორგანიზაციებმა ეფექტური ფუნქციონირების მიზნით უნდა განახორციელონ მოსამსახურეთა სისტემური როტაცია, რაც უზრუნველყოფს კორუფციის აღმოფხვრას, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას და ეთიკური ქცევის წესების დაცვას.

ნ) საჯარო მოსამსახურის ურთიერთობის სტანდარტი ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფ საჯარო მოსამსახურესთან

საჯარო მოსამსახურე კეთილსინდისიერად ასრულებს ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი საჯარო მოსამსახურის მითითებებს, ბრძანებებსა და სხვა ზეპირ თუ წერილობით დავალებებს. თუ აღნიშნული დავალებები საჯარო მოსამსახურისათვის ბუნდოვანი ან რთულად შესასრულებელია ან მისი კომპეტენცია და პროფესიული ცოდნა არ არის მსგავსი დავალების შესრულებისათვის საკმარისი, საჯარო მოსამსახურე დაუყოვნებლივ აცნობებს აღნიშნული გარემოებების შესახებ დავალების მიმცემ ხელმძღვანელს.

საჯარო მოსამსახურე არ ასრულებს ისეთი სახის მითითებებს, დავალებებსა და ბრძანებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება კანონმდებლობას. აღნიშნული სახის დავალების მიღების შემთხვევაში, იგი მოქმედებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნებით.

ო) ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი საჯარო მოსამსახურის ურთიერთობის სტანდარტი მის დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო მოსამსახურეებთან

ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი საჯარო მოსამსახურე თავს არიდებს ავტოკრატიული მმართველობის სტილს და უზრუნველყოფს ინიციატივებისა და კრიტიკისათვის ღია და თავისუფალი გარემოს შექმნას. დავალებებს გასცემს, დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო მოსამსახურეების კომპეტენციების ფარგლებში და უზრუნველყოფს მათ შორის სამუშაო დროისა და ფუნქციების ეფექტურ გადანაწილებას.

ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი საჯარო მოსამსახურე თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოავლენს იმ სფეროებს, რომლებშიც შესაძლოა, არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის რისკი და ცდილობს ისეთი მექანიზმების შემუშავებას, რომლებიც უზრუნველყოფს აღნიშნული რისკის შემცირებას ან/და ეფექტიან მართვას. იგი თავს არიდებს მის დაქვემდებარებაში მყოფი რომელიმე საჯარო მოსამსახურისათვის არასამართლიანი

უპირატესობის მინიჭებას სხვა საჯარო მოსამსახურეთა ხარჯზე, როგორც ზეპირი თუ წერილობითი დავალებების განაწილების, ისე კარიერული მართვისა თუ წახალისების ფორმების გამოყენებისას.

ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი საჯარო მოსამსახურე განსაზღვრავს და ავითარებს სტრატეგიებს საჯარო სამსახურის მიზნების მისაღწევად, ნათლად განსაზღვრავს მის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო მოსამსახურეების მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოლოდინებს და უზრუნველყოფს მათ დამოუკიდებლობას სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებისას. იგი ობიექტურად და მიუკერძოებლად აფასებს მის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო მოსამსახურის მიერ შესრულებულ საქმიანობას, წარმატებით შესრულებული საქმიანობისათვის, ნახალისების მიზნით, საჯარო მოსამსახურის კანდიდატურას წარადგენს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან და აფასებს თანამშრომლის მიერ მიღწეულ შედეგებსა და ძალისხმევას. იგი მის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო მოსამსახურეებისათვის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით შენიშვნის მიცემისას ინარჩუნებს კორექტულობას, რათა თავიდან აიცილოს საჯარო მოსამსახურის ღირსების შელახვა.

ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი საჯარო მოსამსახურე უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულად გავრცელებას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინოს საჯარო მოსამსახურის საქმიანობასა და სამუშაო გარემოზე, უზრუნველყოფს იმ თანამშრომლის ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელსაც უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება. ასევე ხელს უწყობს კოლეგიური გარემოს შექმნას და ცდილობს, თავიდან აირიდოს კონკრეტული საჯარო მოსამსახურის უარყოფით კონტექსტში მოხსენიება სხვა თანამშრომლების თანდასწრებით. იგი გულისხმიერად ეპყრობა თანამშრომელთა პირად პრობლემებს და ცდილობს მათ მხარდაჭერას, რათა აღნიშნულმა პრობლემებმა უარყოფითი გავლენა არ იქონიოს სამსახურებრივ გარემოზე.

ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი საჯარო მოსამსახურე თავს იკავებს მის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო მოსამსახურის მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობის ე.წ. „მობინგის" ნებისმიერი ფორმის გამოყენებისაგან. მან თავი უნდა შეიკავოს არასამუშაო საათებში, დასვენებისა და უქმე დღეებში, ასევე შვებულების დროს თანამშრომლისათვის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის ან დავალების მიცემისაგან, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.

ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი საჯარო მოსამსახურე ხელს უწყობს მის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო მოსამსახურეების

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობასა და მათ ჩართულობას პროფესიული განვითარების სხვადასხვა პროგრამაში. იგი პატივს სცემს საჯარო მოსამსახურის გამოხატვის თავისუფლებას ეთიკისა და ქცევის ნესების მე-11 მუხლით „საჯარო მოსამსახურის გამოხატვის თავისუფლება" დადგენილი წესის შესაბამისად.

ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი საჯარო მოსამსახურე თავს იკავებს ისეთი ქმედების განხორციელებისაგან, რომელიც შესაძლოა, აღქმულ იქნეს „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონის 18[1] მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის პროცესში ჩარევად. იგი ცდილობს, იყოს სამაგალითო საჯარო მოსამსახურეებისა და საზოგადოებისათვის.

** პ) მხილების სტანდარტი**

მამხილებელი საჯარო დაწესებულებაში კანონმდებლობისა და ეთიკისა და ქცევის წესების შესაძლო დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მოქმედებს „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონის მეხუთე[1] თავის „მამხილებლის დაცვა" შესაბამისად.

მხილება არის პირის (მამხილებლის) მიერ განცხადების განმხილველი ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის ან/და საქართველოს სახალხო დამცველის ინფორმირება საჯარო მოსამსახურის (მხილებულის) მიერ საქართველოს კანონმდებლობის ან ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შემცველი ნორმების დარღვევის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელმაც ზიანი მიაყენა ან შეიძლება მიაყენოს საჯარო ინტერესს ან შესაბამისი საჯარო დაწესებულების რეპუტაციას. მხილებად ჩაითვლება აგრეთვე მამხილებლის მიერ ზემოაღნიშნული დარღვევის შესახებ სამოქალაქო საზოგადოების ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმირება განცხადების განმხილველი ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის ან საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

მხილება ეფუძნება ორგანიზაციის მოქმედი ან ყოფილი წევრის ან წევრების მიერ დამსაქმებლის, ხელისუფლების ან ადმინისტრაციული ორგანოს კონტროლის ქვეშ მყოფი უკანონო, ამორალური ან არალეგიტიმური პრაქტიკის ან პოლიტიკის გამჟღავნებას, რომელიც მიმართულია პიროვნებების ან ორგანიზაციების მიმართ.[94] ამასთანავე, მხილება არ უნდა სცილდებოდეს იმ პირის პირად თუ

94 „ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები საჯარო სამსახურში", 2015, 83 გვ.

კერძო ინტერესებს, რომელმაც ეს ინფორმაცია გაამჟღავნა და უნდა წარმოადგენდეს საზოგადოებრივი ინტერესის საგანს.

მხილების მიზანია, გამოაშკარაოს და საზოგადოებისათვის ცნობილი გახადოს ნებისმიერი სახის სამართალდარღვევა და საზოგადოების ინტერესების ნინააღმდეგ განხორციელებული ქმედება.

მხილება განსხვავდება ინფორმაციის გაჟონვისგან, რომელიც არის ინფორმაციის არასანქციირებული გამჟღავნება. ამ დროს გამმჟღავნებელი პირის ვინაობა ცნობილი არ არის კონკრეტული უწყებებისთვის ან უფრო ფართო საზოგადოებისათვის. ეს არის სამართალდარღვევებისა თუ სხვა ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მეთოდი. ზოგიერთ ქვეყანაში ინფორმაციის გაჟონვას არაეთიკურად მიიჩნევენ ვიდრე მხილებას, ხოლო არის ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობა, პირიქით, არ განასხვავებს მამხილებელს საიდუმლო ინფორმაციის გამმჟღავნებელი პირისგან.

მამხილებელთა ინსტიტუტი სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. მსოფლიოში მასთან დაკავშირებული უამრავი სამართლებრივი რეგულაცია იქმნება და სხვადასხვა სახის ინფორმაცია მუშავდება. პოტენციური მამხილებლები საჭიროებენ დახმარებასა და რჩევებს სტრატეგიული აზროვნების ჩამოყალიბებისთვის. მნიშვნელოვანია მამხილებელთან სამი მიმართულებით მუშაობა: მათი მოტივირება, მოქმედების სტრატეგიის განსაზღვრისათვის რჩევების მიცემა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მამხილებელთა დაცვის მექანიზმების შემუშავება.

მხილება შეიძლება განხორციელდეს ნერილობით, ზეპირად, ელექტრონულად, ტელეფონით, ფაქსით, ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით ან სხვა სამუალებით.

საჯარო სამსახურის კანონიერების, გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპებიდან გამომდინარე, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონის მეხუთე[1] თავის თანახმად, **მხილება არის ორი სახის: ღია და ანონიმური.**

ღია მხილება არის, პირის (მამხილებლის) მიერ განცხადების განმხილველი ორგანოს,[95] გამომძიებლის, პროკურორის ან/და სახალხო დამცველის ინფორმირება საჯარო მოსამსახურის (მხილებულის) მიერ კანონმდებლობის ან ეთიკისა და ქცევის ზოგადი ნესების შემცველი ნორმების დარღვევის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში,

95 განცხადების განმხილველი ორგანო – შესაბამისი საჯარო დაწესებულების შიდა კონტროლის ან/და სამსახურებრივი ინსპექტორების განმახორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი.

რომელმაც ზიანი მიაყენა ან შეიძლება მიაყენოს საჯარო ინტერესს ან შესაბამისი საჯარო დაწესებულების რეპუტაციას. მხილებად ჩაითვლება, აგრეთვე, მამხილებლის მიერ ზემოაღნიშნული დარღვევის შესახებ სამოქალაქო საზოგადოების ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმირება განცხადების განმხილველი ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის ან სახალხო დამცველის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

ხოლო ანონიმური მხილება არის მხილება, როდესაც მამხილებელი იდენტიფიცირებული არ არის, როდესაც არ არსებობს მამხილებლის მიერ მისი ვინაობის გამჟღავნების ნერილობით გამოხატული ნება, განცხადების განმხილველი ორგანო ვალდებულია არ გაამჟღავნოს მამხილებლის ვინაობა.

მხილება კეთილსინდისიერი უნდა იყოს და უნდა ემსახურებოდეს კანონმდებლობის ან ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შემცველი ნორმების დარღვევის თავიდან აცილებას, გამოვლენას ან აღკვეთას ან/და საჯარო ინტერესის დაცვას. მხილება კეთილსინდისიერად ითვლება, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება.

დაუშვებელია მამხილებლის ან მისი ახლო ნათესავის დაშინება, შევიწროება, იძულება, დამცირება, დევნა, მასზე ზეწოლა, მისთვის მორალური ან მატერიალური ზიანის მიყენება, მის მიმართ ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოყენება, დისკრიმინაციული მოპყრობა ან სხვა უკანონო ქმედების განხორციელება მხილების ფაქტთან დაკავშირებით. ასევე დაუშვებელია მამხილებლის მიმართ ადმინისტრაციული ან სამოქალაქო სამართალწარმოების ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და მისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება, აგრეთვე მის მიმართ იძულებითი ზომების[96] გამოყენება მხილების ფაქტთან დაკავშირებული გარემოებების გამო.

თუ მამხილებლის მიმართ დისციპლინური წარმოება ან ადმინისტრაციული სამართლის, სამოქალაქო სამართლის ან სისხლის სამართლის პროცესი მიმდინარეობს, ის უნდა შეჩერდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც: დისციპლინური წარმოება, ადმინისტრაციული სამართლის, სამოქალაქო სამართლის ან სისხლის სამართლის პროცესი მხილების ფაქტთან დაკავშირებული არ არის; კანონით

96 იძულებითი ზომები – „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, ან მამხილებლის თანხმობის გარეშე მისთვის სამუშაო ადგილის შეცვლა, ხელშეკრულების პირობების გაუარესება, სამსახურში მიღებაზე, აღდგენაზე ან დაწინაურებაზე უარის თქმა ან/და სხვა ქმედება, რომელმაც გამოიწვია ან შეიძლება გამოიწვიოს მამხილებლის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეზღუდვა ან მისი სამსახურებრივი მდგომარეობის ან/და სამუშაო პირობების გაუარესება.

დადგენილი დაცვის გარანტიებით სარგებლობის მიზანია სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების ხელყოფა, მისი კონსტიტუციური წყობილების დამხობა, ეთნიკური ან რელიგიური შუღლის გაღვივება. მამხილებლის მიმართ იძულებითი ზომების გამოყენებისას, ადმინისტრაციული, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის პროცესის წარმოებისას შესაბამისი საჯარო დაწესებულება ვალდებულია, დაასაბუთოს, რომ ეს დაკავშირებული არ არის მხილების ფაქტთან და ამისათვის არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი.

კანონით დადგენილი დაცვის გარანტიების უზრუნველყოფის მონიტორინგს ახორციელებს შესაბამისი საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი.

სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას მხილებასთან დაკავშირებული საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე, თუ ამ საქმეში მონაწილეობის გამო მამხილებლის, მისი ახლო ნათესავის ან მხილების მოწმის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას საფრთხე ემუქრება, მამხილებელი, მისი ახლო ნათესავი, მხილების მოწმე ან განცხადების განმხილველი ორგანო კანონმდებლობის თანახმად, უფლებამოსილია მიმართოს მთავარ პროკურატურას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ.

მამხილებელი უფლებამოსილია, განცხადების განმხილველი ორგანოს ან შესაბამისი საჯარო დაწესებულების მიერ კანონის მოთხოვნების დარღვევა გასასაჩივროს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მამხილებელი დაცვის გარანტიებით სარგებლობს განურჩევლად იმისა, მხილების შედეგად გამჟღავნებული ინფორმაცია სწორია თუ მცდარი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც: მხილების შედეგად გამჟღავნებული ინფორმაცია მცდარია, რაც მამხილებლისთვის წინასწარ იყო ცნობილი ან ცნობილი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მას შეეძლო გადაემოწმებინა მხილებისათვის საჭირო ინფორმაციის სისწორე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მან ამ ინფორმაციის გადამოწმებისთვის აუცილებელი ყველა შესაძლო ზომა მიიღო და მისი მცდარობა მაინც ვერ დაადგინა; მამხილებელი მოქმედებს თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის მისაღებად, გარდა კანონმდებლობით დაწესებული სპეციალური ჯილდოს მიღების შემთხვევისა; მამხილებელი ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ მხილების ფაქტობრივი გარემოებები საჯაროდ ცნობილია ან ცნობილია განცხადების განმხილველი ორგანოსთვის.

თუ მხილების განცხადება მიმართულია საჯარო დაწესებულების შიდა კონტროლის ან/და სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომლის ან ხელმძღვანელის ან საჯარო დანესებულების ხელმძღვანელს ნინააღმდეგ, მამხილებელს უფლება აქვს, მხილების განცხადებით მიმართოს შესაბამის ზემდგომ თანამდებობის პირს.

მხილების საკითხები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით.

2.3.2. საჯარო მოსამსახურის სახელმწიფოსთან ურთიერთობის ეთიკური პრინციპები

საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესებით განსაზღვრულია საჯარო მოსამსახურის სახელმწიფოსთან ურთიერთობის ეთიკური პრინციპები: ა) ერთგულება; ბ) კანონიერება; გ) პოლიტიკური ნეიტრალიტეტი; დ) რელიგიური ნეიტრალიტეტი; ე) კეთილსინდისიერება; ვ) ინტერესთა შეუთავსებლობა; ზ) საჩუქარი; თ) გამოხატვის თავისუფლება.

განვიხილოთ თითოეული ზემოაღნიშნული ეთიკური პრინციპი:

ა) ერთგულების პრინციპი

საჯარო მაოსამსახურის ერთგულების ეთიკური პრინციპის საფუძველია „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით განსაზღვრული შესაბამისი პრინციპი. საჯარო მოსამსახურე არის ხალხისა და სახელმწიფოს ერთგული. ხალხის ერთგულება გულისხმობს მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების კეთილსინდისიერად შესრულებას, საჯარო ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით. ხოლო სახელმწიფოს ერთგულება გულისხმობს სახელმწიფოს ძირითადი პრინციპების დაცვას, როგორებიცაა: დემოკრატიის პრინციპი, კანონიერების პრინციპი და საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

ბ) კანონიერების პრინციპი

საჯარო მოსამსახურე მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. იგი ასრულებს ხელმძღვანელის დავალებას, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და მოქმედ კანონმდებლობას, „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის თანახმად განსაზღვრულია

მოხელის მიერ განკარგულების შესრულების ეალდებულების საკითხი, რომლის თანახმად, მოხელე ვალდებულია შეასრულოს უშუალო ხელმძღვანელის განკარგულება, რომელიც შეესაბამება კანონმდებლობას, იმ შემთხვევაშიც, თუ ასეთი განკარგულების შესრულება არ განეკუთვნება მის ფუნქციებს და მისი შესრულება, საჯარო დაწესებულების ფუნქციონირების ინტერესების გათვალისწინებით, აუცილებელია სტიქიური უბედურებისა და უბედური შემთხვევის თავიდან დროულად ასაცილებლად, ქონების დაღუპვისა და გაფუჭებისაგან დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი განკარგულების შესრულება საზიანოა მოხელის ჯანმრთელობისათვის ან აშკარად აღემატება მის შესაძლებლობებს.

მოხელეს უფლება აქვს, უარი განაცხადოს განკარგულების შესრულებაზე, თუ: განკარგულება ეწინააღმდეგება კანონმდებლობას;განკარგულების გაცემა სცილდება განკარგულების გამცემის უფლებამოსილების ფარგლებს; განკარგულების შესრულება საჭიროებს განსხვავებულ კომპეტენციასა და პროფესიულ უნარებს, რომლებიც მას არ აქვს;განკარგულების შესრულება საზიანოა მისი ჯანმრთელობისათვის; განკარგულება მიმართულია „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონით განსაზღვრული მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ; განკარგულების შესრულება გამოინვევს დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენას.

ზემოაღნიშნული შემთხვევებში **მოხელე ვალდებულია** აღნიშნული ფაქტის შესახებ წერილობით შეატყობინოს უშუალო ხელმძღვანელს და შესაბამისი საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს. განკარგულების წერილობით განმეორებისას მოხელემ აღნიშნული განკარგულება უნდა შეასრულოს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. აღნიშნულ შემთხვევაში განკარგულების შესრულება არ შეიძლება გახდეს მოხელის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი.

საჯარო მოსამსახურე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ გადაწყვეტილებათა კანონმდებლობასთან შესაბამისობას, რომელიც ეხება ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. იგი იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა თავიდან იქნეს აცილებული კანონის შესაძლო დარღვევები საჯარო სამსახურში.

„საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მეათე თავით განსაზღვრულია საჯარო მოხელის დისციპლინარული გადაცდომების ფორმები. მათ შორის: ეთიკის ნორმების, ქცევის ზოგადი წესების

უგულებელყოფა ან დარღვევა, რომელიც მიმართულია მოხელისა და საჯარო დანესებულების დისკრედიტაციისაკენ, მიუხედავად იმისა, სამსახურშია იგი ჩადენილი თუ სამსახურის გარეთ.

გ) პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპი

კანონის შესაბამისად, ეთიკური პრინციპიდან გამომდინარე, საჯარო მოსამსახურე თავისუფალი და ნეიტრალურია გადაწყვეტილების მიღებისას და მიჯნავს სახელმწიფოს ინტერესებს პოლიტიკური პარტიის ინტერესებისგან. იგი ახორციელებს თავის უფლებამოსილებებს პოლიტიკური პარტიის კუთვნილებისა და პირადი პოლიტიკური შეხედულებებისაგან დამოუკიდებლად.

საჯარო მოსამსახურე სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას თავს იკავებს ისეთი ქმედებისაგან, რომელიც შესაძლებელია, აღქმულ იქნეს კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ინტერესების გატარებად. საჯარო მოსამსახურე არ იყენებს ადმინისტრაციულ რესურსს პოლიტიკური პარტიის მიზნებისათვის.

დ) რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპი

საჯარო მოსამსახურე თავისუფალი და ნეიტრალურია გადაწყვეტილების მიღებისას და მიჯნავს სახელმწიფო ინტერესებს პირადი რელიგიური ან იმ რელიგიური თემისა თუ გაერთიანების ინტერესებისგან, რომელსაც ის თავს მიაკუთვნებს. იგი ახორციელებს თავის უფლებამოსილებებს პირადი რელიგიური კუთვნილების, მრწამსისა და შეხედულებებისაგან დამოუკიდებლად. სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში, სხვა საჯარო მოსამსახურეებთან, თანამშრომლებსა/კოლეგებსა და მოქალაქეებთან ურთიერთობისას, პირდაპირი საჭიროების არარსებობის შემთხვევაში, თავს იკავებს რელიგიური შინაარსის საჯარო განცხადებებისგან და არ ახდენს საკუთარი რელიგიური მრწამსის, პრაქტიკის ან შეხედულებების მიზანშეუწონელ დემონსტრირებას. იგი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას თავს იკავებს ისეთი ქმედებისაგან, რომელიც შესაძლებელია, აღქმულ იქნეს კონკრეტული რელიგიური დოქტრინის, თემის ან გაერთიანების ინტერესების გატარებად. ასევე, არ იყენებს ადმინისტრაციულ რესურსს პირადი რელიგიური ან იმ რელიგიური თემისა თუ გაერთიანების მიზნებისთვის, რომელსაც ის თავს მიაკუთვნებს.

ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი საჯარო მოსამსახურე დაქვემდებარებულ თანამდებობაზე მყოფი საჯარო მოსამსახურისაგან არ ითხოვს პირადი რელიგიური მრწამსის, პრაქტიკის ან შეხედულებების შესახებ ინფორმაციის საჯაღდებულო გასაჯაროებას, როგორც

სამსახურში მიღებისას, ასევე სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას.

ე) კეთილსინდისიერების პრინციპი

საჯარო მოსამსახურე მოქმედებს მისი უფლებამოსილების ფარგლებში; თანამდებობრივ მდგომარეობასა და უფლებამოსილებას იყენებს კანონის საფუძველზე, საჯარო ინტერესის დაცვის მიზნით. თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას ისე ახორციელებს, რომ ნებისმიერ დროს შესაძლებელი იყოს ხელმძღვანელის მიერ მისი საქმიანობის შემოწმება.

საჯარო მოსამსახურე საჯარო ინტერესს აყენებს პირად ინტერესზე მაღლა და თავიდან ირიდებს ისეთ გარემოებებს, რომლებმაც შესაძლოა წარმომშვას ინტერესთა კონფლიქტი ან/და აღქმულ იქნეს, როგორც ინტერესთა კონფლიქტი.

საჯარო მოსამსახურე უფრთხილდება და კეთილსინდისიერად იყენებს სამსახურებრივ მოწმობას, საშვს ან/და უფლებამოსილების განხორციელებისათვის გაცემულ სხვა ოფიციალურ საიდენტიფიკაციო დოკუმენტს. ასევე ზემოაღნიშნულს არ იყენებს რაიმე სახის უპირატესობის ან სარგებლის მიღების, ასევე სამართალდარღვევის ან/და სხვა სახის გადაცდომებისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით.

საჯარო მოსამსახურე უფრთხილდება და კეთილსინდისიერად, მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის, იყენებს მისთვის სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისათვის მინდობილ ქონებას, დაზიანების, დაკარგვის ან/და განადგურების, ასევე მინდობილი ქონების იმავე საჯარო დაწესებულებაში მომუშავე სხვა საჯარო მოსამსახურისათვის გადაცემის, ან საჯარო დაწესებულების შენობიდან გატანის შესახებ ატყობინებს საჯარო დაწესებულების შესაბამის უფლებამოსილ პირს. იგი სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში საჯარო დაწესებულების შესაბამის უფლებამოსილ პირს უბრუნებს სამსახურებრივ მოწმობას, საშვს ან სხვა ოფიციალურ საიდენტიფიკაციო დოკუმენტს, ასევე მისთვის მინდობილ ქონებას, ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით, რომელიც მას გადაცემული ჰქონდა საჯარო დაწესებულებაში უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში.

კერძო სექტორიდან საჯარო სამსახურში გადმოსული საჯარო მოსამსახურე: არ აყენებს ბიზნესის ან/და მისი ყოფილი პარტნიორების კერძო ინტერესებს საჯარო ინტერესებზე მაღლა პოლიტიკისა თუ სხვა სახის რეგულაციების შემუშავებისას, ხელშეკრულებების გაფორმებისას თუ სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე სხვა

სახის გადაწყვეტილებების მიღებისას; თავიდან ირიდებს ნებისმიერ ისეთ ქმედებას, რომელიც შესაძლოა აღქმულ იქნეს ბიზნესის ან მისი პარტნიორების უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებად.

კეთილსინდისიერების პრინციპს იცავს ასევე ყოფილი საჯარო მოსამსახურე, რომელიც საჯარო სამსახურიდან გადასულია კერძო სექტორში. კერძო და საჯარო სექტორებს შორის თანამდებობის პირთა მოძრაობას გულისხმობს ტერმინი „მბრუნავი კარი". მიუხედავად იმისა, რომ ამგვარ მოძრაობას გარკვეული სარგებელი შეიძლება ჰქონდეს, როგორიცაა, მაგალითად, ეფექტური მართვის პრაქტიკის გადმოტანა კერძო სექტორიდან საჯარო დაწესებულებებში, ან პირიქით იგი ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის მნიშვნელოვან რისკებსაც წარმოშობს, რადგან ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის ახლო ურთიერთობები ყალიბდება. ბიზნესიდან მოსულ საჯარო მოხელეებს საკუთარი მდგომარეობა იმ კომპანიების სასარგებლოდ შეუძლიათ გამოიყენონ, რომლებშიც თავად აქვთ ინტერესი. მეორე მხრივ, კერძო სექტორში გადანაცვლებულ ყოფილ საჯარო მოხელეებს შესაძლებლობა ეძლევათ, შენარჩუნებული კავშირების საშუალებით თავის კომპანიებს არაჯეროვანი უპირატესობის მოპოვებაში დაეხმარონ.[97] მსგავსი შემთხვევები კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევაა. მისი თავიდან აცილება კანონმდებლობაში უფრო კონკრეტული ნორმების ასახვითაა შესაძლებელი.

საჭიროა საკანონმდებლო რეგულაციების შემოღება, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე დაანესებს მონიტორინგს საჯარო სამსახურიდან კერძო სექტორში წასულ საჯარო მოსამსახურეების საქმიანობაზე, და პირიქით, იმ მოქმედებებზე, რომლებიც დაკავშირებულია წარსულში მათ საქმიანობასთან საჯარო თუ კერძო სექტორში.

ვ) ინტერესთა შეუთავსებლობის პრინციპი

საჯარო მოსამსახურე არ იღებს ისეთი სახის შეთავაზებას, რომელიც წარმოშობს ან შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა შეუთავსებლობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან ან/და გავლენა მოახდინოს მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებაზე. იგი თავს არიდებს ისეთ გარემოებებს, რომლებიც შესაძლოა აღქმულ იქნეს კერძო ინტერესის პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენად მის სამსახურებრივ საქმიანობაზე.

ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ან/და შესაძლო წარმოშობის შემთხვევაში, საჯარო მოსამსახურე, არ მონაწილეობს საჯარო დაწესებულების სახელით სხვა დაწესებულებასთან/ორგანიზაციასთან

97 „ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები საჯარო სამსახურში," 2015, თბ. გვ. 33.

ხელშეკრულების მომზადების ან/და მოლაპარაკების პროცესში, ასევე პოლიტიკის შემუშავების, საჯარო ინტერესის მქონე გადაწყვეტილებების მიღების, სხვა დაწესებულებისათვის ან/და საჯარო მოსამსახურისათვის კონსულტაციის გაწევის პროცესში. ამ შემთხვევაში გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენის შემთხვევაში, საჯარო მოსამსახურე ატყობინებს იმ საჯარო დაწესებულებას, რომელსაც იგი წარმოადგენს და ახდენს თვითაცილებას.

სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას საჯარო მოსამსახურე არ ითხოვს ან/და არ იღებს მატერიალურ ან არამატერიალურ სარგებელს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებულისა, ფიზიკური ან იურიდიული პირებისგან და არ იყენებს სამსახურებრივ უფლებამოსილებას კერძო ინტერესების სასარგებლოდ.

საჯარო მოსამსახურე უპირატეს მდგომარეობაში არ აყენებს: იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებთანაც პირადი ან სამსახურებრივი ინტერესი აკავშირებს ან აკავშირებდა; ოჯახის წევრებს, ახლო ნათესავებს ან/და მასთან დაკავშირებულ პირებს მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას. ორივე შემთხვევაში, ეჭვის არსებობისას, საჯარო მოსამსახურე საქმის კურსში აყენებს უშუალო უფროსს.

საჯარო მოსამსახურე არ ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც კანონმდებლობის თანახმად, შეუთავსებელია მის მიერ საჯარო სამსახურში დაკავებულ პოზიციასთან. მის მიერ განხორციელებული საქმიანობა არ მიიჩნევა მის მიერ დაკავებულ პოზიციასთან შეუთავსებელ საქმიანობად, თუ იგი ახორციელებს: სამეცნიერო საქმიანობას, როგორიცაა სამეცნიერო სტატიის ან ნაშრომის გამოქვეყნება, სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა, სამეცნიერო-კვლევით პროგრამაში მონაწილეობა; პედაგოგიურ საქმიანობას, როგორიცაა ლექციის წაკითხვა, ტრენინგებისა და სხვა სასწავლო პროგრამების წარმართვა და სხვა სახით პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება; შემოქმედებით საქმიანობას, როგორიცაა კულტურული ფასეულობების, როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სახით შექმნა, აღდგენა ან/და ინტერპრეტაცია; სასპორტო საქმიანობას.

საჯარო მოსამსახურე არ იღებს ანაზღაურებას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, იმ საქმიანობისათვის, რომლის განხორციელებაც მას ეთხოვა, როგორც საჯარო დანესებულების ნარმომადგენელს და გულისხმობს მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მიღებული ცოდნის დაინტერესებული

პირის ან ფართო საზოგადოებისათვის გაზიარებას, სამუშაო თუ არასამუშაო საათებში.

საჯარო მოსამსახურე არის ყურადღებით ინტერესთა შეუთავსებლობის შესაძლო ნარმოშობის შემთხვევაში და, მისი თავიდან არიდების მიზნით, ინფორმაციას აწვდის შიდა კონტროლის, გენერალური ინსპექციის ან/და სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელ სტრუქტურულ ქვედანაყოფს.

ზ) საჩუქრის პრინციპი

საჯარო მოსამსახურესთან დაკავშირებული საჩუქრის ეთიკური პრინციპის საფუძველია „საჯარო დაწესებულებებში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონი. მისი გათვალინინებით საჯარო მოსამსახურე იღებს მხოლოდ კანონით ნებადართულ საჩუქარს და თავიდან ირიდებს ისეთი საჩუქრის მიღებას, რომელმაც შესაძლოა, გავლენა მოახდინოს მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებაზე, ან რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს მის კეთილსინდისიერებას და ვალდებულს გახდის საჩუქრის მიმცემის წინაშე.

„საჩუქარი" არის საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება ან განეული მომსახურება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, რომელიც ნარმოადგენს საერთო წესიდან გამონაკლისს.

კანონის თანახმად, საჯარო მოსამსახურის მიერ საანგარიშო ნლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მისი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა – 5%-ს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან.

საჯარო მოსამსახურის ოჯახის თითოეული წევრის მიერ საანგარიშო ნლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება ოჯახის თითოეულ წევრზე არ უნდა აღემატებოდეს 1 000 ლარს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა – 500 ლარს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან.

„საჩუქრად" არ ჩაითვლება: სახელმნიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გადაცემული გრანტი, სტიპენდია, ჯილდო, პრემია; „დიპლომატიური საჩუქარი", რომელიც გადაეცემა საჯარო მოსამსახურეს ოფიციალური ან სამუშაო ვიზიტის დროს პროტოკოლით გათვალისწინებული წესით და რომლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 300 ლარს; საქართველოს ან სხვა ქვეყნის სახელმნიფო

ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან დაწესებულების მიერ საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის პირად საკუთრებაში გადაცემული სიმბოლური ნიშანი ან სუვენირი, რომლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 300 ლარს და რომელიც მიღებულია ერთი წყაროდან ოფიციალური ღონისძიების ჩატარების დროს; საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, შეღავათიანი პირობებით განეული მომსახურება, რომელიც არ წარმოადგენს საერთო წესიდან გამონაკლისს; საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის ახლო ნათესავის მიერ უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება; საჩუქრად გადაცემული ნაბეჭდი გამოცემები, გარდა იმ კულტურული ფასეულობებისა, რომლებიც გათვალისწინებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ"[98] კანონით.

საჯარო მოსამსახურე ან მისი ოჯახის წევრი საჩუქრის მიღების შემდეგ თუ დაადგენს, რომ ამ საჩუქრის ღირებულება აღემატება კანონით დასაშვებ ოდენობას, ან/და თუ გარკვეული მიზეზით მაგალითად: საჩუქრის ფოსტით მიღება, საჩუქრის საჯაროდ გადაცემა, შეუძლებელი იყო მის მიღებაზე უარის თქმა, იგი კანონის თანახმად, ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგინოს ინფორმაცია მიღებული საჩუქრის დასახელების, შეფასებითი ან ზუსტი ღირებულების/ოდენობის და მჩუქებლის ვინაობის შესახებ, ხოლო კანონით აკრძალული საჩუქარი გადასცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს.

საჯარო მოსამსახურეს კანონის თანახმად ეკრძალება:

– ნებისმიერი საჩუქრის ან მომსახურების მიღება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე.

– თუ გაურკვეველია, აქვს თუ არა საჯარო მოსამსახურეს შეთავაზებული საჩუქრის ან ნებისმიერი სარგებლის მიღების უფლება ან/და მომსახურებით სარგებლობის უფლება, იგი ვალდებულია ამის შესახებ განაცხადოს.

საჯარო მოსამსახურისათვის აკრძალული სარგებლის შეთავაზების შემთხვევაში იგი ვალდებულია: არ მიიღოს ასეთი სარგებელი,

98 საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" 2007, 8 მაისი.

ხოლო შეთავაზების შესახებ 3 სამუშაო დღის ვადაში წერილობით შეატყობინოს თავის უშუალო ხელმძღვანელს და საჯარო სამსახურის ბიუროს; შეეცადოს იმ პირის იდენტიფიცირებას, რომელმაც ასეთი წინადადება შესთავაზა; შეზღუდოს იმ პირთან კონტაქტი, რომელმაც ასეთი ნინადადება შესთავაზა, და შეეცადოს მისი შეთავაზების საფუძვლის დადგენას; თუ საჩუქარზე უარის თქმა ან მისი დაბრუნება შეუძლებელია, საჩუქარი 3 სამუშაო დღის ვადაში გადასცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს. საჯარო მოსამსახურის მიერ ნებისმიერი დანაშაულებრივი ან სხვა უკანონო ქმედების ჩადენის შესახებ მტკიცებულების ან საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში შეტყობინებით ამხილოს იგი კანონით დადგენილი წესით.

თ) გამოხატვის თავისუფლების პრინციპი

საჯარო მოსამსახურეს, გარდა ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი საჯარო მოსამსახურისა, შეუძლია საჯაროდ გამოხატოს თავისი შეხედულება იმ საჯარო დანესებულების პოლიტიკასთან მიმართებით, რომელშიც იგი მუშაობს, თუ მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები არ ეხება იმ საკითხებს, რომლებიც შედის უშუალოდ მის სამსახურებრივ უფლებამოსილებაში ან/და მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე. აღნიშნულ შემთხვევაში, საჯარო მოსამსახურე უთითებს, რომ მისი შეხედულება არ წარმოადგენს საჯარო დაწესებულების პოზიციას. იგი საჯაროდ გამოხატავს საჯარო დანესებულების პოზიციას იმ შემთხვევაში, თუ მას მინიჭებული აქვს შესაბამისი უფლებამოსილება საჯარო სამსახურისგან.

საჯარო მოსამსახურე თავს იკავებს საჯაროდ სიძულვილის ენის გამოყენების ან/და დისკრიმინაციული ხასიათის კომენტარის გაკეთებისგან, რომელმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების მიუკერძოებლად და ობიექტურად განხორციელება. ასევე თავს იკავებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ისეთი ქმედებებისგან, განცხადებებისაგან ან/და სოციალური აქტივობისგან, რომელმაც შესაძლოა, ეჭვქვეშ დააყენოს მის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა ჯეროვანი შესრულება. იგი თავს იკავებს საჯარო კომენტარის გაკეთებისგან სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებისას წარმოშობილი პირადი ინტერესის მქონე საკითხებზე, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს საჯარო დაწესებულების რეპუტაციას.

2.3.3. საჯარო მოსამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის ეთიკური პრინციპები

კანონქვემდებარე აქტით „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესებით" განსაზღვრულია საჯარო მოსამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის ეთიკური პრინციპები: ა) გამჭვირვალობა და ღიაობა; ბ)საჯარო ინფორმაციის გაცემა; გ) მოქალაქეთა ჩართულობა; დ) მომსახურების განევა;

განვიხილოთ თითოეული ზემოაღნიშნული ეთიკური პრინციპი:

ა) გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპი

საჯარო მოსამსახურე თავის უფლებამოსილებას ახორციელებს გამჭვირვალედ და ღიად, კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში, უზრუნველყოფს უფლებამოსილების განხორციელებისას მიღებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას კანონით დადგენილ ფარგლებში, როგორც სხვა საჯარო მოსამსახურეებისათვის, ისე საზოგადოებისათვის.

ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემის პრინციპი

საჯარო მოსამსახურე უზრუნველყოფს ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის სრულყოფილ და დროულ მიწოდებას, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და მისი უფლებამოსილების ფარგლებში.

საჯარო ინფორმაციის გაცემისას საჯარო მოსამსახურე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და ინფორმაციის საჯაროობისათვის კანონმდებლობით დადგენილ შეზღუდვებს. პერსონალური ინფორმაციის დამუშავებისას იგი იცავს ბალანსს ინფორმაციის საჯაროობასა და საჯარო ინტერესს შორის. მისი გაცემისათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საჯარო მოსამსახურე, მოქმედებს კეთილსინდისიერად და ბოროტად არ იყენებს ინფორმაციის მიწოდებისათვის ვადის გაგრძელების შესაძლებლობას.

საჯარო მოსამსახურე, მზად არის, საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია მისი სამსახურებრივი საქმიანობის მიზნებისა და საფუძვლების შესახებ, ასევე იყოს ღია მისი ქცევისა და გადაწყვეტილებების მიმართ საზოგადოებრივი კონტროლისათვის.

გ) მოქალაქეთა ჩართულობის პრინციპი

საჯარო მოსამსახურე უზრუნველყოფს მოქალაქეთა ჩართულობას საჯარო დაწესებულებაში მიმდინარე საჯარო განხილვებში. საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი საჯარო

მოსამსახურე უზრუნველყოფს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან დროულ და გამართულ კომუნიკაციას.

დ) მომსახურების განევის პრინციპი

საჯარო მოსამსახურე საჯარო მომსახურების მიმღებ პირს აწვდის სრულყოფილ და დროულ მომსახურებას.

საჯარო მომსახურების მიმღებ პირთან ურთიერთობისას საჯარო მოსამსახურე არის ყურადღებიანი და თავაზიანი; ინარჩუნებს სიმშვიდესა და თავდაჭერილობას მომსახურების მიმღებ პირთან წარმოქმნილ პრობლემურ სიტუაციებში, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურად უდგება საჯარო მომსახურების მიმღები პირის პრობლემებს. ასევე საჯარო მომსახურების მიმღებ პირს უნევს დახმარებას თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში, ხოლო კომპეტენციის არარსებობის შემთხვევაში, უთითებს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს.

საჯარო მომსახურების განევისას საჯარო მოსამსახურე მაქსიმალურად იყენებს ელექტრონული მმართველობის ფორმებს მომსახურების ხელმისაწვდომობისა და გაუმჯობესების მიზნით, ასევე სამსახურებრივ საკითხებზე მოქალაქეებთან კომუნიკაციისას არ იყენებს პირად ელექტრონულ ფოსტასა და სოციალური ქსელის პირად გვერდს. ასევე მოქმედებს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპისა და საჯარო სამსახურის საერო/სეკულარული ხასიათის გათვალისწინებით.

საჯარო მმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობისთვის აუცილებელია საჯარო მოსამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის ეთიკური პრინციპების საფუძველზე შეიქმნას მარტივად ხელმისაწვდომი, მრავალმხრივი მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მისცემს მოქალაქეებს წამოჭრან გარკვეული საკითხები და ახალი იდეები. ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის მსგავსი პარტნიორობის შედეგად მოხდება საზოგადოების აზრის გათვალისწინება გადაწყვეტილებების მიღებისას. იმავდროულად, მსგავსი აქტივობებით ყალიბდება შეგრძნება, რომ ახალი პოლიტიკა და მისი იმპლემენტაცია საერთო საქმეა. არასამთავრობო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მთავრობასა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობის პროცესში.

საზოგადოების თანამონაწილეობა ნიშნავს მოქალაქეების ჩართვას პოლიტიკის არჩევისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კერძოდ, პოლიტიკის განსაზღვრისათვის, კანონებისა და

გადაწყვეტილებების მისაღებად მიაწოდოს ხელისუფლებას იდეები და მოსაზრებები, რომლებიც მოემსახურება საზოგადოების დემოკრატიულ ინტერესებს.[99]

საზოგადოების თანამონაწილეობა მისი ინსტიტუციონალიზაციის შემთხვევაში, შესაძლოა, საჯარო დაწესებულებებში კორუფციისგან დაცვისა და ეთიკური ქცევის სტანდარტების დანერგვის ძირითადი მექანიზმი გახდეს. იგი ეხმარება საჯარო მოსამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის ეთიკური პრინციპების დანერგვაში. საჯარო მოსამსახურეებმა უნდა მოამარაგონ მოქალაქეები მათთვის სასურველი ინფორმაციით თავისი ქმედებების შესახებ, აუხსნან გადაწყვეტილების მიღების მიზეზი და ასახონ მოქალაქეთა მოსაზრებები საბოლოო დოკუმენტში. ამ პროცესში საჯარო სამსახური უზრუნველყოფს რაიმე გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში დამცავი მექანიზმის არსებობას.

საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში მოცემულია რეკომენდაციები საჯარო სამსახურების საზოგადოებასთან, სამეცნიერო-აკადემიურ წრეებთან, მასმედიასთან და სხვა ორგანიზაციებთან და პირებთან ურთიერთობის, კომუნიკაციისა და კვლევებში ჩართულობის უზრუნველმყოფელი მექანიზმების შექმნის აუცილებლობის თაობაზე.

დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში მნიშვნელოვანია და აუცილებლობას წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა და მონიტორინგი საჯარო პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და აღსრულების პროცესში, აღნიშნული მექანიზმების დანერგვა უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულებებში პროფესიული ეთიკის და ქცევის სტანდარტების სრულყოფას, კორუფციის თავიდან აცილებას.

საჯარო სამსახურის საქმიანობის ძირითად პრინციპებთან და ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებით მოსაზრებები და რეკომენდაციები მოცემულია დასკვნით ნაწილში.

საკონტროლო კითხვები

2.1.

- რა არის საჯარო სამსახური?
- საჯარო სამსახურის რომელ ძირითად პრინციპებს იცნობთ?

2.2.

- რას ნიშნავს ინტერესთა შეუთავსებლობა და კორუფცია საჯარო სამსახურში?

99 ეთიკისა და ქცევის ზოგადი ნორმები საჯარო სამსახურში, 2015, თბ. გვ. 77.

2.2.1.

• საჯარო მოსამსახურის რომელი ვალდებულებები და მოქმედებების შეზღუდვები იცით?

2.2.2.

• რას ნიშნავს საჯარო სამსახურში მოსამსახურის თანამდებობრივი და ინტერესთა შეუთავსებლობა?

2.2.3.

• რა სახის სამართლებრივი აქტით რეგულირდება საჯარო მოსამსახურის ქცევის ზოგადი წესები ?

2.2.5.

• როგორია საჯარო თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისა და წარდგენის ვალდებულება და პასუხისმგებლობა?

2.3.1

• რით რეგულირდება ეთიკისა და ქცევის საკითხები საჯარო დაწესებულებაში?

• საჯარო მოსამსახურის პროფესიული ქცევის რომელ ძირითად სტანდარტებს იცნობთ?

• რას ემსახურება და როგორ გამოიყენება პრაქტიკაში ჩაცმის წესი?

• რა არის სექსუალურ შევინროვება და ფსიქოლოგიური ძალადობა?

• რას ემსახურება „ოთხი თვალის" პრინციპი?

• რას ემსახურება „როტაცია"?

• რა არის „მხილება" საჯარო სამსახურში?

• ვინ შეიძლება იყოს მამხილებელი?

• მამხილებლის დაცვის რომელ მექანიზმებს იცნობთ?

• რას გულისხმობს „მბრუნავი კარი"?

• რას ემსახურება „შავი სიის" რეესტრი?

• რა არის „ნეპოტიზმი", „კრონიზმი" და „სნობიზმი"?

• რა არის „საჩუქარი" საჯარო სამსახურში?

• რა მნიშვნელობა აქვს „თანამონაწილეობას"?

2.3.2.

• საჯარო მოსამსახურის სახელმწიფოსთან ურთიერთობის რომელ ეთიკური პრინციპებს იცნობთ?

2.3.3.

• საჯარო მოსამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის რომელ ეთიკური პრინციპებს იცნობთ?

მესამე თავი

პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები, პროფესიული ეთიკისა და ქცევის საკითხები

3.1. პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

საქართველოს პოლიცია არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი, აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი დაწესებულებების სისტემა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ახორციელებს პრევენციულ და სამართალდარღვევათა რეაგირების ღონისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად.

პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე, „პოლიციის შესახებ" კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულება"[100], საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამსახურის გავლის წესის შესახებ"[101] და სხვა ნორმატიული აქტებით.

პოლიციელის საქმიანობის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, პოლიციელის ვალდებულებები მოცემულია „პოლიციელის ფიცში":[102] „მე, საქართველოს მოქალაქე, შევდივარ რა საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურში, ვფიცავ: ვიყო ერთგული და ღირსეული, დავიცვა ჩემი სამშობლო საქართველო და ვემსახურო საზოგადოებას; დავიცვა საქართველოს კონსტიტუცია და კანონები, სამსახურებრივი და სამხედრო წესდებები, ბრძანებები; მტკიცედ დავიცვა სახელმწიფო და სამსახურებრივი საიდუმლოება; დავიცვა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, კანონიერების პრინციპები და თანაზომიერება, არ დავუშვა ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია; ვიყო გამბედავი, დამნაშავეობასთან

100 საქართველოს მთავრობის №337 დადგენილება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ", 2013, 13 დეკემბერი.

101 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №995 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამსახურის გავლის წესის შესახებ", 2013, 31 დეკემბერი.

102 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №1010 ბრძანება „პოლიციელის ფიცი", 2013, 31 დეკემბერი.

შეურიგებელი და დისციპლინებული თანამშრომელი; კეთილსინდისიერად შეავასრულო ჩემზე დაკისრებული მოვალეობანი; არ დავიშურო ძალა, საჭიროების შემთხვევაში საკუთარი სიცოცხლეც კი, საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, საკუთრებისა და მართლწესრიგის დაცვისათვის."

ფიცის დადებიდან პოლიციელი იღებს ვალდებულებას დაიცვას პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები და ეთიკისა და ქცევის ნორმები.

„პოლიციის შესახებ" კანონით განსაზღვრულია პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები, რომელსაც პოლიციელი პროფესიულ საქმიანობაში განუხრელად უნდა იცავდეს: ა)ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის პრინციპს; ბ) კანონიერების პრინციპს; გ) დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპს; დ) თანაზომიერების პრინციპს; ე) დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პრინციპს; ვ) პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპს; ზ) პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპს.

განვიხილოთ ზემოაღნიშნული ძირითადი პრინციპები:

ა) ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის პრინციპი.

პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპებში პრიორიტეტული ადგილი უკავია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის პრინციპს, რომლის საფუძველია საქართველოს კონსტიტუციის პირველი თავის მე-7 მუხლი, მეორე თავის მე-17, მე-18, მე-19, მე-20 და 24-ე მუხლები, რომელიც კონსტიტუციის ახალი რედაქციაში შესაბამისად წარმოდგენილია პირველი თავის მე-4 მუხლით, მეორე თავის მე-9, მე-13, მე-15, მე-16, და მე-17 მუხლებით და განსაზღვრულია „პოლიციის შესახებ"კანონით, „საქართველოს მთავრობის დადგენილებით „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულება" და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამსახურის გავლის წესით"

საქართველოს კონსტიტუციის პირველი თავის „ზოგადი დებულებები" მე-7 მუხლით, „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით".

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით „საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი" ძირითადად განსაზღვრულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების განუხრელი დაცვის, ადამიანის პატივისა და ღირსების უზრუნველყოფის საკითხები, განსაკუთრებით მე-17 მუხლით, „ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება."

კონსტიტუციის მე-18 მუხლით, „1. ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია. 2. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. 3. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. 4. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა, თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. 5. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს. 6. ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. 7. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით. უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება."

მე-19 მუხლით, „1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. 2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ. 3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს".

მე-20 მუხლით, „1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია.

ამავე თავის მე-16 მუხლი „რწმენისა და სინდისის თავისუფლებები“ „1. ყოველ ადამიანს აქვს რწმენისა და სინდისის თავისუფლება. 2. დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის ან სინდისის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება რწმენის ან სინდისის შესახებ. 3. დაუშვებელია რწმენისა და სინდისის თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.“

ამავე თავის მე-17 მუხლი „აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები“ „1. აზრის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. 2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გავრცელოს ინფორმაცია. 3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება. 4. ყველას აქვს ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება. 5. ამ უფლებათა განხორციელება შეიძლება კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. 6. კანონი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობას სახელმწიფო უწყებებისგან და თავისუფლებას პოლიტიკური და არსებითი კომერციული გავლენისგან. 7. მედიაპლურალიზმის დაცვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აზრის გამოხატვის თავისუფლების რეალიზების, მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში მომხმარებელთა და მენარმეთა უფლებების დასაცავად შექმნილი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ინსტიტუციური და ფინანსური დამოუკიდებლობა გარანტირებულია კანონით.“

„პოლიციის შესახებ“ კანონით განსაზღვრულია, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის პრინციპი, რომლის თანახმადაც პოლიციელის საქმიანობის განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები არ უნდა ხელყოფდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას, არ უნდა არღვევდეს

ადამიანის სიცოცხლის, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და საკუთრების უფლებებს და სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, გაუმართლებელ ზიანს არ უნდა აყენებდეს გარემოს. საპოლიციო ღონისძიების განხორციელებისას დაუშვებელია წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამსახურის გავლის წესით" განსაზღვრული „სამინისტროში სამსახურის გავლის პრინციპების" თანახმად, სამინისტროს მოსამსახურე ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლებები განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, ასაკისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა მახასიათებლებისა.

აღნიშნული წესის თანახმად სამინისტროს მოსამსახურის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა: სამინისტროსთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას სამინისტროს მოსამსახურემ იძულების ღონისძიებები გამოიყენოს მხოლოდ „პოლიციის შესახებ" კანონით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. სამინისტროს მოსამსახურე უნდა შეეცადოს მინიმუმამდე დაიყვანოს ზიანი, პატივი სცეს და დაიცვას ადამიანის სიცოცხლე, პირველივე შესაძლებლობისთანავე უზრუნველყოს იძულების ღონისძიების განხორციელების შედეგად დაზიანებული პირისთვის გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა. სამინისტროს მოსამსახურემ არ უნდა ნამოინყოს, ნააქეზოს ან დაუშვას წამების ან სხვაგვარი სისასტიკის ნებისმიერი აქტი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა.

ბ) კანონიერების პრინციპი

პოლიციის საქმიანობაში კანონიერების პრინციპი განსაზღვრულია „პოლიციის შესახებ" კანონით და მის საფუძველზე საქართველოს მთავრობის დადგენილებით „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულება".

კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, კანონი „პოლიციის შესახებ" და სხვა კანონები, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის სამართლებრივი აქტები და სხვა ნორმატიული აქტები.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი პოლიციელებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „პოლიციის შესახებ“ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

„პოლიციის შესახებ“ კანონის მიზნებისათვის შინაგან საქმეთა მინისტრი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს ადმინისტრაციულ რეალაქტებს, გამოსცემს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

პოლიციის პრევენციული საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმების – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და ადმინისტრაციული რეალაქტის[103] – გამოყენებით. პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განსახორციელებლად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასა და გაცნობაზე არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესები.

პოლიციის მიერ დანაშაულის გამოვლენის, აღმოფხვრისა და გამოძიების მიზნით განხორციელებული სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმები განისაზღვრება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

ზემოაღნიშნული კანონით პოლიციელის საქმიანობის კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, პოლიციელის მიერ განხორციელებული საპოლიციო ღონისძიებები (დანართი №3) უნდა გამომდინარეობდეს კანონის უზენაესობისა და კანონისმიერი დათქმის პრინციპებიდან. კანონის უზენაესობის პრინციპის თანახმად, პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს. კანონისმიერი დათქმის პრინციპის თანახმად, საპოლიციო ღონისძიების განხორციელება, რომელიც იწვევს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას, დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე.

პოლიციის პრევენციული ღონისძიებებია: პირის გამოკითხვა, პირის იდენტიფიკაცია, პირის მონვევა, ზედაპირული შემოწმება და

103 ადმინისტრაციული რეალაქტი – ისეთი საჯაროსამართლებრივი ქმედება, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისაკენ, შეცვლისაკენ ან შენყვეტისაკენ, არამედ ფაქტობრივი მეფდეგების დადგომისაკენ.

დათვალიერება, სპეციალური შემონმება და დათვალიერება, სპეციალური საპოლიციო კონტროლი, ადგილის დატოვების მოთხოვნა და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა, პირის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების ან ნივთის ფაქტობრივი ფლობის შეზღუდვა, ავტომატური ფოტო-ტექნიკის (რადარის) და ვიდეო-ტექნიკის გამოყენება, ტექნიკური საშუალებების შექმნა და გამოყენება, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება.

რაც შეეხება, სამართალდარღვევაზე რეაგირების საპოლიციო ღონისძიებებს პოლიცია ახორციელებს „პოლიციის შესახებ" კანონის, ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის სფეროებში კანონმდებლობისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

ხოლო, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების" თანახმად, სამინისტრო ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან საქართველოს მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს, ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს.

გ) დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი

პოლიციის საქმიანობაში დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპის საფუძველია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის მე-14 მუხლი და განსაზღვრულია კანონით „პოლიციის შესახებ".

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, ნარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა".

ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული საკითხები, საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში, შესაბამისად ნარმოდგენილია მეორე თავის „ადამიანის ძირითადი უფლებები" მე-11 მუხლში „თანასწორობის უფლება" „1. ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით. 2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს

კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითაროონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ. 3. სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. 4. სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის".

აქედან გამომდინარე, „პოლიციის შესახებ" კანონით, დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპის თანახმად, პოლიცია ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, ასაკისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, ნარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა მახასიათებლებისა.

დ) თანაზომიერების პრინციპი

პოლიციის საქმიანობაში თანაზომიერების პრინციპი, განსაზღვრულია „პოლიციის შესახებ" კანონით. რომლის თანახმად, საპოლიციო ღონისძიება უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. შერჩეული საპოლიციო ღონისძიება უნდა იყოს გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული. **პოლიციელის მიერ შერჩეული საპოლიციო ღონისძიება არის გამოსადეგი, თუ ის შესაძლებელს ხდის ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.**

პოლიციელის მიერ შერჩეული გამოსადეგი საპოლიციო ღონისძება არის აუცილებელი, თუ ვერ იქნება გამოყენებული სხვა საშუალება, რომელიც ლეგიტიმური მიზნის მიღწევისას უფრო ნაკლებ ზიანს მიაყენებდა როგორც ღონისძიების ადრესატს, ასევე სხვა პირს.

პოლიციელის მიერ განხორციელებული აუცილებელი საპოლიციო ღონისძიება არის პროპორციული, თუ კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთისათვის მიყენებული ზიანი არ აღემატება იმ სიკეთეს, რომლის დასაცავადაც ის განხორციელდა.

პოლიციის სამართლებრივი ქმედება უნდა შეწყდეს, თუ ამ ქმედების მიზანი მიღწეულია ან აშკარაა, რომ მიზნის მიღწევა შეუძლებელია.

ე) დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პრინციპი

პოლიციის საქმიანობაში, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პრინციპი განსაზღვრულია კანონით „პოლიციის შესახებ" მესამე თავით „პოლიციის ფუნქციები და უფლებამოსილებანი" (დანართი №4) რომლის თანახმად პოლიცია ძირითადი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების შესასრულებლად, უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგისათვის საფრთხის თავიდან აცილებას, თავის კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და ფარგლებში.

პოლიციელი უფლებამოსილია, გადაწყვიტოს, განახორციელოს თუ არა საპოლიციო ღონისძიება. მას მინიჭებული აქვს თავისუფლება, კანონმდებლობით გათვალისწინებული რამდენიმე საპოლიციო ღონისძიებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები, თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად. საფრთხის აღკვეთისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული რამდენიმე საპოლიციო ღონისძიების არსებობისას საპოლიციო ღონისძიებიდან საკმარისია ერთ-ერთის გამოყენება.

პოლიცია კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე ახორციელებს კომპეტენციის ფარგლებში ზემოთოთაღნიშნულ საპოლიციო ღონისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგისათვის საფრთხის თავიდან აცილების ან მათი დარღვევის აღკვეთის მიზნით.

ვ) პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპი

პოლიციის საქმიანობაში პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპი განსაზღვრულია „პოლიციის შესახებ" კანონით და მის საფუძველზე „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამსახურის გაგლის წესით", რომლის თანახმად, პოლიციელი საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებს უპარტიობის პრინციპის დაცვით. პოლიციელს უფლება არა აქვს, თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობა გამოიყენოს რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის პარტიული ინტერესებისათვის. ასევე პოლიციელს ეკრძალება გაფიცვა, აგრეთვე შეკრებასა და მანიფესტაციაში მონაწილეობა და პოლიტიკური გაერთიანების ნევრობა.

ზ) პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპი

პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპი განსაზღვრულია კანონით „პოლიციის შესახებ". რომლის თანახმად, პოლიცია ვალდებულია თავისი საქმიანობის შესახებ საჯარო ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით სნრაფად მიანოდოს სახელმწიფო

ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და დაინტერესებულ პირებს, იმგვარად, რომ არ გაანადგაროს სახელმწიფო, პროფესიული, კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია, პერსონალური მონაცემები და გამოძიების მასალები, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. პოლიციამ პერსონალური მონაცემები უნდა დაამუშაოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ"[104] კანონის შესაბამისად, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3.2. ეთიკისა და ქცევის საკითხები პოლიციაში

ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები პოლიციაში მიღებულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით „საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ მოსამსახურეთა: საპატრულო პოლიციელის,საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პატრულინსპექტორის (მესაზღვრე-კონტროლიორი), დროებითი მოთავსების იზოლატორის (დმი) თანამშრომლის, მესაზღვრის, არჩევნების პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სახელმძღვანელო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა ქცევის ინსტრუქციები", „პოლიციის შესახებ"კანონის საფუძველზე, და ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციურ მოთხოვნებს და ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციას, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის სხვა ფორმებისაგან დაცვის შესახებ[105] საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის „პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსის" ძირითად დებულებებს, სხვა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებს.

საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი შედგება რვა თავისაგან: პირველი თავი „პოლიციელის საქმიანობის პრინციპები", მეორე თავი „პოლიციელის ქცევის ზოგადი წესები", მესამე თავი „საზოგადოებასთან ურთიერთობა", მეოთხე თავი „კოლეგებთან ურთიერთობა", მეხუთე თავი „ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის

104 საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ", 2011, 28 დეკემბერი.
105 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ", 1984, 10 დეკემბრი.

გამოყენება“, მეექვსე თავი „გამოძიება“, მეშვიდე თავი „დამოკიდებულება დაკავებულ პირთა მიმართ“, მერვე თავი „პასუხისმგებლობა ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში“.

საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსის პრეამბულაში აღნიშნულია რომ, საქართველოს პოლიცია, დაფუძნებულია ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ პრინციპებზე, წინამდებარე კოდექსით აღიარებს საკუთარ ერთგულებას კაცობრიობის ძირითადი ჰუმანური და ეთიკური ღირებულებებისადმი.

საქართველოს პოლიცია იღებს ვალდებულებას, განუხრელად დაიცვას ეთიკის კოდექსში ჩამოყალიბებული პრინციპები, იმის გათვალისწინებით, რომ: საქართველო არის დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც აღიარებს კანონის უზენაესობის პრინციპს; პოლიცია წარმოადგენს საზოგადოების სამსახურში მდგომ სახელმწიფო ორგანოს, რომელიც კანონის განუხრელი დაცვით უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის თავისუფლებასა და უსაფრთხოებას; კანონის უზენაესობის პრინციპი საქართველოს პოლიციის საქმიანობის ძირითადი საფუძველია; პოლიცია, როგორც საზოგადოების სამსახურში მდგომი სახელმწიფო ორგანო, ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

პოლიციელის საქმიანობის ეფექტურობა დიდწილადაა დამოკიდებული საზოგადოების მხრიდან დახმარებასა და მხარდაჭერაზე. პოლიცია წარმატებულია მაშინ, როდესაც იგი მჭიდროდ თანამშრომლობს მოსახლეობასთან. პოლიციისათვის უკიდურესად მნიშვნელოვანია საზოგადოების კეთილგანწყობა, მასთან ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბება. პოლიციელმა საკუთარი პროფესიონალიზმი უნდა შეუთავსოს ეთიკურობას, რითაც მნიშვნელოვნად ამაღლდება პოლიციის ავტორიტეტი საზოგადოებაში.

პოლიციის ეთიკის კოდექსით გაცხადებული პრინციპების განუხრელმა დაცვამ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების მხრიდან პოლიციისადმი ნდობის განმტკიცებას, მისი ავტორიტეტისა და პრესტიჟის ამაღლებას. ღირსეული სამსახურისადმი კუთვნილების გაცნობიერება თითოეულ პოლიციელში სიამაყისა და პროფესიული ღირსების განცდის საწინდარია.

კოდექსი ითვალისწინებს რა ზემოაღნიშნულ და სხვა საერთაშორისო და ეროვნულ სამართლებრივ აქტებს, ადგენს პოლიციის ეთიკის ძირითად პრინციპებსა და ქცევის ნუსხებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა პოლიციელისათვის, როგორც სამსახურებრივი მოვალეობების ასევე, არა სამსახურეობრივი საქმიანობის შესრულების დროს.

პოლიციის კოდექსის ამოცანაა პოლიციელში პროფესიული ეთიკის ნორმებისადმი ერთგულებისა და მაღალზნეობრივი ღირებულებების განმტკიცება, სამსახურებრივი მოვალეობების მიმართ პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის გაღრმავება. მისი მოქმედება ვრცელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ ყველა პოლიციელზე. პოლიციელი ვალდებულია, დაიცვას აღნიშნული კოდექსი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

პოლიციის ეთიკის კოდექსით განსაზღვრული ნორმების დარღვევა იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

„პოლიციის შესახებ" კანონით განსაზღვრული პოლიციის საქმიანობის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპებიდან გამომდინარე საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსით განსაზღვრულია პოლიციელის საქმიანობის ეთიკური პრინციპები:

პოლიციელი ყოველდღიურ საქმიანობაში უნდა იყოს ყურადღებიანი, თავდაჭერილი და კანონთან ერთად ხელმძღვანელობდეს ზნეობრივი ნორმებით, განუხრელად იცავდეს ეთიკის კოდექსით დადგენილ პრინციპებს: ა) კანონიერების პრინციპს; ბ) ჰუმანურობის პრინციპს; გ) კეთილსინდისიერების პრინციპს; დ) ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის პრინციპს; ე) სამართლიანობის პრინციპს; ვ) მიუკერძოებლობის პრინციპს;

კოდექსში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული, კანონიერებისა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის პრინციპებს:

- პოლიციელი, რომელიც იცავს და იყენებს კანონს, პირველ რიგში, თავად ემორჩილება და პატივს სცემს მას.
- პოლიციელი საკუთარი მოქმედებების დაგეგმვისა და დაწყების წინ ყოველთვის უნდა დარწმუნდეს მის კანონიერებაში.
- პოლიციელმა პატივი უნდა სცეს ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს.
- პოლიციელი უნდა იცავდეს ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, როგორიცაა: ღირსების პატივისცემა; სიცოცხლის უფლება; თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება; საკუთრების უფლება; აზრის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლება; გამოხატვის თავისუფლება; მშვიდობიანი შეკრების უფლება; გადაადგილების თავისუფლება; სხვა უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ვალდებულებებით.

პოლიციის ეთიკის კოდექსში პოლიციის საქმიანობის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით აღნიშნულია თანაზომიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის და დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პრინციპების მნიშვნელობა, რომლის თანახმად:

- პოლიციელი თავისი საქმიანობისას უნდა ხელმძღვანელობდეს თანაზომიერების პრინციპით, კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, კანონით მინიჭებული შესაძლო საშუალებებიდან პოლიციელმა უპირატესობა უნდა მიანიჭოს ადამიანისათვის ნაკლები ზიანის მომტან საშუალებას.
- პოლიციელმა პატივი უნდა სცეს ყველა ადამიანის პიროვნულ ღირსებას, მოეპყრას მათ სამართლიანად და მიუკერძოებლად მიუხედავად პირთა რასობრივი თუ ეროვნული კუთვნილებისა, ენისა, სქესისა, ასაკისა, რელიგიური აღმსარებლობისა, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისა, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობისა, სოციალური კუთვნილებისა, წარმომავლობისა, განათლებისა, საცხოვრებელი ადგილისა ან სხვა სახის პირადი მდგომარეობისა ან/და სექსუალური ორიენტაციისა. ამასთანავე პოლიციელი კოლეგიალური უნდა იყოს თავის თანამშრომლების მიმართ, მხარში ედგეს და იცავდეს მათ.

3.2.1. პოლიციელის ეთიკური ვალდებულებები და მოქმედებების შეზღუდვები

საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსით განსაზღვრულია პოლიციელის ეთიკური ვალდებულებები და მოქმედებების შეზღუდვები: ა) საერთო-სამსახურეობრივ და არასამსახურეობრივ საქმიანობაში; ბ) სამსახურეობრივ საქმიანობაში; გ) არასამსახურეობრივ საქმიანობაში.

ა) პოლიციელის საერთო ეთიკური ვალდებულებები და მოქმედებების შეზღუდვები, სამსახურეობრივ და არასამსახურეობრივ საქმიანობაში.

ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების პრინციპების თანახმად, პოლიციელის საერთო ვალდებულებები და მოქმედებების შეზღუდვები განსაზღვრულია კოდექსის მეორე თავით, „პოლიციის ქცევის ზოგადი წესები" სადაც აღნიშნულია, რომ **პოლიციელი ვალდებულია**, არ გაახმაუროს მისთვის ცნობილი კონფიდენციალური ინფორმაცია, დოკუმენტი და პერსონალური მონაცემები, რომელთა გამჟღავნებამ შეიძლება გამოიწვიოს მესამე პირის ინტერესის შელახვა, გარდა კანონმდებლობით

გათვალისწინებული შემთხვევებისა. პოლიციელმა არ უნდა დაუშვას, რომ მის წარმოებაში არსებული საქმე გასაცნობად ხელმისაწვდომი იყოს სხვა პირებისთვის და არ უნდა აწარმოოს კონფიდენციალური საუბარი სხვა პირთა თანდასწრებით.

პოლიციელს ეკრძალება სამორინესა და სათამაშო აპარატების სალონში შესვლა, გარდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებთან დაკავშირებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შემთხვევებისა. უნიფორმაში მყოფ პოლიციელს ასევე ეკრძალება ისეთ გარემოში, მაგალითად, ალკოჰოლური სასმელების გასაღებისა და მოხმარების ადგილებში ყოფნა, ზოგიერთი ტიპის გასართობი ობიექტებში და ა.შ., რომლებიც შეუფერებელია პოლიციელის პროფესიისთვის.

პოლიციელისათვის დაუშვებელია სამოქალაქო ტანსაცმელში ცეცხლსასროლი იარაღის ღიად, გამოსაჩენად ტარება, გარდა ცეცხლსასროლი იარაღის სატარებელი ბუდით ტარებისა, ასევე სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება პირადი ინტერესებისათვის და სხვა.

პოლიციელმა რეაგირება უნდა მოახდინოს კოლეგის მხრიდან ეთიკის კოდექსის დარღვევის ფაქტებზე; კორუფციის ნებისმიერი გამოვლენის შემთხვევაში მოახსენოს ზემდგომ თანამდებობის პირებსა და შესაბამის ორგანოებს.

პოლიციელმა არ უნდა ისარგებლოს თავისი სტატუსით და არ გამოიყენოს იგი პირადი ინტერესებისათვის. მან უარი უნდა თქვას ნებისმიერი სახის უკანონო შემოთავაზებაზე და არ უნდა გამოიყენოს თანამდებობრივი მდგომარეობა სოციალურ-ეკონომიკური ან სხვა სახის სარგებლის მისაღებად. ამასთანავე, პოლიციელმა არ უნდა შესთავაზოს საზოგადოების ნევრებს გარკვეული სამსახურის განევა რაიმე სახის სარგებლის მიღების სანაცვლოდ.

პოლიციელმა ბოროტად არ უნდა ისარგებლოს სამსახურებრივი ინფორმაციით და პერსონალური მონაცემებით საკუთარი ან/და ახლობელ პირთა კერძო ინტერესების დაკმაყოფილებისათვის.

პოლიციელმა არასამსახურეობრივ საქმიანობის დროსაც საკუთარი ინიციატივით უნდა აღმოუჩინოს დახმარება საფრთხეში[106] მყოფ ადამიანს და მიიღოს ზომები კანონდარღვევის თავიდან ასაცილებლად.

ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერებისა და დისკრეციული უფლებამოსილების

106 საფრთხე – ეითარება, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მოულენათა მოსალოდნელი განვითარების შეუფერებელი მსვლელობის შემთხვევაში დიდი აღბათობით ზიანი მიადგება პოლიციის მიერ დასაცავ სიკეთეს.

განხორციელების პრინციპების თანახმად, კოდექსის მესამე თავში, „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ აღნიშნულია, რომ პოლიციელის საქმიანობა მოიცავს არა მხოლოდ დანაშაულის პრევენციასა და გახსნას, არამედ საზოგადოებისათვის დახმარების აღმოჩენასაც, მათ შორის, არასამსახურეობრივი საქმიანობის დროსაც.

პოლიციელი საქმიანობის განხორციელებისა და საზოგადოების წევრებთან ურთიერთობისას ითვალისწინებს მათ განსხვავებულ ტრადიციებს, ადათებსა და ცხოვრების წესის თავისებურებებს. იგი თავისი თანამდებობის ან წოდების მიუხედავად, ვალდებულია საზოგადოების წევრებთან ურთიერთობაში იყოს ტაქტიანი, თავაზიანი და კეთილგანწყობილი. მოქალაქისადმი წაყენებული მოთხოვნები თუ შენიშვნები გამოთქვას მშვიდი და ზრდილობიანი ფორმით; პოლიციელმა უნდა მისცეს მოქალაქეს საკუთარი მოსაზრების გამოთქმის საშუალება. მისგან დაუშვებელია ქედმაღლური მიმართვა, მუქარა, ირონია, ჟარგონის გამოყენება და ფამილიარული ტონით საუბარი; ყველა სიტუაციაში და ნებისმიერ ადამიანთან ურთიერთობისას, როგორც სამუშაო, ასევე არასამსახურეობრივი საქმიანობის დროს, აუცილებელია ქცევის ეთიკური ნორმების დაცვა.

პოლიციელი უნდა იყოს კორექტული და საზოგადოების წევრების მიმართ არ უნდა გამოიჩინოს უხეშობა, ძალადობა, თავი უნდა შეიკავოს შეურაცხმყოფელი ქცევებისაგან და პროვოკაციის მიუხედავად შეინარჩუნოს ობიექტური დამოკიდებულება; ზემოთ აღნიშნული სტანდარტები პოლიციელმა უნდა დაიცვას თავისი ქცევის ადრესატის სოციალური მდგომარეობისა და ფიზიკური კონდიციის მაგალითად, ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის მიუხედავად,

ბ) პოლიციელის ეთიკური ვალდებულებები და მოქმედებების შეზღუდვები სამსახურეობრივ საქმიანობაში

ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების პრინციპების თანახმად, კოდექსის მეორე თავში „პოლიციელის ქცევის ზოგადი წესები“, აღნიშნულია, რომ პოლიციელი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას უნდა იყოს მოწესრიგებული და შესაბამისად ჩაცმული.

პოლიციელი ვალდებულია, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამუშაო დრო გაანაწილოს რაციონალურად და სრულყოფილად შეასრულოს დაკისრებული ვალდებულება.

პოლიციელს ეკრძალება თავისი კოლეგის მიერ წარმოებულ საქმეზე დეტალების გამოკითხვა, თუ ამას არ მოითხოვს სამსახურებრივი აუცილებლობა.

თითოეულმა პოლიციელმა უშუალოდ მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობები უნდა შეასრულოს პატიოსნად და კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

თანამდებობის ან წოდების მიუხედავად, პოლიციელი პირადად აგებს პასუხს საკუთარ ქმედებებსა და იმ ბრძანებებზე, რომლებსაც ის აძლევს თავის დაქვემდებარებაში მყოფ პირებს.

დაუშვებელია ნინასწარი შეცნობით პოლიციელის მიერ მართლსაწინააღმდეგო ბრძანების ან განკარგულების შესრულება. ამგვარი მითითების შემთხვევაში, თანამმრომელმა უარი უნდა თქვას ამოცანის შესრულებაზე, მოახსენოს ზემდგომი თანამდებობის პირს და იმოქმედოს კანონის ფარგლებში. პოლიციელზე, რომელიც უარს ამბობს შეასრულოს უკანონო ქმედება, არ ვრცელდება დისციპლინური ან სხვა სახის სანქცია.

პოლიციელი მუდამ მზად უნდა იყოს პროფესიული მოვალეობების შესრულებისათვის. დაუშვებელია ამ მოვალეობებისაგან თავის არიდება არასაპატიო მიზეზებსა და გარემოებებზე მითითებით.

პოლიციელი პროფესიული საქმიანობის შესრულებისას მოწოდებული უნდა იყოს თავისი ცოდნა და უნარები გამოიყენოს მაქსიმალურად.

პოლიციელებს შორის ურთიერთობა ემყარება განსაზღვრულ იერარქიულ წესრიგსა და დისციპლინას, სუბორდინაციისა და კოლეგიალობის პრინციპებს.

პოლიციამ პერსონალური მონაცემების შეგროვება, შენახვა და გამოყენება უნდა მოახდინოს პერსონალური მონაცემების ხელშეუხებლობის საერთაშორისო პრინციპების და კანონის დაცვით.

ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, თანაზომიერებისა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პრინციპების თანახმად, კოდექსის მესამე თავში „საზოგადოებასთან ურთიერთობა" აღნიშნულია, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოქალაქესთან ურთიერთობისას **პოლიციელს ეკრძალება:** სიგარეტის მონევა, სალეჭი რეზინის ღეჭვა, მობილურ ტელეფონზე საუბარი, მანქანიდან საუბარი, მზის სათვალის ტარება და მოუნესრიგებელ მდგომარეობაში ყოფნა.

პოლიციელის მიერ, ობიექტურ გარემოებათა გამო, მოქალაქისათვის ქმედითი დახმარების განევის შეუძლებლობის შემთხვევაში ამ უკანასკნელს უნდა განემარტოს დაუხმარებლობის მიზეზი.

პოლიციელი სხვა უნარებთან ერთად უნდა ფლობდეს დარწმუნების, მოლაპარაკებისა და შუამავლობის უნარ-ჩვევებს, რაც აუცილებელია

კრიტიკულ სიტუაციებში ძალის გამოყენების შემთხვევების მინიმუმამდე შემცირებისათვის.

ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, პრინციპების თანახმად, კოდექსის მეოთხე თავში „კოლეგებთან ურთიერთობა"აღნიშნულია, რომ ავტორიტეტის შენარჩუნების თვალსაზრისით, პოლიციელმა უნდა აწარმოოს კოლეგებთან კორექტული ურთიერთობა. დაუშვებელია პირადი დამოკიდებულების სამსახურისათვის მიუღებელი ფორმით გამოხატვა. სამსახურებრივი ურთიერთობისას პოლიციელმა თავი უნდა შეიკავოს ფამილარული ურთიერთობებისაგან. პოლიციელი უნდა ეხმარებოდეს და იცავდეს თანამშრომელს, რომელიც დამავდა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას. პოლიციელმა კოლეგებს გულახდილად უნდა მიაწოდოს აუცილებელი პროფესიული ინფორმაცია და გაუწიოს მათ დახმარება. იმავდროულად, პოლიციელი უნდა იყოს შეურიგებელი კოლეგის მიერ დაშვებული გადაცდომის მიმართ.

ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, თანაზომიერებისა და დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პრინციპების თანახმად, კოდექსის მეხუთე თავში „ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება" აღნიშნულია, რომ პოლიციელი პატივს უნდა სცემდეს სიცოცხლის უფლებას და ყველა საპოლიციო ღონისძიება უნდა განახორციელოს სიცოცხლის უფლების პატივისცემით. თავისი მოვალეობის შესრულებისას შეძლებისდაგვარად უნდა შეეცადოს მიმართოს არაძალისმიერ მეთოდებს და სამართალდარღვევის აღსაკვეთად არ გამოიყენოს აუცილებელზე მეტი ძალა ან/და ცეცხლსასროლი იარაღი. მათი გამოყენება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არაძალისმიერი მეთოდებით შეუძლებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა. პოლიციელმა ძალის ან/და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება უნდა შეწყვიტოს დაუყოვნებლივ, როგორც კი მისი გამოყენების აუცილებლობა აღარ არსებობს. ძალის ან/და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების პირდაპირი მიზანი არ უნდა იყოს პირის ჯანმრთელობის დაზიანება ან სიცოცხლის მოსპობა. ძალის ან/და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება პოლიციელს მინიჭებული აქვს საკუთარი ან სხვა ადამიანის, მათ შორის, სამართალდამრღვევის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად და არა სიცოცხლის მოსასპობად.

პოლიციელი ვალდებულია, ისე დაგეგმოს და აკონტროლოს ოპერაცია, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს ძალის, მათ შორის, ლეტალური

საშუალების გამოყენება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის და დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პრინციპების თანახმად, კოდექსის მეექვსე თავში „გამოძიება" აღნიშნულია, რომ გამოძიების წარმოების ყველა ეტაპზე პოლიციელი ვალდებულია, იყოს სამართლიანი და მიუკერძოებელი. პოლიციელმა უნდა გაითვალისწინოს იმ პირთა ინტერესები, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ მოპყრობას მაგალითად, არასრულწლოვნები, ქალები, უმცირესობები და დაუცველი პირები.

პოლიციელი ვალდებულია, გაითვალისწინოს უდანაშაულობის პრეზუმფცია, მოეპყრას დანაშაულის სავარაუდო ჩამდენ პირს, როგორც უდანაშაულოს. პოლიცია განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვას მასმედიასთან ურთიერთობისას. პოლიციელმა პატივი უნდა სცეს ადვოკატის როლსა და ფუნქციას, როგორც გამოძიების სტადიაზე, ისე სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას.

პოლიციელი ვალდებულია, გაუფრთხილდეს გამოსაკითხი პირის პატივსა და ღირსებას და გაითვალისწინოს მისი ასაკი, სქესი, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა, კულტურული, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილება. ასევე მოწმის განსაკუთრებული მდგომარეობა და გამოძიების ნებისმიერ ეტაპზე უზრუნველყოს მათი დაცვა. პოლიციელმა მაქსიმალური ტაქტი უნდა გამოიჩინოს მოქალაქისათვის ახლობელი ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის, მისი ქონებისადმი მიყენებული სერიოზული ზიანის, მაგალითად, ხანძრის, ძარცვის და სხვათა შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას.

შემთხვევის ადგილზე კანონით განსაზღვრული პროცედურების განხორციელებისას, პოლიციელს ეკრძალება გვამისადმი ღირსების შემლახველი ქმედება.

გარემოებების გათვალისწინებით, პოლიციელი დაკითხვის შემდეგ დაზარალებულს უნდა დაეხმაროს ახლობლებთან დაკავშირებაში, საჭიროების შემთხვევაში სახლამდე მისვლაში და იმ სამსახურებთან დაკავშირებაში, რომელთა კომპეტენციაშიც შედის დაზარალებულისათვის გარკვეული სახის დახმარების გაწევა. ასევე უნდა დაეხმაროს დანაშაულის მსხვერპლს უშუალოდ, საკუთარი ძალებით, მოექცეს მას გულისხმიერად და კორექტულად, პატივი სცეს მის ღირსებას, შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს მისი ინტერესები.

ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, თანაზომიერებისა და დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პრინციპების თანახმად, კოდექსის მეშვიდე თავში „დამოკიდებულება დაკავებულ პირთა მიმართ" აღნიშნულია, რომ პოლიციელს არა აქვს უფლება, შეზღუდოს პირის თავისუფლება, გარდა კანონიერი საფუძვლის არსებობისას.

პოლიციელი ვალდებულია, დაკავებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე განუმარტოს დაკავების მიზეზი და აცნობოს მის მიმართ წაყენებული ბრალდება, კანონმდებლობით დადგენილი მისი უფლებები და დაკავების ფაქტი აცნობოს დაკავებულის მიერ არჩეულ მესამე პირს.

პოლიციელმა უნდა უზრუნველყოს დაკავებული პირის როგორც სამართლებრივი დახმარება, ასევე საჭიროების შემთხვევაში სასწრაფო გადაუდებელი დახმარების გაწევა ან/და შემოწმება.

დროებითი მოთავსების იზოლატორის შესაბამის ადგილას უნდა მოხდეს აუდიო-ვიდეო დაკვირვება, აგრეთვე დროებითი მოთავსების იზოლატორში უნდა განხორციელდეს ჩანაწერების შენახვა. დაუშვებელია დაკავებულ პირთა წამება, მათ მიმართ არაადამიანური, დამამცირებელი ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან სასჯელი. ყველა დაკავებულს აქვს ადამიანური მოპყრობის უფლება. პოლიციელმა უნდა უზრუნველყოს დაკავებული პირის უსაფრთხოება, ჯანმრთელობა, ჰიგიენური პირობები და შესაბამისი კვება. პოლიციელმა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გამოიყენოს ძალა დაკავებული პირის მიმართ, როდესაც ეს აუცილებელია დაკავების ადგილზე უსაფრთხოებისა და ნესრიგის შესანარჩუნებლად, ან საფრთხე ემუქრება პიროვნების უსაფრთხოებას.

გ) პოლიციელის ეთიკური ვალდებულებები და მოქმედებების შეზღუდვები არასამსახურეობრივ საქმიანობაში. მოცემულია პოლიციის ეთიკის კოდექსის მეორე თავში, რომლის თანახმად

ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების პრინციპებიდან გამომდინარე პოლიციელმა მეგობრებსა და ოჯახის ნევრებთან ყოფით საუბრებში სამსახურთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას უნდა გამოიჩინოს ზომიერება და სიფრთხილე.

პოლიციელმა, თუ ამას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება არ მოითხოვს, არ უნდა დაამყაროს ურთიერთობა წინასწარი შეცნობით არაკანონიერ ქმედებებთან კავშირში მყოფ პირებთან. იგი ასევე არ უნდა იმყოფებოდეს პოლიციელისთვის შეუფერებელ მდგომარეობაში. ასევე, არასამსახურებრივი საქმიანობის დროს,

პიროვნების მომართვისას, მაგალითად, თხოვნის, შეკითხვის და სხვა შემთხვევებში პოლიციელმა უნდა გამოიჩინოს თავაზიანობა და შეძლებისდაგვარად დაეხმაროს მას. პოლიციის საქმიანობის ძირითად პრინციპებთან და ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებით მოსაზრებები და რეკომენდაციები მოცემულია დასკვნით ნაწილში.

საზოგადოებაში შინაგან საქმეთა სამინისტრო არასწორად არის გაიგივებული მხოლოდ პოლიციასთან. საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, პოლიციის საქმიანობისა და ეთიკის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში გაიმიჯნოს პოლიციის და მეორე მხრივ, სამოქალაქო ფუნქციით აღჭურვილი სტრუქტურები: მინისტრის სამოქალაქო ოფისი, უზრუნველყოფის სამსახურები, ქვეყნის შინაგანი საქმეებით დაკავებული დანესებულებები, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს პოლიციის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის – პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვას.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის ნაწილში ეფექტური იქნება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, მის ადგილობრივ დანაყოფებთან, საზოგადოებრივ საბჭოების შექმნა გამოჩენილი ადამიანების, მეცნიერ-სპეციალისტების, ვეტერანი პოლიციელებისა და სხვათა ჩართულობით.

სასურველია დანაშაულობის თავიდან აცილებისა და მასთან ეფექტური ბრძოლის მიზნით, ადგილობრივი პრობლემების ღრმად შეცნობისათვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ არაოპერატიული დანაყოფის გარკვეული დეცენტრალიზაცია, საერთასორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

საკონტროლო კითხვები

3.1.

- რა არის საქართველოს პოლიცია?
- პოლიციის საქმიანობის რომელ ძირითად პრინციპებს იცნობთ?

3.2.

- როგორ რეგულირდება ეთიკისა და ქცევის საკითხები პოლიციაში ?

3.2.1.

- პოლიციელის რომელ ეთიკური ვალდებულებებს და მოქმედებების შეზღუდვებს იცნობთ?

მეოთხე თავი

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები, პროფესიული ეთიკისა და ქცევის საკითხები

4.1. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არის საქართველოს მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების დანესებულებათა სისტემა, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო უსაფრთხოებას.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე, საქართველოს კანონებით: „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ"[107] „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ", „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ"[108], საქართველოს მთავრობის დადგენილებით „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"[109],საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ბრძანებით „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ" და სხვა ნორმატიული აქტებით.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, სამსახურის მოსამსახურის ვალდებულებები მოცემულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურის ფიცში:[110] **„მე, საქართველოს მოქალაქე, შევდივარ რა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, ვფიცავ: ვიყო ერთგული და ღირსეული, დავიცვა ჩემი სამშობლო საქართველო**

107 საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ", 2015, 8 ივლისი.

108 საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ", 1999, 30 აპრილი.

109 საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის №1 ბრძანება „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ", 2015, 1 აგვისტო.

110 საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის №12 ბრძანება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურის ფიცი", 2015, 1 აგვისტო.

და ვემსახურო საზოგადოებას; დავიცვა საქართველოს კონსტიტუცია და კანონები; ვიდგე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სადარაჯოზე; მტკიცედ დავიცვა სახელმწიფო და სამსახურებრივი საიდუმლოება; დავიცვა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, კანონიერების პრინციპები და თანაზომიერება, არ დავუშვა ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია; ვიყო გამბედავი, დამნაშავეობასთან შეურიგებელი და დისციპლინებული თანამშრომელი; კეთილსინდისიერად შევასრულო ჩემზე დაკისრებული მოვალეობანი; არ დავიშურო ძალა, საჭიროების შემთხვევაში საკუთარი სიცოცხლეც კი, საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, საკუთრებისა და მართლწესრიგის დაცვისათვის".

ფიცის მიღებიდან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურე იღებს ვალდებულებას, დაიცვას მისი საქმიანობის ძირითადი პრინციპები და ეთიკისა და ქცევის ნორმები.

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ" კანონით განსაზღვრულია სამსახურის საქმიანობის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები: ა) კანონიერების პრინციპი ბ) ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის პრინციპი; გ) საქმიანობის ღია და ფარული ფორმების ერთობლიობის პრინციპი; დ) ერთიანობისა და ცენტრალიზაციის პრინციპი; ე) დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი; ვ) თანაზომიერებისა და დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პრინციპი; ზ) პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპი.

მოცემულ პრინციპებს შეესაბამება „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სამსახურის გავლის წესით" განსაზღვრული სამსახურის გავლის პრინციპები, რომლის თანახმადაც, სამსახურს საფუძვლად უდევს კანონიერების, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, საქმიანობის ღია და ფარული ფორმების ერთობლიობის, ერთიანობისა და ცენტრალიზაციის, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანაზომიერების და დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და გამჭვირვალობის პრინციპები.

განვიხილოთ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ზემოაღნიშნული ძირითადი პრინციპები:

ა) კანონიერების პრინციპი.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობაში კანონიერების პრინციპი განსაზღვრულია „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ" კანონით

საქართველოს მთავრობის დადგენილებით „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"[111] და „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სამსახურის გავლის წესით"

სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები, საქართველოს კანონები, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და სამსახურის უფროსის სამართლებრივი აქტები და სხვა ნორმატიული აქტები.

მოსამსახურე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ან სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისათვის პასუხს აგებს კანონმდებლობის შესაბამისად.

მოსამსახურე, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად, სარგებლობს განსაზღვრული უფლებებით.

მოსამსახურე ვალდებულია: – დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს სამსახურეობრივი მოვალეობები, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, სამსახურის გავლის წესითა და სამსახურებრივი ინსტრუქციებით/რეგლამენტით, სამსახურის უფროსის ან უფლებამოსილი პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტებით, მითითებებით და სხვა სამართლებრივი აქტებით;

– დაიცვას სამსახურებრივი ინფორმაციის, მათ შორის, პერსონალური ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებული ინსტრუქციები;

– როგორც სამსახურებრივი ურთიერთობისას, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ არ გაავრცელოს და დაიცვას სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოებები, პერსონალური მონაცემები, აგრეთვე სხვა სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის სამსახურებრივ მოვალეობათა განხორციელებისას. აკრძალულია სამსახურეობრივი საქმიანობისას მოპოვებული კონფიდენციალური ინფორმაციის კერძო ინტერესებისათვის გამოყენება.

– სამსახურისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას მოსამსახურემ იძულების ღონისძიებები შეიძლება გამოიყენოს

111 საქართველოს მთავრობის №385 დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", 2015, 30 ივლისი.

მხოლოდ „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების შესახებ“ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. მოსამსახურე უნდა შეეცადოს მინიმუმამდე დაიყვანოს ზიანი, პატივი სცეს და დაიცვას ადამიანის სიცოცხლე. პირველივე შესაძლებლობისთანავე უზრუნველყოს იძულების ღონისძიების განხორციელების შედეგად დაზიანებული პირისთვის გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა.

– სპეციალური მოთხოვნის გარეშე დაიცვას ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც ეხება მის საქმიანობას ან უკავშირდება მის სამსახურებრივ ადგილს.

ხელმძღვანელი პირების მიერ აკრძალულია განკარგულების (დავალება) გაცემა, თუ იგი: ეწინააღმდეგება კანონმდებლობას; სცილდება განკარგულების (დავალება) გამცემის უფლებამოსილებას; საჭიროებს ისეთ ქმედებათა შესრულებას, რისი უფლებაც განკარგულების (დავალება) გამცემს არ გააჩნია. განკარგულების (დავალება) კანონიერებასთან დაკავშირებით ექვის არსებობის შემთხვევაში მოსამსახურე ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ აცნობოს განკარგულების გამცემს ან/და ზემდგომ უფროსს. განკარგულების (დავალება) ნერილობითი ფორმით განმეორებისას იგი უნდა შესრულდეს, გარდა იმ შემთხვევისა (რაც ასევე წერილობით უნდა ეცნობოს განკარგულების /დავალება/ გამცემს), თუ მათი შესრულება: მიმართულია მისი მეუღლის, მშობლების, ძმის, დის, შვილის ან სხვა ოჯახის ნევრის წინააღმდეგ; მოითხოვს უფრო მაღალ კვალიფიკაციას და სხვა პროფესიულ მომზადებას, ვიდრე მას აქვს.

დაუშვებელია წინასწარი შეცნობით მოსამსახურის მიერ მართლსაწინააღმდეგო ბრძანების ან განკარგულების შესრულება. ამგვარი მითითების შემთხვევაში მოსამსახურემ უარი უნდა თქვას ბრძანების ან განკარგულების შესრულებაზე და იმოქმედოს კანონის ფარგლებში. მოსამსახურეზე, რომელიც უარს ამბობს შეასრულოს უკანონო ბრძანება ან განკარგულება, არ გავრცელდება დისციპლინური ან სხვა სახის სანქცია.

უკანონო ბრძანების ან მითითების შესრულება მოსამსახურეს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან. ამასთან, დგება უკანონო ბრძანების ან მითითების გამცემი ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხი.

ბ) ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის პრინციპი.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობაში ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების

დაცვისა და პატივისცემის პრინციპის საფუძველია საქართველოს კონსტიტუციის პირველი თავის მე-7 მუხლი, მეორე თავის მე-17, მე-18, მე-19, მე-20 და 24-ე მუხლი, რომელიც კონსტიტუციის ახალი რედაქციაში შესაბამისად წარმოდგენილია პირველი თავის მე-4 მუხლით, მეორე თავის მე-9, მე-13, მე-15, მე-16 და მე-17 მუხლებით და განსაზღვრულია „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ" კანონით და „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სამსახურის გავლის წესით"

საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი და ახალი რედაქციის ზემოაღნიშნული მუხლები განხილული გვაქვს მეორე ნაწილის მესამე თავის „პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები, პროფესიული ეთიკისა და ქცევის საკითხები" 3.1. ქვეთავის „პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები" ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის პრინციპში.

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ" კანონით სამსახური პრევენციული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია: მიიღოს გადაუდებელი ზომები ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად, გაუწიოს მას პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, შესაბამის უნყებებთან ერთად მიიღოს ზომები საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობათა პირადი და ქონებრივი უსაფრთხოების, აგრეთვე საქართველოს საზღვრების გარეთ საქართველოს დაწესებულებებისა და მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

სამსახური უფლებამოსილია, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის,[112] რომ შესაძლებელია საფრთხე შეექმნას სახელმწიფო უსაფრთხოებას, სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს შემდეგ პრევენციულ ღონისძიებებს: პირის გამოკითხვის, პირის იდენტიფიკაციის, პირის მოწვევის, ზედაპირული შემოწმებისა და ზედაპირული დათვალიერების, სპეციალური შემოწმებისა და დათვალიერების, ადგილის დატოვების მოთხოვნისა და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვის გარდა, განახორციელოს სხვა

112 საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის – ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დაკმაყოფილებდა ობიექტურ დამკვირვებელს გარემოებათა გათვალისწინებით დასკვნის გასაკეთებლად.

პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც არ ინვევს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევას.

სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურისთვის ხელის შეშლა, მისი პატივისა და ღირსების შელახვა, მის მიმართ მუქარა, ძალადობა, მისთვის წინააღმდეგობის განევა ან მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების ხელყოფა ინვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

სამსახურის მიერ გამოყენებული ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებები და მათი გამოყენების მეთოდები არ უნდა ლახავდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას, საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, არ უნდა აზიანებდეს გარემოს.

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სამსახურის გავლის წესით" განსაზღვრული სამსახურის გავლის პრინციპებით, მოსამსახურე ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლებები განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, ასაკისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა მახასიათებლებისა.

სამსახური მოსამსახურე მოვალეა, არასამუშაო დროსაც აღმოუჩინოს დახმარება საფრთხეში ჩავარდნილ ადამიანს და მიიღოს ზომები კანონდარღვევის თავიდან ასაცილებლად. ასევე კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულია დაიცვას დაზარალებულთა და მოწმეთა, აგრეთვე დაკავებულთა, დაპატიმრებულთა, დაკითხვაზე მყოფ პირთა კონსტიტუციური უფლებები, ღირსება და უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება. სამსახურის მოსამსახურემ არ უნდა წამოინყოს, წააქეზოს ან დაუშვას წამების ან სხვაგვარი სისასტიკის ნებისმიერი აქტი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა.

გ) საქმიანობის ღია და ფარული ფორმების ერთობლიობის პრინციპი.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობაში ღია და ფარული ფორმების ერთობლიობის პრინციპი განსაზღვრულია „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების შესახებ" და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" კანონებით.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა არის, კანონით დადგენილი სახელმწიფო ორგანოების სპეციალური სამსახურების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ღია თუ ფარული მეთოდით ჩატარებული

ღონისძიებების სისტემა, რომლის მიზანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების, საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების შესახებ" კანონის თანახმად, სამსახური პრევენციული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია ღია და ფარული წყაროებიდან მოიპოვოს ინფორმაცია, განახორციელოს მიღებული ინფორმაციის ანალიტიკური დამუშავება და განზოგადება.

სამსახურის ღია და ფარული ფორმების ერთობლიობის პრინციპიდან გამომდინარე თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ შესაძლებელია საფრთხე შეექმნას სახელმწიფო უსაფრთხოებას, სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს შემდეგ პრევენციულ ღონისძიებებს: პირის გამოკითხვა; პირის იდენტიფიკაცია; პირის მონვევა; ზედაპირული შემოწმება და ზედაპირული დათვალიერება; სპეციალური შემონმება და დათვალიერება; ადგილის დატოვების მოთხოვნა და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა.

სამსახური უფლებამოსილია, ზემოთ ჩამოთვლილის პრევენციული ღონისძიებების გარდა, განახორციელოს სხვა პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც არ იწვევს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევას.

სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია განსაზღვრული პრევენციული ღონისძიების განხორციელებამდე პირს წარუდგინოს თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე, სამსახური უფლებამოსილია თავისი ფუნქციების შესასრულებლად მიიღოს საქართველოს მოქალაქეთა, უცხო ქვეყნების მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ნებაყოფლობითი კონფიდენციალური დახმარება და ამისთვის მათთან **ღია ან ფარული** ურთიერთობა დაამყაროს.

დ) ერთიანობისა და ცენტრალიზაციის პრინციპი.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქმიანობაში ერთიანობისა და ცენტრალიზაციის პრინციპი განსაზღვრულია „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ" კანონით და მის საფუძველზე მიღებული „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულებით" და „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სამსახურის გავლის წესით"

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არის საქართველოს მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების დაწესებულებათა სისტემა, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო უსაფრთხოებას. სამსახური შედგება სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოებისაგან.

ამასთანავე, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულების" თანახმად, სამსახური ეფუძნება ერთიანობისა და ცენტრალიზაციის პრინციპს. სამსახურის ერთიანი სისტემის შემადგენლობაშია სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფები და ტერიტორიული ორგანოები. ხოლო „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სამსახურის გავლის წესის" თანახმად, მოსამსახურეთა შორის ურთიერთობები ემყარება განსაზღვრულ იერარქიულ წესრიგს, დისციპლინას, სუბორდინაციას, ურთიერთპატივისცემას, ურთიერთდახმარებას, სოლიდარობას, ტოლერანტობას, ნდობასა და ღირსებას.

ე) დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქმიანობაში დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპის საფუძველია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი, რომელიც კონსტიტუციის ახალ რედაქციაში წარმოდგენილია მე-13 მუხლით და განსაზღვრულია „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სამსახურის გავლის წესით".

საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი და ახალი რედაქციის ზემოაღნიშნული მუხლები განხილული გვაქვს მეორე ნაწილის, მესამე თავის „პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები, პროფესიული ეთიკისა და ქცევის საკითხები" 3.1. ქვეთავის „პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები" დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპში.

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სამსახურის გავლის წესის" თანახმად, მოსამსახურე ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლებები განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, ასაკისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა მახასიათებლებისა.

ვ) თანაზომიერებისა და დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პრინციპი.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქმიანობაში თანაზომიერებისა და დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პრინციპი განსაზღვრულია კანონებით „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ"[113] და „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ" კერძოდ, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური: უზრუნველყოფს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელებას; ახორციელებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებს; აკონტროლებს კანონით განსაზღვრული ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებას.

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ" კანონით განსაზღვრულია „იძულებითი ღონისძიებები" რომლის თანახმად, მოსამსახურის დისკრეციული უფლებამოსილებაა დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად თანაზომიერების საფუძველზე პროპორციულად გამოიყენოს გამოსადეგი იძულების ღონისძიებები მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, იმ ინტენსივობით, რომელიც უზრუნველყოფს კანონიერი მიზნის მიღწევას.

იძულების ღონისძიებები არის სამსახურის უფლებამოსილი დაწაყოფის და უფლებამოსილი მოსამსახურის მიერ ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის ამ კანონით გათვალისწინებული მიზნით გამოყენება.

სამსახურის მოსამსახურე უფლებამოსილია ცეცხლსასროლი იარაღი და სპეციალური საშუალებები მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენოს, თუ მას გაელილი აქვს სპეციალური მომზადება. იგი ვალდებულია წინასწარ გააფრთხილოს პირი ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ, მისცეს მას გონივრული ვადა თავისი კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაყოვნებამ შეიძლება პირის ან/და მოსამსახურის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვიოს, ან შექმნილ სიტუაციაში ასეთი გაფრთხილება გაუმართლებელია ან შეუძლებელია. იძულების ღონისძიების სახე და ინტენსივობა განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციის, სამართალდარღვევის ხასიათისა და სამართალდამრღვევის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ამასთანავე, იძულების ღონისძიების გამოყენებისას მოსამსახურე უნდა შეეცადოს, რომ მიყენებული ზიანი მინიმალური და თანაზომიერი იყოს.

113 საქართველოს კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ", 2015, 19 თებერვალი.

სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინოს იძულების ღონისძიებების გამოყენებით დაზიანებულ პირს. მას ეკრძალება ისეთი საშუალების გამოყენება, რომელიც იწვევს ადამიანის მძიმე დასახიჩრებას, უკავშირდება გაუმართლებელ რისკს ან აკრძალულია კანონმდებლობით.

აკრძალულია ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ორსულობის, მცირენლოვანების, შეზღუდული შესაძლებლობის ან ხანდაზმულობის აშკარა ნიშნების მქონე პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი შეიარაღებული ან ჯგუფურად ესხმიან თავს, შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევენ სამსახურის წარმომადგენელს (მოსამსახურეს), რაც საფრთხეს უქმნის სხვა პირის ან მოსამსახურის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, თუ ასეთი თავდასხმისა და წინააღმდეგობის სხვა ხერხებითა და საშუალებებით მოგერიება შეუძლებელია, გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოუყენებლობა შეუძლებელს ხდის კანონით განსაზღვრული ფუნქციის შესრულებას.

პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ მოსამსახურის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და თავისუფლებები, უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივროს ეს ქმედება ზემდგომ თანამდებობის პირთან, პროკურატურაში ან სასამართლოში.

კანონით განსაზღვრულია სამსახურის მოსამსახურის იძულებითი ღონისძიებების გამოყენების უფლებები. მათ შორის ფიზიკური ძალის გამოყენების უფლება. სამსახურის მოსამსახურეს უფლება აქვს, გამოიყენოს ფიზიკური ძალა, მათ შორის, ორთაბრძოლის სპეციალური ილეთები, საკუთარი თავის ან/და სხვა პირთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად, დანაშაულის აღსაკვეთად, დანაშაულის ჩამდენი პირის დასაკავებლად, თუ არაძალისმიერი მეთოდების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს მოსამსახურის მიერ კანონით განსაზღვრული ფუნქციის შესრულებას. იგი ვალდებულია, ფიზიკური ძალის გამოყენების შედეგად პირის დაზიანების შესახებ უშუალო უფროსსა და პროკურორს აცნობოს. თუ ფიზიკური ძალა პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ იქნა გამოყენებული, ამის შესახებ იმ მოსამსახურის ხელმძღვანელმა თანამდებობის პირმა, რომელმაც ფიზიკური ძალა გამოიყენა, უშუალო უფროსსა და პროკურორს უნდა აცნობოს.

ასევე, ამავე კანონით განსაზღვრულია სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება, კერძოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების

დასაცავად მოსამსახურე იყენებს პასიურ და აქტიურ სპეციალურ საშუალებებს.

პასიური სპეციალური საშუალებები უზრუნველყოფს მოსამსახურის ან/და მის მიერ დასაცავი პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას. პასიური სპეციალური საშუალებებია: ჯავშანჟილეტი, ჩაფხუტი, ფარი, აირწინაღი, სხეულის დაცვის სხვა სპეციალური საშუალებები.

აქტიური სპეციალური საშუალებები პირს მოკლე ვადით არომევს მოსამსახურისათვის ნინააღმდეგობის განევის უნარს ან/და მოსამსახურეს თავისი ფუნქციის შესრულებაში ეხმარება. აქტიური სპეციალური საშუალებებია: ხელობრკილი და შებორკვის სხვა საშუალება,[114] სპეციალური ხელკეტი,[115] ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, აკუსტიკური საშუალება და არალეტალური იარაღი (მათ შორის, არალეტალური ჭურვი),[116] ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მონყობილობა,[117] ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება,[118] დაბრკოლების დამანგრეველი საშუალება,[119] ნყალსატყორცნი,

114 ხელობრკილი და შებორკვის სხვა საშუალება – გამოიყენება დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, რომელიც უძალიანდება ან შეიძლება გაუძალიანდეს მოსამსახურეს, ან გაქცევას ცდილობს; დაკავებულის ან დაბანჯრებულის ბადრაგირებისას; თუ პირს თავისი სიმაღლე მოქმედებით შეუძლია ზიანი მიაყენოს საკუთარ თავსა და სხვას.

115 სპეციალური ხელკეტი – გამოიყენება პირზე, მოსამსახურეზე ან/და დაცულ ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად; დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებისას, თუ იგი ბორტოტად არ ემორჩილება მოსამსახურის კანონიერ მოთხოვნას.

116 ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, აკუსტიკური საშუალება და არალეტალური იარაღი (მათ შორის, არალეტალური ჭურვი) – გამოიყენება პირზე, მოსამსახურეზე ან/და დაცულ ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად; დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებისას, ან მისი იძულების მიზნით, დატოვოს დაკავებული ტერიტორია, სატრანსპორტო საშუალება ან შეხობა-ნაგებობა, სადაც თავს აფარებს.

117 ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მონყობილობა – გამოიყენება სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად, პირზე ან/და მოსამსახურეზე თავდასხმის მოსაგერიებლად. შეიარაღებული წინააღმდეგობის გაშწვევი პირის დასაკავებლად; შენობა-ნაგებობიდან, მიწის ნაკვეთიდან, სატრანსპორტო საშუალებიდან შეჭრილი დანშაპავის გამოსაძუვებლად, უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილის გასათავისუფლებლად.

118 ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება – გამოიყენება იმ სატრანსპორტო საშუალების იძულებით გასაჩერებლად, რომლის მძღოლმა არ შეასრულა მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნა გაჩერების შესახებ და არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ამ სატრანსპორტო საშუალების მართვაზე ან მასში იმყოფება პირი, რომელიც ამბავდება ან სჩადის სამსახურის საგამოძიებო ქმედებებისთვის მეკუთვნებულ დანაშაულს, თუ ასეთი საშუალების გამოყენება აუცილებელია პროპორციული სამართლებრივი სიკეთის დასაცავად;

119 დაბრკოლების დამანგრეველი საშუალება – გამოიყენება დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებისას, დახურული სიერციდან უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილის გასათავისუფლებლად;

ჯავშანმანქანა და სხვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალება,[120] სპეციალური საღებავი,[121] სასამსახურო ძაღლი[122] და სასამსახურო ცხენი, ელექტროშოკური მოწყობილობა,[123] შესაბოჭი ბადე.[124]

სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია სპეციალური საშუალების გამოყენების შედეგად პირის დაჭრის ან დაზიანების შესახებ უშუალო უფროსსა და პროკურორს აცნობოს. თუ სპეციალური საშუალება პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ იქნა გამოყენებული, ამის შესახებ იმ მოსამსახურის ხელმძღვანელმა თანამდებობის პირმა, რომელმაც სპეციალური საშუალება გამოიყენა, უშუალო უფროსსა და პროკურორს უნდა აცნობოს.

სამსახურის შეიარაღებაში არსებული სპეციალური საშუალებების შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესი განისაზღვრება სამსახურის უფროსის ნორმატიული აქტით.

კანონით ასევე განსაზღვრულია სამსახურის მოსამსახურის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლებები, კერძოდ, მოსამსახურეს უფლება აქვს, შეინახოს, ატაროს და გამოიყენოს სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღი, აგრეთვე სამსახურის უფროსის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად – დამატებითი სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღი. მოსამსახურეთა განკარგულებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების წესს განსაზღვრავს სამსახურის უფროსი. ცეცხლსასროლი იარაღის პასიურ გამოყენებად ითვლება მოსამსახურის მიერ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად იარაღის დემონსტრირება. ცეცხლსასროლი იარაღის აქტიურ გამოყენებად ითვლება იარაღიდან გამიზნული გასროლა.

---

120 ნაღალსატყორცნი, ჯავშანმანქანა და სხვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალება – გამოიყენება სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ობიექტზე ჯგუფური თავდასხმის მოსაგერიებლად, იმ სატრანსპორტო საშუალების იძულებით გასაწრეტლად, რომლის მძღოლმა არ შეასრულა მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნა გაჩერების შესახებ და არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს ან მასში იმყოფება პირი, რომელიც ამზადებს ან სწადია სამსახურის საგამოძიებო ქვედანაყოფებისთვის მიკუთვნებულ დანაშაულს, თუ ასეთი საშუალების გამოყენება აუცილებელია პროპორციული სამართლებრივი საკეთილო დასაცავად, შეიარაღებული დამნაშავის დასაკავებლად;

121 სპეციალური საღებავი – გამოიყენება დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსავლენად;

122 სასამსახურო ძაღლი – გამოიყენება დანაშაულის ჩამდენი პირის დევნისას და დაკავებისას, დაკავებულის ან დაპატიმრებულის ბადრაგირებისას, პირზე ან/და მოსამსახურეზე თავდასხმის მოსაგერიებლად;

123 ელექტროშოკური მოწყობილობა – გამოიყენება პირზე, მოსამსახურეზე ან/და დაცულ ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად, დამნაშავის დაკავებისას;

124 შესაბოჭი ბადე – გამოიყენება სამართალდამრღვევის დევნისას, შეიარაღებული თავდასხმის მოსაგერიებლად, თავდამსმელის შესაპყრობად.

სამსახურის მოსამსახურეს უფლება აქვს, უკიდურესი ღონისძიების სახით გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი: საკუთარი თავის ან/და სხვის დასაცავად, როდესაც რეალური, პირდაპირი და იმნუთიერი საფრთხე ექმნება სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას; უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილის გასათავისუფლებლად; მისთვის წინასწარი ცნობით ძალადობრივი ქმედების ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის დაკავებულის გაქცევის აღსაკვეთად; ძალადობრივი დანაშაულის აღსაკვეთად, თუ პირი მოსამსახურეს წინააღმდეგობას უწევს; დაცულ ობიექტზე, სახელმწიფო ორგანოზე ან/და საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე თავდასხმის მოსაგერიებლად; საშიში ცხოველის თავდასხმისაგან ადამიანის დასაცავად; სატრანსპორტო საშუალების გაჩერების მიზნით მისი დაზიანებისათვის, თუ მძღოლის მოქმედება რეალურ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და მძღოლი არ ემორჩილება მოსამსახურის არაერთგზის კანონიერ მოთხოვნას სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ, გარდა მოძრავი სატრანსპორტო საშუალებიდან მოძრავი სატრანსპორტო საშუალებისათვის სროლისა.

პირის მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის აქტიურ გამოყენებას წინ უნდა უძღოდეს მისი გამოყენების შესახებ სიტყვიერი გაფრთხილება, შემდეგ – გამაფრთხილებელი გასროლა. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გამაფრთხილებელი გასროლა არ განხორციელდეს.

გაფრთხილების გარეშე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება შეიძლება: შეიარაღებული თავდასხმისას, საბრძოლო ტექნიკით, ნებისმიერი სატრანსპორტო ან მექანიკური საშუალებით მოულოდნელი თავდასხმისას; მოსამსახურისათვის წინასწარი ცნობით სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის დაკავებულის ან დაპატიმრებულის გაქცევისას; პირის მიერ შეიარაღებული წინააღმდეგობის განევისას; განგაშის სიგნალის მისაცემად ან დამხმარე ძალის გამოსაძახებლად; ცეცხლსასროლი იარაღის წართმევის აღსაკვეთად; სასიკვდილოდ დაზიანებული ან დასნებოვნებული ცხოველის სიცოცხლის შესაწყვეტად, როდესაც ნათელია, რომ პრობლემის სხვაგვარად გადაჭრა შეუძლებელია.

ცეცხლსასროლი იარაღის ისეთი გამოყენება, რომელიც სასიკვდილოდ დაჭრის საფრთხეს შეიცავს, შეიძლება მხოლოდ აუცილებელი მოგერიების ან/და უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში.

მოსამსახურეს ეკრძალება ცეცხლსასროლი იარაღის ისეთ ადგილებში გამოყენება, სადაც არსებობს სხვა პირთა დაშავების საფრთხე,

აგრეთვე ცეცხლსაშიშ და აფეთქებასაშიშ ადგილებში, გარდა აუცილებელი მოგერიების ან/და უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევისა.

მოსამსახურე ვალდებულია ცეცხლსასროლი იარაღის აქტიური გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს უშუალო უფროსსა და პროკურორს.

მოსამსახურეთა შეიარაღებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ნუსხა მტკიცდება სამსახურის უფროსის ბრძანებით.

ზ)პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპი.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობაში პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპი განსაზღვრულია „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ" კანონით და მის საფუძველზე „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სამსახურის გავლის წესით".

კანონის თანახმად, სამსახურის უფროსი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან სხვაგვარად მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში. ხოლო სამსახურის გავლის წესის თანახმად, **მოსამსახურეს ეკრძალება:** გაფიცვა, პოლიტიკური პარტიის ან/და პოლიტიკური გაერთიანების წევრობა.

4.2. კონტრდაზვერვითი საქმიანობის პრინციპები

„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ"[125] კანონის თანახმად, **კონტრდაზვერვითი საქმიანობა არის სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების,** [126] **ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება** ხოლო, **ტერმინს** „**კონტრდაზვერვითი საქმიანობა**" **აქვს შემდეგი მნიშვნელობა – საქართველოს სპეციალური სამსახურების მიერ არასამართალდაცვითი მიზნებისათვის განხორციელებული სპეციალური (ოპერატიული, ოპერატიულ-ტექნიკური) ღონისძიებების სისტემა, რომელიც მიმართულია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა**

125 საქართველოს კანონი „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ", 2005, 11 ნოემბერი.
126 უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურები – უცხო ქვეყნის სპეციალური ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ სადაზვერვო საქმიანობას საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ.

სადაზვერვო ან/და ტერორისტული ქმედებების გამოსავლენად და თავიდან ასაცილებლად;

კონტრდაზვერვითი სამსახურის წინაშე მდგარი ამოცანებიდან გამომდინარე კონტრდაზვერვითი საქმიანობის განხორციელების პრინციპებია: ა) კანონიერების პრინციპი; ბ) ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების განუხრელი დაცვის, პიროვნების ღირსების პატივისცემის პრინციპი; გ) კონსპირაციის წესების დაცვის პრინციპი; დ) კონტრდაზვერვითი საქმიანობის მართვის ცენტრალიზაციის და ერთიანობის პრინციპი.

კონტრდაზვერვითი საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა სადაზვერვო და ტერორისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვების მიზნით და იგი არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად მიღებული ინფორმაცია არ არის საქართველოს პირების უფლებების შეზღუდვის საფუძველი.

განვიხილოთ კონტრდაზვერვის საქმიანობის განხორციელების პრინციპები:

ა) კანონიერების პრინციპი.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, კონტრდაზვერვით საქმიანობაში, კანონიერების პრინციპი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, კანონებს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ", „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ"„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" და სხვა ნორმატიულ აქტებს.

კონტრდაზვერვით საქმიანობას ახორციელებენ სპეციალური სამსახურები კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში. ისინი ვალდებული არიან, კომპეტენციის ფარგლებში განახორციელონ კანონმდებლობით დაშვებული ყველა საჭირო ქმედება კონტრდაზვერვითი საქმიანობის ამოცანების შესასრულებლად.

ბ) ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების განუხრელი დაცვა, პიროვნების ღირსების პატივისცემის პრინციპი.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, კონტრდაზვერვით საქმიანობაში, ადამიანის უფლებებისა

და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების განუხრელი დაცვის, პიროვნების ღირსების პატივისცემის პრინციპის საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია და განსაზღვრულია კანონებით „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური შესახებ" და „კონტრრაზვერვითი საქმიანობის შესახებ". რომლის თანახმად, სპეციალური სამსახურები ვალდებული არიან: განუხრელად დაიცვან ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, იურიდიული პირის უფლებები, პატივი სცენ პიროვნების ღირსებას.

გ) კონსპირაციის წესების დაცვის პრინციპი.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, კონტრდაზვერვით საქმიანობაში, კონსპირაციის წესების დაცვის პრინციპი, განსაზღვრულია კანონით.

კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. კონტრდაზვერვით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების, მასალების და სხვა მონაცემების ან მათი ნანილის გასაიდუმლოების წესი და პირობები განისაზღვრება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" კანონის შესაბამისად.

სპეციალური სამსახურები ვალდებული არიან: კონტრდაზვერვითი საქმიანობის განხორციელებისას დაიცვან კონსპირაციის წესები, სპეციალურ სამსახურებს უფლება აქვთ: კონსპირაციის მიზნით გამოიყენონ დოკუმენტები, რომლებშიც შენიღბულია სპეციალური სამსახურების თანამდებობის პირთა ვინაობა, დანაყოფების, ორგანიზაციების სადგომებისა და სატრანსპორტო საშუალებების კუთვნილება, აგრეთვე იმ მოქალაქეთა ვინაობა, რომლებიც ამ სამსახურებთან თანამშრომლობენ კონფიდენციალურ საფუძველზე.

ამასთანავე, კონტრდაზვერვითი საქმიანობის მიზნებისათვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელი უფლებამოსილია გასცეს კანონმდებლობის ფარგლებში კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნის ნებართვა.

დ) კონტრდაზვერვითი საქმიანობის მართვის ცენტრალიზაციისა და ერთიანობის პრინციპი.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, კონტრდაზვერვითი საქმიანობის მართვის ცენტრალიზაციისა და ერთიანობის პრინციპი განსაზღვრულია კანონით.

კონტრდაზვერვით საქმიანობას ახორციელებენ სპეციალური სამსახურები კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.

ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაცია და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია ეკისრება სპეციალურ სამსახურს – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს.

სპეციალური სამსახურები, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოები ვალდებული არიან კანონის თანახმად მაკოორდინირებელ სპეციალურ სამსახურს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს წარუდგინონ ნებისმიერი მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებთან.

საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს: ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაციის და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაციის წესს; კონტრდაზვერვითი საქმიანობის განმახორციელებელ სპეციალურ სამსახურებს, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებს შორის სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე ინფორმაციის გაცვლისა და საინფორმაციო ბანკის წარმოების წესს, რომლითაც განისაზღვრება კანონით გათვალისწინებული მონაცემების სრული ნუსხა და მათი წარდგენის წესი.

სპეციალური სამსახურები, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოები ვალდებული არიან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს წარუდგინონ ნებისმიერი მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებთან.

4.3. პროფესიული ეთიკისა და ქცევის საკითხები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში

პროფესიული ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მიღებულია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ბრძანებით „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“, „საქართველოს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ კანონის და საქართველოს მთავრობის დადგენილების „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულების“ საფუძველზე, რომელიც ეფუძნება და ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციურ პრინციპებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის, „წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ“ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, სხვა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი შედგება რვა თავისაგან: „მოსამსახურის საქმიანობის პრინციპები“, „მოსამსახურის ქცევის ზოგადი წესები“, „საზოგადოებასთან ურთიერთობა“, „კოლეგებთან ურთიერთობა“, „ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება“, „გამოძიება“, „დამოკიდებულება დაკავებულ პირთა მიმართ“, „დროებითი მოთავსების იზოლატორის (დმი) თანამშრომლის ქცევის ინსტრუქცია“, „პასუხისმგებლობა ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში“.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, დაფუძნებულია რა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ პრინციპებზე, პროფესიული ეთიკის კოდექსით აღიარებს საკუთარ ერთგულებას კაცობრიობის ძირითადი ჰუმანური და ეთიკური ღირებულებებისადმი.

სამსახური იღებს ვალდებულებას, განუხრელად დაიცვას ეთიკის კოდექსში ჩამოყალიბებული პრინციპები, იმის გათვალისწინებით, რომ: საქართველო არის დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც აღიარებს კანონის უზენაესობის პრინციპს; სამსახური წარმოადგენს საზოგადოების სამსახურში მდგომ სახელმწიფო ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს უსაფრთხოებას, აგრეთვე თითოეული მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას; კანონის უზენაესობის პრინციპი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ძირითადი საფუძველია; სამსახური, როგორც საზოგადოების სამსახურში მდგომი სახელმწიფო ორგანო, ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

სამსახურის მოსამსახურეთა საქმიანობის ეფექტურობა დიდწილადაა დამოკიდებული საზოგადოების მხრიდან დახმარებასა და

მხარდაჭერაზე. სამსახური წარმატებულია მაშინ, როდესაც იგი მჭიდროდ თანამშრომლობს მოსახლეობასთან. მოსამსახურისათვის უკიდურესად მნიშვნელოვანია საზოგადოების კეთილგანწყობა, მასთან ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბება. მოსამსახურემ საკუთარი პროფესიონალიზმი უნდა შეუთავსოს ეთიკურობას, რითაც მნიშვნელოვნად ამაღლდება სამსახურის ავტორიტეტი საზოგადოებაში.

კოდექსით გაცხადებული პრინციპების განურჩევლად დაცვამ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების მხრიდან სამსახურისადმი ნდობის განმტკიცებას, მისი ავტორიტეტისა და პრესტიჟის ამაღლებას. ღირსეული სამსახურისადმი კუთვნილების გაცნობიერება თითოეულ მოსამსახურეში სიამაყისა და პროფესიული ღირსების განცდის სანინდარია.

ეთიკის კოდექსი, ადგენს სამსახურის ეთიკის ძირითად პრინციპებსა და ქცევის წესებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა მოსამსახურისათვის როგორც სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს, ასევე სხვა სახის საქმიანობის განხორციელებისას, მათ შორის, სამსახურს გარეთ.

კოდექსის ამოცანაა მოსამსახურეში პროფესიული ეთიკის ნორმებისადმი ერთგულებისა და მაღალზნეობრივი ღირებულებების განმტკიცება, სამსახურებრივი მოვალეობების მიმართ პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის გაღრმავება.

კოდექსის მოქმედება ვრცელდება სამსახურის სისტემაში დასაქმებულ ყველა მოსამსახურეზე. მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას აღნიშნული კოდექსი არამხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსით განსაზღვრული ნორმების დარღვევა ინვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ძირითადი სახელმძღვანელო და კონტრდაზვერვითი საქმიანობის განხორციელების პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსით განსაზღვრულია სამსახურის მოსამსახურის საქმიანობის ეთიკური პრინციპები.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურე ყოველდღიურ საქმიანობაში უნდა იყოს ყურადღებიანი, თავდაჭერილი, და კანონთან ერთად ხელმძღვანელობდეს ზნეობრივი ნორმებით, განუხრელად იცავდეს ეთიკის კოდექსით დადგენილ: კანონიერების;

პუმანურობის; კეთილსინდისიერების; ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის; სამართლიანობის; მიუკერძოებლობის პრინციპებს.

ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპებიდან გამომდინარე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული, კანონიერებისა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის ეთიკურ პრინციპებს, რომლის თანახმად: მოსამსახურე, რომელიც იცავს და იყენებს კანონს, პირველ რიგში, თავად ემორჩილება და პატივს სცემს მას; მოსამსახურე საკუთარი მოქმედებების დაგეგმვისა და დაწყების ნინ ყოველთვის უნდა დარწმუნდეს მის კანონიერებაში; მოსამსახურემ პატივი უნდა სცეს ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს; მოსამსახურე უნდა იცავდეს ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, როგორიცაა: ღირსების პატივისცემა; სიცოცხლის უფლება; თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება; საკუთრების უფლება; აზრის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლება; გამოხატვის თავისუფლება; მშვიდობიანი შეკრების უფლება; გადაადგილების თავისუფლება; სხვა უფლებებს, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ვალდებულებებით.

ეთიკის კოდექსში ხაზგასმითაა აღნიშნული სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, თანაზომიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის და დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პრინციპების მნიშვნელობა, რომლის თანახმად:

- მოსამსახურე თავისი საქმიანობისას უნდა ხელმძღვანელობდეს თანაზომიერების პრინციპით; კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, კანონით მინიჭებული შესაძლო საშუალებებიდან მოსამსახურემ უპირატესობა უნდა მიანიჭოს ადამიანისათვის ნაკლები ზიანის მომტან საშუალებას.
- მოსამსახურემ პატივი უნდა სცეს ყველა ადამიანის პიროვნულ ღირსებას, მოეპყრას მათ სამართლიანად და მიუკერძოებლად მიუხედავად პირთა რასობრივი თუ ეროვნული კუთვნილებისა, ენისა, სქესისა, ასაკისა, რელიგიური აღმსარებლობისა, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, სოციალური კუთვნილებისა, წარმომავლობისა, განათლებისა, საცხოვრებელი ადგილისა ან სხვა სახის პირადი მდგომარეობისა ან/და სექსუალური ორიენტაციისა.

• მოსამსახურე კოლეგიალური უნდა იყოს თავის თანამშრომლების მიმართ, მხარში ედგეს და იცავდეს მათ.

4.3.1. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურის ეთიკური ვალდებულებები და მოქმედებების შეზღუდვები

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურის ეთიკის კოდექსით განსაზღვრულია სამსახურის მოსამსახურის ეთიკური ვალდებულებები და მოქმედებების შეზღუდვები: ა) საერთო-სამსახურეობრივ და არასამსახურებრივ საქმიანობაში ბ) სამსახურეობრივ საქმიანობაში და გ) არასამსახურეობრივ საქმიანობაში.

ა) სამსახურის მოსამსახურის საერთო ეთიკური ვალდებულებები და მოქმედებების შეზღუდვები, სამსახურეობრივ და არასამსახურეობრივ საქმიანობაში.

ეთიკის კოდექსით განსაზღვრულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურის საერთო ეთიკური ვალდებულებები და მოქმედებების შეზღუდვები სამსახურეობრივ და არასამსახურეობრივ საქმიანობაში კერძოდ, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ", „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ" კანონებით და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსით განსაზღვრული, პრინციპებიდან გამომდინარე ეთიკის კოდექსის „მოსამსახურის ქცევის ზოგადი წესების" თანახმად, **მოსამსახურე ვალდებულია**, არ გაახმაუროს მისთვის ცნობილი კონფიდენციალური ინფორმაცია, დოკუმენტი და პერსონალური მონაცემები, რომელთა გამჟღავნებამ შეიძლება გამოინვიოს მესამე პირის ინტერესის შელახვა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მოსამსახურემ არ უნდა დაუშვას, რომ მის წარმოებაში არსებული საქმე გასაცნობად ხელმისაწვდომი იყოს სხვა პირებისთვის და არ უნდა აწარმოოს კონფიდენციალური საუბარი სხვა პირთა თანდასწრებით.

სამსახურის მოსამსახურეს ეკრძალება სამორინესა და სათამაშო აპარატების სალონში შესვლა, გარდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებთან დაკავშირებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შემთხვევებისა. უნიფორმაში მყოფ მოსამსახურეს ასევე ეკრძალება ისეთ გარემოში, მაგალითად, ალკოჰოლური სასმელების გასაღებისა და მოხმარების ადგილებში, ზოგიერთი ტიპის გასართობ ობიექტებში ყოფნა და ა.შ., რომლებიც შეუფერებელია სამსახურის მოსამსახურის პროფესიისთვის. მოსამსახურისათვის დაუშვებელია

სამოქალაქო ტანსაცმელში ცეცხლსასროლი იარაღის ღიად, გამოსაჩენად ტარება, გარდა ცეცხლსასროლი იარაღის საბრძოლო ბუდით ტარებისა, ასევე სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება პირადი ინტერესებისათვის და სხვა.

სამსახურის მოსამსახურემ რეაგირება უნდა მოახდინოს კოლეგის მხრიდან ეთიკის კოდექსის დარღვევის ფაქტებზე; კორუფციის ნებისმიერი გამოვლენის შემთხვევაში მოახსენოს ზემდგომ თანამდებობის პირებსა და შესაბამის ორგანოებს.

მოსამსახურემ არ უნდა ისარგებლოს თავისი სტატუსით და არ გამოიყენოს იგი პირადი ინტერესებისათვის. მან უარი უნდა თქვას ნებისმიერი სახის უკანონო შემოთავაზებაზე და არ უნდა გამოიყენოს თანამდებობრივი მდგომარეობა სოციალურ-ეკონომიკური ან სხვა სახის სარგებლის მისაღებად. ამასთანავე, მოსამსახურემ არ უნდა შესთავაზოს საზოგადოების ნევრებს გარკვეული სამსახურის განევა რაიმე სახის სარგებლის მიღების სანაცვლოდ. მან ბოროტად არ უნდა ისარგებლოს სამსახურებრივი ინფორმაციით და პერსონალური მონაცემებით საკუთარი ან/და ახლობელ პირთა კერძო ინტერესების დაკმაყოფილებისათვის.

სამსახურის მოსამსახურემ არასამსახურეობრივ საქმიანობაში საკუთარი ინიციატივით უნდა აღმოუჩინოს დახმარება საფრთხეში მყოფ ადამიანს და მიიღოს ზომები კანონდარღვევის თავიდან ასაცილებლად.

ეთიკის პრინციპებიდან გამომდინარე კოდექსის თავის „საზოგადოებასთან ურთიერთობა" სამსახურის მოსამსახურის საქმიანობა მოიცავს არა მხოლოდ დანაშაულის პრევენციასა და გახსნას, არამედ საზოგადოებისათვის დახმარების აღმოჩენასაც, მათ შორის, არასამსახურეობრივ საქმიანობის დროს.

მოსამსახურე საქმიანობის განხორციელებისა და საზოგადოების ნევრებთან ურთიერთობისას ითვალისწინებს მათ განსხვავებულ ტრადიციებს, ადათებსა და ცხოვრების წესის თავისებურებებს.

მოსამსახურე, თავისი თანამდებობის ან წოდების მიუხედავად, ვალდებულია საზოგადოების ნევრებთან ურთიერთობაში იყოს ტაქტიანი, თავაზიანი და კეთილგანწყობილი. მოქალაქისადმი წაყენებული მოთხოვნები თუ შენიშვნები გამოთქვას მშვიდი და ზრდილობიანი ფორმით; მოსამსახურემ უნდა მისცეს მოქალაქეს საკუთარი მოსაზრების გამოთქმის საშუალება. მოსამსახურისაგან დაუშვებელია ქედმაღლური მიმართვა, მუქარა, ირონია, ჟარგონის გამოყენება და ფამილარული ტონით საუბარი; ყველა სიტუაციაში და ნებისმიერ ადამიანთან ურთიერთობისას, როგორც სამუშაო, ასევე არასამსახურეობრივი

საქმიანობის დროს, აუცილებელია ქცევის ეთიკური ნორმების დაცვა. იგი უნდა იყოს კორექტული და საზოგადოების წევრების მიმართ არ უნდა გამოიჩინოს უხეშობა, ძალადობა, თავი უნდა შეიკავოს შეურაცხმყოფელი ქცევებისაგან და პროვოკაციის მიუხედავად შეინარჩუნოს ობიექტური დამოკიდებულება; ზემოთ აღნიშნული სტანდარტები მოსამსახურემ უნდა დაიცვას თავისი ქცევის ადრესატის სოციალური მდგომარეობისა და ფიზიკური კონდიციის მიუხედავად, მაგალითად, ალკოჰოლური თუ ნარკოტიკული თრობისას.

ბ) სამსახურის მოსამასახურის ეთიკური ვალდებულებები და მოქმედებების შეზღუდვები,სამსახურეობრივ საქმიანობაში

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურის ეთიკური ვალდებულებები და მოქმედებების შეზღუდვები სამსახურეობრივ საქმიანობაში განსაზღვრულია ეთიკის კოდექსით.

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ" და „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ" კანონებით განსაზღვრული პრინციპებიდან გამომდინარე, ეთიკის კოდექსის თავის „მოსამსახურის ქცევის ზოგადი წესები"თანახმად, მოსამსახურე სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას უნდა იყოს მოწესრიგებული და შესაბამისად ჩაცმული. მოსამსახურე ვალდებულია, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამუშაო დრო გაანაწილოს რაციონალურად და სრულყოფილად შეასრულოს დაკისრებული ვალდებულება.

მოსამსახურეს ეკრძალება თავისი კოლეგის მიერ წარმოებულ საქმეზე დეტალების გამოკითხვა, თუ ამას არ მოითხოვს სამსახურებრივი აუცილებლობა.

თითოეულმა მოსამსახურემ უშუალოდ მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობები უნდა შეასრულოს პატიოსნად და კანონის მოთხოვნების შესაბამისად. თანამდებობის ან წოდების მიუხედავად, მოსამსახურე პირადად აგებს პასუხს საკუთარ ქმედებებსა და იმ ბრძანებებზე, რომლებსაც ის აძლევს თავის დაქვემდებარებაში მყოფ პირებს. **დაუშვებელია** წინასწარი შეცნობით მოსამსახურის მიერ მართლსაწინააღმდეგო ბრძანების ან განკარგულების შესრულება. ამგვარი მითითების შემთხვევაში, თანამშრომელმა უარი უნდა თქვას ამოცანის შესრულებაზე, მოახსენოს ზემდგომი თანამდებობის პირს და იმოქმედოს კანონის ფარგლებში. მოსამსახურეზე, რომელიც უარს ამბობს შეასრულოს უკანონო ქმედება, არ გავრცელდება დისციპლინური ან სხვა სახის სანქცია.

მოსამსახურე მუდამ მზად უნდა იყოს პროფესიული მოვალეობების შესრულებისათვის. დაუშვებელია ამ მოვალეობებისაგან თავის

არიდება არასაპატიო მიზეზებსა და გარემოებებზე მითითებით. მოსამსახურე პროფესიული საქმიანობის შესრულებისას მოწოდებული უნდა იყოს თავისი ცოდნა და უნარები გამოიყენოს მაქსიმალურად.

სამსახურის მოსამსახურეებს შორის ურთიერთობა ემყარება განსაზღვრულ იერარქიულ წესრიგსა და დისციპლინას, სუბორდინაციისა და კოლეგიალობის პრინციპებს.

მოსამსახურემ პერსონალური მონაცემების შეგროვება, შენახვა და გამოყენება უნდა მოახდინოს პერსონალური მონაცემების ხელშეუხებლობის საერთაშორისო პრინციპების დაცვით.

ეთიკის პრინციპებიდან გამომდინარე კოდექსის თავის „საზოგადოებასთან ურთიერთობა" თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოქალაქესთან ურთიერთობისას **მოსამსახურეს ეკრძალება:** სიგარეტის მონევა, საღეჭი რეზინის ღეჭვა, მობილურ ტელეფონზე საუბარი, მანქანიდან საუბარი, მზის სათვალის ტარება და მოუწესრიგებელ მდგომარეობაში ყოფნა.

მოსამსახურის მიერ, ობიექტურ გარემოებათა გამო, მოქალაქისათვის ქმედითი დახმარების გაწევის შეუძლებლობის შემთხვევაში ამ უკანასკნელს უნდა განემარტოს დაუხმარებლობის მიზეზი.

მოსამსახურე სხვა უნარებთან ერთად უნდა ფლობდეს დარწმუნების, მოლაპარაკებისა და შუამავლობის უნარ-ჩვევებს, რაც აუცილებელია კრიტიკულ სიტუაციებში ძალის გამოყენების შემთხვევების მინიმუმამდე შემცირებისათვის.

ეთიკის პრინციპებიდან გამომდინარე კოდექსის თავის „კოლეგებთან ურთიერთობა" თანახმად, ავტორიტეტის შენარჩუნების თვალსაზრისით, მოსამსახურემ უნდა აწარმოოს კოლეგებთან კორექტული ურთიერთობა. დაუშვებელია პირადი დამოკიდებულების სამსახურისათვის მიუღებელი ფორმით გამოხატვა. სამსახურებრივი ურთიერთობისას მოსამსახურემ თავი უნდა შეიკავოს ფამილარული ურთიერთობებისაგან. მოსამსახურე უნდა ეხმარებოდეს და იცავდეს თანამშრომელს, რომელიც დაშავდა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას.

მოსამსახურემ კოლეგებს გულახდილად უნდა მიაწოდოს აუცილებელი პროფესიული ინფორმაცია და გაუწიოს მათ დახმარება. იმავდროულად, მოსამსახურე უნდა იყოს შეურიგებელი კოლეგის მიერ დაშვებული გადაცდომის მიმართ.

ეთიკის პრინციპებიდან გამომდინარე კოდექსის თავის „ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება" თანახმად, მოსამსახურე პატივს უნდა სცემდეს სიცოცხლის უფლებას და ყველა ღონისძიება უნდა განახორციელოს სიცოცხლის უფლების პატივისცემით. თავისი

მოვალეობის შესრულებისას შეძლებისდაგვარად უნდა შეეცადოს მიმართოს არაძალისმიერ მეთოდებს და სამართალდარღვევის აღსაკვეთად არ გამოიყენოს აუცილებელზე მეტი ძალა ან/და ცეცხლსასროლი იარაღი. ზემოაღნიშნულის გამოყენება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არაძალისმიერი მეთოდებით შეუძლებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა. მოსამსახურემ ძალის ან/და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება უნდა შეწყვიტოს დაუყოვნებლივ, როგორც კი მისი გამოყენების აუცილებლობა აღარ არსებობს. ძალის ან/და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების პირდაპირი მიზანი არ უნდა იყოს პირის ჯანმრთელობის დაზიანება ან სიცოცხლის მოსპობა. ძალის ან/და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება მოსამსახურეს მინიჭებული აქვს საკუთარი ან სხვა ადამიანის, მათ შორის, სამართალდამრღვევის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად და არა სიცოცხლის მოსასპობად.

მოსამსახურე ვალდებულია, ისე დაგეგმოს და აკონტროლოს ოპერაცია, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს ძალის, მათ შორის, ლეტალური საშუალების გამოყენება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

ეთიკის პრინციპებიდან გამომდინარე კოდექსის თავის „გამოძიება" თანახმად, გამოძიების წარმოების ყველა ეტაპზე მოსამსახურე ვალდებულია იყოს სამართლიანი და მიუკერძოებელი. მოსამსახურემ უნდა გაითვალისწინოს იმ პირთა ინტერესები, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ მოპყრობას, მაგალითად, არასრულწლოვნები, ქალები, უმცირესობები და დაუცველი პირები.

მოსამსახურე ვალდებულია, გაითვალისწინოს უდანაშაულობის პრეზუმფცია, მოეპყრას დანაშაულის სავარაუდო ჩამდენ პირს, როგორც უდანაშაულოს. სამსახური განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვას მასმედიასთან ურთიერთობისას.

მოსამსახურემ პატივი უნდა სცეს ადვოკატის როლსა და ფუნქციას, როგორც გამოძიების სტადიაზე, ისე სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას.

მოსამსახურე ვალდებულია, გაუფრთხილდეს გამოსაკითხი პირის პატივსა და ღირსებას და გაითვალისწინოს მისი ასაკი, სქესი, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა, კულტურული, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილება.

მოსამსახურემ უნდა გაითვალისწინოს მოწმის განსაკუთრებული მდგომარეობა და გამოძიების ნებისმიერ ეტაპზე უზრუნველყოს იგი

ყველა საჭირო ღონისძიებით, როდესაც არსებობს მისი დაზიანების ან დაშინების რისკი.

მოსამსახურემ მაქსიმალური ტაქტი უნდა გამოიჩინოს მოქალაქისათვის ახლობელი ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის, მისი ქონებისადმი მიყენებული სერიოზული ზიანის, მაგალითად, ხანძრისას, ძარცვისას და სხვა შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას.

შემთხვევის ადგილზე კანონით განსაზღვრული პროცედურების განხორციელებისას, მოსამსახურეს ეკრძალება გვამისადმი ღირსების შემლახველი ქმედება.

გარემოებების გათვალისწინებით, მოსამსახურე დაკითხვის შემდეგ დაზარალებულს უნდა დაეხმაროს ახლობლებთან დაკავშირებაში, საჭიროების შემთხვევაში სახლამდე მისვლაში და იმ სამსახურებთან დაკავშირებაში, რომელთა კომპეტენციიაშიც შედის დაზარალებულისათვის გარკვეული სახის დახმარების გაწევა.

მოსამსახურე უნდა დაეხმაროს დანაშაულის მსხვერპლს უშუალოდ, საკუთარი ძალებით, მოექცეს მას გულისხმიერად და კორექტულად, პატივი სცეს მის ღირსებას, შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს მისი ინტერესები.

ეთიკის პრინციპებიდან გამომდინარე კოდექსის თვის „დამოკიდებულება დაკავებულ პირთა მიმართ" თანახმად, მოსამსახურეს არა აქვს უფლება შეზღუდოს პირის თავისუფლება, გარდა კანონმდებლობით დადგენილი კანონიერი საფუძვლის არსებობისას.

მოსამსახურე ვალდებულია, დაკავებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე განუმარტოს დაკავების მიზეზი და აცნობოს მის მიმართ წაყენებული ბრალდება. მოსამსახურემ დაკავებულ პირს უნდა აცნობოს კანონმდებლობით დადგენილი მისი უფლებები; დაკავების ფაქტი აცნობოს დაკავებულის მიერ არჩეულ მესამე პირს. მოსამსახურემ უნდა უზრუნველყოს დაკავებული პირის როგორც სამართლებრივი დახმარება, ასევე საჭიროების შემთხვევაში სასწრაფო გადაუდებელი დახმარების გაწევა ან/და შემონმება. დაუშვებელია დაკავებულ პირთა წამება, მათ მიმართ არაადამიანური, დამამცირებელი ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან სასჯელი. ყველა დაკავებულს აქვს ადამიანური მოპყრობის უფლება. მოსამსახურემ უნდა უზრუნველყოს დაკავებული პირის უსაფრთხოება, ჯანმრთელობა, ჰიგიენური პირობები და შესაბამისი კვება. მოსამსახურემ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გამოიყენოს ძალა დაკავებული პირის მიმართ,როდესაც ეს აუცილებელია დაკავების ადგილზე უსაფრთხოებისა და წესრიგის შესანარჩუნებლად, ან საფრთხე ემუქრება პიროვნების უსაფრთხოებას.

დროებითი მოთავსების იზოლატორის შესაბამის ადგილას უნდა ხდებოდეს აუდიო-ვიდეოდაკვირვება, აგრეთვე დროებითი მოთავსების იზოლატორში უნდა განხორციელდეს ჩანაწერების შენახვა.

გ) სამსახურის მოსამსახურის ეთიკური ვალდებულებები და მოქმედებების შეზღუდვები არასამსახურებრივ საქმიანობაში

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურის ეთიკური ვალდებულებები და მოქმედებების შეზღუდვები არასამსახურეობრივ საქმიანობაში განსაზღვრულია ეთიკის კოდექსით.

ეთიკის პრინციპებიდან გამომდინარე კოდექსის თავის „მოსამსახურის ქცევის ზოგადი წესები" თანახმად მოსამსახურემ მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან ყოფით საუბრებში სამსახურთან დაკავშირებული საკითხების გამუქებისას უნდა გამოიჩინოს ზომიერება და სიფრთხილე.

მოსამსახურემ, თუ ამას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება არ მოითხოვს, არ უნდა დაამყაროს ურთიერთობა წინასწარი შეცნობით არაკანონიერ ქმედებებთან კავშირში მყოფ პირებთან. იგი ასევე, არ უნდა იმყოფებოდეს მოსამსახურისათვის შეუფერებელ მდგომარეობაში.

არასამსახურებრივ საქმიანობის დროს, პიროვნების მომართვისას, მაგალითად, თხოვნისას, შეკითხვისას და სხვა შემთხვევებში, მოსამსახურემ უნდა გამოიჩინოს თავაზიანობა და შეძლებისდაგვარად დაეხმაროს მას.

სახელმწიფო უსაფრთხოების მოსამსახურის საქმიანობის ძირითად პრინციპებთან და ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებით მოსაზრებები და რეკომენდაციები მოცემულია დასკვნით ნაწილში.

საკონტროლო კითხვები

4.1.

- რა არის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური?
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის რომელ ძირითად პრინციპებს იცნობთ?

4.2.

- რა არის კონტრდაზვერვითი საქმიანობა?
- კონტრდაზვერვითი საქმიანობის რომელ პრინციპებს იცნობთ?

4.3.

- როგორ რეგულირდება ეთიკისა და ქცევის საკითხები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში?

4.3.1.

- სამსახურის მოსამსახურის რომელ ეთიკურ ვალდებულებებსა და მოქმედებების შეზღუდვებს იცნობთ?

მეხუთე თავი

საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკისა და ქცევის საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა

5. 1. საჯარო სამსახურის ეთიკისა და ქცევის საერთაშორისო სტანდარტები

საჯარო სამსახურში ეთიკისა და ქცევის საერთაშორისო სტანდარტები მოცემულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციით „საჯარო მოხელის ქცევის საერთაშორისო კოდექსით"[127],(დანართი №5) ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით „საჯარო მოხელის ქცევის სამოდელო კოდექსით"[128]. (დანართი №6)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუცია „საჯარო მოხელის ქცევის საერთაშორისო კოდექსი" განსაზღვრავს საჯარო სამსახურში მოსამსახურეთა ქცევის ზოგად პრინციპებს, ინტერესთა კონფლიქტს და დისკვალიფიკაციას, აქტივების გამჟღავნებას, საჩუქრის ან სხვა სარგებლის მიღებას, კონფიდენციალურ ინფორმაციის და პოლიტიკურ საქმიანობას.

კოდექსით განსაზღვრული საკითხებიდან საგულისხმო და მნიშვნელოვანია ზოგიერთი მათგანი, რომლებიც შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობასა და კანონქვემდებარე აქტებში ეთიკის კოდექსში, ძირითადად გათვალისწინებულია. ამასთანავე, მიზანშეწონილია უფრო სიღრმისეულად იყოს ასახული, კერძოდ, კოდექსის თავის „ინტერესთა კონფლიქტი და დისკვალიფიკაცია" თანახმად, საჯარო მოხელეებმა უნდა შეასრულონ კანონმდებლობით და ადმინისტრაციული პოლიტიკით დადგენილი ღონისძიებები იმისათვის, რომ ოფიციალური პოზიციის დატოვების შემდეგ მათ არ მიიღონ გაუმართლებელი სარგებელი ყოფილი სამსახურიდან გამომდინარე. კოდექსის თავის „კონფიდენციალური ინფორმაცია" თანახმად, დაცული უნდა იქნეს საჯარო მოხელისათვის ცნობილი ინფორმაციის კონფიდენციალობა,

127 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუცია. „საჯარო მოხელის ქცევის საერთაშორისო კოდექსი", 1996, 12 დეკემბერი

128 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის დანართი „საჯარო მოხელეების ქცევის სამოდელო კოდექსი", 2000,11 მაისი.

თუ ეროვნული კანონმდებლობა, ან მართლმსაჯულების საჭიროებები მკაცრად არ მოითხოვს სხვაგვარად. ეს შეზღუდვები ძალაში რჩება სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგაც. კოდექსის თავის „პოლიტიკური საქმიანობა" თანახმად, საჯარო მოხელეების პოლიტიკური ან სხვა სახის საქმიანობა, რომელიც არ შედის მათ ოფიციალურ მოვალეობებში, კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული პოლიტიკის შესაბამისად, არ უნდა ხორციელდებოდეს ისე, რომ ხელს უშლიდეს მათი ფუნქცია-მოვალეობების მიუკერძოებლად განხორციელების მიმართ საზოგადოების ნდობას.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის დანართით „საჯარო მოხელის ქცევის სამოდელო კოდექსი" ვრცელდება ნებისმიერ საჯარო მოხელეზე, ასევე შესაძლებელია გავრცელდეს კერძო ორგანიზაციების მიერ დაქირავებულ პირებზე, რომლებიც ახორციელებენ საჯარო მომსახურეობას. კოდექსით განსაზღვრულია ევროპის საბჭოში შემავალი სახელმწიფოებისათვის საჯარო მოხელის ქცევის სამოდელო პრინციპები. კოდექსი შედგება 28 მუხლისაგან. მისი მიზანია კეთილსინდისიერების და ქცევის სტანდარტების განსაზღვრა, რომლებიც უნდა დაიცვან საჯარო მოხელეებმა, რათა დაეხმაროს მათ ამ სტანდარტების შესრულებაში და მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია ისეთი ქცევის შესახებ, რომლის მოთხოვნის უფლებაც აქვს მას საჯარო მოხელეებისგან.

ზემოაღნიშნული კოდექსით განსაზღვრული საკითხები ეროვნულ კანონმდებლობასა და კანონქვემდებარე აქტებში, ეთიკის კოდექსში, ძირითადათ გათვალისწინებულია. ამასთანავე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზოგიერთი დებულება სიღრმისეულად იყოს ასახული, კერძოდ, მე-15 მუხლის „შეუთავსებელი გარე ინტერესები" კანონმდებლობის შესაბამისად საჯარო მოხელეს უნდა მოეთხოვოს, რომ აცნობოს თავის დამქირავებელს საჯარო სამსახურის ფარგლებს გარეთ გარკვეული ანაზღაურებადი ან არაანაზღაურებადი საქმიანობის განხორციელების, გარკვეული პოზიციის მიღების ან ფუნქციების შეძენის შესახებ და მიიღოს შესაბამისი თანხმობა.

25-ე მუხლის „სამეთვალყურეო ანგარიშვალდებულება" თანახმად, საჯარო მოხელემ, რომელიც ზედამხედველობს ან ხელმძღვანელობს სხვა საჯარო მოხელეებს, უნდა მიიღოს მიზანშეწონილი ზომები, რათა თავიდან აიცილოს მისი პერსონალის მიერ მის საქმიანობასთან დაკავშირებული კორუფციული ქმედებების განხორციელება. ეს ზომები შეიძლება მოიცავდეს წესებისა და რეგულაციების აქცენტირებას და გაძლიერებას, შესაბამისი განათლების ან

ტრენინგების უზრუნველყოფას, პერსონალის ფინანსური ან სხვა სახის სირთულეებისთვის დამახასიათებელი ნიშნებისთვის ყურადღების მიქცევას და საკუთარი ქცევით პერსონალისთვის პატიოსნებისა და კეთილსინდისიერების მაგალითის მიცემას.

26-ე მუხლის „საჯარო სამსახურის დატოვება" თანახმად, საჯარო მოხელემ არ უნდა დაუშვას, რომ სხვაგან დასაქმების პერსპექტივამ წარმოშვას ფაქტობრივი, პოტენციური ან აშკარა ინტერესთა კონფლიქტი. მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მის უშუალო ხელმძღვანელს დასაქმების ნებისმიერი შეთავაზების შესახებ, რომელმაც შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი. მან ასევე უნდა აცნობის ზემდგომ პირს მის მიერ დასაქმების ნებისმიერი შეთავაზების მიღების შესახებ.

27-ე მუხლის „ყოფილ საჯარო მოხელეებთან მოპყრობა" თანახმად, საჯარო მოხელემ ყოფილი საჯარო მოხელეები არ უნდა უზრუნველყოს პრიორიტეტული მოპყრობით და საჯარო სამსახურზე პრივილეგირებული ხელმისაწვდომობით.

5.1.1. საჯარო სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკისა და ქცევის საერთაშორისო პრაქტიკა

განვიხილოთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის საჯარო სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკისა და ქცევის პრაქტიკა.

ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება[129]

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) შეიმუშავა საჯარო სამსახურში ეთიკის მენეჯმენტის პრინციპები: საჯარო სამსახურის ეთიკური სტანდარტები მკაფიოდ და ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული; ეთიკური სტანდარტები სამართლებრივ ჩარჩოში უნდა აისახებოდეს; საჯარო მოხელეებს ეთიკის სახელმძღვანელო უნდა მიეწოდებოდეთ; საჯარო მოხელეებმა, არასწორი ქმედების გამოამჟღავნების შემთხვევაში, თავიანთი უფლებები და მოვალეობები, უნდა იცოდნენ; საჯარო მოხელეს ეთიკის პოლიტიკური ვალდებულება უნდა აიძულოს განახორციელოს ეთიკური ქცევა; გადანყვეტილების მიღების პროცესი გამჭვირვალე და უსაფრთხო უნდა იყოს; საჯარო და კერძო სექტორებს შორის ინტერაქციის მკაფიო და ზუსტი წესები შემუშავდეს; მენეჯერებმა ხელი შეუწყონ და თავადვე მოახდინონ ეთიკური ქცევის დემონსტრირება; მენეჯმენტის პოლიტიკა, პრაქტიკა და პროცესები ეთიკური

129 „ საჯარო სამსახურის მიურო ეფექტური და გამჭვირვალე საჯარო-მმართველობა" http://csb.gov.ge/uploads/council-of-ethics-in-civil-service.pdf

ქცევის განხორციელებას ხელს უნდა უწყობდეს; საჯარო მომსახურების პირობები და ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ეთიკურ ქცევას ასევე უნდა უწყობდეს ხელს; საჯარო სამსახურში ადეკვატური ანგარიშვალდებულების მექანიზმები უნდა შემუშავდეს; ეთიკური ქცევის დარღვევის შემთხვევებისთვის შესაბამისი პროცედურები და სანქციებიუნდა შემუშავდეს.

ევროპის ბევრ ქვეყანაში არსებობს ეთიკის საბჭო ან კომისია, რომელიც საჯარო მოხელეთა მიერ ეთიკური სტანდარტის დაცვის მონიტორინგს ახორციელებს, აწარმოებს გამოძიებას ეთიკის დარღვევებსა და კორუფციის შემთხვევებთან დაკავშირებით, ამ მიმართულებით პრევენციულ სამუშაოებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და ამ მიმართულებით საკანონმდებლო დოკუმენტაციის შექმნის პროცესში მონაწილეობს.

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს გამოცდილება

საჯარო სამსახურში არაეთიკური ქცევისა და კორუფციის შემთხვევების აღმოფხვრის მიზნით, 1994 წელს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საჯარო სამსახურის სტანდარტების კომიტეტი შეიქმნა, როგორც მთავრობის მრჩეველი დამოუკიდებელი სტრუქტურა, რომელიც ანგარიშვალდებულია პრემიერ-მინისტრის აპარატთან. კომიტეტი საჯარო სამსახურში მიმდინარე პროცესების უწევს მონიტორინგს, აქვეყნებს ანგარიშებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. საჯარო სამსახურში დასაქმებულმა ნებისმიერმა პირმა უნდა დაიცვას შვიდი პრინციპი: **თავდაუზოგაობა** – საჯარო მოხელემ საჯარო სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იმუშაოს; **პატიოსნება** – საჯარო მოხელემ არ უნდა შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც მას ან მის ახლობელს ფინანსურ ან სხვა სახის მატერიალურ სარგებელს მოუტანს; **ობიექტურობა** – საჯარო მოხელემ გადაწყვეტილება სამართლიანად და მიუკერძოებლად, საუკეთესო სამხილზე დაყრდნობით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უნდა მიიღოს; **ანგარიშვალდებულება** – საჯარო მოხელე ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე მიღებულ გადაწყვეტილებებზე და ქმედებებზე; **ღიაობა** – საჯარო მოხელემ გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს და იმოქმედოს ღიად და გამჭვირვალედ. საზოგადოებისთვის არანაირი ინფორმაცია არ უნდა იყოს დამალული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამის რეალური საფუძველი არსებობს; **კეთილსინდისიერება** – საჯარო მოხელე საზოგადოებისათვის სანდო პირი უნდა იყოს; **ლიდერობა**

– საჯარო მოხელემ საქმიანობის დროს, ყველა ზემოაღნიშნული პრინციპი უნდა გამოამჟღავნოს და დაიცვას, ასევე ხელი შეუშალოს არაეთიკურ ქცევას;

საჯარო სამსახურის სტანდარტების კომიტეტი ათი წევრისგან შედგება. თავმჯდომარის გარდა, კომიტეტის წევრები არიან პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნული სამი პოლიტიკური პარტიის წევრი; ასევე ექვსი დამოუკიდებელი პირი, რომელიც პრემიერ-მინისტრის აპარატის მიერ ღია კონკურსის წესით შეირჩევა. კომიტეტის წევრები სამი წლის ვადით აირჩევიან. კომიტეტის წევრების ქცევის კოდექსის მიხედვით, განსაზღვრულია ის აქტივობები და უფლებამოვალეობები, რაც კომიტეტის წევრებს ეკისრებათ. კოდექსი თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის განმავლობაში ერთხელ უნდა გადაიხედოს. კოდექსის თანახმად საჯარო სამსახურის სტანდარტების კომიტეტის წევრებმა, მოვალეობის შესრულებისას უნდა დაიცვან მოუკერძოებლობის და ობიექტურობის პრინციპი და მათი საქმიანობა მაქსიმალურად ღია და გამჭვირვალე უნდა იყოს;

კომიტეტის საქმიანობა: კომიტეტი იკრიბება თვეში ერთხელ, რათა გადახედონ და შეაფასონ საჯარო სამსახურის სტანდარტთან დაკავშირებული მიმდინარე აქტუალური საკითხები და შეიმუშავონ რეკომენდაციები; საჭიროების შემთხვევაში ჩატარონ კვლევები, რათა მოიძიონ ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია; აქვეყნებენ პუბლიკაციებს კონკრეტულ პერიოდში საჯარო სამსახურთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების შესახებ; ექსპერტებთან ერთად ატარებენ არაფორმალურ შეხვედრებსა და სემინარებს; აქვეყნებენ ანგარიშებსა და სხვადასხვა ტიპის სამხილებს, თავიანთი საქმიანობის წლიურ ანგარიშებს, რის საფუძველზეც განსაზღვრავენ მომავალ აქტივობებს; ატარებენ საზოგადოების დამოკიდებულებების კვლევებს საჯარო სექტორის სტანდარტებთან დაკავშირებით. კომისიის საქმიანობის გადახედვა და შეფასება სამ წელიწადში ერთხელ ხდება, რის საფუძველზეც ვლინდება სხვადასხვა ხარვეზი და განისაზღვრება შესაბამისი რეკომენდაციები.

თურქეთის რესპუბლიკის გამოცდილება

კორუფციასთან ბრძოლის და საჯარო სამსახურში ეთიკის კულტურის დანერგვის მიზნით, 2004 წელს თურქეთის რესპუბლიკაში საჯარო სამსახურის ეთიკის საბჭო პრემიერ-მინისტრთან დაარსდა. საბჭოს მიზნები და ფუნქციები განისაზღვრა კანონით. ეთიკის საბჭოს ძირითადი მიზნებია: საჯარო მოხელეთა ეთიკური ქცევის კოდექსის განსაზღვრა; სხვადასხვა საჯარო ინსტიტუტებისთვის

ეთიკის კოდექსის რეგულაციების შემუშავებაში დახმარება; პერსონალის საჩივრების ან საკუთარი ინიციატივის საფუძველზე, საჯარო მოხელეთა მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევის ფაქტების გამოძიება და გამოკვლევა; საჯარო უწყებებში, სხვადასხვა აქტიორობების საშუალებით, ეთიკის კულტურის დანერგვა, აკადემიური სწავლებები, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები თუ სემინარები ეთიკის საკითხებზე; ასევე, ტრენერთა გადამზადება ეთიკის საკითხებში და შემდგომ საჯარო ტრენინგების ადმინისტრირება; აღნიშნულ აქტიორობებში კერძო და არასამთავრობო სექტორის ჩართვა.

ეთიკის საბჭოს წევრებს და ხელმძღვანელს მინისტრთა აპარატი ირჩევს. საბჭო უნდა შედგებოდეს 11 წევრისგან, რომელთაგან: ერთი წევრი მინისტრი უნდა იყოს; ერთი წევრი მერი ან მუნიციპალიტეტის გამგეები; სამი წევრი, რომლებიც ნარსულში სააპელაციო სასამართლოში, სახელმწიფო საბჭოსა და უზენაეს სასამართლოში მუშაობდნენ; სამი წევრი, რომელთაც უკავიათ ან ნარსულში ეკავათ ელჩის, გუბერნატორის პოზიციები; ასევე, მუშაობდნენ სამდივნოში ან მარეგულირებელ კომიტეტებში; ორი წევრი უნივერსიტეტიდან, რომელთაც ნარსულში ეკავათ ან უკავიათ რექტორის ან დეკანის პოზიცია; ერთი წევრი, რომელსაც საჯარო სამსახურში ტოპ-მენეჯერის პოზიცია უკავია.

ეთიკის საბჭოს წევრები ოთხი წლის ვადით აირჩევიან. ვადის გასვლის შემდეგ, მინისტრთა საბჭო წევრებს თავიდან ირჩევს. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, რომელიმე წევრის დათხოვნა ან შეცვლა ვადის გასვლამდეც შესაძლებელია. საბჭოს წევრები თვეში ოთხჯერ იკრიბებიან. შეხვედრაზე დასწრება როგორც საბჭოს თავმჯდომარისთვის, ასევე ყველა წევრისთვის სავალდებულოა. წევრი, რომელიც თანმიმდევრულად სამ შეხვედრას ან ჯამში ათ შეხვედრას არ დაესწრება, საბჭოს წევრობიდან მოიხსნება. საბჭოს წევრები, საჩივრებზე დაყრდნობით ატარებენ გამოძიებებს ეთიკის კოდექსის დარღვევის შესახებ, გამოაქვთ ვერდიქტები; ატარებენ კვლევებს და ახორციელებენ ისეთი პროექტების შეფასებებს, რომლებიც ხელს უწყობენ საჯარო სექტორსა და ზოგადად საზოგადოებაში ეთიკის კულტურის დანერგვას. საბჭოს წევრები გამოძიებას ნებისმიერ საჯარო პირზე საჩივრის მიღების საფუძველზე იწყებენ. ისინი შეისწავლიან საქმეს და გამოაქვთ ვერდიქტი. საბჭოს უფლება აქვს, საჯარო უწყებებიდან სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია და ინფორმაცია გამოითხოვოს.

ლატვიის გამოცდილება

ლატვიაში კორუფციასთან ბრძოლისა და პრევენციის ბიურო 2002 წელს დაარსდა, ბიუროს მიზანია კოორდინირებულად კორუფციასთან ბრძოლა, რაც გამოძიებას, პრევენციას და განათლების დონის ამაღლებას გულისხმობს. ბიურო დამოუკიდებელი საჯარო უწყებაა, რომელიც მინისტრთა კაბინეტში შეიქმნა. ზედამხედველობას პრემიერ-მინისტრი ახორციელებს. ბიურო ასევე წინასწარი საგამოძიებო უწყებაა და პოლიციის უფლებამოსილება აქვს.

ბიუროს დირექტორი 5 წლის ვადით ინიშნება. ის, შეიძლება, სეიმმა მინისტრთა კაბინეტის რეკომენდაციით დაითხოვოს. დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსი ცხადდება. მონანილეობა შეუძლია ნებისმიერ აპლიკანტს, რომელიც ბიუროს მიერ დირექტორის პოზიციის დასაკავებლად განსაზღვრულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.

ბიურო, ძირითადად, შემდეგი მიმართულებით მუშაობს: კორუფციის პრევენცია; კორუფციასთან დაკავშირებული დანაშაულების გამოძიება; საჯარო მოხელეების და საზოგადოების განათლების დონის ამაღლება კორუფციის, ეთიკის და კანონის უზენაესობის კუთხით; პოლიტიკური პარტიების ფინანსური რეგულაციების მონიტორინგი. ბიურო ორი ძირითადი დეპარტამენტისგან შედგება: პრევენციის დეპარტამენტი – მუშაობს თანამდებობის პირების და პოლიტიკური პარტიების ფინანსების კონტროლის, კორუფციის ანალიზის, საზოგადოებასა და თანამდებობის პირებში ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლების კუთხით და საგამოძიებო დეპარტამენტი – იძიებს კორუფციულ დანაშაულობებს.

სლოვენიის რესპუბლიკის გამოცდილება

სლოვენიის რესპუბლიკაში კორუფციის პრევენციის კომისია დამოუკიდებელი უწყებაა, რომელიც 2010 წელს დაარსდა „კორუფციის პრევენციისა და ეთიკის აქტის" საფუძველზე, ფოკუსირებულია კორუფციის და ეთიკის დარღვევის შემთხვევების გამოძიებასა და პრევენციაზე. მიუხედავად იმისა, რომ კომისია საჯარო სექტორის ნანილია, ის არც ერთ უწყებას ან სამინისტროს არ ექვემდებარება.

კომისიის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ადმინისტრაციულ სასამართლო განხილვას ექვემდებარება. ამასთან, კომისია ვალდებულია, პარლამენტს საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშები წარუდგინოს. კანონის მიხედვით, ასევე კომისიის ვალდებულებაა საქმიანობის შედეგების საჯაროდ გამოქვეყნება.

კომისია შედგება სამი წევრისგან – ხელმძღვანელი და ორი დეპუტატი. კანონით განსაზღვრულია კომისიის ხელმძღვანელობის

დანიშვნა-გათავისუფლების პროცედურები. კომისიის ხელმძღვანელი და დეპუტატები შეირჩევიან ღია კონკურსის მეშვეობით და ინიშნებიან სლოვენიის პრეზიდენტის მიერ. წევრების შერჩევაში მთავრობის სხვადასხვა წარმომადგენელი მონაწილეობს. კომისიის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადაა 6 წელი, ხოლო დეპუტატების – 5 წლით განისაზღვრება. თანამდებობიდან მათი მოხსნა მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია, იმ შემთხვევაში, თუ მათი ქმედება კონსტიტუციას ან კანონს ეწინააღმდეგება.

ხელმძღვანელი პირების გარდა, კომისიაში ღია კონკურსის წესით დასაქმებულები არიან სხვადასხვა პროფესიისა და გამოცდილების მქონე კადრები მათ შორის, სამართალმცოდნეები, ეკონომისტები, აუდიტის სპეციალისტები, სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლები, ინფორმაციული ტექნოლოგიების წარმომადგენლები და ა.შ.

კომისია სამი ძირითადი მიმართულებით მუშაობს: საგამოძიებო და ზედამხედველობის ბიურო, აგროვებს და მონიტორინგს უწევს მაღალი თანამდებობის პირების დეკლარაციების აქტივებს; იძიებს კორუფციის, ინტერესთა კონფლიქტის და აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმების დარღვევის შემთხვევებს; ახორციელებს მამხილებელთა დაცვას; თანამშრომლობს კანონის განმახორციელებელ და საპროკურორო უწყებებთან; პრევენციისა და საჯარო სამსახურის ეთიკის ცენტრი, ახორციელებს კორუფციის ფენომენის ანალიზს; იკვლევს კორუფციის რისკებს; შეიმუშავებს და ახორციელებს კორუფციის პრევენციისთვის საჭირო ზომებს; ახორციელებს ანტიკორუფციული კანონმდებლობის კვლევას; მუშაობს საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების კუთხით; თანამშრომლობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, კვლევითი და აკადემიურ დაწესებულებებთან; სამდივნო, პასუხისმგებელია ანტიკორუფციული დოქტრინისა და საჯარო სამსახურის ეთიკის საკითხებზე; ატარებს კვლევებს კორუფციის თემასთან დაკავშირებით; ასევე პასუხისმგებელია კომისიის საერთაშორისო ურთიერთობების, საზოგადოებასთან ურთიერთობების და სხვა ფინანსური, პერსონალის და ლოჯისტიკური საქმიანობის საკითხებზე.

რუსეთის ფედერაციის გამოცდილება

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებულებით „სახელმწიფო მოსამსახურეთა სამსახურებრივი ქცევის საერთო პრინციპების დამტკიცების შესახებ"[130] განსაზღვრულია სახელმწიფო მოსამსახურეთა

130 რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის №885 ბრძანებულება „სახელმწიფო მოსამსახურეთა სამსახურებრივი ქცევის საერთო პრინციპების დამტკიცების შესახებ", 2002, 12 აგვისტო

ქცევის ძირითადი პრინციპები, კანონიერების დაცვის, ანტიკორუფციული ქცევის მოთხოვნების, სამსახურებრივი ინფორმაციასთან მოპყრობის, ცალკეული ორგანიზაციების სხვა სახელმწიფო მოსამსახურეების მიმართ ეთიკური ქცევის, სამსახურებრივი ურთიერთობების, სახელმწიფო მოსამსახურის გარეგნული შეხედულების, კოდექსის დარღვევისათვის სახელმწიფო მოსამსახურის პასუხისმგებლობის საკითხები.

5.2. სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკისა და ქცევის საერთაშორისო სტანდარტები

პროფესიული ეთიკისა და ქცევის საერთაშორისო სტანდარტებს ძირითადად შესაბამება საქართველოს პოლიციის და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დებულებები. კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც საქართველოსთან მიმართებაში ძალაშია 1991 წლის 15 სექტემბრიდან, გაეროს კონვენცია „წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის სხვა ფორმებისაგან დაცვის შესახებ" (დანართი №7) რომელიც საქართველოსთან მიმართებაში ძალაშია 1994 წლის 25 ნოემბრიდან, გაეროს „სამართალდამცავ პირთა ქცევის წესების კოდექსი"[131](დანართი №8) ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, რომელიც საქართველოსთან მიმართებაში ძალაშია 1999 წლის 20 მაისიდან, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია „დეკლარაცია პოლიციის შესახებ"[132] (დანართი №9) რომელსაც არ აქვს კანონიერი ძალა თუმცა ევროპულმა სახელმწიფოებმა გამოიყენეს იგი როგორც პოლიციური საქმიანობის საფუძველი და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია „პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსი"[133] (დანართი №10)

გაეროს კონვენციის „წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ", რომელიც ძალაშია 1987 წლის 26 ივნისიდან, 27 (1) მუხლის თანახმად, ითვალისწინებს გაეროს

131 გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია „სამართალდამცავ პირთა ქცევის წესების კოდექსი", 1979, 17 დეკემბერი.

132 ევროპის საბჭოს ასამბლეის რეზოლუცია „დეკლარაცია პოლიციის შესახებ", 1979, 8 მაისი.

133 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია „პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსი", 2001, 19 სექტემბრი.

გენერალური ასამბლეის 1975 წლის 9 დეკემბერს მიღებულ დეკლარაციას „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელისაგან ყველა ადამიანის დაცვის შესახებ“ შედგება ორი ნაწილისაგან და ოცდაცამეტი მუხლისაგან. კონვენციით განსაზღვრული საკითხებიდან საგულისხმო და მნიშვნელოვანია ზოგიერთი მათგანი, კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობა ძირითადად დაახლოებულია საერთაშორისო კონვენციასთან, პრობლემა მდგომარეობს მისი აღსრულების მექანიზმებში, საქართველოს პარლამენტი 2016 წლის ივნისში სპეციალური დადგენილებით დამტკიცებული რეკომენდაციით იღებს ვალდებულებას მიიღოს შესაბამისი საკანონმდებლო ზომები ყველა სათანადო სამართლებრივი გარანტიის შესაქმნელად წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრევენციის, მსგავსი ფაქტების ეფექტური გამოძიებისა და მსხვერპლთა სათანადო დაცვის მიზნით, ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული საკითხები ქართველი მკვლევარების მიერ[134] განხილულია სხვადასხვა ასპექტში და მოცემულია რეკომენდაციები მათ შორის მნიშვნელოვანია წამების, არასათანადო მოპყრობისა და სხვა ძალადობრივი დანაშაულების ეფექტური და სრულყოფილი გამოძიების მიზნით დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის თაობაზე.

გაეროს „სამართალდამცავ პირთა ქცევის წესების კოდექსი“ შედგება რვა მუხლისაგან და კომენტარებისაგან. კოდექსის მუხლებით და კომენტარებით განსაზღვრული საკითხებიდან საგულისხმო და მნიშვნელოვანია ზოგიერთი მათგანი, რომლებიც შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობასა და კანონქვემდებარე აქტებში, ეთიკის კოდექსებში მიზანშეწონილი იქნებოდა სიღრმისეულად ასახულიყო, მაგალითად, მე-8 მუხლის d კომენტარების თანახმად, რიგ ქვეყნებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები შეიძლება ჩაითვალოს დაწესებულებებად, რომლებიც c პუნქტში მითითებული საჩივრების განხილვას ანარმოებენ, ამიტომ მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირებს შეუძლიათ, უკიდურეს შემთხვევაში, დასაბუთებულად, თავისი ქვეყნის კანონების და ჩვეულების შესაბამისად, აგრეთვე მოცემული კოდექსის მეოთხე მუხლის თანახმად, საზოგადოების ყურადღება მიაპყრონ მომხდარ დარღვევებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით.

---

134 იგი ბესელია „ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვის პრობლემა საქართველოში“ თბ. 2016. გვ. 239-246 მალხაზ ბაძაღუა, ირაკლი ბაღიშვილი „წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური და დამაშცირებელი მოპყრობის თავიდან აცილების სახელმწიფო და სამართლებრივი მექანიზმები“ ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“ №34. გვ. 98-104

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ 1979 წელს მიღებული „დეკლარაცია პოლიციის შესახებ" საყოველთაოდ გახდა ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ მას არა აქვს იურიდიული ძალა, პოლიციის მრავალმა ორგანიზაციამ გამოიყენა იგი მართლწესრიგის დამყარებისათვის საკუთარი სტანდარტების ჩამოსაყალიბებლად. აღნიშნული დეკლარაციის პრინციპები საფუძვლად უდევს და გათვალისწინებულია „პოლიციის ეთიკის ევროპულ კოდექსში".

დეკლარაცია შედგება სამი თავისაგან – „ეთიკა", „სტატუსი" „ომი და სხვა საგანგებო მდგომარეობები – უცხო ძალების მიერ ოკუპირება". დეკლარაციის მუხლებით განსაზღვრული საკითხებიდან საგულისხმო და მნიშვნელოვანია ზოგიერთი მათგანი, რომლებიც შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობასა და კანონქვემდებარე აქტებში, ეთიკის კოდექსში უფრო სიღრმისეულად ასახულიყო, მაგალითად ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას, მიაჩნია, რომ: არ არის სწორი, პოლიციის რიგებში იყვნენ ისეთი ადამიანები, ვისაც პოლიციაში მუშაობისას დაურღვევია ადამიანის უფლებები ან და ვინც პოლიციის ისეთ დანაყოფში მუშაობდა, რომელიც დაიშალა არაჰუმანური ქმედებების გამო;

დეკლარაციის „ეთიკის" თავის თანახმად: პოლიციის თანამშრომელმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ისეთი პირების ძიებაში, დაპატიმრებაში, დარაჯობასა თუ ერთი ადგილიდან მეორეში გადაყვანაში, რომლებიც არ არიან უკანონო ქმედების ჩადენაში ეჭვმიტანილები, მაგრამ იძებნებიან, დაკავებულნი არიან ან და მათ წინააღმდეგ აღძრულია საქმე მათი რასის, სარწმუნოებისა თუ პოლიტიკური შეხედულების ნიადაგზე.

დეკლარაციის სტატუსის თანახმად, პროფესიული, ფსიქოლოგიური და მატერიალური პირობები, რომლებშიც პოლიციის თანამშრომელმა უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობები, უნდა იცავდეს მის თანმიმდევრულობას, მიუკერძოებლობასა და ღირსებას.

პოლიციის თანამშრომელს აქვს უფლება, მიიღოს სამართლიანი ანაზღაურება; ამ დროს გასათვალისწინებელია საგანგებო ფაქტორები, როგორიც არის, მაგალითად, დიდი რისკი და პასუხისმგებლობა და არანორმირებული სამუშაო განრიგი.

პოლიციის თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ უფლება, თავად მიიღონ პროფესიული ორგანიზაციების ჩამოყალიბებასთან, მათში განევრიანებასთან და აქტიური როლის შესრულებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები. გარდა ამისა, მათ სხვა ორგანიზაციებშიც შეუძლიათ აქტიურად მონაწილეობა.

წარმომადგენლობით პრინციპზე დამყარებულ პოლიციის პროფესიულ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს: თანამშრომელთა პროფესიულ სტატუსთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში მონაწილეობის უფლება; პოლიციის დანაყოფების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით კონსულტაციის მიღების უფლება; პოლიციის თანამშრომელთა ჯგუფის ან რომელიმე ერთი თანამშრომლის სასარგებლოდ სასამართლო საქმის აღძვრის უფლება.

იმ შემთხვევაში, თუ პოლიციის თანამშრომლის წინააღმდეგ აღიძვრება დისციპლინური ან სისხლის სამართლის საქმე, ამ თანამშრომელს აქვს უფლება, გამოთქვას თავისი სათქმელი და მიიღოს დაცვა იურისტის მხრიდან. გადაწყვეტილება გონივრულ ვადაში უნდა იქნეს მიღებული. გარდა ამისა, ამ თანამშრომელს აქვს უფლება, ისარგებლოს პოლიციის იმ პროფესიული ორგანიზაციის დახმარებით, რომელშიც გაწევრიანებულია.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით „პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსი", ითვალისწინებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ „დეკლარაციას პოლიციის შესახებ", განსაზღვრულია კოდექსის ფარგლების განმარტება; პოლიციის ამოცანები; პოლიციის სამართლებრივი საფუძველი კანონის უზენაესობის თანახმად; პოლიცია და სისხლის მართლმსაჯულების სისტემა; პოლიციის ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც შედგება ქვეთავებისაგან: ზოგადი დებულებები, პოლიციის კადრების კვალიფიკაცია, დაქირავება და შენარჩუნება, პოლიციის თანამშრომელთა გადამზადება, პოლიციის თანამშრომელთა უფლებები, პოლიციელთა ქმედების/ჩარევის სახელმძღვანელო პრინციპები: ზოგადი პრინციპები, კონკრეტული სიტუაციები: 1. საპოლიციო გამოძიება, 2. პოლიციის მიერ დაკავება/თავისუფლების აღკვეთა; ანგარიშვალდებულება და პოლიციის კონტროლი; კვლევა და საერთაშორისო თანამშრომლობა.

კოდექსის მუხლებით განსაზღვრული საკითხებიდან საგულისხმო და მნიშვნელოვანია, ზოგიერთი მათგანი, რომლებიც შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობასა და კანონქვემდებარე აქტებში, ეთიკის კოდექსებში, მიზანშეწონილი იქნებოდა უფრო სიღრმისეულად ასახულიყო, მაგალითად, პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსის მე-4-ე თავის „პოლიციის ორგანიზაციული სტრუქტურა" მე-18 მუხლის თანახმად, პოლიცია მიმართული უნდა იყოს მოსახლეობასთან კარგი ურთიერთობის დასამყარებლად, საჭიროების შემთხვევაში კი – ეფექტიანი თანამშრომლობის ჩამოსაყალიბებლად სხვა უწყებებთან,

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან, მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებთან.

ამავე თავის „ბ" ქვეთავის „პოლიციის კადრების კვალიფიკაცია, დაქირავება და შენარჩუნება" 23-ე მუხლის თანახმად, პოლიციის თანამშრომლებმა უნდა შეძლონ იმის ჩვენება, რომ აქვთ ჯანსაღი განსჯის უნარი, არიან გონებაგახსნილები, მომწიფებულები, სამართლიანები, აქვთ კომუნიკაციის უნარები და, საჭიროების შემთხვევაში, ლიდერისა და მენეჯერის თვისებებიც. მეტიც, მათ კარგად უნდა ესმოდეთ სოციალური, კულტურული და საზოგადოებრივი პრობლემები.

25-ე მუხლის თანახმად, კადრების დაქირავების პროცედურები უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ და არადისკრიმინაციულ საფუძვლებს, თანამშრომლები უნდა დაიქირაონ კანდიდატთა აუცილებელი შემოწმების შემდეგ. გარდა ამისა, პოლიციამ მიზნად უნდა დაისახოს ქალებისა და მამაკაცების დაქირავება სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფიდან, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებიდანაც; უმთავრესი ამოცანა ის უნდა იყოს, რომ პოლიცია, თავისი თანამშრომლებით, ასახავდეს საზოგადოებას, რომელსაც იგი ემსახურება.

ამავე თავის „დ" ქვეთავის „პოლიციის თანამშრომელთა უფლებები" 33-ე მუხლის თანახმად, პოლიციის თანამშრომელთა წინააღმდეგ გატარებული დისციპლინური ზომები უნდა ექვემდებარებოდეს გადასინჯვას დამოუკიდებელი ორგანოს ან სასამართლოს მიერ.

34-ე მუხლის თანახმად, ხელისუფლების ორგანოებმა მსარი უნდა დაუჭირონ პოლიციის თანამშრომლებს, როცა მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით დაუსაბუთებელი ბრალდებები არსებობს.

მეექვსე თავის „ანგარიშვალდებულება და პოლიციის კონტროლი" 61-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა უნდა შექმნან პოლიციელთა ქმედებების გასაჩივრების ეფექტიანი და მიუკერძოებელი პროცედურები.

62-ე მუხლის თანახმად, უნდა წახალისდეს ანგარიშვალდებულების მექანიზმის შექმნა, რაც დაეფუძნება ურთიერთგაგებასა და კომუნიკაციას საზოგადოებასა და პოლიციას შორის.

მეშვიდე თავის „კვლევა და საერთაშორისო თანამშრომლობა" 64-ე მუხლის თანახმად, ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ და ხელი შეუწყონ კვლევებს პოლიციის შესახებ, როგორც თვითონ პოლიციელების, ასევე გარე ორგანოების მიერ.

65-ე მუხლის თანახმად, უნდა გაღვივდეს საერთაშორისო თანამშრომლობა პოლიციის ეთიკისა და ადამიანის უფლებათა ასპექტებზე.

5.2.1. სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკისა და ქცევის საერთაშორისო პრაქტიკა

მსოფლიოში თითქმის ყველა ქვეყნის პოლიციურ სტრუქტურაში იგულისხმება სამართალდამცავი და საპოლიციო ფუნქციის მქონე სპეციალური სამსახურები, მოქმედებს ეთიკისა და ქცევის წესები. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში შემავალ ჩრდილოეთ ირლანდიაში ფუნქციონირებს პოლიციის ომბუდსმენის ინსტიტუტი (OPONI – ოპონი) როგორც დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, რომელიც ახორციელებს ჩრდილოეთ ირლანდიის საპოლიციო დანესებულებებზე ზედამხედველობას და ნარმოადგენს სამოქალაქო, არა სამხედრო უწყებას.ის არ ემორჩილება არცერთ ორგანოს და სრულიად დამოუკიდებელია ყველა სახელმნიფო უწყებისაგან. „ოპონის" იურისდიქცია ვრცელდება ნებისმიერ საჩივარზე, რომელიც წარდგენილია პოლიციის დაწესებულებების მიმართ.გამოძიება ხორციელდება ორი მიმართულებით: ეთიკურ-დისციპლინურ და სისხლისსამართლებრივად. „ოპონის" ხელმძღვანელი ინიშნება დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს დედოფლის მიერ 7 ნლის ვადით იგი ანგარიშვალდებულია ჩრდილოეთ ირლანდიის საბჭოს წინაშე, იუსტიციის მინისტრის მეშვეობით, სადაც დასაქმებული არიან პოლიციის ყოფილი გამოცდილი თანამშრომლები და იურისტები.[135]

ინგლისის და უელსის პოლიციის ეთიკის კოდექსი[136] მიღებულია 2014 ნლის ივლისში ინგლისის პარლამენტის მიერ, რომელიც ითვალისწინებს ძირითად პრინციპებს და ქცევის წესებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა პოლიციელისთვის როგორც სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს, ასევე არასამსახურეობრივი საქმიანობის განხორციელებისას.

ინგლისის და უელსის პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია: ანგარიშვალდებულება, პოლიციელი ანგარიშვალდებულია თავის გადაწყვეტილებებზე, მოქმედებებზე და გადაცდომებზე; **სამართლიანობა**, პოლიციელი ვალდებულია მოეპყრას მოქალაქეს სამართლიანად;**პატიოსნება**, პოლიციელი უნდა იყოს სამართლიანი

135 „ინსტიტუციური რეფორმების შესახებ ევროკავშირის ქვეყნათა კრებული" თბ. 2016. გვ. 28.
136 college.police.uk

და საიმედო; **ლიდერობა**,ლიდერობამ უნდა გამოიწვიოს კარგი მაგალითი თანამშრომელთა შორის; **ობიექტურობა**, პოლიციელი აკეთებს არჩევანს ობიექტურ მტკიცებულებებზე დაყრდნობით; **ღიაობა**, პოლიციელი უნდა იყოს ღია და გამჭვირვალე; **პატივისცემა**, პოლიციელი ნებისმიერ მოქალაქეს უნდა მოეპყრას პატივისცემით; **თავგანწირვა**, პოლიციელმა უნდა იმოქმედოს თავგანწირვით საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

პოლიციელის პროფესიული ქცევის სტანდარტები: პოლიციელი უნდა იყო პატიოსანი და იმოქმედოს შესაბამისად ნებისმიერ დროს და ამასთანავე, არ უნდა წავიდეს კომპრომისზე და არ უნდა შეცვალოს თავისი პოზიცია; პოლიციელი უნდა მოქმედებდეს თავშეკავებულად და შემწყნარებლურად, იგი უნდა მოეპყრას თავის კოლეგებს და საზოგადოებას პატივისცემით. მან უნდა გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება კანონიერად და პროპორციულად, ასევე, პატივი უნდა სცეს ინდივიდის უფლებებს; პოლიციელი უნდა იყოს სამართლიანი და მიუკერძოებელი. მან არ უნდა იმოქმედოს უკანონოდ ან უსამართლოდ; პოლიციელმა ძალა უნდა გამოიყენოს იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია. ძალა უნა იქნეს გამოყენებული პროპორციულად და გონივრულად; პოლიციელმა უნდა შეასრულოს მხოლოდ კანონიერი ბრძანება. იგი უნდა მიჰყვეს გონივრულ მითითებებსა და ინსტრუქციებს; პოლიციელმა გულმოდგინედ უნდა განახორციელოს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები; პოლიციელი შესაბამის ინფორმაციას უნდა მოეპყრას პატივისცემით. მას შეუძლია ინფორმაციის გამჟღავნება მხოლოდ სათანადო მოვალეობის შესრულების დროს; მორიგეობის დროს პოლიციელმა უნდა გამოამჟღავნოს მასზე დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შესაძლებლობები; პოლიციელს არ აქვს უფლება, შელახოს თავისი სამსახურის პრესტიჟი; პოლიციელმა აუცილებლად უნდა შეატყობინოს უფროსს ან მიიღოს კანონიერი ზომა, თუ მან დაინახა მისი კოლეგის მიერ ჩადენილი კანონდარღვევა.

პოლიციის ეთიკის საკითხებს დიდ ყურადღებას უთმობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგალითად, ვაშინგტონის შტატ ქალაქ ბელევუას პოლიციის ეთიკის კოდექსი[137] მოიცავს ქცევის სტანდარტებს, რომელიც საყალდებულოა პოლიციის ყველა თანამშრომლისათვის, რომლებიც ვალდებული არიან წელიწადში ორჯერ გაიარონ ტრენინგები ეთიკის საკითხებზე. კოდექსის თანახმად: **პოლიციელის ძირითადი ვალდებულებაა დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებები**

137 https://bellevuewa.gov/Other/Police/PolicyManual/Code%20Of%20Ethics.pdf

და თავისუფლებები, რომლებიც გათვალისწინებულია შეერთებული შტატების კონსტიტუციაში. სამართალდამცავი პოლიციელი ყოველთვის ითვალისწინებს საჯარო ინტერესებს და დაუშვებელია იყოს პოლიტიკური თუ სხვა პარტიის წევრი; **ძალაუფლების შეზღუდვა.** სამართალდამცავი პოლიციის ვალდებულებაა ემსახუროს კანონს და იხელმძღვანელოს კანონით, ვინაიდან წარმოადგენს ხალხის ნებას. სადაც უნდა იმყოფებოდეს, მას უნდა ახსოვდეს მოვალეობა, რომელიც ხალხის წინაშე გააჩნია. მან უნდა შეიცნოს ამერიკის მთავრობის სისტემის დადგენილება, რომელიც არავის ანიჭებს აბსოლუტურ ძალაუფლებას. მან უნდა იცოდეს, რომ დამნყებმა პოლიციელმა პატივი უნდა სცეს დადგენილების ამგვარ ხასიათს; **საკუთარი და სხვა საჯარო პირების უფლებებისა და ვალდებულებების ცოდნის მოვალეობა.** სამართალდამცავი პოლიციელი უნდა იცნობდეს კანონს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს თავისი უფლებამოსილების შესრულებისას. ის უნდა იყოს დარწმუნებული თავისი ვალდებულების შესრულებისას; **სათანადო საშუალებების გამოყენება მიზნის მისაღწევად.** მოვალეობების შესრულებისას სამართალდამცავი პოლიციელი უნდა იყოს ყურადღებიანი, კანონის დარღვევა გამოინვევს საზოგადოებრივი უშიშროებისათვის საფრთხის შექმნას, რაც უნდა აირიდოს პოლიციელმა კანონით დადგენილი სათანადო საშუალებების გამოყენებით; **პირადი ქცევა.** სამართალდამცავი პოლიციელი უნდა იყოს ყურადღებიანი საზოგადოების მიმართ, როგორც კანონის დამცველი. პირად ცხოვრებაში თავაშვებულობა აისახება კანონის უპატივცემულობაში ან პირადი პრივილეგიის ძიებაში. ურთიერთობა და სამსახური მოითხოვს, რომ პოლიციის თანამშრომელმა იცხოვროს პატიოსნად და მოკრძალებულად; **საზოგადოებასთან ურთიერთობა.** პოლიციის თანამშრომელმა უნდა დაიცვას ქცევის წესები საზოგადოებასთან ურთიერთობისას და უნდა დაიმსახუროს ხალხის ნდობა და პატივისცემა. ის თავისი საქციელით უნდა გამოხატავდეს ხალხის თვალში კანონის უზენაესობას. უნდა შეასრულოს ყველგან თავისი მოვალეობა და მოითხოვოს კანონის დაცვა; **კანონის დამრღვევებთან ურთიერთობა.** სამართალდამცავი პოლიციელი გამოიყენებს თავის უფლებებს მკაცრად კანონის დამრღვევებთან კანონის შესაბამისად. ოფიცერი არ აძლევს უფლებას გადააჭარბოს უფლებამოსილებას და გადავიდეს ზღვარს დასჯის დროს. მაქსიმალურად უნდა შეზღუდონ ძალის გამოყენება თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას; **საჩუქარი.** სამართალდამცავი პოლიციელი ნარმოადგენს რა მთავრობას, ატარებს მძიმე პასუხისმგებლობას საკუთარი პროფესიული მოვალეობებიდან გამომდინარე.

მან არ უნდა ჩაიგდოს თავი ისეთ მდგომარეობაში, რომ ვინმემ იფიქროს მასზე რომ არის პატივნაცემი. ამიტომაც მან უარი უნდა თქვას დიდ თუ მცირე საჩუქარზე, ქრთამზე. ყველაფერზე, რაც ხალხის თვალში გამოიწვევს მართლმსაჯულების რეპუტაციის დაკნინებას; **მტკიცებულებების ნარდგენა.** სამართალდამცავმა პოლიციელმა უნდა იზრუნოს სასამართლო პროცესზე როგორც დამნაშავის დაკავებაზე ასევე უდანაშაულოს დაცვაზე. მან უნდა წარმოადგინოს მნიშვნელოვანი მტკიცებულებები სასამართლო პროცესზე, თუ, რა თქმა უნდა, ფლობს მას; **დამოკიდებულება პროფესიის მიმართ.** სამართალდამცავ პოლიციელს გააზრებული უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. მათ უნდა დააფასონ პოლიციის მნიშვნელობა, შეასრულონ პატიოსნად დაკისრებული მოვალეობები ერთმანეთთან და ქვეყანასთან მიმართებაში; **მთლიანობა და წესიერება.** ბელეეუას პოლიციის დეპარტამენტის წევრები ისწრაფვიან ემსახურონ სიმართლეს, სოლიდარობას, პატიოსნებას. ისინი ყველა შემთხვევაში უნდა იყვნენ პირდაპირები, გულახდილები, სამართლიანები.

ევროპოლს, რომელიც არის ევროკავშირის სამართალდამცავი ორგანიზაცია, გააჩნია მანდატი გააუმჯობესოს ევროკავშირის ნევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა სხვადასხვა სახის საერთაშორისო დანაშაულთან ეფექტური ბრძოლისათვის, მიიღო ევროპოლის ქცევის კოდექსი[138] (დანართი №N11)

ევროპოლის ქცევის კოდექსში ასახულია ევროპოლის ღირებულებები: ლიდერობა და საერთო მიდგომა,პატიოსნება, დინამიურობა და აქტიურობა, პროფესიონალიზმი და შედეგებზე ორიენტირებულობა, სანდოობა და საიმედოობა,დიალოგზე დაფუძნებული თანამშრომლობა, ჩართულობა და ვალდებულობა.

კოდექსით განსაზღვრული საკითხებიდან საგულისხმო და მნიშვნელოვანია, ზოგიერთი მათგანი, რომელიც დაკავშირებულია პასუხისმგებლობის სამ ძირითად სფეროსთან; ინდივიდუალური ქცევა, კოლეგების მიმართ ქცევა და ორგანიზაციის მიმართ ქცევა

თითოეულ სფეროში განსაზღვრულია, თუ რა უნდა იქნეს მიჩნეული ძირითად პრინციპებად, რომლებიც დაკავშირებულია ანგარიშვალდებულებასთან, პასუხისმგებლობასთან, კეთილსინდისიერებასთან, პატივისცემით და თავაზიანად მოქმედებასთან, ადამიანებს შორის განსხვავების პატივისცემასთან, კონფიდენციალობის დაცვასთან, დაკავებულ პოზიციასთან შესაბამისობის უზუნველყოფასთან და არასათანადო ქცევის შემთხვევაში მისი შეცვლის მზადყოფნასთან.

138 ევროპოლის „ქცევის კოდექსი", 2007, 23 აგვისტო.

საკონტროლო კითხვები

5.1.

- რით არის განსაზღვრული საჯარო სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკისა და ქცევის საერთაშორისო სტანდარტები?

5.1.1.

- როგორია საჯარო სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკისა და ქცევის საერთაშორისო პრაქტიკა?

5.2.

- რით რეგულირდება წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის სხვა ფორმებისაგან დაცვის საკითხები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე?
- რით არის განსაზღვრული სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკისა და ქცევის საერთაშორისო სტანდარტები?

5.2.1.

- როგორია სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკისა და ქცევის საერთაშორისო პრაქტიკა?

დასკვნითი რეკომენდაციები

- ეთიკის ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსის განხილვასა და მიღების პროცესში პროკურატურის მუშაკთა ფართო ჩართულობა და მისი საქართველოს პროკურორთა წარმომადგენლობით ორგანოზე – კონფერენციაზე განხილვა.
- მნიშვნელოვანია, საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეთა პირადი ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ-ნებელობითი მახასიათებლები, რომლებიც გავლენას ახდენს მათ პროფესიულ საქმიანობაზე, ამასთანავე პროფესიულ საქმიანობაში ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ-ნებელობითი მახასიათებლების ცოდნა ეხმარება მათ დანაშაულის, დამნაშავის პიროვნების და მსხვერპლის სამართლებრივი და ეთიკური ქმედებების შეფასებაში, დანაშაულობის თავიდან აცილების მიზნით განსახორციელებელ საქმიანობაში.
- მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული გადაღლის, გადაწვის და გადახრა/დეფორმაციის წინააღმდეგ ერთიანი მიდგომა არ არსებობს, ეს პრობლემები წყდება როგორც ინდივიდუალურ, ისე სოციალურ დონეზე. ნებისმიერ შემთხვევაში სხვადასხვა რანგის მოსამსახურე-სპეციალისტი დროდადრო უნდა შეჩერდეს იმის გააზრებლად, თუ რას აკეთებს მოცემულ მომენტში, საით მიდის და რისკენ ისწრაფვის. საკუთარი პროფესიული საქმიანობისათვის სხვა კუთხიდან შეხედვისას არსებობს ბევრი ახალი პოზიტიური შესაძლებლობის დანახვის შანსი და ამ ახალ ხედვაში არის როგორც ფსიქოლოგიური, ასევე მორალური შემადგენელიც.
- მნიშვნელოვანია ორგანიზაციის მხრიდან კორპორატიულ-კოლექტივიზმის პრინციპებზე დაფუძნებით, საჯარო მოსამსახურის მიმართ კოლეგიალური ურთიერთდახმარება და მხარდაჭერა. კორპორატიულობა, ინდივიდუალიზმის პრინციპთან ერთად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პროფესიული ნიშნით, არამედ ასევე ზოგადსაკაცობრიო მოსაზრებით, რადგანაც მასში მდგომარეობს პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის მთავარი არსი, სახელმწიფოს, საზოგადოების და პიროვნების ინტერესების ერთიანობა.
- მიზანშეწონილია საჯარო სამსახურებში და განსაკუთრებით სამართალდამცავ და სპეციალურ სამსახურებში გაიმიჯნოს შიდა და გარე მონიტორინგის მექანიზმები, საპარლამენტო, სამთავრობო, სასამართლო, საპროკურორო, სახელმწიფო აუდიტის, ასევე საზოგადოების მხრიდან, არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიის

კონტროლი და ზედამხედველობა, ასევე გარე მონიტორინგში მოიაზრება, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით დამოუკიდებელი საგამომძიებლო ფუნქციის მქონე სტრუქტურა, რომელიც თავიდან აიცილებს, გამოავლენს და გამოიძიებს საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურის მოსამსახურეთა მხრიდან კორუფციულ და სხვა სახის დანაშაულს, რაც შეეხება შიდა კონტროლს, რომელსაც ანხორციელებს გენინსპექცია, როგორც დისციპლინური დევნისა და პროფესიული ეთიკის მონიტორინგის მექანიზმი, მის ფუნქციაში შევა ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსით, სამსახურეობრივი ეთიკის კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი არაეთიკური ქმედებებისა და ქცევის წესების დარღვევის გამოვლენა, რეაგირება და თავიდან აცილება.

- საჯარო-სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურის მოსამსახურეთა პროფესიულ მომზადებისათვის მნიშვნელოვანია უმაღლეს საგანმანათლებლო და შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებების პროფესიული მომზადების ცენტრებში დაინერგოს სპეციალური სასწავლო კურსი „პროფესიული ეთიკის საფუძვლები, საჯარო-სამართალდამცავ და სპეციალურ სამსახურებში".
- მნიშვნელოვანია, დადგინდეს, ზოგადად საჯარო დაწესებულებებში, კონკრეტულად პოლიციასა და სპეციალურ სამსახურებში, სამხედრო და სპეციალური წოდების არმქონე სამოქალაქო მოსამსახურეთათვის შესაბამისი ჩაცმის წესი, რომლის მონიტორინგს განახორციელებს შესაბამისი შიდა მონიტორინგის სამსახური და მოსამსახურის უშუალო ხელმძღვანელი პირი, რამდენად შეესაბამება სამსახურში არსებული ჩაცმის წესი მოქალაქეთა შეხედულებებს და სამსახურის მოსამსახურის მოქალაქეებთან ურთიერთობის პოლიტიკას.
- აუცილებელია შეიქმნას სამთავრობო და ასევე არასამთავრობო სექტორში სპეციალური ორგანიზაციები, რომელებიც უზრუნველყოფენ სამსახურებში სექსუალური შევიწროვების და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვას, ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ რეაბილიტაციას.
- სამსახურში კოლეგიალობის სტანდარტიდან გამომდინარე, არაეთიკური ქმედებების, დაუდევრობის და კორუფციის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია საფინანსო, სამართლებრივი და სხვა ვიწრო პროფესიული კუთხით გადაწყვეტილებების მიღება, დოკუმენტის შედგენა ან სხვა მოქმედებები განხორციელდეს ორი ან მეტი შესაბამისი პროფესიის უფლებამოსილი პირის მონაწილეობითა და დადასტურებით.

• ორგანიზაციებმა ეფექტური ფუნქციონირების მიზნით უნდა განხორციელონ მოსამსახურეთა სისტემური როტაცია, რაც უზრუნველყოფს კორუფციის აღმოფხვრას, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას და ეთიკური ქცევის წესების დაცვას.

• საჭიროა საკანონმდებლო რეგულაციების შემოღება, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე დაანწესებს მონიტორინგს საჯარო სამსახურიდან კერძო სექტორში წასულ მოსამსახურეების საქმიანობაზე, და პირიქით, იმ მოქმედებებზე, რომლებიც დაკავშირებულია წარსულში მათ საქმიანობასთან საჯარო თუ კერძო სექტორში.

• საჯარო და კერძო სექტორმა მნიშვნელოვანია აწარმოონ „შავი სიის" რეესტრი, რათა თავიდან აიცილონ პირის დასაქმების ან და ორგანიზაციასთან ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მოსალოდნელი საფრთხეები.

• ნეპოტიზმის, კრონიზმისა და სნობიზმის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია არსებობდეს ადამიანის რესურსებთან მუშაობის სისტემური მართვის მექანიზმების დახვენა, ყველა ვაკანსია უნდა გამოცხადდეს ღიად და ხელმისაწვდომად, კანდიდატების შერჩევას უნდა უზრუნველყოფდეს პროფესიული და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული სპეციალური კომისია, აუცილებელია, არსებობდეს გარე მონიტორინგის ორგანო, რომელიც დააკვირდება და შეისწავლის კონკურსის ჩატარების პროცესს, რათა მოქალაქეს ჰქონდეს შესაძლებლობა სასამართლოსადმი მიმართვამდე გამოიყენოს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები.

• დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში მნიშვნელოვანია და აუცილებლობას წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა და მონიტორინგი საჯარო პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და აღსრულების პროცესში, აღნიშნული მექანიზმების დანერგვა უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულებებში პროფესიული ეთიკის და ქცევის სტანდარტების სრულყოფას, კორუფციის თავიდან აცილებას.

• საზოგადოებაში შინაგან საქმეთა სამინისტრო არასწორად არის გაიგივებული მხოლოდ პოლიციასთან. საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, პოლიციის საქმიანობისა და ეთიკის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში გაიმიჯნოს პოლიციის და მეორე მხრივ, სამოქალაქო ფუნქციით აღჭურვილი სტრუქტურები: მინისტრის სამოქალაქო ოფისი, უზრუნველყოფის სამსახურები, ქვეყნის შინაგანი საქმეებით დაკავებული დაწესებულებები, რაც,

თავის მხრივ, უზრუნველყოფს პოლიციის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის – პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვას.

- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის ნაწილში ეფექტური იქნება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, მის ადგილობრივ დანაყოფებთან, საზოგადოებრივ საბჭოების შექმნა გამოჩენილი ადამიანების, მეცნიერ-სპეციალისტების, ვეტერანი პოლიციელებისა და სხვათა ჩართულობით.
- სასურველია დანაშაულობის თავიდან აცილებისა და მასთან ეფექტური ბრძოლის მიზნით, ადგილობრივი პრობლემების ღრმად შეცნობისათვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ არაოპერატიული დანაყოფის გარკვეული დეცენტრალიზაცია, საერთასორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნორმატიულად დარეგულირდეს სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მოსამსახურეების მხრიდან პროფესიული მოვალეობების შესრულებისას, განსაკუთრებით იძულებითი ღონისძიებების განხორციელებისას ვიდეო კამერის და ზოგადად ინტერნეტ-რესურსების, მობილური ტელეფონის გამოყენების ვალდებულება.

გაეროს „საჯარო მოხელის ქცევის საერთაშორისო კოდექსით" რეკომენდირებულია:

- საჯარო მოხელეებმა უნდა შეასრულონ კანონმდებლობით და ადმინისტრაციული პოლიტიკით დადგენილი ღონისძიებები იმისათვის, რომ ოფიციალური პოზიციის დატოვების შემდეგ მათ არ მიიღონ გაუმართლებელი სარგებელი ყოფილი სამსახურიდან გამომდინარე.
- დაცული უნდა იქნეს საჯარო მოხელისათვის ცნობილი ინფორმაციის კონფიდენციალობა, თუ ეროვნული კანონმდებლობა, ან მართლმსაჯულების საჭიროებები მკაცრად არ მოითხოვს სხვაგვარად. ეს შეზღუდვები ძალაში რჩება სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგაც.
- საჯარო მოხელეების პოლიტიკური ან სხვა სახის საქმიანობა, რომელიც არ შედის მათ ოფიციალურ მოვალეობებში, კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული პოლიტიკის შესაბამისად, არ უნდა ხორციელდებოდეს ისე, რომ ხელს უშლიდეს მათი ფუნქცია-მოვალეობების მიუკერძოებლად განხორციელების მიმართ, საზოგადოების ნდობას.

ევროსაბჭოს „საჯარო მოხელის ქცევის სამოდელო კოდექსით" რეკომენდირებულია:

- საჯარო მოხელეს უნდა მოეთხოვებოდეს, რომ აცნობოს თავის დამქირავებელს საჯარო სამსახურის ფარგლებს გარეთ გარკვეული

ანაზღაურებადი ან არაანაზღაურებადი საქმიანობის განხორციელების, გარკვეული პოზიციის მიღების ან ფუნქციების შეძენის შესახებ და მიიღოს შესაბამისი თანხმობა.

- საჯარო მოხელემ, რომელიც ზედამხედველობს ან ხელმძღვანელობს სხვა საჯარო მოხელეებს, უნდა მიიღოს მიზანშეწონილი ზომები, რათა თავიდან აიცილოს მისი პერსონალის მიერ მის საქმიანობასთან დაკავშირებული კორუფციული ქმედებების განხორციელება. ეს ზომები შეიძლება მოიცავდეს წესებისა და რეგულაციების აქცენტირებას და გაძლიერებას, შესაბამისი განათლების ან ტრენინგების უზრუნველყოფას, პერსონალის ფინანსური ან სხვა სახის სირთულეებისთვის დამახასიათებელი ნიშნებისთვის ყურადღების მიქცევას და საკუთარი ქცევით პერსონალისთვის პატიოსნებისა და კეთილსინდისიერების მაგალითის მიცემას.
- საჯარო მოხელემ არ უნდა დაუშვას, რომ სხვაგან დასაქმების პერსპექტივამ წარმოშვას ფაქტობრივი, პოტენციური ან აშკარა ინტერესთა კონფლიქტი. მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მის უმუალო ხელმძღვანელს დასაქმების ნებისმიერი შეთავაზების შესახებ, რომელმაც შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი. მან ასევე, უნდა აცნობის ზემდგომ პირს მის მიერ დასაქმების ნებისმიერი შეთავაზების მიღების შესახებ.
- საჯარო მოხელემ ყოფილი საჯარო მოხელეები არ უნდა უზრუნველყოს პრიორიტეტული მოპყრობით და საჯარო სამსახურზე პრივილეგირებული ხელმისაწვდომობით.
- საჯარო სამსახურში მოსამსახურეთა მიერ ეთიკური სტანდარტის დაცვის მონიტორინგის, ეთიკური დარღვევებისა და კორუფციული დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის განმახორციელებელი პოლიციური უფლებამოსილების მქონე საგამოძიებო უწყების შექმნა. (დიდი ბრიტანეთი, ევროპა, ლატვია, სლოვენია, თურქეთი)

გაეროს „სამართალდამცავ პირთა ქცევის წესების კოდექსით" რეკომენდირებულია:

- მასობრივი ინფორმაციის საშუალებები შეიძლება ჩაითვალოს დაწესებულებებად, რომელთაც აქვთ ზედამხედველობის ან სამართლებრივი კონტროლის უფლებამოსილება, ამიტომ მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირებს შეუძლიათ, უკიდურეს შემთხვევაში, დასაბუთებულად, თავისი ქვეყნის კანონების და ჩვეულების შესაბამისად, საზოგადოების ყურადღება მიაპყრონ მომხდარ დარღვევებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით.

ევროსაბჭოს „დეკლარაციით პოლიციის შესახებ“ რეკომენდირებულია:

- პოლიციის რიგებში არ უნდა იყვნენ ისეთი ადამიანები, ვისაც პოლიციაში მუშაობისას დაურღვევია ადამიანის უფლებები, ან და ვინც პოლიციის ისეთ დანაყოფში მუშაობდა, რომელიც დაიშალა არაჰუმანური ქმედებების გამო
- პოლიციის თანამშრომელმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ისეთი პირების ძიებაში, დაპატიმრებაში, დარაჯობასა თუ ერთი ადგილიდან მეორეში გადაყვანაში, რომლებიც არ არიან უკანონო ქმედების ჩადენაში ეჭვმიტანილები, მაგრამ იძებნებიან, დაკავებულნი არიან ან და მათ წინააღმდეგ აღძრულია საქმე მათი რასის, სარწმუნოებისა თუ პოლიტიკური შეხედულების ნიადაგზე.
- პროფესიული, ფსიქოლოგიური და მატერიალური პირობები, რომლებშიც პოლიციის თანამშრომელმა უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობები, უნდა იცავდეს მის თანმიმდევრულობას, მიუკერძოებლობასა და ღირსებას.
- პოლიციის თანამშრომელს აქვს უფლება, მიიღოს სამართლიანი ანაზღაურება; საგანგებო ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიც არის დიდი რისკი და პასუხისმგებლობა და არანორმირებული სამუშაო განრიგი.
- პოლიციის თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ უფლება, თავად მიიღონ პროფესიული ორგანიზაციების ჩამოყალიბებასთან, მათში განევრიანებასთან და აქტიური როლის შესრულებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები. გარდა ამისა, მათ სხვა ორგანიზაციებშიც შეუძლიათ აქტიურად მონაწილეობა.
- ნარმომადგენლობით პრინციპზე დამყარებულ პოლიციის პროფესიულ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს:
  - თანამშრომელთა პროფესიულ სტატუსთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში მონაწილეობის უფლება;
  - პოლიციის დანაყოფების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით კონსულტაციის მიღების უფლება;
  - პოლიციის თანამშრომელთა ჯგუფის ან რომელიმე ერთი თანამშრომლის სასარგებლოდ სასამართლო საქმის აღძვრის უფლება.
- იმ შემთხვევაში, თუ პოლიციის თანამშრომლის წინააღმდეგ აღიძვრება დისციპლინარული ან სისხლის სამართლის საქმე, ამ თანამშრომელს აქვს უფლება, გამოთქვას თავისი სათქმელი და მიიღოს დაცვა იურისტის მხრიდან. გადაწყვეტილება გონივრულ ვადაში უნდა იქნეს მიღებული. გარდა ამისა, ამ თანამშრომელს აქვს

უფლება, ისარგებლოს პოლიციის იმ პროფესიული ორგანიზაციის დახმარებით, რომელშიც გაწევრიანებულია.

ევროსაბჭოს „პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსით" რეკომენდირებულია:

- პოლიცია მომართული უნდა იყოს მოსახლეობასთან კარგი ურთიერთობის დასამყარებლად, საჭიროების შემთხვევაში კი – ეფექტიანი თანამშრომლობის ჩამოსაყალიბებლად სხვა უწყებებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საზოგადოების სხვა ნარმომადგენლებთან, მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებთან.
- პოლიციის თანამშრომლებმა უნდა შეძლონ იმის ჩვენება, რომ აქვთ ჯანსაღი განსჯის უნარი, არიან გონებაგახსნილები, მომწიფებულები, სამართლიანები, აქვთ კომუნიკაციის უნარები და, საჭიროების შემთხვევაში, ლიდერისა და მენეჯერის თვისებებიც. მეტიც, მათ კარგად უნდა ესმოდეთ სოციალური, კულტურული და საზოგადოებრივი პრობლემები.
- კადრების დაქირავების პროცედურები უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ და არადისკრიმინაციულ საფუძვლებს, თანამშრომლები უნდა დაიქირაონ კანდიდატთა აუცილებელი შემოწმების შემდეგ. გარდა ამისა, პოლიციამ მიზნად უნდა დაისახოს ქალებისა და მამაკაცების დაქირავება სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფიდან, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებიდანაც; უმთავრესი ამოცანა კი ის უნდა იყოს, რომ პოლიცია, თავისი თანამშრომლებით, ასახავდეს საზოგადოებას, რომელსაც იგი ემსახურება.
- პოლიციის თანამშრომელთა ნინააღმდეგ გატარებული დისციპლინური ზომები უნდა ექვემდებარებოდეს გადასინჯვას დამოუკიდებელი ორგანოს ან სასამართლოს მიერ.
- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა უნდა შექმნან პოლიციელთა ქმედებების გასაჩივრების ეფექტიანი და მოუკერძოებელი პროცედურები.
- უნდა ნახალისდეს ანგარიშვალდებულების მექანიზმის შექმნა, რაც დაეფუძნება ურთიერთგაგებასა და კომუნიკაციას საზოგადოებასა და პოლიციას შორის.
- წევრმა სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ და ხელი შეუწყონ კვლევებს პოლიციის შესახებ, როგორც თვითონ პოლიციელების, ასევე გარე ორგანოების მიერ.
- უნდა გაღვივდეს საერთაშორისო თანამშრომლობა პოლიციის ეთიკისა და ადამიანის უფლებათა ასპექტებზე.

Basics of Professional Ethics

In Public - Law Enforcement and Special Services

Resume

The guide **«Basics of Professional ethics»** is dedicated to the issues of professional ethics in public – law enforcement and special services. The importance of the problem is the requirement of ethical and behavioural rules in the activities of public – law enforcement and special services relevant to the international standards requested by the Georgian society in the process of European integration.

The absence of relevant literature on the professional ethical issues for higher education and interested state institutions of Georgia raised the necessity of creating the mentioned guide, in which the basic principles of personnel of the public – law enforcement and special services, as well as the general theoretical issues of professional ethics related to the ethics and behaviour, national and international legal standards, experience and recommendations are discussed.

The guide consists of two parts. In the first chapter **«Ethics Place in Science»** of the first part **«Basics of Professional Ethics»** are discussed: **development of ethics as a science, development of the ethical norms in Georgia, structure and functions of morality norms, ethical values, ethical norms and forms of public awareness.**

In the second chapter **"Ethical Categories"** are discussed: **kindness; justice; duty; conscience; responsibility; dignity; morality; humanism; happiness; patriotism; family love; courage.**

In the third chapter **"Ethics and Law correlation"** are discussed: **natural law, customary law, morality and law, ethics and criminology.**

In the fourth chapter **«The Essence of Professional Ethics and its Types»** are discussed: the **essence of professional ethics, as well as the concept and the subject, the types of professional ethics; the basic norms of professional ethics of a judge; basic norms of prosecutorial ethics; basic norms of professional ethics of lawyers.**

In the first chapter **«Professional Ethics and its Characteristics for the Personnel of Public – Law enforcement and special services»** of the second part **«The main principles and issues of professional ethics of the Public – Law enforcement and special services»** are discussed:

professional peculiarities and moral factors of the public – law enforcement and special services; moral-psychological-voluntary characteristics and their use in professional activities of servants of Public – Law enforcement and special services; professional tiring / burning, deviation / deformation and its avoidance by the personnel of public – law enforcement and special services ; mechanisms of monitoring of public service management, fight against corruption crime, law enforcement and special services ; public service council and bureau, anti-corruption agency of state security service, monitoring of the issues of professional ethics in the public – law enforcement and special services, professional training and study in the public – law enforcement and special services, professional training of the personnel of public – law enforcement and special services .

In the second chapter «**Main principles of public service activity, incompatibility of interests and corruption, professional ethics and behaviour issues**» are discussed: **Main principles of public service activity, incompatibility of interests and corruption in the public service; Liabilities of public servants and restrictions on actions; Incompatibility of the position and interests of public servants; General rules of conduct of public servants; Liability and responsibility related to the completion and submission of the property declaration of a public servant; Ethics and behaviour issues in public service, professional behaviour standards of public servants, ethical principles of relation of the public servants with the state.**

In the third chapter «**Main Principles of Police Activities, Professional Ethics and Behaviour Issues**» are discussed: **main principles of police activities, ethics and behaviour issues in the police, ethical obligations of policemen and restrictions on actions.**

In the forth chapter «**The main principles of the State Security Service, Professional Ethics and Behaviour Issues**» are discussed: **The main principles of the State Security Service, principles of counterintelligence activity, ethics and behaviour issues in the State Security Service, ethical obligations of employees of the Service and restrictions on actions.**

In the fifth chapter «**International Standards and Practice of Ethics and Behavior of the personnel of Public – Law enforcement and special services**» are discussed: **international standards and practice of ethics and behaviour of public service, international practice of ethics and behaviour of the public service, international standards of ethics and**

behaviour of the personnel of law – enforcement and special services, international practice of ethics and behaviour of the personnel of law – enforcement and special services.

Final recommendations

The guide is accompanied by:

- Regulations defined by the national legislation;
- Resolution of the General Assembly of the United Nations "International Code of Conduct for Public Officials". 1996, December 12;
- United Nations Convention «Against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment" 10thDecember 1984;
- Resolution of the General Assembly of the United Nations «Code of Conduct for Law Enforcement Officials» December 17, 1979;
- Annex to Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe "Model Code of Conduct of Public Officials" May 11, 2000;
- Resolution of the Council of Europe on "Declaration of Police" May 8, 1979;
- Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe on the "European Code of Police Ethics", September 19, 2001;
- Europol "Code of Conduct", August 23, 2007.

დანართები:

დანართი №1

ამონარიდი საქართველოს კანონიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“, განსაზღვრული პირები რომლებზედაც არ ვრცელდება კანონის მოქმედება

საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ პირველი თავის „ზოგადი დებულებების“ მე-4 მუხლით, ამ **კანონის მოქმედება არ ვრცელდება:**

ა) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირსა და პოლიტიკური თანამდებობის პირზე;

ბ) საქართველოს პარლამენტის საპარლამენტო ფრაქციის, დროებითი საგამოძიებო კომისიისა და სხვა დროებითი კომისიის აპარატების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ფრაქციების აპარატების თანამშრომლებზე;

გ) მოსამართლეზე;

დ) პროკურორსა და პროკურატურის გამომძიებელზე;

ე) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტსა და საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრზე;

ვ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურ აუდიტორსა და მის მოადგილეზე;

ზ) საქართველოს სახალხო დამცველსა და მის მოადგილეზე;

თ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორსა და მის მოადგილეზე;

ი) ეროვნული უშიშროების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეზე – ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანზე და მის მოადგილეზე;

კ) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსსა და მის მოადგილეზე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსსა და მის მოადგილეზე, საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსსა და მის მოადგილეზე;

ლ) საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს მინისტრების სათათბირო ორგანოების ხელმძღვანელებსა და მათ მოადგილეებზე;

მ) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსსა და მის მოადგილეზე;

ნ) ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ხელმძღვანელსა და მის მოადგილეზე, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს წევრზე;

ო) საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნებსა და მათ მოადგილეებზე;

პ) საქართველოს ბიზნესომბუდსმენსა და მის მოადგილეზე;

ჟ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიებისა და საოლქო საარჩევნო კომისიების არჩეულ წევრებზე;

რ) საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე – საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე, გარდა მისი გამგეობის აპარატის მოსამსახურისა;

ს) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრზე;

ტ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელსა და მის მოადგილეზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირებზე (გარდა იმავე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისა) ვრცელდება ამ კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა", „გ" და „დ" ქვეპუნქტები, 51-ე, 62-ე, 64-ე, 66-ე და 124-ე მუხლები, თუ სპეციალური კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. თუ სპეციალური კანონმდებლობით ან მის საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეებზე, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მოსამსახურეებზე;

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებელსა და აღსრულების პოლიციის სამმართველოს პოლიციის თანამშრომელზე;

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელზე;

დ) საქართველოს დაზვერვის სამსახურის თანამშრომელზე;

ე) სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელზე;

ვ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეზე, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბისა და სახმელეთო ჯარების თანამშრომლებზე;

ზ) დიპლომატიური სამსახურის თანამშრომელზე;

თ) სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამხედრო ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეზე;

ი) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელზე;

კ) პროკურატურის მუშაკზე, გარდა პროკურორისა და პროკურატურის გამომძიებლისა;

ლ) საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატზე;

მ) სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატზე;

ნ) ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს აპარატზე;

ო) საქართველოს ეროვნული ბანკის აპარატზე;

პ) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემის მოსამსახურეზე.

4. საჯარო დანესებულებაში საქმიანობა, რომელიც არ გულისხმობს საჯარო სამსახურის განხორციელებას, წესრიგდება შესაბამისი კანონით ან/და საქართველოს შრომის კანონმდებლობით, ამ კანონით განსაზღვრული თავისებურებების გათვალისწინებით.

დანართი №2

ამონარიდი საქართველოს კანონიდან „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, განსაზღვრული თანამდებობის პირები

საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ პირველი თავის „ზოგადი დებულებების“ მე-2 მუხლით **„თანამდებობის პირი“ იგულისხმება შემდეგი პირები**:

ა) საქართველოს პრეზიდენტი;

ბ) საქართველოს პარლამენტის წევრი;

გ)აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები;

დ)აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა თავმჯდომარეები;

ე) საქართველოს მინისტრი და მისი მოადგილე;

ე[1]) საქართველოს სახელმწიფო მინისტრი და მისი მოადგილე;

ე[2]) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრები და მათი მოადგილეები;

ვ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი და მისი მოადგილე;

ზ) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი და მისი მოადგილე;

ზ[1]) საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში – ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი და მისი მოადგილე;

ზ[2]) საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებში – სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი ინიშნება სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს შემადგენლობიდან) და მისი მოადგილე;

თ) საქართველოს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე და მათთან გათანაბრებული პირები, აგრეთვე სამმართველოს უფროსი და მისი მოადგილე;

თ¹) საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე და მათთან გათანაბრებული პირები;

ი) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი;

ი¹) საქართველოს ბიზნესომბუდსმენი და მისი მოადგილე;

კ) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი;

კ¹)საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი, მისი მოადგილე, დეპარტამენტების უფროსები და მათთან გათანაბრებული პირები;

კ²)ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე;

კ³)სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე;

ლ) საქართველოს სახელმწიფო საქვეუნყებო დანესებულების ხელმძღვანელი და მისი მოადგილე;

ლ¹)აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საქვეუნყებო დაწესებულებათა ხელმძღვანელები;

ლ²)საჯარო სამართლის იურიდიული პირის (გარდა კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევითი, სასპორტო და რელიგიური საქმიანობისათვის შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და პოლიტიკური პარტიებისა) ხელმძღვანელი და მისი მოადგილე;

მ) საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების დეპარტამენტების, ბიუროების, მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები;

მ¹)საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და მისი მოადგილეები, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების, მათში შემავალი მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები;

ნ)საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელი;

ო) გენერალური აუდიტორი, მისი მოადგილე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმის წევრი, დეპარტამენტების, რეგიონალური და ქალაქის ბიუროების ხელმძღვანელები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები;

პ) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და საბჭოს წევრი;

ჟ) საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წევრი;

რ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ს) საქართველოს ეროვნული მარეგულირებელი კომისიის წევრი;

ტ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და კომისიის მდივანი;

უ) სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი და მისი მოადგილე;

ფ)საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" განსაზღვრული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების თანამდებობის პირები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგებელი, მისი მოადგილე და რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ქ) მოსამართლე;

ღ) საქართველოს მთავარი პროკურორი და მისი მოადგილე, საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტებისა და სამსახურების ხელმძღვანელები და მათთან გათანაბრებული პირები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ქ. თბილისის, საოლქო და რაიონული პროკურორები;

შ) საქართველოს კონსტიტუციის პირდაპირი მითითების საფუძველზე არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული სხვა პირი;

ჩ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი და მისი მოადგილე.

„თანამდებობის პირი" აგრეთვე იგულისხმება:

ბ) სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (გარდა კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევითი და სასპორტო საქმიანობისათვის შექმნილი არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა) ხელმძღვანელი;

გ) იმ საწარმოს ხელმძღვანელი, რომლის აქციათა ან წილის 100 პროცენტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, აგრეთვე ამ საწარმოს შვილობილი საწარმოს ხელმძღვანელი.

„ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული იმ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და სანარმოების, რომელთა (რომელთა შვილობილი სანარმოების) ხელმძღვანელებსაც ევალებათ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება, ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

დანართი №3

ამონარიდი საქართველოს კანონიდან „პოლიციის შესახებ“, განსაზღვრული საპოლიციო ღონისძიებები

საქართველოს კანონის „პოლიციის შესახებ“ მე-4 თავის „**საპოლიციო ღონისძიებები“ მე-18 მუხლის „ პოლიციის პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებები“** თანახმად,

1. პოლიცია საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგისათვის საფრთხის თავიდან აცილების ან მათი დარღვევის აღკვეთის მიზნით თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს შემდეგ პრევენციულ ღონისძიებებს:

ა) პირის გამოკითხვა;

ბ) პირის იდენტიფიკაცია;

გ) პირის მოწვევა;

დ) ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება;

ე) სპეციალური შემოწმება და დათვალიერება;

ვ) სპეციალური საპოლიციო კონტროლი;

ზ) ადგილის დატოვების მოთხოვნა და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა;

თ) პირის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების ან ნივთის ფაქტობრივი ფლობის შეზღუდვა;

ი) ავტომატური ფოტოტექნიკის (რადარის) და ვიდეოტექნიკის გამოყენება;

კ) ტექნიკური საშუალებების შექმნა და გამოყენება;

ლ) ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების[139] განხორციელება.

2. პოლიცია სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს ახორციელებს ამ კანონის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის სფეროებში საქართველოს კანონმდებლობისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

3. პოლიციელი ვალდებულია, თუ გარეგნული ნიშნებით ჰეუძლებელია მისი, როგორც პოლიციელის, იდენტიფიცირება, პირს ნარუდგინოს

---

139 ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა არის საქართველოს კანონი „ოპერატიული სამძებრო საქმიანობის შესახებ“ დადგენილი სახელმწიფო ორგანოების სპეციალური სამსახურების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ღია თუ ფარული მეთოდით წარმართული ღონისძიებების სისტემა, რომლის მიზანია ადამიანის უფლებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების, საზოგადოებრივი უშიშრების დაცვა დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. საქართველოს კანონი „ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ“ 1999. 30 აპრილი.

თავისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუკი ეს ხელს არ შეუშლის საპოლიციო ფუნქციების შესრულებას.

4. პოლიცია პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების განხორციელებისას ითვალისწინებს არასრულწლოვანთა განსაკუთრებულ თავისებურებებსა და საუკეთესო ინტერესებს.

დანართი №4

ამონარიდი საქართველოს კანონიდან „პოლიციის შესახებ“, განსაზღვრული პოლიციის ფუნქციები და უფლებამოსილებანი

საქართველოს კანონის „პოლიციის შესახებ“ მე-3 თავის „პოლიციის ფუნქციები და უფლებამოსილებანი“

მე-16 მუხლის „პოლიციის ფუნქციები“ თანახმად,

1. პოლიციის ძირითადი ფუნქციაა, უზრუნველყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგისათვის საფრთხის თავიდან აცილება.

2. პოლიციის ფუნქციებია:

ა) ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;

ბ) ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვა;

გ) დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;

დ) დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა გამოვლენა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილებების საფუძველზე;

ე) საქართველოს სახელმწიფო საზღვრისა და საქართველოს საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმის დაცვა და კონტროლი;

ვ) დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა, მოსალოდნელი საფრთხეების, რისკებისა და გამონვევების ანალიზი და დამანაშაულობასთან ბრძოლის სტრატეგიის შემუშავება;

ზ) სანებართვო, საელიცენზიო და სარეგისტრაციო საქმიანობის განხორციელება;

თ) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ი) სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვა;

კ) არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა, არალეგალური მიგრაციის პრევენცია, აღკვეთა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა;

ლ) საძიებო-სამაძველო სამუშაოების განხორციელება;

მ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელება;

ნ) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება;

ო) საექსპერტო-კრიმინალისტიკური საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფა;

პ) დანაშაულის ჩადენისთვის დაკავებულ პირთა, აგრეთვე ადმინისტრაციული წესით დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსება.

მე-17 მუხლის „პოლიციის უფლებამოსილებანი" თანახმად,

1. პოლიცია პრევენციული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:

ა) სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად საპოლიციო ღონისძიებების განხორციელება;

ბ) პირისთვის სათანადო სამართლებრივი და პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; გადაუდებელი ზომების მიღება პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ პირი საფრთხეს უქმნის საკუთარ თავს ან გარშემომყოფთ;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის, განსაკუთრებული მნიშვნელობისა და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა უმაღლესი თანამდებობის პირების უსაფრთხოების დასაცავად; მინისტრის მიერ დამტკიცებული წესისა და ნუსხის შესაბამისად სახელმწიფო ობიექტების დაცვის ფიზიკურად უზრუნველყოფა;

დ) შეკრებების, მანიფესტაციებისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ე) სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ბავშვთა მანანწალობის, უმეთვალყურეობის თავიდან აცილების, არასრულწლოვანთა დამნაშავეობის აღკვეთის პრევენციულ ღონისძიებებში მონაწილეობა და თავის საქმიანობაში არასრულწლოვანთა განსაკუთრებული თავისებურებებისა და საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება;

ვ) სატრანსპორტო მოძრაობის მოწესრიგება, მოძრაობის წესების, ნორმატივებისა და სტანდარტების დაცვის ზედამხედველობა;

ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებების განხორციელების

უზრუნველყოფა „სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური პროგრამის" შესაბამისად;

თ) პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის დაუყოვნებლივ შეტყობინება მის მიმართ ძალადობის ჩამდენი პირის (მოძალადის) პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების, გაქცევის, აგრეთვე პატიმრობის კოდექსის 27-ე მუხლით დადგენილი წესით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შესახებ.

2. პოლიცია საკუთარი ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად თავისი კომპეტენციის ფარგლებში რეაგირებს სამართალდარღვევის ფაქტებზე, კერძოდ:

ა) ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის, მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად:

ა.ა) დროებითი ღონისძიების სახით გამოსცემს შემაკავებელ ორდერს ან იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერს; ზედამხედველობს გამოცემული დამცავი, შემაკავებელი და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პირობების შესრულებას;

ა.ბ) არასრულწლოვანზე ძალადობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღასრულებს სოციალური მუშაკის მიერ მიღებულ არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ გადაწყვეტილებას;

ა.გ) ასრულებს კანონით პოლიციისთვის დაკისრებულ სხვა მოვალეობებს;

ბ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფს საცხოვრებელი სახლიდან/ბინიდან ან/და სხვა მფლობელობიდან უკანონო მფლობელისა და მასთან მყოფი პირის/პირების გამოსახლებას/გამოყვანას სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით;

გ) სატრანსპორტო საშუალების მართვას ჩამოაშორებს პირს, რომელსაც არა აქვს ან ჩამორთმეული აქვს მართვის უფლება, ან თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ იგი ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაშია, და გამოკვლევის მიზნით წარადგენს საამისოდ უფლებამოსილ პირთან;

დ) თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირმა ნარკოტიკული ნივთიერება მოიხმარა, მას გამოკვლევის მიზნით წარადგენს საამისოდ უფლებამოსილ პირთან;

ე) იღებს და რეგისტრაციაში ატარებს შემოსულ ინფორმაციას დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა შესახებ, უგზოუკვლოდ დაკარგულ პირთა შესახებ, დაუყოვნებლივ რეაგირებს მათზე, აღრიცხავს სამართალდარღვევებსა და მათ ჩამდენ პირებს;

ვ) კანონით დადგენილი წესით ახორციელებს:

ვ.ა) სასაზღვრო-პოლიციურ და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს;

ვ.ბ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს (ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, აგრეთვე ფარული ვიდეო- და აუდიოჩაწერა, კინო- და ფოტოგადაღება, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს);

ვ.გ) ტექნიკურ-კრიმინალისტიკურ გამოკვლევებს ოპერატიულ-სამძებრო, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სხვა საქმეებზე;

ზ) ეხმარება შესაბამის უწყებებს დაკარგული და გატაცებული იარაღის, საბრძოლო მასალისა და ტექნიკის, სამხედრო ქონების მოძებნაში, აგრეთვე იმ პირთა ძებნაში, რომლებიც თავს არიდებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს;

ი) საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უზრუნველყოფს შეკრებისა და მანიფესტაციის შეწყვეტასა და მათ მონაწილეთა დაშლას;

კ) მოსთხოვს პირს, დაიცვას კანონის მოთხოვნა და შეწყვიტოს სამართალდარღვევა, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში იღებს კანონით გათვალისწინებულ ზომებს.

3. პოლიცია საგანგებო სიტუაციის, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს საგანგებო სიტუაციის შედეგების ლიკვიდაციაში, საძიებო-სამაშველო სამუშაოებში; იცავს პირთა უსაფრთხოებას, მართლწესრიგს, აგრეთვე ხელყოფისაგან იცავს ქონებას, დაზარალებულ და უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირებს აღმოუჩენს გადაუდებელ დახმარებას; თავისი კომპეტენციის

ფარგლებში მონაწილეობს საგანგებო ან საომარი მდგომარეობისათვის დადგენილი რეჟიმის დაცვაში, ხოლო ეპიდემიისა და ეპიზოოტიის დროს – საკარანტინო ღონისძიებების განხორციელებაში;

ბ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფოს სამობილიზაციო-გამწვევი პუნქტებისა და ოპერატიულ-მმართველობითი შტაბების უსაფრთხოებასა და მზადყოფნას, აგრეთვე პირადი (სამინისტროს) შემადგენლობის სრულ სამობილიზაციო მზადყოფნას;

გ) იღებს, ამუშავებს და შემდგომი რეაგირებისათვის უფლებამოსილ სუბიექტებს აწვდის შეტყობინებებს ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების, სასწრაფო სამედიცინო დახმარების, ბუნებრივი გაზით მომარაგების შეწყვეტის, შეზღუდვის ან/და წნევის დასაშვები ნორმებიდან გადახრის (ცვალებადობის), აგრეთვე სასმელი წყლით მომარაგების შეწყვეტის ან/და წნევის ცვალებადობისა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის სხვა შემთხვევების შესახებ.

4. პოლიცია, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის ფუნქციიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს:

ა) საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, საქართველოს საზღვაო სივრცეში და საქართველოს იურისდიქციისადმი დაქვემდებარებულ გემებზე კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენციას, გამოვლენასა და აღკვეთას, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელებას;

ბ) საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირთა ინსპექტირებას, არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული პროცესების მართვას, არალეგალური მიგრაციის პრევენციას, აღკვეთას, მიგრაციისა და სახელმწიფო საზღვრის გადამკვეთ პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების შესრულებას;

გ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1982 წლის საზღვაო სამართლის კონვენციით გათვალისწინებული „ცხელ კვალზე დევნის უფლების" განხორციელებას.

5. პოლიცია თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, შესაბამის უწყებებთან ერთად იღებს ზომებს საქართველოს ტერიტორიაზე სხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობათა პირადი და ქონებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

დანართი №5

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „საჯარო მოხელის ქცევის საერთაშორისო კოდექსი“

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუცია A/RES/51/59, 82-ე პლენარული სხდომა, 1996, 12 დეკემბერი,

I. ზოგადი პრინციპები

1. საჯარო სამსახური, როგორც განსაზღვრულია ეროვნული კანონმდებლობით, არის ნდობაზე დაფუძნებული პოზიცია, რაც გულისხმობს საზოგადოებრივი ინტერესების სამსახურს. ამიტომ საჯარო მოხელეები განსაკუთრებულ ერთგულებას უნდა იჩენდნენ საკუთარი ქვეყნის საზოგადოებრივი ინტერესების მიმართ, რომლებიც გაჟღერებულია მთავრობის დემოკრატიული ინსტიტუტების მეშვეობით.

2. საჯარო მოხელეებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი მოვალეობების და ფუნქციების ეფექტიანად, ეფექტურად და კეთილსინდისიერად განხორციელება, კანონმდებლობის და ადმინისტრაციული პოლიტიკის შესაბამისად. ისინი ნებისმიერ დროს უნდა ცდილობდნენ უზრუნველყონ, რომ საჯარო რესურსები, რომლებზე პასუხისმგებელობაც მათ აკისრიათ, იმართებოდეს მაქსიმალურად ეფექტურად და ეფექტიანად.

3. საჯარო მოხელეები საკუთარი ფუნქციების შესრულებისას, კერძოდ, საზოგადოებასთან ურთიერთობისას უნდა იყვნენ წინდახედული, პატიოსანი და მიუკერძოებელი. მათ საკუთარ თავს არასდროს უნდა მისცენ ნებისმიერი ჯგუფის ან პირის მიმართ გაუმართლებელი უპირატესი მოპყრობის უფლება და არ უნდა მოახდინონ ნებისმიერი ჯგუფის ან პირის გაუმართლებელი დისკრიმინაცია ან სხვაგვარად ბოროტად არ უნდა გამოიყენონ მათთვის მინიჭებული ძალაუფლება და მათზე დაკისრებული უფლებამოსილება.

II. ინტერესთა კონფლიქტი და დისკვალიფიკაცია

4. საჯარო მოხელეებმა არ უნდა გამოიყენონ მათი ოფიციალური უფლებამოსილება საკუთარი ან ოჯახის პირადი ან ფინანსური ინტერესების გაუმართლებელი ხელშეწყობისთვის. მათ არ უნდა მიიღონ მონაწილეობა ნებისმიერ გარიგებაში, არ უნდა შეიძინონ ნებისმიერი პოზიცია ან ფუნქცია და არ უნდა ჰქონდეთ ნებისმიერი ფინანსური, კომერციული ან სხვა წინააღმდეგობრივი ინტერესი, რომელიც შეუთავსებელია მათ სამსახურთან, ფუნქციებთან და მოვალეობებთან.

5. საჯარო მოხელეებმა, მათი პოზიციიდან გამომდინარე მოთხოვნილი მასშტაბის შესაბამისად, კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული პოლიტიკის მიხედვით უნდა მოახდინონ ბიზნესის, კომერციული და ფინანსური ინტერესების ან ფინანსური სარგებელის მიღების მიზნით განხორციელებული საქმიანობის დეკლარირება, რის საფუძველზეც შესაძლოა წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი. საჯარო მოხელეების მოვალეობებსა და პირად ინტერესებს შორის შესაძლო ან მოსალოდნელი ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, მათ უნდა დაიცვან ინტერესთა ასეთი კონფლიქტის შემცირების ან თავიდან აცილების მიზნით დადგენილი ნესები.

6. საჯარო მოხელეებმა არასდროს უნდა გამოიყენონ არასათანადოდ საჯარო ფინანსები, ქონება, მომსახურება და მათი ოფიციალური მოვალეობების განხორციელების დროს ან ამის შედეგად შეძენილი ინფორმაცია ისეთი საქმიანობისთვის, რომელიც დაკავშირებული არ არის მათ ოფიციალურ სამუშაოსთან.

7. საჯარო მოხელეებმა უნდა შეასრულონ კანონმდებლობით და ადმინისტრაციული პოლიტიკით დადგენილი ღონისძიებები იმისათვის, რომ ოფიციალური პოზიციის დატოვების შემდეგ მათ არ მიიღონ გაუმართლებელი სარგებელი ყოფილი სამსახურიდან გამომდინარე.

III. აქტივების გამჟღავნება

8. საჯარო მოხელეებმა, მათი პოზიციიდან გამომდინარე და კანონმდებლობის და ადმინისტრაციული პოლიტიკის შესაბამისად, უნდა შეასრულონ მოთხოვნები პირადი და შესაძლებლობის შემთხვევაში მათი მეუღლეების და/ან მათი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირების აქტივების და პასივების დეკლარირებასთან ან გამჟღავნებასთან დაკავშირებით.

IV. საჩუქრების ან სხვა სარგებელის მიღება

9. საჯარო მოხელეებმა არ უნდა მოითხოვონ ან მიიღონ ნებისმიერი საჩუქარი ან სხვა სარგებელი, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათი ფუნქციების განხორციელებაზე, მათი მოვალეობების შესრულებაზე და მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე.

V. კონფიდენციალური ინფორმაცია

10. დაცული უნდა იქნეს საჯარო მოხელისთვის ცნობილი კონფიდენციალური ხასიათის ინფორმაციის კონფიდენციალობა, თუ ეროვნული კანონმდებლობა, მოვალეობების შესრულება ან მართლმსაჯულების საჭიროებები მკაცრად არ მოითხოვს სხვაგვარად. ეს შეზღუდვები ძალაში რჩება სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგაც.

VI. პოლიტიკური საქმიანობა

11. საჯარო მოხელეების პოლიტიკური ან სხვა სახის საქმიანობა, რომელიც არ შედის მათ ოფიციალურ მოვალეობებში, კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული პოლიტიკის შესაბამისად, არ უნდა ხორციელდებოდეს ისე, რომ ხელს უშლიდეს მათი ფუნქციამოვალეობების მიუკერძოებლად განხორციელების მიმართ საზოგადოების ნდობას.

დანართი №6

ევროპის საბჭოს „საჯარო მოხელეების ქცევის სამოდელო კოდექსი“

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის დანართით N R (2000) 10 „სახელმწიფო მოსამსახურეებისათვის ქცევის სამოდელო კოდექსი“. 2000,11 მაისი.

მუხლი 1 – ინტერპრეტაცია და გამოყენება

1. ეს კოდექსი ვრცელდება ნებისმიერ საჯარო მოხელეზე.

2. ამ კოდექსის მიზნებისთვის, "საჯარო მოხელე" ნიშნავს საჯარო ხელისუფლების მიერ დაქირავებულ პირს.

3. ამ კოდექსის დებულებები შესაძლოა ასევე გავრცელდეს კერძო ორგანიზაციების მიერ დაქირავებულ პირებზე, რომლებიც ახორციელებენ საჯარო მომსახურეობას.

4. ამ კოდქსის დებულებები არ ვრცელდება საჯაროდ არჩეულ წარმომადგენლებზე, მთავრობის წევრებზე და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებზე.

მუხლი 2

1. ამ კოდექსის ძალაში შესვლისას საჯარო ადმინისტრაცია ვალდებულია, რომ მიანოდოს საჯარო მოხელეებს ინფორმაცია მისი დებულებების შესახებ.

2. ეს კოდექსი წარმოადგენს იმ დებულებების ნაწილს, რომლებიც არეგულირებს საჯარო მოხელეების სამსახურს, იმ მომენტიდან, როდესაც ისინი დაადასტურებენ, რომ ინფორმირებული არიან ამის შესახებ.

3. თითოეული საჯარო მოხელე ვალდებულია განახორციელოს ყველა საჭირო ქმედება ამ კოდექსის დებულებების დაცვის მიზნით.

მუხლი 3 – კოდექსის მიზანი

ამ კოდექსის მიზანია კეთილსინდისიერების და ქცევის სტანდარტების განსაზღვრა, რომლებიც უნდა დაიცვან საჯარო მოხელეებმა, რათა დაეხმაროს მათ ამ სტანდარტების შესრულებაში და მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია ისეთი ქცევის შესახებ, რომლის მოთხოვნის უფლებაც აქვს მას საჯარო მოხელეებისგან.

მუხლი 4 – ზოგადი პრინციპები

1. საჯარო მოხელემ საკუთარი მოვალეობები უნდა განახორციელოს კანონის შესაბამისად და მის ფუნქციებთან დაკავშირებული კანონიერი ინსტრუქციებისა და ეთიკური სტანდარტების დაცვით.

2. საჯარო მოხლემ უნდა იმოქმედოს პოლიტიკურად ნეიტრალური მანერით და არ უნდა ეცადოს, რომ ხელი შეუშალოს საჯარო ხელისუფლების კანონიერ პოლიტიკას, გადაწყვეტილებებს ან ქმედებებს.

მუხლი 5

1. საჯარო მოხელე ვალდებულია ერთგულად ემსახუროს კანონიერად შექმნილ ეროვნულ, ადგილობრივ ან რეგიონულ ხელისუფლებას.

2. საჯარო მოხელეს მოეთხოვება იყოს პატიოსანი, მიუკერძოებელი და ეფექტიანი და შეასრულოს საკუთარი მოვალეობები თავისი შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად კარგად, პროფესიონალურად, პატიოსნად და გააზრებულად, გაითვალისწინოს მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესი და საქმის შესაბამისი გარემოებები.

3. საჯარო მოხელე უნდა იყოს თავაზიანი იმ მოქალაქეებთან ურთიერთობისას, რომლებსაც ის ემსახურება, ასევე ზემდგომ პირებთან, კოლეგებთან და დაქვემდებარებულ პერსონალთან ურთიერთობისას.

მუხლი 6

საკუთარი მოვალეობების შესრულებისას საჯარო მოხელემ არ უნდა იმოქმედოს თვითნებურად ნებისმიერი პირის, ჯგუფის ან ორგანიზაციის საზიანოდ და სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს ყველა სხვა პირის უფლებები, მოვალეობები და შესაბამისი ინტერესები.

მუხლი 7

გადაწყვეტილების მიღებისას საჯარო მოხელემ უნდა იმოქმედოს კანონიერად, განახორციელოს მისი დისკრეციული უფლებამოსილებები მიუკერძოებლად და გაითვალისწინოს მხოლოდ შესაბამისი გარემოებები.

მუხლი 8

1. საჯარო მოხელემ არ უნდა დაუშვას საკუთარი პირადი ინტერესების კონფლიქტი მის საჯარო პოზიციასთან. საჯარო მოხელე პასუხისმგებელია, რომ თავიდან აიცილოს რეალური, პოტენციური ან აშკარა ინტერესთა კონფლიქტი.

2. საჯარო მოხელემ არასდროს უნდა მიიღოს გაუმართლებელი სარგებელი პირადი ინტერესისთვის მისი თანამდებობრივი პოზიციიდან გამომდინარე.

მუხლი 9

საჯარო მოხელე ვალდებულია ისე მოიქცეს, რომ შენარჩუნდეს და გაძლიერდეს საზოგადოების ნდობა და რწმენა საჯარო სამსახურის პატიოსნების, მიუკერძოებლობის და ეფექტიანობის მიმართ.

მუხლი 10

საჯარო მოხელე ანგარიშვალდებულია მისი უშუალო იერარქიული ხელმძღვანელის მიმართ, თუ კანონით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

მუხლი 11

ოფიციალურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების გათვალისწინებით და საჭირო კონფიდენციალობის დაცვით, საჯარო მოხელე ვალდებულია შესაბამისად მოეპყროს ნებისმიერ ინფორმაციას და დოკუმენტს, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის მისი სამსახურის პერიოდში ან ასეთი სამსახურის შედეგად.

მუხლი 12 – ანგარიშგება

1. საჯარო მოხელემ, რომელიც თვლის, რომ მას მოეთხოვება უკანონო, არასათანადო ან არაეთიკური მოქმედება, რომელიც მოიცავს არაეფექტიან ადმინისტრირებას ან რომელიც სხვაგვარად არ შეესაბამება ამ კოდექსს, უნდა წარადგინოს ინფორმაცია ასეთ საკითხზე კანონის შესაბამისად.

2. საჯარო მოხელემ კანონის შესაბამისად უნდა წარუდგინოს ინფორმაცია კომპეტენტურ ორგანოებს, თუ მისთვის ცნობილი გახდება სხვა საჯარო მოხელეების მიერ ამ კოდექსის დარღვევის შესახებ.

3. საჯარო მოხელეს, რომელმაც კანონის შესაბამისად წარადგინა ინფორმაცია ნებისმიერ ზევით აღნიშნულ ფაქტზე და რომელიც თვლის, რომ მასზე რეაგირება ვერ აკმაყოფილებს მის მოლოდინს, შეუძლია წარუდგინოს წერილობითი ანგარიში ამ საქმის შესახებ საჯარო სამსახურის შესაბამის ხელმძღვანელს.

4. თუ საქმის გადაწყვეტა შეუძლებელია საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების და საჩივრების მეშვეობით ისე, რომ ასეთი გადაწყვეტა დამაკმაყოფილებელი იყოს დაინტერესებული საჯარო მოხელისთვის, მან უნდა შეასრულოს მისთვის მიცემული კანონიერი ინსტრუქცია.

5. საჯარო მოხელემ კომპეტენტურ ორგანოებს უნდა წარუდგინოს ინფორმაცია საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ნებისმიერი მტკიცებულების, ბრალდების ან ეჭვის შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდება მისი სამსახურის დროს ან ამის შედეგად. კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა ჩაატარონ გამოძიება მიწოდებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

6. საჯარო ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს, რომ საჯარო მოხელეს, რომელიც წარადგენს ინფორმაციას ნებისმიერი ზევით

აღნიშნული ფაქტის შესახებ მიზანშეწონილ საფუძველზე და კეთილსინდისიერად, ზიანი არ მიადგეს.

მუხლი 13 – ინტერესთა კონფლიქტი

1. ინტერესთა კონფლიქტი ნარმოიშვება ისეთ გარემოებებში, როდესაც საჯარო მოხელეს აქვს პირადი ინტერესი, რომელიც გავლენას ახდენს ან რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მისი ოფიციალური მოვალეობების მიუკერძოებლად და ობიექტურად განხორციელებაზე.

2. საჯარო მოხელის პირადი ინტერესები მოიცავს ნებისმიერ პრივილეგიას მისი და მისი ოჯახის, ახლო ნათესავების, მეგობრების, ანდა ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის სასარგებლოდ, რომელთან ერთადაც ის ბიზნესს აწარმოებს ან რომელთანაც აქვს პოლიტიკური კავშირი. ეს ასევე მოიცავს ნებისმიერ შესაბამის ფინანსურ ან სოციალურ ვალდებულებას.

3. რადგან საჯარო მოხელე ჩვეულებრივ არის ერთადერთი პირი, რომელმაც იცის, იმყოფება თუ არა ინტერესთა კონფლიქტის მდგომარეობაში, მას აკისრია პერსონალური პასუხისმგებლობა, რომ:

– ყურადღება მიაქციოს ნებისმიერ ინტერესთა ფაქტობრივ ან პოტენციურ კონფლიქტს;

– მიიღოს ზომები ასეთი კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად;

– მიაწოდოს ხელმძღვანელს ინფორმაცია ნებისმიერი ასეთი კონფლიქტის შესახებ დაუყოვნებლივ, როდესაც მისთვის ამის შესახებ ცნობილი გახდება;

– შეასრულოს ნებისმიერი საბოლოო გადაწყვეტილება, რათა გაემიჯნოს ასეთ სიტუაციას ან უარი თქვას ინტერესთა კონფლიქტის გამომწვევ სარგებელზე.

4. საჯარო მოხელე, როდესაც მას ეს მოეთხოვება, ვალდებულია მოახდინოს დეკლარირება, იმყოფება თუ არა ინტერესთა კონფლიქტის მდგომარეობაში.

5. საჯარო სამსახურში მისაღები ან ახალ პოზიციაზე დასანიშნი კანდიდატის მიერ დეკლარირებული ნებისმიერი ინტერესთა კონფლიქტი უნდა მოგვარდეს დანიშვნამდე.

მუხლი 14 – ინტერესების დეკლარირება

საჯარო მოხელემ, რომელიც იკავებს ისეთ თანამდებობას, რომელზე სამსახურის დროსაც მის პირად ან კერძო ინტერესებზე სავარაუდოდ გავლენას მოახდენს მისი ოფიციალური მოვალეობები, კანონის მოთხოვნების შესაბამისად, დანიშვნისას და ამის შემდეგ რეგულარულად და ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, უნდა

განაცხადოს ამ ინტერესების ხასიათის და მასშტაბის შესახებ.

მუხლი 15 – შეუთავსებელი გარე ინტერესები

1. საჯარო მოხელე არ უნდა ჩაერთოს ნებისმიერ საქმიანობაში ან გარიგებაში და არ უნდა დაიკავოს ნებისმიერი პოზიცია ან შეიძინოს ნებისმიერი ფუნქცია, როგორც ანაზღაურებადი, ისე არაანაზღაურებადი, რომელიც შეუთავსებელია მისი, როგორც საჯარო მოხელის მოვალეობებთან ან რომელიც მას ხელს შეუშლის საჯარო მოხელის ფუნქციების სათანადოდ შესრულებაში. როდესაც ნათელი არ არის, შეესაბამება თუ არა ასეთი საქმიანობა საჯარო მოხელის ფუნქციებს, მან უნდა მიიღოს კონსულტაცია ზემდგომი პირისგან.

2. კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად საჯარო მოხელეს უნდა მოეთხოვებოდეს, რომ აცნობოს თავის დამქირავებელს საჯარო სამსახურის ფარგლებს გარეთ გარკვეული ანაზღაურებადი ან არაანაზღაურებადი საქმიანობის განხორციელების, გარკვეული პოზიციის მიღების ან ფუნქციების შეძენის შესახებ და მიიღოს შესაბამისი თანხმობა.

3. საჯარო მოხელემ უნდა შეასრულოს ნებისმიერი კანონიერი მოთხოვნა რომელიმე ორგანიზაციის წევრობის ან ორგანიზაციაში განევრიანების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მას საჯარო მოხელის მოვალეობების სათანადოდ განხორციელებაში ან მისი ყურადღება საჯარო მოხელის პოზიციიდან სხვა საკითხზე გადაიტანოს.

მუხლი 16 – პოლიტიკური ან საჯარო საქმიანობა

1. ფუნდამენტური და კონსტიტუციური უფლებების პატივისცემის გათვალისწინებით, საჯარო მოხელემ ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ მისმა პოლიტიკურმა საქმიანობამ ან პოლიტიკურ და საჯარო დებატებში ჩართულობამ ხელი არ შეუშალოს საზოგადოების და მისი დამსაქმებლის ნდობას მის მიერ საკუთარი მოვალეობების მიუკერძოებლად და ერთგულად განხორციელების შესაძლებლობის მიმართ.

2. საკუთარი მოვალეობების განხორციელებისას საჯარო მოხელემ საკუთარ თავს არ უნდა მისცეს უფლება, რომ გამოყენებული იქნეს პარტიული პოლიტიკური მიზნებისთვის.

3. საჯარო მოხელე უნდა დაემორჩილოს პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა შეზღუდვას, რომელიც დანესებულია კანონით საჯარო მოხელეების გარკვეული კატეგორიებისთვის მათი თანამდებობიდან ან მათი მოვალეობების ხასიათიდან გამომდინარე.

მუხლი 17 – საჯარო მოხელის პირადი ცხოვრების დაცვა

მიღებული უნდა იქნეს ყველა საჭირო ზომა საჯარო მოხელის

პირადი ცხოვრების სათანადო პატივისცემის უზრუნველსაყოფად; შესაბამისად, დაცული უნდა იქნეს ამ კოდექსის შესაბამისად დეკლარირებული ინფორმაციის კონფიდენციალობა, თუ კანონით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

მუხლი 18 – საჩუქრები

1. საჯარო მოხელემ არ უნდა მოითხოვოს ან მიიღოს საჩუქარი, პრივილეგია, მასპინძლობა ან ნებისმიერი სხვა სარგებელი პირადი ინტერესით, საკუთარი ოჯახის, ახლო ნათესავების, მეგობრების ანდა იმ პირების ან ორგანიზაციების სასარგებლოდ, რომლებთან ერთადაც ის ანარმოებდა ან აწარმოებს ბიზნესს ან რომლებთანაც აქვს პოლიტიკური კავშირი, რაც გავლენას ახდენს ან რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მისი მოვალეობების მიუკერძოებლად განხორციელებაზე ან რაც შესაძლოა წარმოადგენდეს ჯილდოს მის მოვალეობებთან დაკავშირებით. ეს არ მოიცავს ტრადიციულ სტუმართმოყვარეობას ან მცირე საჩუქრებს.

2. თუ საჯარო მოხელე ვერ იღებს გადანყვეტილებას, შეუძლია თუ არა ისარგებლოს სტუმართმოყვარეობით ან მიიღოს საჩუქარი, მან უნდა მიიღოს რჩევა ზემდგომი პირისგან.

მუხლი 19 – არასათანადო შეთავაზებაზე რეაგირება

თუ საჯარო მოხელეს სთავაზობენ გაუმართლებელ სარგებელს, მან საკუთარი თავის დასაცავად უნდა მიიღოს შემდეგი ზომები:

– უარი თქვას გაუმართლებელ სარგებელზე; არ არსებობს მისი მიღების საჭიროება მტკიცებულებად გამოყენების მიზნით;

– ეცადოს იმ პირის იდენტიფიცირებას, რომელმაც შესთავაზა ასეთი სარგებელი;

– თავიდან აიცილოს გრძელვადიანი კონტაქტები, თუმცა, შეთავაზების მიზეზის ცოდნა გამოდგება მტკიცებულებისთვის;

– თუ საჩუქარზე უარის თქმა ან მისი გამცემისთვის უკან დაბრუნება შეუძლებელია, ის შენახული უნდა იქნეს, თუმცა, მისი გამოყენება მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს;

– შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა გამოძებნოს მონმეები, როგორებიც არიან მის სიახლოვეს მომუშავე კოლეგები;

– შეძლებისდაგვარად სწრაფად მოამზადოს ნერილობითი ანგარიში ასეთი მცდელობის შესახებ, სასურველია სამსახურებრივ კომპიუტერში;

– შეძლებისდაგვარად სწრაფად აცნობოს ასეთი მცდელობის შესახებ უშუალო ხელმძღვანელს ან შესაბამის სამართალდამცავ ორგანოს;

– გააგრძელოს ნორმალურ რეჟიმში მუშაობა, განსაკუთრებით იმ საქმეზე, რომელთან დაკავშირებითაც შეთავაზებული იქნა გაუმართლებელი სარგებელი.

მუხლი 20 – სხვების გავლენის ქვეშ მოქცევა

საჯარო მოხელემ არ უნდა დაუშვას, რომ ალმოჩნდეს ისეთ მდგომარეობაში, როდესაც ის მოვალეა ნებისმიერ პირს ან ორგანიზაციას დაუბრუნოს სამაგიერო სარგებელი. საკუთარი მოვალეობების განხორციელებისას და პირადი ცხოვრების ფარგლებში საჯარო მოხელე არ უნდა მოიქცეს ისე, რომ სხვა პირების არასათანადო გავლენის ქვეშ მოექცეს.

მუხლი 21 – თანამდებობის ბოროტად გამოყენება

1. საჯარო მოხელემ არ უნდა მოახდინოს უპირატესობის შეთავაზება ან მინიჭება ნებისმიერი ისეთი გზით, რომელიც დაკავშირებულია მისი საჯარო მოხელის პოზიციასთან, თუ მას არ გააჩნია ასეთი კანონიერი უფლებამოსილება.

2. საჯარო მოხელე არ უნდა ეცადოს, რომ პირადი მიზნებისთვის გავლენა მოახდინოს ნებისმიერ პირზე ან ორგანიზაციაზე, მათ შორის, სხვა საჯარო მოხელეებზე, საკუთარი ოფიციალური თანამდებობის გამოყენებით ან მათთვის პირადი სარგებელის შეთავაზებით.

მუხლი 22 – საჯარო ხელისუფლების მფლობელობაში არსებული ინფორმაცია

1. საჯარო ხელისუფლების მფლობელობაში არსებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესახებ ეროვნული კანონმდებლობით უზრუნველყოფილი ჩარჩოს გათვალისწინებით, საჯარო მოხელემ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია მხოლოდ იმ წესებისა და მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ვრცელდება იმ ორგანიზაციაზე, რომლის მიერაც არის ის დაქირავებული.

2. საჯარო მოხელემ უნდა მიიღოს სათანადო ზომები იმ ინფორმაციის უსაფრთხოების და კონფიდენციალობის დასაცავად, რომელზე პასუხისმგებლობაც მას აკისრია ან რომელიც მისთვის ცნობილი გახდა.

3. საჯარო მოხელე არ უნდა ეცადოს ისეთი ინფორმაციის მიღებას, რომლის ფლობაც მისთვის მიზანშეწონილი არ არის. საჯარო მოხელემ არასათანადოდ არ უნდა გამოიყენოს ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მიღებული იქნეს მის მიერ საჯარო სამსახურის დროს ან ამის შედეგად.

4. საჯარო მოხელე თანაბრად ვალდებულია, რომ გაავრცელოს ოფიციალური ინფორმაცია, რომელიც სათანადოდ უნდა გასაჯაროვდეს

და არ გაავრცელოს ისეთი ინფორმაცია, რომელთან დაკავშირებითაც მას აქვს მიზანშეწონილი საფუძველი მიიჩნიოს, რომ ეს ინფორმაცია ყალბია ან შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს მიმღები.

მუხლი 23 – საჯარო და ოფიციალური რესურსები

საჯარო მოხელემ საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას უნდა უზრუნველყოს, რომ ერთი მხრივ პერსონალი და მეორე მხრივ საჯარო ქონება, შენობები, მომსახურება და ფინანსური რესურსები, რომლებიც მისთვის არის მინდობილი, იმართება და გამოიყენება ეფექტურად, ეფექტიანად და ეკონომიურად. ისინი არ უნდა იქნეს გამოყენებული პირადი მიზნებისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს კანონიერად არის ნებადართული.

მუხლი 24 – კეთილსინდისიერების შემოწმება

1. საჯარო მოხელემ, რომელსაც აკისრია კადრების შერჩევის, დანინაურების ან დანიშვნის პასუხისმგებლობა, უნდა უზრუნველყოს კანდიდატის კეთილსინდისიერების სათანადოდ შემოწმება კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

2. თუ ნებისმიერი ასეთი შემოწმების შედეგად საჯარო მოხელე ვერ იღებს გადაწყვეტილებას შემდგომი მოქმედების შესახებ, მან უნდა მიიღოს შესაბამისი კონსულტაცია.

მუხლი 25 – სამეთვალყურეო ანგარიშვალდებულება

1. საჯარო მოხელემ, რომელიც მეთვალყურეობს ან ხელმძღვანელობს სხვა საჯარო მოხელეებს, ეს ფუნქცია უნდა განახორციელოს იმ საჯარო ხელისუფლების პოლიტიკისა და მიზნების შესაბამისად, რომლისთვისაც ის მუშაობს. ის პასუხისმგებელი უნდა იყოს მისი იმ პერსონალის ქმედებაზე და უმოქმედობაზე, რომელიც არ შეესაბამება ამ პოლიტიკასა და მიზნებს, თუ მას არ მიუღია ისეთი სათანადო ზომები, რომელთა განხორციელებაც მოეთხოვება მის პოზიციაზე მყოფ პირს და რომლებიც საჭიროა ასეთი ქმედების ან უმოქმედობის თავიდან ასაცილებლად.

2. საჯარო მოხელემ, რომელიც ზედამხედველობს ან ხელმძღვანელობს სხვა საჯარო მოხელეებს, უნდა მიიღოს მიზანმეწონილი ზომები, რათა თავიდან აიცილოს მისი პერსონალის მიერ მის საქმიანობასთან დაკავშირებული კორუფციული ქმედებების განხორციელება. ეს ზომები შეიძლება მოიცავდეს ნესებისა და რეგულაციების აქცენტირებას და გაძლიერებას, შესაბამისი განათლების ან ტრენინგების უზრუნველყოფას, პერსონალის ფინანსური ან სხვა სახის სირთულეებისთვის დამახასიათებელი ნიშნებისთვის ყურადღების მიქცევას და საკუთარი ქცევით პერსონალისთვის პატიოსნებისა და

კეთილსინდისიერების მაგალითის მიცემას.

მუხლი 26 – საჯარო სამსახურის დატოვება

1. საჯარო მოხელემ თავისი სამსახურისგან არ უნდა მიიღოს გაუმართლებელი სარგებელი საჯარო სამსახურის ფარგლებს გარეთ დანიშვნის შესაძლებლობის მისაღებად.

2. საჯარო მოხელემ არ უნდა დაუშვას, რომ სხვაგან დასაქმების პერსპექტივამ წარმოშვას ფაქტობრივი, პოტენციური ან აშკარა ინტერესთა კონფლიქტი. მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მის უშუალო ხელმძღვანელს დასაქმების ნებისმიერი შეთავაზების შესახებ, რომელმაც შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი. მან ასევე უნდა აცნობის ზემდგომ პირს მის მიერ დასაქმების ნებისმიერი შეთავაზების მიღების შესახებ.

3. კანონის შესაბამისად, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ყოფილმა საჯარო მოხელემ არ უნდა იმოქმედოს ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის სასარგებლოდ იმ ნებისმიერ საქმესთან დაკავშირებით, რომელზედაც ის მუშაობდა ან რომელზედაც მან კონსულტაცია გაუნია საჯარო სამსახურს და რაც გამოიწვევს ამ პირის ან ორგანიზაციის მიერ სარგებელის მიღებას.

4. ყოფილმა საჯარო მოხელემ არ უნდა გამოიყენოს და არ უნდა გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა საჯარო სამსახურის პერიოდში, თუ მას კანონით მინიჭებული არ აქვს ასეთი უფლება.

5. საჯარო მოხელე უნდა დაემორჩილოს ნებისმიერ კანონით დადგენილ წესებს, რომლებიც მასზე ვრცელდება და რომლებიც ეხება საჯარო სამსახურის დატოვებისას ახალ დანიშვნაზე თანხმობას.

მუხლი 27 – ყოფილ საჯარო მოხელეებთან მოპყრობა

საჯარო მოხელემ ყოფილი საჯარო მოხელეები არ უნდა უზრუნველყოს პრიორიტეტული მოპყრობით და საჯარო სამსახურზე პრივილეგირებული ხელმისაწვდომობით.

მუხლი 28 – ამ კოდექსის დაცვა და სანქციები

1. ეს კოდექსი გამოცემულია საჯარო სამსახურის მინისტრის ან ხელმძღვანელის უფლებამოსილებით. საჯარო მოხელე ვალდებულია მოიქცეს ამ კოდექსის შესაბამისად და ამიტომ ის მუდმივად ინფორმირებული უნდა იყოს მისი დებულებების და ნებისმიერი შესწორების შესახებ. საჯარო მოხელე უნდა ეცადოს, რომ მიიღოს რჩევა სათანადო ნყაროდან, როდესაც არ იცის, როგორ მოიქცეს.

2. მე-2 მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად ამ კოდექსის დებულებები წარმოადგენს საჯარო მოხელის სამსახურის პირობების

ნაწილს. მათმა დარღვევამ შესაძლოა გამოინვიოს დისციპლინური ზომების მიღება.

3. საჯარო მოხელემ, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებას დაქირავების პირობებზე, ამ პირობებში უნდა ჩართოს დებულება, რომლითაც მოთხოვნილი იქნება ამ კოდექსის დაცვა და აღნიშნული იქნება, რომ ის წარმოადგენს ამ პირობების განუყოფელ ნაწილს.

4. საჯარო მოხელე, რომელიც ზედამხედველობს ან ხელმძღვანელობს სხვა საჯარო მოხელეებს, პასუხისმგებელია აკონტროლოს, რომ ისინი იცავენ ამ კოდექსს და მისი დარღვევის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი დისციპლინური ზომები ან მოახდინოს ასეთი ზომების მიღების ინიცირება.

5. საჯარო ადმინისტრაციამ რეგულარულად უნდა განიხილოს ამ კოდექსის დებულებები.

დანართი №7

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ “ მიღებულია და ღიაა ხელმოსაწერად, სარატიფიკაციოდ და მისაერთებლად გენერალური ასამბლეის 1984 წ. 10 დეკემბრის 39/46 რეზოლუციით

ამ კონვენციის მხარე-სახელმწიფოები, მხედველობაში იღებენ რა, რომ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში განცხადებული პრინციპების თანახმად, ადამიანთა ოჯახის ყველა წევრის თანასწორ და ხელშეუვალ უფლებათა აღიარება წარმოადგენს მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის საფუძველს, აღიარებენ რა, რომ ეს უფლებანი გამომდინარეობს ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელი თანდაყოლილი ღირსებიდან, მხედველობაში იღებენ რა სახელმწიფოთა მიერ წესდების, კერძოდ მისი 55-ე მუხლის, მიხედვით ნაკისრ ვალდებულებას, ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემასა და დაცვას, ითვალისწინებენ რა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციის მე-5 მუხლს და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლს, რომელთაგანაც ორივე ითვალისწინებს, რომ არავინ არ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს, ითვალისწინებენ რა აგრეთვე დეკლარაციას ნამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელისაგან ყველა პირის დაცვის შესახებ, მიღებულს გენერალური ასამბლეის მიერ 1975 წლის 9 დეკემბერს, მონადინებულნი, უფრო ეფექტიანი გახადონ ბრძოლა წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ მთელს მსოფლიოში, შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I

მუხლი 1

1. ამ კონვენციის მიზნებისათვის, ტერმინი „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც ამა თუ იმ პირს განზრახ მიეყენება

ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, ფიზიკური ან სულიერი, ისეთი მიზნებით, როგორიცაა მისგან ამ მესამე პირისგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილია, ან მისი ან მესამე პირის დაშინება ან იძულება, ან ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ნებისმიერი მიზეზით, როდესაც ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი ნაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით. იგი არ მოიცავს ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც მხოლოდ კანონიერი სანქციების შედეგად წარმოიქმნება, არსებითად განუყოფელია მათგან, ან მათი თანმდევია.

2. ეს მუხლი ზიანს არ აყენებს რომელიმე საერთაშორისო დოკუმენტს ან ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც შეიცავს ან შეიძლება შეიცავდეს დებულებებს უფრო ფართო გამოყენების თაობაზე.

მუხლი 2

1. თითოეული მხარე-სახელმწიფო ღებულობს ქმედით საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სასამართლო ან სხვა სახის ზომებს, რათა თავიდან აიცილოს წამების აქტები მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ნებისმიერ ტერიტორიაზე.

2. არანაირი სახის განსაკუთრებული გარემოება, იქნება ეს ომის მდგომარეობა ან ომის საფრთხე, შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა თუ ნებისმიერი სხვა სახის საგანგებო ვითარება, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წამების გასამართლებლად.

3. ზემდგომი თანამდებობის პირის ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ბრძანება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წამების გასამართლებლად.

მუხლი 3

1. არც ერთმა მხარე-სახელმწიფომ არ უნდა მოახდინოს პირის გაძევება, დაბრუნება („refouler") ან ექსტრადიცია სხვა სახელმწიფოში, როდესაც არსებობს სერიოზული საფუძველი იმის საფიქრალად, რომ იქ მის მიმართ წამება შეიძლება იქნეს გამოყენებული.

2. იმის დასადგენად, არსებობს თუ არა ამგვარი საფუძველი, კომპეტენტური ორგანოები მხედველობაში იღებენ საქმესთან კავშირის მქონე ყველა გარემოებას, მათ შორის, როდესაც ეს მიზანშეწონილია, მოცემულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა უხეში, აღმაშფოთებელი ან მასობრივი დარღვევების მუდმივი პრაქტიკის არსებობას.

მუხლი 4

1. თითოეული მხარე-სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ წამების ყველა აქტი მისი სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით განიხილებოდეს, როგორც დანაშაულები. იგივე შეეხება წამების აქტის ჩადენის მცდელობასა და ნებისმიერი პირის ქმედებას, რომელიც წამებაში თანამონაწილეობას ან მონაწილეობას წარმოადგენს.

2. თითოეული მხარე-სახელმწიფო აწესებს სათანადო სასჯელებს ამგვარი დანაშაულებისთვის, მათი მძიმე ხასიათის გათვალისწინებით.

მუხლი 5

1. თითოეული მხარე-სახელმწიფო ღებულობს იმგვარ ზომებს, როგორიც აუცილებელი შეიძლება აღმოჩნდეს, საკუთარი იურისდიქციის დასამყარებლად მე-4 მუხლში მოხსენიებულ დანაშაულებზე შემდეგ შემთხვევებში:

(ა) როდესაც დანაშაულები ჩადენილია მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ რომელიმე ტერიტორიაზე, ან მოცემულ სახელმწიფოში რეგისტრირებული გემის ან საფრენი აპარატის ბორტზე;

(ბ) როდესაც სავარაუდო დამნაშავე მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეა;

(გ) როდესაც მსხვერპლი მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეა, თუკი მოცემული სახელმწიფო ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

2. თითოეული მხარე-სახელმწიფო ანალოგიურად ღებულობს იმგვარ ზომებს, როგორიც აუცილებელი შეიძლება აღმოჩნდეს, საკუთარი იურისდიქციის დასამყარებლად ამგვარ დანაშაულებზე იმ შემთხვევებში, როდესაც სავარაუდო დამნაშავე იმყოფება მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ რომელიმე ტერიტორიაზე და იგი არ ახდენს მის ექსტრადაციას მე-8 მუხლის მიხედვით რომელიმე სახელმწიფოში, რომელიც ამ მუხლის 1-ლ პუნქტშია მოხსენიებული.

3. ეს კონვენცია არ გამორიცხავს რომელიმე სისხლის სამართლებრივ იურისდიქციას, განხორციელებულს შიდა კანონმდებლობის თანახმად.

მუხლი 6

1. დარწმუნდება რა, მის ხელთ არსებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, რომ გარემოებანი ამას ამართლებს, ნებისმიერი მხარე-სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება მე-4 მუხლში მოხსენიებული რომელიმე დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი, პატიმრობაში აიყვანს მას ან მიიღებს სხვა სამართლებრივ ზომებს მისი იქ ყოფნის უზრუნველსაყოფად. პატიმრობა და სხვა

სამართლებრივი ზომები ხორციელდება იმგვარად, როგორც ეს ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, მაგრამ შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ იმ დროის განმავლობაში, რომელიც აუცილებელია სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად ან ექსტრადაციის პროცედურის დასაწყებად.

2. ამგვარი სახელმწიფო დაუყოვნებლივ აწარმოებს ფაქტების წინასწარ გამოძიებას.

3. ნებისმიერ პირს, პატიმრობაში მყოფს ამ მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, დახმარება აღმოეჩინება კონტაქტის დაუყოვნებლივ დამყარებაში უახლოეს შესაბამის წარმომადგენელთან ან სახელმწიფოსი, რომლის მოქალაქეც იგი არის, ან, თუ იგი მოქალაქეობის არმქონე პირია, იმ სახელმწიფოს წარმომადგენელთან, რომელშიც იგი ჩვეულებრივ ცხოვრობს.

4. როდესაც სახელმწიფოს, ამ მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, პირი პატიმრობაში აჰყავს, იგი დაუყოვნებლივ აცნობებს მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტში მოხსენიებულ სახელმწიფოებს იმ ფაქტის შესახებ, რომ ამგვარი პირი პატიმრობაში იმყოფება, და იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მის დაკავებას ამართლებს. სახელმწიფო, რომელიც ანარმოებს ამ მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებულ წინასწარ გამოძიებას, დაუყოვნებლივ ატყობინებს მის მიერ მოპოვებული მონაცემების თაობაზე ხსენებულ სახელმწიფოებს და მიუთითებს, აპირებს თუ არა იგი იურისდიქციის განხორციელებას.

მუხლი 7

1. მხარე-სახელმწიფო, რომლის იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზეც აღმოჩენილია მე-4 მუხლში მოხსენიებული რომელიმე დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი, მე-5 მუხლში გათვალისწინებულ რომელიმე დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი, მე-5 მუხლში გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ იგი ამ პირის ექსტრადაციას არ ახდენს, საქმეს გადასცემს თავის კომპეტენტურ ორგანოებს სასამართლო დევნის მიზნით.

2. ეს ორგანოები გადაწყვეტილებას ღებულობენ იმგვარადვე, როგორც სერიოზული ხასიათის მქონე ჩვეულებრივი დანაშაულის შემთხვევაში ამ სახელწიფოს კანონმდებლობის მიხედვით. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში მოხსენიებულ შემთხვევებში, მოთხოვნები იმ მტკიცებულებათა მიმართ, რომლებიც სასამართლო დევნისა და მსჯავრის დადებისთვის არის აუცილებელი, არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ნაკლებად მკაცრი, ვიდრე მოთხოვნები, რომლებიც მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტში მოხსენიებულ შემთხვევებში გამოიყენება.

3. ნებისმიერი პირისათვის, რომლის მიმართაც მიმდინარეობს საქმის გარჩევა მე-4 პუნქტში მოხსენიებულ რომელიმე დანაშაულთან დაკავშირებით, გარანტირებულია სამართლიანი მოპყრობა საქმის გარჩევის ეტაპზე.

მუხლი 8

1. მე-4 მუხლში მოხსენიებული დანაშაულები ითვლება შეტანილად, როგორც ექსტრადიციის გამომწვევი დანაშაულები, მხარე-სახელმწიფოთა შორის არსებულ ნებისმიერ ხელშეკრულებაში ექსტრადიციის შესახებ. მხარე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, შეიტანონ ამგვარი დანაშაულები, როგორც ექსტრადიციის გამომწვევი დანაშაულები ყველა ხელშეკრულებაში ექსტრადიციის შესახებ, რომელიც მათ შორის დაიდება.

2. თუ მხარე სახელმწიფო, რომელიც ექსტრადიციას ხელშეკრულების არსებობით განაპირობებს, მიიღებს ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნას სხვა მხარე-სახელმწიფოსაგან, რომელთანაც მას დადებული არა აქვს ხელშეკრულება ექსტრადიციის შესახებ, მას შეუძლია, ეს კონვენცია განიხილოს სამართლებრივ ბაზად ექსტრადიციისათვის ამგვარ დანაშაულებთან მიმართებაში. ექსტრადიცია ექვემდებარება სხვა პირობებს, გათვალისწინებულს მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით.

3. მხარე-სახელმწიფოები, რომლებიც ექსტრადიციის ხელშეკრულების არსებობით არ განაპირობებენ, ერთმანეთს შორის ურთიერთობისას აღიარებენ ამგვარ დანაშაულებს ექსტრადიციის გამომწვევ დანაშაულებად იმ პირობის მიხედვით, რომლებიც გათვალისწინებულია მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით.

4. ამგვარი დანაშაულები, მხარე-სახელმწიფოთა შორის ექსტრადიციის მიზნისათვის, განიხილება იმგვარად, თითქოს ისინი ჩადენილი იყოს არა მხოლოდ იმ ადგილას, სადაც ისინი მოხდა, არამედ აგრეთვე იმ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე, რომლებსაც მოეთხოვებათ, დაამყარონ საკუთარი იურისდიქცია მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად.

მუხლი 9

1. მხარე-სახელმწიფოები უწევენ ერთმანეთს რაც შეიძლება ფართო დახმარებას მე-4 მუხლში მოხსენიებული დანაშაულების მიმართ აღძრულ ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, მათ ხელთ არსებული ყველა იმ მტკიცებულებების მინოდების ჩათვლით, რომლებიც სასამართლო გარჩევისთვის არის აუცილებელი.

2. მხარე-სახელმწიფოები თავიანთ ვალდებულებებს ამ მუხლის I პუნქტის მიხედვით ასრულებენ სასამართლო ურთიერთდახმარების შესახებ ნებისმიერ იმ ხელშეკრულებათა შესაბამისად, რომლებიც მათ შორის შეიძლება იყოს დადებული.

მუხლი 10

1. თითოეული მხარე-სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ წამების აკრძალვასთან დაკავშირებული სასწავლო მასალები და ინფორმაცია სრულად იყოს შეტანილი სამართალმასრულებელი ორგანოების პერსონალის, სამოქალაქო ან სამხედრო, სამედიცინო პერსონალის, სახელმწიფო თანამდებობის პირებისა და იმ სხვა პირების მომზადების პროგრამებში, ვისაც კავშირი შეიძლება ჰქონდეთ ამა თუ იმ პიროვნების თავისუფლების აღკვეთასთან, დაკითხვასთან ან მოპყრობასთან, ვის მიმართაც დაპატიმრების, დაკავების ან ციხეში მოთავსების ესა თუ ის ფორმა გამოიყენება.

2. თითოეულ მხარე-სახელმწიფოს შეაქვს ეს აკრძალვა ნებისმიერი ამგვარი პირის მოვალეობებსა და ფუნქციებთან დაკავშირებით გამოცემულ წესებში ან ინსტრუქციებში.

მუხლი 11

თითოეული მხარე-სახელმწიფო სისტემატურად განიხილავს დაკითხვის წესებს, ინსტრუქციებს, მეთოდებსა და პრაქტიკას, და აგრეთვე ღონისძიებებს, გატარებულს იმ პირთა თავისუფლების აღკვეთასთან და მოპყრობასთან დაკავშირებით, ვის მიმართაც დაპატიმრების, დაკავების ან ციხეში მოთავსების ესა თუ ის ფორმა გამოიყენება მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ რომელიმე ტერიტორიაზე, წამების ნებისმიერი შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით.

მუხლი 12

თითოეული მხარე-სხელმწიფო უზრუნველყოფს, რომ მისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა ჩაატარონ სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიება, როდესაც არსებობს გონივრული საფუძველი იმის საფიქრალად, რომ წამების აქტია ჩადენილი მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ რომელიმე ტერიტორიაზე.

მუხლი 13

თითოეული მხარე-სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერ პიროვნებას, ვინც აცხადებს, რომ მის მიმართ გამოყენებული იქნა წამება ამ სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ რომელიმე ტერიტორიაზე, უფლება ჰქონდეს, საჩივრით მიმართოს და თავისი საქმე სწრაფად და მიუკერძოებლად განახილვინოს მის კომპეტენტურ ორგანოებს. მიღებულ უნდა იქნას ზომები იმის უზრუნველსაყოფად,

რომ მომჩივანი და მოწმეები დაცულნი იყვნენ ცუდი მოპყრობის ან დაშინებისაგან, რაც შედგება მის საჩივრის ან ნებისმიერი მიცემული ჩვენებისა.

მუხლი 14

1. თითოეული მხარე-სახელმწიფო უზრუნველყოფს თავის სამართლებრივ სისტემაში, რომ წამების აქტის მსხვერპლმა მიიღოს ანაზღაურება და ჰქონდეს სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაციის სამართლებრივად აღსრულებადი უფლება, რაც შეიძლება სრული რეაბილიტაციისთვის საჭირო სახსრების ჩათვლით. წამების აქტის მსხვერპლის სიკვდილის შემთხვევაში კომპენსაციის მიღების უფლება მის კმაყოფაზე მყოფთ ეძლევათ.

2. არაფერი იმ მუხლში ზეგავლენას არ ახდენს მსხვერპლის ან სხვა პირების უფლებაზე კომპენსაციის მიღებაზე, რომელიც ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით შეიძლება არსებობდეს.

მუხლი 15

თითოეული მხარე-სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი განცხადება, რომელიც, როგორც დადგინდა, გაკეთებულია წამების შედეგად, გამოყენებული არ იქნეს მტკიცებულებად რომელიმე სასამართლო გარჩევაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი წამებაში ბრალდებული პირის წინააღმდეგ გამოიყენება როგორც მტკიცებულება იმისა, რომ განცხადება გაკეთებული იქნა.

მუხლი 16

1. თითოეული მხარე-სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობს, თავიდან აიცილოს მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ნებისმიერ ტერიტორიაზე სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის სხვა აქტები, რომლებიც ტოლფასი არ არის წამებისა, როგორც იგი 1-ლ მუხლშია განსაზღვრული, როდესაც ამგვარი აქტები ჩადენილია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით. კერძოდ, მე-10, მე-11, მე-12 და მე-13 მუხლებში შემავალი ვალდებულებები გამოიყენება მათში წამების მოხსენიების შეცვლით სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის სხვა ფორმების მოხსენიებით.

2. ამ კონვენციის დებულებები ზიანს არ აყენებს დებულებებს რომელიმე სხვა საერთაშორისო დოკუმენტის ან ეროვნული კანონმდებლობისა, რომელიც სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს კრძალავს, ან რომელიც ექსტრადიციას ან გაძევებას შეეხება.

ნაწილი II
მუხლი 17

1. იქმნება კომიტეტი წამების წინააღმდეგ (შემდგომში „კომიტეტად“ წოდებული), რომელიც ასრულებს ქვემოთ გათვალისწინებულ ფუნქციებს. კომიტეტი შედგება ადამიანის უფლებათა დარგში მაღალი მორალური რეპუტაციისა და აღიარებული კომპეტენტურობის მქონე ათი ექსპერტისგან, რომლებიც თავიანთ პერსონალურ რანგში მოქმედებენ. ექსპერტებს ირჩევენ მხარე-სახელმწიფოები, რის დროსაც მხედველობაში მიიღება სამართლიანი გეოგრაფიული განაწილება და იურიდიული გამოცდილების მქონე რამდენიმე პირის მონაწილეობის მიზანშეწონილობა.

2. კომიტეტის წევრთა არჩევა ხდება ფარული კენჭისყრით, მხარე-სახელმწიფოთა მიერ დასახელებული პირების სიიდან. თითოეულ მხარე-სახელმწიფოს შეუძლია დასახელოს ერთი თავისი საკუთარი მოქალაქეების რიცხვიდან. მხარე-სახელმწიფოები ითვალისწინებენ მიზანშეწონილობას იმ პირთა დასახელებისა, რომლებიც არიან აგრეთვე სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მიხედვით დაარსებული ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრები და რომლებიც სურვილს გამოთქვავენ, იმუშაონ კომიტეტში წამების წინააღმდეგ.

3. კომიტეტის წევრთა არჩევნები ტარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერ მოწვეულ თათბირებზე, რომლებიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება. ამ თათბირებზე, რომლებისთვისაც კვორუმი მხარე-სახელმწიფოთა ორ მესამედს შეადგენს, კომიტეტის წევრებად აირჩევიან პირები, რომლებიც მიიღებენ ხმათა ყველაზე დიდ რაოდენობასა და მხარე სახელმწიფოთა დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე წარმომადგენლების ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას.

4. საწყისი არჩევნები ტარდება არა უგვიანეს ექვსი თვის შემდეგ ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან. ყოველი არჩევნების თარიღამდე სულ მცირე ოთხი თვით ადრე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი წერილს უგზავნის მხარე-სახელმწიფოებს და სთავაზობს მათ, დასახელონ თავიანთი კანდიდატურები სამი თვის განმავლობაში. გენერალური მდივანი ადგენს ამგვარად დასახელებულ პირთა ანბანის რიგზე დალაგებულ სიას, მიუთითებს რა მხარეთა-სახელმწიფოებს, რომლებმაც ისინი დაასახელეს, და წარუდგენს მას მხარე-სახელმწიფოებს.

5. კომიტეტის წევრთა არჩევა ხდება ოთხთვიანი ვადით. მათ

უფლება აქვთ, ხელმეორედ იყვნენ არჩეულნი, თუ მათი კანდიდატურა ხელმეორედ დასახელდება. თუმცა, პირველ არჩევნებზე არჩეული ხუთი ნევრის უფლებამოსილებათა ვადა ინურება ორწლიანი პერიოდის ბოლოს; უშუალოდ პირველი არჩევნების შემდეგ ამ ხუთი ნევრის სახელებს ნილისყრის მეშვეობით ამოირჩევს თათბირის თავმჯდომარე, მოხსენიებული ამ მუხლის მე-3 მუხლში.

6. თუ კომიტეტის ნევრი გარდაიცვლება, გადადგება ან რაიმე სხვა მიზეზის გამო აღარ შეეძლება თავის საკომიტეტო მოვალეობათა შესრულება, მხარე-სახელმწიფო, რომელმაც იგი დაასახელა, თავის მოქალაქეთა რიცხვიდან დანიშნავს სხვა ექსპერტს მისი ვადის დანარჩენი ნაწილის განმავლობაში სამუშაოდ, მხარე-სხელმწიფოთა უმრავლესობის თანხმობის შემთხვევაში. თანხმობა მიცემულად ითვლება, თუ მხარე-სახელმნიფოთა ნახევარი ან მეტი უარყოფით პასუხს არ გასცემს ექვსი კვირის განმავლობაში მას შემდეგ, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მათ შემოთავაზებული დანიშვნის შესახებ აცნობებს.

7. მხარე-სახელმნიფოები პასუხისმგებელნი არიან კომიტეტის ნევრთა ხარჯებზე, სანამ ისინი საკომიტეტო მოვალეობებს ასრულებენ.

მუხლი 18

1. კომიტეტი თავის თანამდებობის პირებს ირჩევს ორწლიანი ვადით. ისინი ხელმეორედ შეიძლება იყვნენ არჩეულნი.

2. კომიტეტი ადგენს თავის საკუთარ საპროცედურო წესებს, მაგრამ ამ წესებში, სხვა ფაქტორებს შორის, გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ:

(ა) ექვსი ნევრი კვორუმს შეადგენს;

(ბ) გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე ნევრების ხმათა უმრავლესობით.

3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უზრუნველყოფს აუცილებელ პერსონალსა და პირობებს კომიტეტის ფუნქციათა ეფექტიანად შესრულებისთვის ამ კონვენციის მიხედვით.

4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იწვევს კომიტეტის სანყის თათბირს. თავისი საწყისი თათბირის შემდეგ კომიტეტი იკრიბება დროის ისეთი ინტერვალებით, როგორიც მის საპროცედურო წესებშია გათვალისწინებული.

5. მხარე-სახელმნიფოები პასუხისმგებელნი არიან მხარე-სახელმნიფოთა და კომიტეტის თათბირების გამართვასთან დაკავშირებით გაღებულ ხარჯებზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისთვის ნებისმიერი ისეთი ხარჯების ანაზღაურების ჩათვლით, როგორიც

არის პერსონალისა და პირობების უზრუნველყოფის ხარჯები, გაღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით.

მუხლი 19

1. მხარე-სახელმწიფოები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მეშვეობით, კომიტეტს წარუდგენენ ანგარიშებს მათ მიერ ამ კონვენციის მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მიღებული ზომების შესახებ, შესაბამისი მხარე-სახელმწიფოსათვის ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში. ამის შემდეგ მხარე სახელმწიფოები ყოველ ოთხ წელინადში ერთხელ წარადგენენ დამატებითი ანგარიშებს, როგორიც კომიტეტმა შეიძლება მოითხოვოს.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი გადაუგზავნის ამ ანგარიშებს ყველა მხარე-სახელმწიფოს.

3. თითოეული ანგარიში განიხილება კომიტეტის მიერ, რომელსც შეუძლია გააკეთოს იმგვარი ზოგადი კომენტარები ანგარიშის თაობაზე, როგორსაც იგი მიზანშეწონილად ჩათვლის, და გადაუგზავნის მათ შესაბამის მხარე-სახელმწიფოს. ამ მხარე-სახელმწიფოს შეუძლია უპასუხოს კომიტეტს ნებისმიერი შენიშვნებით, როგორსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს.

4. კომიტეტს შეუძლია, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეიტანოს ნებისმიერი კომენტარი, გაკეთებული მის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მათ შესახებ შესაბამის მხარე-სახელმწიფოთაგან მიღებულ შენიშვნებთან ერთად, თავის წლიურ ანგარიშში, გაკეთებულში 24-ე მუხლის თანახმად. თუ მას შესაბამისი მხარე-სახელმწიფო ამას მოსთხოვს, კომიტეტს შეუძლია შეიტანოს აგრეთვე ამ მუხლის I პუნქტის თანახმად წარდგენილი ანგარიშის ასლი.

მუხლი 20

1. თუ კომიტეტი მიიღებს სარწმუნო ინფორმაციას, რომელიც, მისი თვალსაზრისით, შეიცავს კარგად დასაბუთებულ მინიშნებებს ამა თუ იმ მხარე-სახელმწიფოს ტერიტორიაზე წამების სისტემატურად გამოყენების თაობაზე, კომიტეტი სთავაზობს ამ მხარე-სახელმწიფოს, ითანამშრომლოს ამ ინფორმაციის შესწავლაში და ამ მიზნით წარმოადგინოს საკუთარი შენიშვნები მოცემული ინფორმაციის თაობაზე.

2. გაითვალისწინებს რა ნებისმიერ შენიშვნებს, რომლებიც შესაბამისი მხარე-სახელმწიფოს მიერ შეიძლება იყოს წარმოდგენილი, და აგრეთვე მის ხელთ არსებულ ნებისმიერ სხვა შესაბამის

ინფორმაციას, კომიტეტს შეუძლია, თუკი იგი გადაწყვეტს, რომ ეს გამართლებულია, დანიშნოს ერთი ან რამდენიმე თავისი ნევრი კონფიდენციალური გამოძიების ჩასატარებლად და კომიტეტისთვის ანგარიშის სასნრაფოს წარსადგენად.

3. თუ ტარდება გამოძიება ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კომიტეტი ცდილობს, მიაღწიოს თანამშრომლობას შესაბამის მხარე-სახელმწიფოსთან. ამ მხარე-სახელმწიფოსთან შეთანხმებით, ამგვარ გამოძიებაში შეიძლება შევიდეს ვიზიტი მის ტერიტორიაზე.

4. მისი წევრის ან წევრების მიერ მოპოვებული, ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად წარდგენილი მონაცემების შესწავლის შემდეგ, კომისია გადაუგზავნის ამ მონაცემებს შესაბამის მხარე-სახელმწიფოს, ნებისმიერ იმ კომენტარებთან ან წინადადებებთან ერთად, რომლებიც მიზანშეწონილი ჩანს არსებული სიტუაციის გათვალისწინებით.

5. კომიტეტის მთელი მუშაობა, მოხსენიებული ამ მუხლის 1-4 პუნქტებში, კონფიდენციალური ხასიათისაა, ხოლო ამ მუშაობის ყველა ეტაპაზე საჭიროა თანამშრომლობისკენ სწრაფვა. მას შემდეგ, რაც ამგვარი მუშაობა დასრულდება მე-2 პუნქტის თანახმად ჩატარებულ გამოძიებასთან მიმართებაში, კომიტეტს შეუძლია, შესაბამის მხარე-სახელმწიფოსთან კონსულტაციების შემდეგ, მიიღოს გადაწყვეტილება, შეიტანოს ამ სამუშაოს შედეგების შემაჯამებელი ანგარიში თავის ყოველწლიურ ანგარიშში, მომზადებულში 24-ე მუხლის თანახმად.

მუხლი 21

1. ამ კონვენციის მხარე-სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს ამ მუხლის მიხედვით, რომ იგი ცნობს კომიტეტის კომპეტენციას, მიიღოს და განიხილოს შეტყობინებანი იმის თაობაზე, რომ ერთ-ერთი მხარე-სახელმწიფო ამტკიცებს, რომ მეორე მხარე-სახელმწიფო არ ასრულებს თავის ვალდებულებებს ამ კონვენციის მიხედვით. ამგვარი შეტყობინებანი შეიძლება ამ მუხლში ჩამოყალიბებული პროცედურების მიხედვით მიღებული და განხილული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოდგენილია იმ მხარე-სახელმწიფოს მიერ, რომელსაც გაკეთებული აქვს განცხადება, რომლითაც იგი თავისთან მიმართებაში ცნობს კომიტეტის კომპეტენციას. კომიტეტის მიერ არ განიხილება რაიმე შეტყობინება ამ მუხლის მიხედვით, თუ იგი შეეხება მხარე-სახელმწიფოს, რომელსაც ამგვარი განცხადება არ გაუკეთებია. ამ მუხლის მიხედვით მიღებული შეტყობინებები განიხილება შემდეგი პროცედურის თანახმად:

(ა) თუ ესა თუ ის მხარე-სახელმწიფო თვლის, რომ მეორე მხარე-სახელმწიფო ამ კონვენციის დებულებებს არ ასრულებს, მას შეუძლია,

წერილობითი შეტყობინების მეშვეობის, ამ მხარე-სახელმწიფოს ყურადღება მიაპყროს ამ საკითხს. შეტყობინების მიღებიდან სამი თვის განმავლობაში, მისი მიმღები სახელმწიფო შეტყობინების გამგზავნ სახელმწიფოს წარუდგენს წერილობით განმარტებას ან ნებისმიერ სხვა განცხადებას, რომელშიც ახსნილი იქნება საკითხი და რომელიც მოიცავს, რამდენადაც ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, მითითებას იმ შიდა პროცედურებსა და მიღებულ ზომებზე, რომლებიც გასატარებელი ან ხელმისაწვდომია მოცემულ საკითხთან მიმართებაში;

(ბ) თუ ამ საკითხთან დაკავშირებით ვერ მოხერხდა ორიეე დაინტერესებული მხარისათვის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების მიღწევა მიმღები სახელმწიფოს მიერ თავდაპირველი შეტყობინების მიღებიდან ექვსი თვის განმავლობაში, თითოეულ სახელმწიფოს უფლება აქვს, საკითხი წარუდგინოს კომიტეტს, კომიტეტისთვისა და მეორე სახელმწიფოსათვის შეტყობინების გაკეთების გზით;

(გ) კომიტეტი მისთვის ამ მუხლის თანახმად წარდგენილ საკითხს განიხილავს მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი დარწმუნდება, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ყველა ხელმისაწვდომი საშინაო ზომა იქნა გამოყენებული და ამოწურული, თანახმად საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა. ეს წესი არ მოქმედებს, როდესაც ამ ზომების გამოყენება გაუმართლებლად ჭიანურდება, ან ნაკლებად სავარაუდოა, რომ იგი ქმედით დახმარებას გაუწევს პირს, რომელიც ამ კონვენციის დარღვევის მსხვერპლია;

(დ) ამ მუხლის მიხედვით გათვალისწინებული შეტყობინების შესწავლისას კომიტეტი მართავს დახურულ სხდომებს;

(ე) თანახმად (გ) პუნქტის დებულებებისა, კომიტეტი საკუთარ სამსახურს სთავაზობს შესაბამის მხარე-სახელმწიფოებს საკითხის მეგობრულად გადასაწყვეტად ამ კონვენციაში გათვალისწინებული ვალდებულებების პატივისცემის საფუძველზე. ამ მიზნით კომიტეტს შეუძლია, როდესაც ეს მიზანშეწონილია, დააარსოს სპეციალური შემთანხმებელი კომისია;

(ვ) მისთვის ამ მუხლის მიხედვით გადაცემულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, კომიტეტს შეუძლია მოუწოდოს (ბ) ქვეპუნქტში მოხსენიებულ შესაბამის მხარე-სახელმწიფოებს, წარმოადგინონ საქმესთან კავშირის მქონე ნებისმიერი ინფორმაცია;

(ზ) შესაბამის მხარე-სახელმწიფოებს, მოხსენიებულთ (ბ) ქვეპუნქტში, უფლება აქვთ წარმოდგენილი იყვნენ, როდესაც საკითხი კომიტეტის მიერ განიხილება და გააკეთონ წარდგენებანი ზეპირად და/ან წერილობით;

(თ) კომიტეტი, თორმეტი თვის განმავლობაში (ბ) ქვეპუნქტში გათვალისწინებული შეტყობინების მიღების თარიღიდან, ნარდგენის ანგარიშს:

(ი) თუ მიღწეულია გადაწყვეტილება (ე) ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში, კომიტეტის მიერ წარდგენილი ანგარიში შემოიფარგლება ფაქტებისა და მიღწეული გადაწყვეტილებების მოკლე გადმოცემით;

(კ) თუ მიღწეული არ არის გადაწყვეტილება (ე) ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში, კომიტეტის მიერ წარდგენილი ანგარიში შემოიფარგლება ფაქტების მოკლე გადმოცემით; შესაბამის მხარე-სახელმწიფოთა მიერ გაკეთებული ნერილობითი წარდგინებანი და ზეპირ წარდგინებათა ჩანაწერები თან ერთვის ანგარიშს. ყველა საკითხთან დაკავშირებით, ანგარიში ეგზავნება შესაბამის მხარე-სახელმწიფოებს.

2. ამ მუხლის დებულებები ძალაში შედის, როდესაც ამ კონვენციის ხუთ მხარე-სახელმწიფოს გაკეთებული ექნება განცხადებები ამ მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით. ამგვარი განცხადებები მხარე-სახელმწიფოთა მიერ შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც მათს ასლებს სხვა მხარე-სახელმწიფოებს გადაუგზავნის. განცხადება ნებისმიერ დროს შეიძლება იქნეს გაუქმებული გენერალური მდივნისთვის გაკეთებული შეტყობინებით. ამგვარი გაუქმება ზიანს არ აყენებს განხილვას რომელიმე საკითხისა, რომელიც ამ მუხლის მიხედვით უკვე გადაცემული შეტყობინების საგანს წარმოადგენს; რომელიმე მხარე-სახელმწიფოს მიერ გაკეთებული არანაირი შემდგომი შეტყობინება აღარ მიიღება ამ მუხლის მიხედვით მას შემდეგ, რაც გენერალური მდივანი მიიღებს შეტყობინებას განცხადების გაუქმების შესახებ, თუკი შესაბამის მხარე-სახელმწიფოს ახალი განცხადება არ გაუკეთებია.

მუხლი 22

1. ამ კონვენციის მხარე-სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს ამ მუხლის მიხედვით, რომ იგი ცნობს კომიტეტის კომპეტენციას, მიიღოს და განიხილოს შეტყობინებანი, გაკეთებული მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი იმ პირების მიერ ან მათი სახელით, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მხარე-სახელმწიფოს მიერ კონვენციის დებულებათა დარღვევის მსხვერპლნი არიან. კომიტეტი არ ღებულობს არანაირ შეტყობინებას, თუ იგი შეეხება მხარე-სახელმწიფოს, რომელსაც ამგვარი განცხადება არ გაუკეთებია.

2. კომიტეტი მიუღებლად მიიჩნევს ამ მუხლის მიხედვით გაკეთებულ ნებისმიერ შეტყობინებას, რომელიც ანონიმურია, ან რომელსაც იგი ამგვარ შეტყობინებათა წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენებად, ან ამ კონვენციის დებულებებთან შეუთავსებლად მიიჩნევს.

3. მე-2 პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით, კომიტეტი მისთვის ამ მუხლის მიხედვით წარდგენილ ნებისმიერ შეტყობინებას მიაპყრობს ამ კონვენციის იმ მხარე-სახელმწიფოს ყურადღებას, რომელსაც გაკეთებული აქვს განცხადება I პუნქტის მიხედვით და რომელიც, როგორც ამტკიცებენ, კონვენციის ამა თუ იმ დებულებებს არღვევს. ექვსი თვის განმავლობაში, შეტყობინების მიმღები სახელმწიფო წარუდგენს კომიტეტს წერილობით ახსნა-განმარტებებს, რომლებშიც დაზუსტებული იქნება საკითხი და ზომა, თუ ასეთს ადგილი ექნა, რომელიც მიღებული შეიძლება იყოს ამ სახელმწიფოს მიერ.

4. კომიტეტი ამ მუხლის მიხედვით მიღებულ შეტყობინებებს განიხილავს მოცემული პირის მიერ ან მისი სახელით და შესაბამისი მხარე-სახელმწიფოს მიერ მისთვის მიწოდებული მთელი ინფორმაციის გათვალისწინებით.

5. კომიტეტი არ განიხილავს ამა თუ იმ პიროვნების მიერ ამ მუხლის მიხედვით გაკეთებულ რაიმე შეტყობინებას, თუ იგი არ დარწმუნდება, რომ:

(ა) იგივე საკითხი არ განხილულა და არ განიხილება საერთაშორისო გამოძიების ან მოგვარების რომელიმე სხვა პროცედურის მიხედვით;

(ბ) პიროვნებას ამოწურული აქვს ყველა ხელმისაწვდომი საშინაო ზომა; ეს წესი არ მოქმედებს, როდესაც ამ ზომების გამოყენება გაუმართლებლად ჭიანურდება, ან ნაკლებად საეარაუდოა, რომ იგი ქმედით დახმარებას გაუწევს პირს, რომელიც ამ კონვენციის დარღვევის მსხვერპლია.

6. ამ მუხლის მიხედვით გათვალისწინებული შეტყობინების შესწავლისას კომიტეტი მართავს დახურულ სხდომებს.

7. კომიტეტი თავის მოსაზრებებს აცნობებს შესაბამის მხარე-სახელმწიფოსა და პიროვნებას.

8. ამ მუხლის დებულებები ძალაში შედის, როდესაც ამ კონვენციის ხუთ მხარე-სახელმწიფოს გაკეთებული ექნება განცხადებები ამ მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით. ამგვარი განცხადებები მხარე-სახელმწიფოთა მიერ შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც მათს ასლებს სხვა მხარე-სახელმწიფოებს გადაუგზავნის. განცხადება ნებისმიერ დროს

შეიძლება იქნეს გაუქმებული გენერალური მდივნისათვის გაკეთებული შეტყობინებით. ამგვარი გაუქმება ზიანს არ აყენებს განხილვისას რომელიმე საკითხისა, რომელიც ამ მუხლის მიხედვით უკვე გადაცემული შეტყობინების საგანს წარმოადგენს; რომელიმე პიროვნების მიერ ან მისი სახელით გაკეთებული არანაირი შემდგომი შეტყობინება აღარ მიიღება ამ მუხლის მიხედვით მას შემდეგ, რაც გენერალური მდივანი მიიღებს შეტყობინებას განცხადების გაუქმების შესახებ, თუკი მხარე-სახელმწიფოს ახალი განცხადება არ გაუკეთებია.

მუხლი 23

კომიტეტისა და სპეციალური შემთანხმებელი კომისიების წევრებს, რომლებიც 21-ე მუხლის I (c) პუნქტის მიხედვით შეიძლება იყვნენ დანიშნულნი, ეკუთვნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დავალებით მოქმედ ექსპერტთა შეღავათები, პრივილეგიები და იმუნიტეტები, როგორც ისინი ფორმულირებულია პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის შესაბამის კარებში.

მუხლი 24

კომიტეტი მხარე-სახელმწიფოებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ ამ კონვენციის მიხედვით.

ნაწილი III

მუხლი 25

1. ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ყველა სახელმწიფოს მიერ.

2. ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას. დოკუმენტები რატიფიკაციის შესახებ შესანახად ჰბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 26

ეს კონვენცია მასთან შესაერთებლად ღიაა ყველა სახელმწიფოსათვის. შეერთება ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისთვის შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად ჩაბარების გზით.

მუხლი 27

1. ეს კონვენცია ძალაში შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისთვის რატიფიკაციის ან შეერთების შესახებ მეოცე დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან ოცდამეათე დღეს.

2. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ კონვენციის რატიფიკაციას ახდენს ან უერთდება მას რატიფიკაციის ან შეერთების

შესახებ მეოცე დოკუმენტის შესანახად ჩაბარების შემდეგ, კონვენცია ძალაში შედის რატიფიკაციის ან შეერთების შესახებ მისი საკუთარი დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან ოცდამეათე დღეს.

მუხლი 28

1. თითოეულ სახელმწიფოს, ამ კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიკაციის, ან მასთან შეერთების დროს, შეუძლია განაცხადოს, რომ იგი არ ცნობს კომიტეტის კომპეტენციას, რომელიც გათვალისწინებულია მე-20 მუხლში.

2. ნებისმიერ მხარე-სახელმწიფოს, რომელსაც გაკეთებული აქვს დათქმა ამ მუხლის I პუნქტის თანახმად, ნებისმიერ დროს შეუძლია გაუქმოს ეს დათქმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისთვის გაკეთებული შეტყობინების გზით.

მუხლი 29

1. ამ კონვენციის ნებისმიერ მხარე-სახელმწიფოს შეუძლია შესწორების შეთავაზება და მისი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის წარდგენა. ამის შემდეგ, გენერალური მდივანი შეთავაზებული შესწორების შესახებ შეატყობინებს მხარე-სახელმწიფოებს და სთხოვს მათ, აცნობონ მას, მომხრენი არიან თუ არა მხარე-სახელმწიფოთა კონფერენციის გამართვისა წინადადების განხილვისა და მისთვის კენჭის ყრის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი შეტყობინების გაგზავნის თარიღიდან ოთხი თვის განმავლობაში მხარე-სახელმწიფოთა სულ მცირე ერთი მესამედი ამგვარი კონფერენციის გამართვის მომხრე იქნება, გენერალური მდივანი იწვევს კონფერენციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით. ნებისმიერი შესწორება, მიღებული კონფერენციაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე მხარე-სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ, გენერალური მდივნის მიერ დასამტკიცებლად წარედგინება ყველა მხარე-სახელმწიფოს.

2. შესწორება, მიღებული ამ მუხლის I პუნქტის თანახმად, ძალაში შედის, როდესაც ამ კონვენციის მხარე-სახელმწიფოთა ორი მესამედი შეატყობინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომ მათ დაამტკიცეს იგი თავ-თავიანთი საკონსტიტუციო პროცესების თანახმად.

3. როდესაც შესწორებები ძალაში შედის, ისინი სავალდებულო ხდება იმ მხარე-სახელმწიფოთათვის, რომლებმაც ისინი დაამტკიცეს, ხოლო სხვა მხარე-სახელმწიფოები დავალდებულებულნი რჩებიან ამ კონვენციის დებულებებითა და ნებისმიერი უფრო ადრინდელი შესწორებებით, რომლებიც მათ დამტკიცებული აქვთ.

მუხლი 30

1. ნებისმიერი დავა ორ ან მეტ მხარე-სახელმწიფოს შორის ამ კონვენციის ინტერპრეტაციასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით, როშლის მოგვარებაც ვერ ხერხდება მოლაპარაკების გზით, ერთ-ერთი მათგანის მოთხოვნით განსახილველად გადაეცემა არბიტრაჟს. თუ არბიტრაჟის მოთხოვნის თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ შეთანხმებას არბიტრაჟის ორგანიზების თაობაზე, ნებისმიერ ამ მხარეს შეუძლია დავა განსახილველად გადასცეს საერთაშორისო სასამართლოს, სასამართლოს სტატუტის მიხედვით გაკეთებული მოთხოვნის მეშვეობით.

2. თითოეულ სახელმწიფოს, ამ კონვენციის ხელმონერის ან რატიფიკაციის, ან მასთან შეერთების დროს, შეუძლია განაცხადოს, რომ იგი თავს დავალდებულებულად არ თვლის ამ მუხლის I პუნქტით. სხვა მხარე-სახელმწიფოები დავალდებულებულნი არ არიან ამ მუხლის I პუნქტით რომელიმე იმ მხარე-სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელსაც ამგვარი დათქმა აქვს გაკეთებული.

3. ნებისმიერ მხარე-სახელმწიფოს, რომელსაც გაკეთებული აქვს დათქმა ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შეუძლია ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს დათქმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისთვის გაკეთებული შეტყობინების გზით.

მუხლი 31

1. მხარე-სახელმწიფოს შეუძლია ამ კონვენციის დენონსირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისთვის გაკეთებული შეტყობინების გზით. დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ერთი წლის შემდეგ.

2. ამგვარი დენონსაციის შედეგად მხარე-სახელმწიფო არ თავისუფლდება ამ კონვენციით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებებისგან ამა თუ იმ ქმედებასთან ან უმოქმედობასთან მიმართებაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღამდე, და არც დენონსაცია არანაირად არ უშლის ხელს ნებისმიერი ისეთი საკითხის განხილვის გაგრძელებას, რომელიც კომიტეტის მიერ უკვე განიხილებოდა დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღამდე.

3. ამა თუ იმ მხარე-სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული დენონსაციის ძალაში შესვლის შემდეგ, კომიტეტი აღარ იწყებს აღნიშნულ სახელმწიფოსთან დაკავშირებული რაიმე ახალი საკითხის განხილვას.

მუხლი 32

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი აცნობებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრ-სახელმწიფოსა და ამ კონვენციის ხელმომწერ ან მასთან შეერთებულ ყველა სახელმწიფოს:

(ა) ხელმოწერების, რატიფიცირებისა და შეერთებების შესახებ 25-ე და 26-ე მუხლების მიხედვით;

(ბ) ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღს 27-ე მუხლის მიხედვით და ნებისმიერი შესნორებების ძალაში შესვლის თარიღს 29-ე მუხლის მიხედვით;

(გ) დენონსაციების შესახებ 31-ე მუხლის მიხედვით.

მუხლი 33

1. ეს კონვენცია, რომლის არაბული, ესპანური, ინგლისური, რუსული, ფრანგული და ჩინური ტექსტებიც თანაბრად ავთენტიკურია, შესანახად ჰბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამ კონვენციის დამოწმებულ ასლებს გადაუგზავნის ყველა სახელმწიფოს.

დანართი №8

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „სამართალდამცავ პირთა ქცევის წესების კოდექსი“

„სამართალდამცავ პირთა ქცევის წესების კოდექსი“ მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 34/169 რეზოლუციით, 1979, 17 დეკემბერი

მუხლი 1

სამართალდამცავი პირები ყოველთვის უნდა ასრულებდნენ მათზე კანონით დაკისრებულ მოვალეობას პროფესიით მოთხოვნილი პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხის შესაბამისად, საზოგადოების სამსახურისა და ყველა ადამიანის არაკანონიერი ქმედებებისგან დაცვის მიზნით.

კომენტარი:

(a) ტერმინი, „სამართალდამცავი პირები“, მოიცავს სამართლის ყველა, როგორც დანიშნულ, ისე არჩეულ პირს, ვინც პოლიციის, განსაკუთრებით კი, დაპატიმრების ან დაკავების უფლებამოსილებას ახორციელებს.

(b) იმ ქვეყნებში, სადაც პოლიციის უფლებამოსილება განხორციელებულია ფორმიანი ან ფორმის გარეშე სამხედრო ხელისუფლების ან სახელმწიფო უშიშროების ძალების მიერ, სამართალდამცავ პირთა განსაზღვრება უნდა მოიცავდეს ასეთი სამსახურების მოხელეებსაც.

(c) საზოგადოებისთვის სამსახური ნაგულისხმევია მოიცავდეს დახმარების განევას, განსაკუთრებით საზოგადოების იმ ნევრებისათვის, რომლებიც გადაუდებელ დახმარებას საჭიროებენ პირადი, ეკონომიკური, სოციალური ან სხვა კრიტიკული მდგომარეობის გამო.

(d) ეს დებულება განზრახულია, მოიცავდეს არა მხოლოდ ძალადომრეობით, მძარცველობით ან მავნე ქმედებას, არამედ სისხლის სამართლის კანონებით განსაზღვრულ აკრძალვათა ფართო სპექტრს. იგი ვრცელდება იმ ადამიანთა ქმედებაზეც, რომლებთაც არ ეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მუხლი 2

თავიანთი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას სამართალდამცავმა პირებმა პატივი უნდა სცენ და დაიცვან ადამიანის ღირსება და უფლებები.

კომენტარი:

(a) ადამიანის უფლებები, რომელთა შესახებაც ესაუბრობთ, დადგენილი და დაცულია ეროვნული და საერთაშორისო სამართლით.

ადამიანის უფლებათა მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტებსა და საყოველთაო დეკლარაციებს განეკუთვნება: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, დეკლარაცია ნამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელისგან დაცვის შესახებ, გაეროს დეკლარაცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, საერთაშორისო კონვენცია აპარტეიდის დანაშაულის ჩახშობისა და დასჯის შესახებ, კონვენცია გენოციდის დანაშაულის აცდენისა და გენოციდისათვის დასჯის შესახებ, პატიმრებთან მოპყრობის საყოველთაოდ აღიარებული მინიმალური წესები და ვენის კონვენცია საკონსულო ურთიერთობების შესახებ.

(b) ამ დებულების ნაციონალურმა კომენტარებმა უნდა მიუთითონ უფლებათა დამცველ რეგიონალურ ან ეროვნულ დებულებებზე.

მუხლი 3

სამართალდამცავ პირებს ძალის გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამას განსაკუთრებული აუცილებლობა მოითხოვს და იმ ფარგლებში, რაც მათი მოვალეობის შესრულებისთვისაა საჭირო.

კომენტარი:

(a) ეს დებულება ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სამართალდამცავ პირთა მიერ ძალის გამოყენება დაიშვება მხოლოდ გამონაკლისის შემთხვევებში; თუმცა, იგი გულისხმობს, რომ სამართალდამცავი პირები შეიძლება უფლებამოსილი იყვნენ ძალის გამოყენებაზე, როდესაც ეს გონივრულად აუცილებელია დანაშაულის აღკვეთის ან დამნაშავეთა ან დანაშაულში ეჭვმიტანილთა კანონიერი დაკავების განხორციელებისას ან დაპატიმრებაში დახმარებისას. ძალის გამოყენება არ უნდა გასცდეს ფარგლებს.

(b) ეროვნული სამართალი, პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, ჩვეულებრივ, ზღუდავს სამართალდამცავ პირთა მიერ ძალის გამოყენებას. პროპორციულობის ასეთი ეროვნული პრინციპები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამ დებულების ინტერპრეტაციისას. ეს დებულება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნეს იმგვარად, რომ მოხდეს ნებართვის მიცემა ძალის გამოყენებაზე, რომელიც არაპროპორციული და არაადეკვატურია მისაღწევ კანონიერ მიზანთან მიმართებაში.

(c) ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება უკიდურეს ზომად

ითვლება. ყველა საშუალება უნდა იქნას გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღის მოხმარების გამორიცხვისათვის, განსაკუთრებით ბავშვების წინააღმდეგ. ზოგადად, ცეცხლსასროლი იარაღის მოხმარება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეჭვმიტანილი შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევს ან სხვაგვარად უქმნის საშიშროებას სხვათა სიცოცხლეს და ეჭვმიტანილის დაკავების ან დაპატიმრებისათვის სხვა ზომები საკმარისი არ არის. ყველა შემთხვევაში, როდესაც ცეცხლსასროლი იარაღი იქნება გამოყენებული, დაუყოვნებლივ უნდა გაკეთდეს მოხსენება ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოების წინაშე.

მუხლი 4

კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელსაც სამართალდამცავები ფლობენ, შესაბამისად უნდა იქნას დაცული, თუ მოვალეობის შესრულება ან მართლმსაჯულების საჭიროება რაიმე სხვას არ მოითხოვს.

კომენტარი:

სამართალდამცავი პირები, სამსახურეობრივი მოვალეობების ფარგლებში მოიპოვებენ ინფორმაციას, რომელიც შესაძლებელია სხვათა პირად ცხოვრებას ეხებოდეს ან პოტენციურად ზიანის მომტანი იყოს მათი ინტერესებისათვის, განსაკუთრებით რეპუტაციისათვის. დიდი სიფრთხილე უნდა იქნეს გამოჩენილი ასეთი ინფორმაციის დაცვისა და გამოყენების დროს. იგი უნდა გამოაშკარავდეს მხოლოდ მოვალეობათა შესრულებისას ან მართლმსაჯულების მოთხოვნათა შესაბამისად. ასეთი ინფორმაციის ნებისმიერი გამოაშკარავება სხვა მიზნებისათვის მიუღებელი და სრულიად არასწორია.

მუხლი 5

არც ერთ სამართალდამცავ პირს არ შეუძლია წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის პროვოცირება ან დაშვება; არც ერთ სამართალდამცავ პირს არ შეუძლია მიუთითოს ზემდგომთა ბრძანებაზე ან საგანგებო მდგომარეობაზე, როგორიცაა ომის მდგომარეობა ან ომის, ეროვნული უსაფრთხოების საშიშროება, შიდაპოლიტიკური არასტაბილურობა ან ნებისმიერი სხვა კრიტიკული ვითარება, როგორც წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის გამამართლებელ პირობაზე.

კომენტარი:

(ა) ეს აკრძალვა გამომდინარეობს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული დეკლარაციიდან ადამიანის წამებისა და სხვა სასტიკი,

არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელისგან დაცვის შესახებ, რომლის თანახმადაც: „ასეთი ქმედება ადამიანის ღირსების შემლახველი დანაშაულია და უნდა დაისაჯოს, როგორც გაეროს მიზნების უარყოფა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით და ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო დოკუმენტებით გამოცხადებული ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევა".

(b) დეკლარაცია წამებას განსაზღვრავს შემდეგნაირად:

„წამება ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც სახელმწიფო მოხელის წაქეზებით მძიმე ფიზიკური ან ფსიქიური ტკივილი ან ტანჯვა განზრახ მიადგა პირს იმ მიზნით, რომ მისგან ან მესამე პირისაგან მიღებულ იქნას ინფორმაცია ან აღიარება, მისი დასჯა იმ ქმედებისათვის, რომელიც მან ჩაიდინა ან ეჭვმიტანილია მის ჩადენაში, მისი ან სხვა პირთა დაშინებით. ეს განმარტება არ მოიცავს ტკივილსა და ტანჯვას, რომელიც გამომდინარეობს, განუყოფელია ან შემთხვევით გამოიწვევა კანონიერების ფარგლებში პატიმრებთან მოპყრობის სტანდარტული მინიმალური ნესების შესაბამისად".

(c) ტერმინი „სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა ან სასჯელი" არ არის განმარტებული გენერალური ასამბლეის მიერ, მაგრამ ინტერპრეტირებული უნდა იქნეს ისე, რომ გაძლიერდეს ფიზიკური ან ფსიქიკური შეურაცხყოფისაგან ყველაზე ფართო შესაძლებელი დაცვა.

მუხლი 6

სამართალდამცავმა პირებმა უნდა უზრუნველყონ პატიმრობაში მყოფთა ჯანმრთელობის დაცვა, კერძოდ, დაუყოვნებლივ უნდა იმოქმედონ სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად ყოველთვის, როცა ამას საჭიროება მოითხოვს.

კომენტარი:

(a) „სამედიცინო მომსახურება", რომელიც ნებისმიერი სამედიცინო პერსონალის მიერ განეულ სამსახურს გულისხმობს, სერთიფიცირებული ექიმებისა და მათი ასისტენტების ჩათვლით, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საჭიროების ან მოთხოვნის შესაბამისად.

(b) მაშინ, როდესაც სამედიცინო პერსონალი მიმაგრებულია სამართალდამცავ პირთა ოპერაციაზე, ამ უკანასკნელებმა, პატიმრის შესაფერისი მკურნალობის უზრუნველყოფის მიზნით, უნდა გაითვალისწინონ ასეთი პერსონალის აზრი, სამართალდამცავი ოპერაციის გარეთ მყოფი სამედიცინო პერსონალის არჩევითა და მათთან კონსულტაციით.

(c) ნაგულისხმევია, რომ სამართალდამცავმა პირებმა ასევე უნდა უზრუნველყონ სამედიცინო მზრუნველობა კანონის დარღვევის მსხვერპლთა ან კანონის დარღვევის პროცესში მომხდარი (უბედური) შემთხვევების მსხვერპლთათვის.

მუხლი 7

სამართალდამცავმა პირებმა არ უნდა ჩაიდინონ კორუფცია. ისინი მკაცრად უნდა შეეწინააღმდეგონ და ებრძოლონ ყველა ამგვარ ქმედებას.

კომენტარი:

(a) კორუფციის ისევე, როგორც ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ნებისმიერი აქტი, სამართალდამცავ პირთა პროფესიასთან შეუთავსებელია. კანონი უნდა აღსრულდეს სრულად, ნებისმიერ სამართალდამცავ პირთა მიმართ, რომლებიც კორუფციულ ქმედებას ჩადიან, რადგან მთავრობებს არ შეიძლება იმედი ჰქონდეთ, რომ კანონს ცხოვრებაში გაატარებენ მოქალაქეები, თუკი თვითონ მათ არ შეუძლიათ ან არ გაატარებენ კანონს საკუთარი წარმომადგენლების წინააღმდეგ და თავიანთ ორგანოებში.

(b) მაშინ, როდესაც კორუფციის განსაზღვრება ეროვნული სამართლის საგანი უნდა იყოს, იგი გაგებულ უნდა იქნეს პიროვნების ვალდებულებასთან ერთად ან მათი შესრულებისას – ვალდებულებით აღჭურვის ან წინდაუხედაობის მომცველ ქმედებად მოთხოვნილი ან მიღებული საჩუქრების, დაპირებების ან სტიმულის საპასუხოდ, ან მათი კანონიერი მიღება, ვინც ასეთი ქმედებები ჩაიდინა ან გამოტოვა.

(c) ტერმინი „კორუფციის აქტი", ზემოხსენებულის გარდა, კორუფციის მცდელობასაც მოიცავს.

მუხლი 8

სამართალდამცავმა პირებმა პატივი უნდა სცენ კანონსა და ამ კოდექსს. ამასთანავე, თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად უნდა აღკვეთონ და მკაცრად აღუდგნენ წინ შესაბამის დარღვევებს.

სამართალდამცავმა პირებმა, რომელთაც აქვთ მიზეზი იფიქრონ, რომ მოხდა ან მოხდება ამ კოდექსის დარღვევა, ამის შესახებ უნდა აცნობონ ზემდგომ ორგანოებს და, საჭიროების შემთხვევაში, ხელისუფლების სხვა შესაბამის ორგანოებს, ანუ განხილვისა და გამოსნორების ძალაუფლებით აღჭურვილ სხვა ორგანოებს.

კომენტარი:

(a) ეს კოდექსი დაცული უნდა იყოს, როდესაც იგი ეროვნული კანონმდებლობის ან პრაქტიკის ნაწილია. თუ კანონმდებლობა ან

პრაქტიკა მოიცავს უფრო მკაცრ დებულებებს, ვიდრე ეს კოდექსი, მოქმედებს უფრო მკაცრი დებულებები.

(b) წინამდებარე მუხლის მიზანია შეინარჩუნოს ბალანსი, ერთი მხრივ, იმ ორგანოს შიდადისციპლინის საჭიროებას, რომელზეც საზოგადოების უშიშროება დიდად არის დამოკიდებული და, მეორე მხრივ, ადამიანის ძირითად უფლებათა დარღვევასთან ბრძოლის საჭიროებას შორის. სამართალდამცავმა პირებმა უნდა მოახსენონ დარღვევების შესახებ ხელისუფლების წარმომადგენლებს და განახორციელონ სხვა კანონიერი ქმედებები ხელისუფლების ორგანოებს გარეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა საშუალებები ხელმისაწვდომი და ეფექტური არ არის. იგულისხმება, რომ სამართალდამცავ პირებზე არ უნდა გავრცელდეს ადმინისტრაციული ან სხვა სასჯელი, ამ კოდექსის დარღვევის ან შესაძლო დარღვევის თაობაზე შეტყობინებების გაკეთების გამო.

(c) ტერმინი „ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები ან განხილვის ან გამოსწორების ძალაუფლებით აღჭურვილი სხვა ორგანოები" ეხება ხელისუფლების ნებისმიერ ორგანოს, რომელიც განმტკიცებულია ეროვნული სამართლით. იგი მოიცავს სამართალდამცავი ორგანოების შიდა თუ მისგან დამოუკიდებელ სტრუქტურებს და კანონით დადგენილ, ჩვეულებებზე დამყარებულ თუ სხვა ხელისუფლებით აღჭურვილ ინსტიტუტებს, რომლებიც ამ კოდექსის ფარგლებში დარღვევებიდან წარმომობილ საჩივრებს განიხილავენ.

(d) რიგ ქვეყნებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები შეიძლება ჩაითვალოს დანესებულებებად, რომლებიც c პუნქტში მითითებული საჩივრების განხილვას აწარმოებენ, ამიტომ მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირებს შეუძლიათ უკიდურეს შემთხვევაში დასაბუთებულად, თავისი ქვეყნის კანონების და ჩვევების შესაბამისად, აგრეთვე მოცემული კოდექსის მეოთხე მუხლის თანახმად, საზოგადოების ყურადღება მიაპყრონ მომხდარ დარღვევებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით.

(e) სამართალდამცავი პირები, რომლებიც ამ კოდექსის დებულებებს ასრულებს, იმსახურებს პატივისცემას, სრულ მხარდაჭერასა და საზოგადოების, ასევე, იმ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლობას, რომელშიც ისინი მსახურობენ.

დანართი №9

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის „დეკლარაცია პოლიციის შესახებ“

„დეკლარაცია პოლიციის შესახებ„ 1979 წელს შექმნა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ. მას შემდეგ დეკლარაცია საყოველთაოდ გახდა ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ მას არა აქვს იურიდიული ძალა, პოლიციის მრავალმა ორგანიზაციამ გამოიყენა იგი წესრიგის დამყარების საკუთარი სტანდარტების ჩამოსაყალიბებლად.

რეზოლუცია 690 (1979) „დეკლარაცია პოლიციის შესახებ“.

პრეამბულა

ასამბლეას,

1. მიაჩნია რა, რომ აუცილებელ საფუძველს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და სხვა ეროვნული და საერთაშორისო დოკუმენტებით გარანტირებული ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სრულყოფილი სარგებლობისთვის წარმოადგენს მშვიდობიანი საზოგადოება, რომელიც წესრიგისა და საზოგადოების უსაფრთხოების უპირატესობებით სარგებლობს;

2. მიაჩნია რა, რომ ამ თვალსაზრისით პოლიციას არსებითი როლი აკისრია ყველა წევრ სახელმწიფოში, რომ პოლიციას ხშირად უნევს საშიშ პირობებში მოქმედება და რომ პოლიციის თანამშრომელთა მოვალეობების შესრულება კიდევ უფრო რთულია, თუ პოლიციელთა ქცევის წესები არ არის საკმარისად ზუსტად განსაზღვრული;

3. მიაჩნია რა, რომ არ არის სწორი, პოლიციის რიგებში იყვნენ ისეთი ადამიანები, ვისაც პოლიციაში მუშაობისას დაურღვევია ადამიანის უფლებები ანდა ვინც პოლიციის ისეთ დანაყოფში მუშაობდა, რომელიც დაიშალა არაჰუმანური ქმედებების გამო;

4. მიაჩნია რა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სისტემა გაუმჯობესდებოდა, საყოველთაოდ რომ იყოს მიღებული პოლიციის პროფესიულ ეთიკასთან დაკავშირებული წესები, რომლებიც ითვალისწინებს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პრინციპებს;

5. მიაჩნია რა, რომ სასურველია, პოლიციის თანამშრომლებს აქტიურ მორალურ და ფიზიკურ მხარდაჭერას უნევდეს საზოგადოება, რომელსაც ისინი ემსახურებიან;

6. მიაჩნია რა, რომ პოლიციის თანამშრომლები უნდა სარგებლობდნენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შესატყვისი სტატუსითა და უფლებებით;

7. მიაჩნია რა, რომ სასურველი იქნებოდა პოლიციის თანამშრომლებისთვის ომისა და სხვა საგანგებო პირობებში, აგრეთვე, უცხო ძალების მიერ ოკუპაციის შემთხვევებში ქცევის წესების ჩამოყალიბება;

8. ღებულობს შემდეგ დეკლარაციას პოლიციის შესახებ, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე რეზოლუციის განუყოფელ ნაწილს;

9. მიუთითებს პარლამენტთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის თავის კომიტეტს და იურიდიულ საკითხთა თავის კომიტეტს, აგრეთვე, ევროპის საბჭოს გენერალურ სამდივნოს, მაქსიმალურად გაავრცელონ დეკლარაცია.

დეკლარაცია პოლიციის შესახებ

ა. ეთიკა

[დეკლარაციის ა და ბ თავები ვრცელდება ყველა პირსა და ორგანიზაციაზე, მათ შორის, ისეთ უწყებებზე, როგორიც არის საიდუმლო სამსახური, სამხედრო პოლიცია, შეიარაღებული ძალები ან პოლიციის მოვალეობების შემსრულებელი მილიცია, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კანონის დაცვაზე, დანაშაულთა გამოძიებაზე და საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფოს უშიშროების შენარჩუნებაზე.]

1. პოლიციის თანამშრომელმა უნდა შეასრულოს მასზე კანონით დაკისრებული მოვალეობები და დაიცვას თანამოქალაქეები და საზოგადოება ძალადობის, მძარცველური და სხვა საზიანო ქმედებებისგან, როგორც ეს კანონით არის განსაზღვრული.

2. პოლიციის თანამშრომელმა თანმიმდევრულად, მიუკერძოებლად და ღირსეულად უნდა იმუშაოს, განსაკუთრებით კი თავი უნდა შეიკავოს კორუფციის ყველანაირი გამოვლინებისგან და ნინააღმდეგობა გაუწიოს მას

3. ნებისმიერ ვითარებაში აკრძალულია ადამიანისთვის ანგარიშის გასწორება, მისი წამება და არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის სხვა ფორმები. პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია, არ დაემორჩილოს ან უგულებელყოს ნებისმიერი ისეთი ბრძანება ან მითითება, რომელიც აღნიშნულ ზომებს ეხება.

4. პოლიციის თანამშრომელმა უნდა შეასრულოს იერარქიულად მისი ზემდგომი პირის მიერ გაცემული სათანადო ბრძანებები. მაგრამ თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერი ისეთი ბრძანების შესრულებისგან, რომელიც მან იცის, ან უნდა იცოდეს, რომ უკანონოა.

5. პოლიციის თანამშრომელმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს კანონის დარღვევას. თუ დარღვევის დაშვება გამოიწვევს დაუყოვნებელ ან გამოუსწორებელ და სერიოზულ ზიანს, მან დაუყოვნებელი ზომები უნდა მიიღოს თავისი შესაძლებლობის ოპტიმალურ ფარგლებში.

6. თუ არ არსებობს დაუყოვნებელი ან გამოუსწორებელი და სერიოზული ზიანის საშიშროება, პოლიციის თანამშრომელი უნდა შეეცადოს ამ დარღვევის შედეგების ან დარღვევის გამეორების თავიდან აცილებას და მოახსენოს საკითხი თავის ზემდგომ პირებს. თუ ამ გზით არანაირი შედეგი არ იქნა მიღწეული, საჭიროა საკითხის კიდევ უფრო მაღალი რანგის ხელმძღვანელობისთვის მოხსენება.

7. უკანონო ბრძანების შესრულებაზე უარის განმცხადებელ პოლიციელს არ დაეკისრება არანაირი სისხლის სამართლის თუ დისციპლინარული ზომა.

8. პოლიციის თანამშრომელმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ისეთი პირების ძიებაში, დაპატიმრებაში, დარაჯობასა თუ ერთი ადგილიდან მეორეში გადაყვანაში, რომლებიც არ არიან უკანონო ქმედების ჩადენაში ეჭვმიტანილები, მაგრამ იძებნებიან, დაკავებულნი არიან ანდა მათ წინააღმდეგ აღძრულია საქმე მათი რასის, სარწმუნოებისა თუ პოლიტიკური შეხედულების ნიადაგზე.

9. პოლიციის თანამშრომელი პირადად არის პასუხისმგებელი საკუთარ ქმედებებზე და მისი ბრძანების საფუძველზე განხორციელებულ უკანონო ქმედებასა თუ შეცდომებზე.

10. აუცილებელია ბრძანებათა ზუსტად განსაზღვრული იერარქიის არსებობა. ყოველთვის შესაძლებელი უნდა იყოს იმის დადგენა, თუ საბოლოოდ რომელი ზემდგომი აგებს პასუხს პოლიციის თანამშრომლის მიერ ჩადენილ ქმედებებსა თუ შეცდომებზე.

11. კანონმდებლობაში გათვალისწინებული უნდა იყოს სამართლებრივი გარანტიებისა და ზომების სისტემა პოლიციის საქმიანობით გამოწვეული ნებისმიერი ზიანის წინააღმდეგ.

12. თავისი მოვალეობების შესრულებისას პოლიციის თანამშრომელმა კანონით მოთხოვნილი თუ ნებადართული მიზნის მისაღწევად უნდა იმოქმედოს მთელი აუცილებელი სიმტკიცით, მაგრამ არასოდეს უნდა გამოიყენოს საჭიროზე მეტი ძალა.

13. პოლიციის თანამშრომლებმა უნდა მიიღონ გარკვეული და ზუსტი მითითებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა გზით და რა პირობებში უნდა გამოიყენონ იარაღი.

14. პოლიციის თანამშრომელმა, რომელიც ზედამხედველობს დაკავებულ ადამიანს, სამედიცინო დახმარებას რომ საჭიროებს, უნდა უზრუნველყოს სამედიცინო დამხარება სამედიცინო პერსონალისთვის მიმართვის გზით და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს ზომები ამ პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადასარჩენად. მან უნდა მისდიოს ექიმებისა და სხვა კომპეტენტური სამედიცინო მუშაკების მითითებებს, როდესაც ისინი დაკავებულ პირს სამედიცინო დახმარებას უნევენ.

15. პოლიციის თანამშრომელმა საიდუმლოდ უნდა შეინახოს კონფიდენციალური ხასიათის ინფორმაცია, რომელსაც შეიტყობს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოვალეობის შესრულება ან სამართლებრივი დებულებები მისგან საპირისპიროს მოითხოვს.

16. პოლიციის თანამშრომელს, რომელიც ასრულებს ამ დეკლარაციის დებულებებს, აქვს უფლება, ისარგებლოს იმ საზოგადოების აქტიური მორალური და ფიზიკური მხარდაჭერით, რომელსაც ემსახურება.

ბ. სტატუსი

1. პოლიცია არის კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამსახური, რომელსაც ეკისრება კანონის დაცვისა და აღსრულების პასუხისმგებლობა.

2. ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია პოლიციაში მუშაობა, თუ იგი აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს.

3. პოლიციის თანამშრომელმა უნდა გაიაროს საფუძვლიანი ზოგადი მომზადება, პროფესიული მომზადება და კვალიფიკაციის ასამაღლებელი მომზადება, აგრეთვე, სათანადო მომზადება სოციალურ პრობლემებთან, დემოკრატიულ თავისუფლებებთან, ადამიანის უფლებებსა და, განსაკუთრებით, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან დაკავშირებით.

4. პროფესიული, ფსიქოლოგიური და მატერიალური პირობები, რომლებშიც პოლიციის თანამშრომელმა უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობები, უნდა იცავდეს მის თანმიმდევრულობას, მიუკერძოებლობასა და ღირსებას.

5. პოლიციის თანამშრომელს აქვს უფლება, მიიღოს სამართლიანი ანაზღაურება; ამ დროს გასათვალისწინებელია საგანგებო ფაქტორები, როგორიც არის, მაგალითად, დიდი რისკი და პასუხისმგებლობა და არანორმირებული სამუშაო განრიგი.

6. პოლიციის თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ უფლება, თავად მიიღონ პროფესიული ორგანიზაციების ჩამოყალიბებასთან, მათში

გაწევრიანებასთან და აქტიური როლის შესრულებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები. გარდა ამისა, მათ სხვა ორგანიზაციებშიც შეუძლიათ აქტიურად მონაწილეობა.

7. წარმომადგენლობით პრინციპზე დამყარებულ პოლიციის პროფესიულ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს:

– თანამშრომელთა პროფესიულ სტატუსთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში მონაწილეობის უფლება;

– პოლიციის დანაყოფების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით კონსულტაციის მიღების უფლება;

– პოლიციის თანამშრომელთა ჯგუფის ან რომელიმე ერთი თანამშრომლის სასარგებლოდ სასამართლო საქმის აღძვრის უფლება.

8. პოლიციის პროფესიული ორგანიზაციის წევრობა და მასში აქტიური მონაწილეობა არ იქნება პოლიციის რომელიმე თანამშრომლისთვის საზიანო.

9. იმ შემთხვევაში, თუ პოლიციის თანამშრომლის წინააღმდეგ აღიძვრება დისციპლინარული ან სისხლის სამართლის საქმე, ამ თანამშრომელს აქვს უფლება, გამოთქვას თავისი სათქმელი და მიიღოს დაცვა იურისტის მხრიდან. გადაწყვეტილება გონივრულ ვადაში უნდა იქნეს მიღებული. გარდა ამისა, ამ თანამშრომელს აქვს უფლება, ისარგებლოს პოლიციის იმ პროფესიული ორგანიზაციის დახმარებით, რომელშიც გაწევრიანებულია.

10. პოლიციის თანამშრომელს, რომლის წინააღმდეგაც გამოყენებული იქნება დისციპლინარული ზომა ან რომელსაც დაეკისრება სისხლის სამართლის სანქცია, აქვს უფლება, მიმართოს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ უწყებას ან სასამართლოს.

11. რომელიმე სასამართლოსა თუ ტრიბუნალში პოლიციის თანამშრომელი იმავე უფლებებით სარგებლობს, როგორც ნებისმიერი სხვა მოქალაქე.

გ. ომი და სხვა საგანგებო მდგომარეობები – უცხო ძალების მიერ ოკუპირება

[ეს თავი არ ეხება სამხედრო პოლიციას]

1. ომისა და მტრის მიერ ოკუპაციის შემთხვევაში პოლიციის თანამშრომელმა სამოქალაქო მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით უნდა განაგრძოს ადამიანებისა და ქონების დაცვასთან დაკავშირებული თავისი მოვალეობების შესრულება. ამის გამო მას არ ექნება „მებრძოლის“ სტატუსი და არ შეეხება 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის მესამე კონვენციის დებულებები, რომლებიც ეხება სამხედრო ტყვეების მიმართ მოპყრობას.

2. სამოქალაქო პოლიციაზე გავრცელდება 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის მეოთხე კონვენციის დებულებები, რომლებიც ეხება ომის დროს სამოქალაქო პირების დაცვას.

3. ოკუპანტმა ხელისუფლებამ არ უნდა უბრძანოს პოლიციის თანამშრომლებს წინამდებარე თავის 1-ლ მუხლში მოხსენიებული ამოცანებისგან განსხვავებული მოვალეობების შესრულება.

4. ოკუპაციის განმავლობაში პოლიციის თანამშრომელმა:

– არ უნდა მიიღოს მონაწილეობა წინააღმდეგობის მოძრაობათა ნევრების მიმართ გატარებულ ღონისძიებებში;

– არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ისეთი ღონისძიებების გატარებაში, რომლებიც მიზნად ისახავს მოსახლეობის დასაქმებას სამხედრო მიზნებით და სამხედრო ნაგებობათა დასაცავად.

5. თუ პოლიციის თანამშრომელი დატოვებს პოლიციის რიგებს ოკუპაციის პერიოდში, ვინაიდან მას აიძულებენ ოკუპანტი ხელისუფლების ისეთი არალეგიტიმური ბრძანებების შესრულებას, რომლებიც ენინააღმდეგება სამოქალაქო მოსახლეობის ინტერესებს (როგორიც არის, მაგალითად, ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები) და ვინაიდან იგი ვერ ხედავს სხვა გამოსავალს, ეს თანამშრომელი აღდგენილი უნდა იქნეს პოლიციაში რაც შეიძლება მალე ოკუპაციის დასრულების შემდეგ და მან არ უნდა დაკარგოს არც ერთი უფლება თუ უპირატესობა, რომლითაც ისარგებლებდა, პოლიციაში რომ დარჩენილიყო.

6. არც ოკუპაციის განმავლობაში და არც მისი დასრულების შემდეგ პოლიციის თანამშრომელს არ უნდა დაეკისროს არანაირი სისხლის სამართლის თუ დისციპლინარული სანქცია უფლებამოსილად მიჩნეული ხელისუფლების ბრძანების კეთილსინდისიერად შესრულებისთვის, თუ ამგვარი ბრძანების შესრულება პოლიციის ჩვეულებრივ მოვალეობას წარმოადგენს.

7. ოკუპანტი ხელისუფლება არ მიიღებს არანაირ დისციპლინარულ თუ სასამართლო ზომებს პოლიციის თანამშრომლების წინააღმდეგ იმის გამო, რომ ოკუპაციამდე ეს თანამშრომლები კანონიერი ხელისუფლების ბრძანებებს ასრულებდნენ.

დანართი №10

ევროპის საბჭოს „პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსი“

2001 წლის 19 სექტემბრის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის №2001(10) რეკომენდაცია „პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსი“

კოდექსის ფარგლების განმარტება

ეს კოდექსი ვრცელდება ტრადიციულ საზოგადოებრივ საპოლიციო ძალებზე, პოლიციის სამსახურებზე, ან სხვა საჯაროდ უფლებამოსილ და/ან კონტროლირებად ორგანოებზე, რომელთა უპირველესი ამოცანაა კანონისა და წესრიგის შენარჩუნება სამოქალაქო საზოგადოებაში, ასევე მათზე, ვინც სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილია, გამოიყენოს ძალა და/ან სპეციალური სახსრები ამ მიზნებისათვის.

I. პოლიციის ამოცანები

1. კანონის უზენაესობით მართულ დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიციის მთავარი მიზნებია:

საჯარო სიმშვიდის, კანონისა და წესრიგის შენარჩუნება საზოგადოებაში;

ინდივიდთა ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების (განსაკუთრებით, რომლებსაც ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა კონვენცია) დაცვა და პატივისცემა;

დანაშაულის პრევენცია და აღმოფხვრა;

დანაშაულის გამოვლენა;

საზოგადოების დახმარება და მისი მომსახურება.

II. პოლიციის სამართლებრივი საფუძველი კანონის უზენაესობის თანახმად

2. პოლიცია საჯარო ორგანოა, რომელიც იქმნება კანონით.

3. პოლიციის ოპერაციები ყოველთვის უნდა ტარდებოდეს ეროვნული სამართლისა და ქვეყნის მიერ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

4. პოლიციის შესახებ კანონმდებლობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოქალაქეებისათვის. იგი საკმარისად ნათლად და ზუსტად უნდა იყოს განმარტებული, საჭიროების შემთხვევაში კი განივრცოს მოქალაქეებისათვის ასევე ხელმისაწვდომი და მკაფიო რეგულაციებით.

5. პოლიციის თანამშრომლები იმავე კანონმდებლობის სუბიექტები არიან, რომლისაც ჩვეულებრივი მოქალაქეები; ამ პრინციპიდან გამონაკლისის დაშვება გამართლებულია მხოლოდ იმ მიზნით, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიცია თავის საქმეს სათანადოდ აკეთებდეს.

III. პოლიცია და სისხლის მართლმსაჯულების სისტემა

6. აუცილებელია, ერმანეთისაგან მკაფიოდ გაიმიჯნოს პოლიციისა და პროკურატურის, სასამართლოსა და პენიტენციალური სისტემის როლები; პოლიციას სხვა ორგანოებზე კონტროლის უფლებამოსილება არ უნდა გააჩნდეს.

7. პოლიციამ მტკიცედ უნდა სცეს პატივი მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას; კერძოდ, მან არ უნდა გამოხატოს პრეტენზია ლეგიტიმურ გადაწყვეტილებათა ან სასამართლო განჩინებათა მიმართ და არც მათი აღსრულება უნდა შეაფერხოს.

8. პოლიცია, წესისამებრ, სასამართლოს ფუნქციებს არ ასრულებს. პოლიციისათვის სასამართლო უფლებამოსილების ნებისმიერი დელეგირება უნდა იყოს შეზღუდული და შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს. ყოველთვის უნდა იყოს შესაძლებელი, პირის უფლებებთან დაკავშირებით პოლიციის ნებისმიერი ქმედება, გადაწყვეტილება ან უმოქმედობა გასაჩივრდეს სასამართლო ორგანოში.

9. პოლიცია და საზოგადოებრივი პროკურატურა სათანადო ფუნქციური თანამშრომლობით უნდა გამოირჩეოდნენ. ქვეყნებში, სადაც პოლიცია საზოგადოებრივ პროკურატურას ან გამომძიებელ მოსამართლეს ექვემდებარება, პოლიციამ უნდა მიიღოს მკაფიო მითითებები დანაშაულის საგამოძიებო პოლიტიკის პრიორიტეტებსა და ცალკეულ საქმეში გამოძიების მიერ მიღწეულ პროგრესთან დაკავშირებით. პოლიცია ინფორმაციას უნდა აწვდიდეს ზემდგომ საგამოძიებო ორგანოებს მათი მითითებების შესრულების შესახებ, კერძოდ კი რეგულარულად აბარებდეს ანგარიშს სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების მიმდინარეობაზე.

10. პოლიციამ პატივი უნდა სცეს დაცვის ადვოკატების როლს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში და, საჭიროებისას, დაეხმაროს მათ იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის უფლების ეფექტიანად უზრუნველყოფაში – განსაკუთრებით, თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მიმართებით.

11. პოლიციამ არ უნდა იტვირთოს ციხის თანამშრომლის ფუნქციები, გარდა საგანგებო შემთხვევებისა.

IV. პოლიციის ორგანიზაციული სტრუქტურა.

ა. ზოგადი დებულებები.

12. პოლიცია ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მისი თანამშრომლები საზოგადოების ყურადღებას იპყრობდნენ როგორც პროფესიონალები, რომლებიც უზრუნველყოფენ კანონის დაცვას და ემსახურებიან მოსახლეობას.

13. პოლიცია სამოქალაქო საზოგადოებაში თავის მოვალეობებს უნდა ასრულებდეს ხელისუფლების სამოქალაქო ორგანოების ზედამხედველობით.

14. პოლიცია და მისი ფორმიანი თანამშრომლები იოლად ამოსაცნობნი უნდა იყვნენ.

15. პოლიცია სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან საკმარისი ოპერატიული დამოუკიდებლობით უნდა სარგებლობდეს მასზე დაკისრებული საპოლიციო ფუნქციების შესრულებისას, რაზეც იგი სრულად აგებს პასუხს.

16. პოლიციის თანამშრომლები ყველა საფეხურზე პირადად უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი და ანგარიშვალდებულნი თავიანთ ქმედებებსა და უმოქმედობაზე, ასევე, ხელქვეითებისთვის გაცემულ ბრძანებებზე.

17. პოლიციის უნყება პოლიციის შიგნით დაქვემდებარებას მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს. ყოველთვის შესაძლებელი უნდა იყოს იმის გამორკვევა, რომელ ხელმძღვანელს ეკისრება უშუალო პასუხისმგებლობა პოლიციის თანამშრომლების ქმედებებსა და უმოქმედობაზე.

18. პოლიცია მომართული უნდა იყოს მოსახლეობასთან კარგი ურთიერთობის დასამყარებლად, საჭიროების შემთხვევაში კი – ეფექტიანი თანამშრომლობის ჩამოსაყალიბებლად სხვა უნყებებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან, მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებთან.

19. პოლიციის სამსახურები მზად უნდა იყვნენ – საზოგადოებას ობიექტური ინფორმაცია მიაწოდონ თავიანთი საქმიანობის შესახებ, კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემის გარეშე. უნდა შემუშავდეს პროფესიული სახელმძღვანელო პრინციპები მედიასთან ურთიერთობის დასარეგულირებლად.

20. პოლიციის უნყება ეფექტიან ზომებს უნდა ითვალისწინებდეს თავის თანამშრომელთა პატიოსნებისა და სათანადო ქცევისათვის, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის კუთხით.

21. პოლიციის უწყების ყველა საფეხურზე უნდა დაინერგოს ეფექტიანი ღონისძიებები ამ სისტემაში კორუფციის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის.

ბ. პოლიციის კადრების კვალიფიკაცია, დაქირავება და შენარჩუნება.

22. პოლიციის თანამშრომლები ნებისმიერ პირველ სამსახურებრივ საფეხურზე პოლიციის მიზნების შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მიხედვით უნდა დაიქირაონ.

23. პოლიციის თანამშრომლებმა უნდა შეძლონ იმის ჩვენება, რომ აქვთ ჯანსაღი განსჯის უნარი, არიან გონებაგახსნილები, მომნიფებულები, სამართლიანები, აქვთ კომუნიკაციის უნარები და, საჭიროების შემთხვევაში, ლიდერისა და მენეჯერის თვისებებიც. მეტიც, მათ კარგად უნდა ესმოდეთ სოციალური, კულტურული და საზოგადოებრივი პრობლემები.

24. პირები, რომლებიც მსჯავრდებულნი იყვნენ მძიმე დანაშაულებისათვის, არ უნდა ასრულებდნენ პოლიციის ფუნქციებს.

25. დაქირავების პროცედურები უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ და არადისკრიმინაციულ საფუძვლებს, თანამშრომლები უნდა დაიქირაონ კანდიდატთა აუცილებელი შემონმების შემდეგ. გარდა ამისა, პოლიციამ მიზნად უნდა დაისახოს ქალებისა და მამაკაცების დაქირავება სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფიდან, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებიდანაც; უმთავრესი ამოცანა კი ის უნდა იყოს, რომ პოლიცია, თავისი თანამშრომლებით, ასახავდეს საზოგადოებას, რომელსაც იგი ემსახურება.

გ. პოლიციის თანამშრომელთა გადამზადება.

26. პოლიციის ტრენინგები უნდა ეფუძნებოდეს დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ფუნდამენტურ ღირებულებებს და შემუშავდეს პოლიციის ამოცანების შესაბამისად.

27. პოლიციის თანამშრომელთა ზოგადი გადამზადება შეძლებისდაგვარად ღია უნდა იყოს საზოგადოებისათვის.

28. სასურველია, რომ ზოგად სანყის ტრენინგებს რეგულარულად მოჰყვეს კვალიფიკაციის ასამაღლებელი, საჭიროების შემთხვევაში კი, სპეციალისტების, მენეჯმენტისა და ლიდერთა თვისებების ტრენინგები.

29. პოლიციის ტრენინგები ყველა საფეხურზე უნდა მოიცავდეს პრაქტიკულ გადამზადებას ძალის გამოყენებისა და ადამიანის უფლებათა იმ პრინციპების ფარგლების შესახებ, რომლებიც აღიარებულია ევროპული კონვენციითა და მისი პრეცედენტული სამართლით.

30. პოლიციელთა პროფესიული ტრენინგები უნდა ითვალისწინებდეს რასიზმსა და ქსენოფობიასთან ბრძოლისა და აღმოფხვრის საჭიროებას.

დ. პოლიციის თანამშრომელთა უფლებები

31. პოლიციის თანამშრომლები, როგორც წესი, უნდა სარგებლობდნენ იმავე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით, რომლითაც სხვა მოქალაქეები. ამ უფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა ეს აუცილებელია საპოლიციო უფლებამოსილების განხორციელებისთვის დემოკრატიულ საზოგადოებაში, კანონის თანახმად და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად.

32. პოლიციის თანამშრომლები შეძლებისდაგვარად სრულად უნდა სარგებლობდნენ სოციალური და ეკონომიკური უფლებებით, როგორც საჯარო მოხელეები. კერძოდ, თანამშრომელს უფლება უნდა ჰქონდეს, შექმნას წარმომადგენლობითი ორგანიზაცია ან გაერთიანდეს მასში, მიიღოს სათანადო ანაზღაურება და სოციალური დაზღვევა და უზრუნველყოფილი იყოს სპეციალური ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ღონისძიებებით, პოლიციის საქმიანობის სპეციფიკურობის გათვალისწინებით.

33. პოლიციის თანამშრომელთა წინააღმდეგ გატარებული დისციპლინური ზომები უნდა ექვემდებარებოდეს გადასინჯვას დამოუკიდებელი ორგანოს ან სასამართლოს მიერ.

34. ხელისუფლების ორგანოებმა მხარი უნდა დაუჭირონ პოლიციის თანამშრომლებს, როცა მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით დაუსაბუთებელი ბრალდებები არსებობს.

V. პოლიციელთა ქმედების/ჩარევის სახელმძღვანელო პრინციპები

ა. პოლიციელთა ქმედების/ჩარევის სახელმძღვანელო პრინციპები: ზოგადი პრინციპები

35. პოლიცია ყველა ოპერაციის ჩატარებისას ვალდებულია, პატივი სცეს თითოეული ადამიანის სიცოცხლის უფლებას.

36. პოლიციამ არცერთ გარემოებაში არ უნდა მიმართოს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას და არცერთ გარემოებაში არ უნდა ნაახალისოს ან შეინყნაროს ეს ქმედებები.

37. პოლიციას ძალის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ აბსოლუტური აუცილებლობისას და მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

38. პოლიციამ ყოველთვის უნდა გადაამოწმოს დაგეგმილი ქმედებების მართლზომიერება.

39. პოლიციის თანამშრომლებმა უნდა აღასრულონ ზემდგომი ოფიცრების მიერ გაცემული სათანადო ბრძანებები, მაგრამ ისინი ვალდებული უნდა იყვნენ, არ დაემორჩილონ აშკარად უკანონო ბრძანებებს და მათ შესახებ გააცხადონ სანქციის შიშის გარეშე.

40. პოლიციელი თავისი მოვალეობების შესრულებისას სამართლიანობის პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდეს, კერძოდ, მოქმედებდეს სამართლიანად და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

41. პოლიცია არ უნდა ჩაერიოს ადამიანების პირად ცხოვრებაში, თუ ამას არ მოითხოვს აბსოლუტური აუცილებლობა და ლეგიტიმური მიზნების მიღწევა.

42. პოლიციამ პერსონალური მონაცემები ინფორმაციის დაცვის საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად უნდა შეაგროვოს, დაიცვას და გამოიყენოს და ეს დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ მართლზომიერი, ლეგიტიმური და კონკრეტული მიზნების შესასრულებლად.

43. პოლიცია თავისი საქმიანობისას მუდმივად უნდა ითვალისწინებდეს ყველა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, როგორიცაა: აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება; გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება; გადაადგილებისა და ქონებით მშვიდობიანად სარგებლობის უფლება.

44. პოლიციის თანამშრომლები პატიოსნად და პატივისცემით უნდა მოეპყრონ მოსახლეობას და განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ იმ ადამიანთა მდგომარეობას, რომლებიც მოწყლად ჯგუფებს მიეკუთვნებიან.

45. ოპერაციების ჩატარებისას პოლიციის თანამშრომლებს, როგორც წესი, უნდა შეეძლოთ პოლიციელის სტატუსისა და მათი პროფესიული იდენტობის დამტკიცება.

46. პოლიციის თანამშრომლები უნდა დაუპირისპირდნენ ნებისმიერი სახის კორუფციას მათ ეშელონებში, ასეთი ფაქტების შესახებ კი აცნობონ ზემდგომ პირებსა და შესაბამის ორგანოებს.

ბ. პოლიციელთა ქმედების/ჩარევის სახელმძღვანელო პრინციპები: კონკრეტული სიტუაციები

1. საპოლიციო გამოძიება

47. საპოლიციო გამოძიება, სულ ცოტა, გონივრულ ეჭვს უნდა დაეფუძნოს დანაშაულის ან შესაძლო დანაშაულისა თუ სამართალდარღვევის შესახებ.

48. პოლიციამ უნდა იხელმძღვანელოს პრინციპით, რომლის თანახმადაც, სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული პირი

უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მის ბრალეულობას სასამართლო არ დაადგენს და იგი უნდა სარგებლოდეს გარკვეული უფლებებით – კერძოდ, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისთვის წაყენებული ბრალდების არსი და დაიცვას თავი პირადად ან მისი არჩეული ადვოკატის მეშვეობით.

49. საპოლიციო გამოძიება უნდა ჩატარდეს ობიექტურად და სამართლიანად. პოლიციელებმა უნდა გაითვალისწინონ ისეთი პირების სპეციალური საჭიროებები, როგორებიც არიან: ბავშვები, არასრულწლოვნები, ქალები, უმცირესობები – ეთნიკურ უმცირესობათა ჩათვლით – და მონყვლადი პირები.

50. უნდა შემუშავდეს საპოლიციო დაკითხვების სათანადოდ და პატიოსნად ჩატარების სახელმძღვანელო პრინციპები, 48-ე მუხლის გათვალისწინებით. კერძოდ, პირი უნდა დაიკითხოს სამართლიანობის პრინციპის დაცვით, დასაკითხ პირებს უნდა ეცნობოთ დაკითხვის მიზეზები და სხვა რელევანტური ინფორმაცია. სისტემატურად უნდა ინახებოდეს საპოლიციო დაკითხვების ოქმები.

51. პოლიციამ უნდა იცოდეს მოწმეთა სპეციალური საჭიროებები და იხელმძღვანელოს წესებით გამოძიებისას მოწმეთა დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, როცა არსებობს მათი დამცირების საფრთხე.

52. პოლიციამ დანაშაულის მსხვერპლის მიმართ საჭირო მხარდაჭერა უნდა გამოხატოს, დაეხმაროს და ინფორმაცია მიაწოდოს მას, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

53. მთელი გამოძიების განმავლობაში, საჭიროებისას, პოლიციამ უნდა უზრუნველყოს ზეპირი და წერილობითი თარგმანები.

2. პოლიციის მიერ დაკავება/თავისუფლების აღკვეთა

54. თავისუფლების აღკვეთას პოლიციამ ძალიან იშვიათად უნდა მიმართოს და ეს უნდა მოხდეს თითოეული დაკავებულის ღირსების, მონყვლადობისა და პირადი საჭიროებების გათვალისწინებით. თითოეულ პატიმარზე მუდმივად უნდა ინახებოდეს პატიმრობის პერიოდის ოქმები.

55. პოლიციამ შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ფარგლებში დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს თავისუფლებააღკვეთილ პირებს მათი დაკავების მიზეზები, მათთვის წაყენებული ყველა ბრალდება და მათ საქმესთან დაკავშირებული პროცედურები.

56. პოლიციამ უნდა უზრუნველყოს დაკავებული პირების უსაფრთხოება, ჯანმრთელობა, ჰიგიენა და შესაბამისი კვება საპატიმროში ყოფნის განმავლობაში. პოლიციის საკნები უნდა იყოს გონივრული

ზომის, სათანადო განათებითა და ვენტილაციით, და აღჭურვილი დასვენებისთვის გამოსადეგი საშუალებებით.

57. პოლიციელთა მიერ თავისუფლებააღკვეთილ პირებს უნდა ჰქონდეთ უფლება, დაკავების შესახებ შეატყობინონ მათ მიერ შერჩეულ მესამე მხარეს, ასევე, ხელი მიუწვდებოდეთ იურიდიულ დახმარებასა და სამედიცინო შემონმებაზე, შესაძლებლობის შემთხვევაში, მათივე სურვილით შერჩეული ექიმის მიერ.

58. პოლიციამ შეძლებისდაგვარად უნდა განაცალკევოს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ეჭვის საფუძველზე დაკავებული პირი სხვა მიზეზით დაკავებულებისაგან. ცალ-ცალკე უნდა განათავსონ ქალები და კაცები, ისევე როგორც ზრდასრულები და არასრულწლოვნები.

VI. ანგარიშვალდებულება და პოლიციის კონტროლი

59. პოლიცია ანგარიშვალდებული უნდა იყოს სახელმწიფოს, მოქალაქეებისა და მათი წარმომადგენლების წინაშე და ეფექტიანად კონტროლდებოდეს გარედან.

60. სახელმწიფო კონტროლი პოლიციაზე უნდა ნანილდებოდეს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს შორის.

61. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა უნდა შექმნან პოლიციელთა ქმედებების გასაჩივრების ეფექტიანი და მიუკერძოებელი პროცედურები.

62. უნდა ნახალისდეს ანგარიშვალდებულების მექანიზმის შექმნა, რაც დაეფუძნება ურთიერთგაგებასა და კომუნიკაციას საზოგადოებასა და პოლიციას შორის.

63. ნევრ სახელმწიფოებში უნდა შემუშავდეს პოლიციის ეთიკის კოდექსები – ნინამდებარე რეკომენდაციაში ჩამოყალიბებული პრინციპების საფუძველზე – და მათ შესრულებაზე მონიტორინგი სათანადო ორგანოებმა განახორციელონ.

VII. კვლევა და საერთაშორისო თანამშრომლობა

64. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ და ხელი შეუწყონ კვლევებს პოლიციის შესახებ, როგორც თვითონ პოლიციელების, ასევე გარე ორგანოების მიერ.

65. უნდა გაღვივდეს საერთაშორისო თანამშრომლობა პოლიციის ეთიკისა და ადამიანის უფლებათა ასპექტებზე.

66. ევროპის საბჭომ ყურადღებით უნდა იმსჯელოს ნინამდებარე რეკომენდაციის პრინციპთა ფართო საზოგადოებისთვის მიწოდებისა და შესრულების საშუალებებზე.

დანართი №11

ევროპოლის „ქცევის კოდექსი“

ევროპოლი, ჰაააგა, 2007, 23 აგვისტო, ფაილი №3540-257

ქცევის კოდექსი

1. შესავალი

ევროპოლის შესახებ კონვენციის მიხედვით ევროპოლი არის ევროკავშირის სამართალდამცავი ორგანიზაცია, რომლის მანდატია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოების ეფექტიანობის და თანამშრომლობის გაძლიერება სერიოზული საერთაშორისო დანაშაულის სხვადასხვა ფორმების თავიდან აცილების და მათთან ბრძოლის დროს. მისი მანდატით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ევროპოლი ქირაობს თანამშრომლებს ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოდან და მასპინძლობს ევროპული და არაევროპული სახელმწიფოების და ორგანიზაციების წარმომადგენლებს მის შენობებში. ინტეგრირებული მიდგომის დამკვიდრებისას განსხვავებული ეროვნული მიდგომების არსებობა და ნებისმიერი სამართალდამცავი სადაზვერვო ორგანიზაციის საჭიროება, რომ შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს უმაღლესი ხარისხის კონფიდენციალობა, უსაფრთხოება და კეთილსინდისიერება, მოითხოვს ქცევის კოდექსის მიღებას (შემდგომში "კოდექსი").

ორგანიზაციის ხასიათი და მისი საქმიანობა ასევე გულისხმობს, რომ საზოგადოებას უფლება აქვს დარწმუნებული იყოს, რომ ევროპოლი მოქმედებს ეფექტურად, ეფექტიანად და სათანადოდ. ევროპოლი საქმიანობს კოლაბორაციული და არაკონკურენტული ფორმით და აერთიანებს უნარების, გამოცდილების და კომპეტენციის ფართო სპექტრს მსოფლიო კლასის მომსახურების უზრუნველსაყოფად. ამიტომ ამ კოდექსის მიზანია ორგანიზაციული კულტურის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიულ და ეთიკურ საქმიანობას და ევროპოლის ხედვის, მისიის და ღირებულებების შესაბამისი კორპორაციული იდენტობის შექმნას და შენარჩუნებას. ის ახდენს კეთილსინდისიერების და პირადი და პროფესიული ქცევის იმ მაღალი სტანდარტების ილუსტრირებას, რომელთა დაცვაც მოეთხოვებათ ევროპოლის ოფიციალურ პირებს მათი პასუხისმგებლობების განხორციელებისას ინდივიდუალურად, კოლეგების მიმართ და ევროპოლის სახელით მოქმედებისას. კოდექსი ეხება ევროპოლის ყველა თანამშრომელს (ხელმძღვანელებს და ადგილობრივ პერსონალს), შუამავალ

ოფიცრებს (მათი ეროვნული კანონმდებლობის შეზღუდვის გარეშე) და ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც ახორციელებს საქმიანობას ევროპოლისთვის. თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, ამ კოდექსის ყველა დებულება გავრცელდება ნებისმიერ ზევით აღნიშნულ პირზე. ეს კოდექსი განხილული უნდა იქნეს ევროპოლის სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში კონკრეტული პირებისთვის განსაზღვრული მოვალეობების და პასუხისმგებლობების კონტექსტში.

2. ევროპოლის ღირებულებები

ქცევის ამ კოდექსის შემუშავების ხელშეწყობისთვის ევროპოლმა დაადგინა ღირებულებები, რომლებიც შემუშავდა ორგანიზაციის პერსონალთან კონსულტაციებით და მიღებული იქნა დირექტორატის მიერ 2006 წლის შუა პერიოდში. ეს ღირებულებები ასახულია ქცევის ამ კოდექსში.

1. ხელმძღვანელობა და საერთო მიდგომა:

ჩვენ უზრუნველვყოფთ კოორდინაციას, ვახდენთ მიღწეულ წარმატებამი შეტანილი ნვლილის ვიზუალიზაციას, ვზრდით პოლიტიკისა და მოქმედებების ურთიერთშესაბამისობას, ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში ვახდენთ პარტნიორებისა და დაინტერესებული მხარეების პრიორიტეტიზაციას (მათ შორის, ოფიციალურ და არაოფიციალურ კომუნიკაციას), პრიორიტეტს ვანიჭებთ დეპარტამენტებსა და ერთეულებს შორის ჰორიზონტალურ თანამშრომლობას ისე, რომ ევროპოლმა იმოქმედოს თანმიმდევრულად, ერთიანი მიდგომების საფუძველზე.

2. ერთიანობა:

ჩვენ გვყოფნის სიმამაცე, რომ მხარი დავუჭიროთ და დავიცვათ ჩვენი გადაწყვეტილებები და რწმენა ჩვენი პროფესიული სტანდარტების და ეთიკის კოდექსის ფარგლებში.

3. დინამიკა და პროაქტიურობა:

ჩვენ ვახდენთ ტენდენციების იდენტიფიცირებას, ვიღებთ ინიციატივას და ვახდენთ ინოვაციების და მოქნილობის დემონსტრირებას. ჩვენ შეგვწევს ძალა და განვსაზღვრავთ დღის ნესრიგს, რათა მომავლისკენ გავიხედოთ. სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების განხორციელებისას ევროპოლი ღიაა ცვალებადი მოთხოვნების და შესაძლებლობების მიმართ. ჩვენ აქტიურად ვუწყობთ ფეხს განვითარებას და ვიჩენთ ინიციატივას ახალი მეთოდების შემუშავებისთვის.

4. პროფესიონალიზმი და შედეგებზე ორიენტაცია:

ჩვენ ხარისხის მართვის და სიზუსტის პრინციპების ერთგული ვართ. როგორც პერსონალის ნევრებს, ჩვენ უნდა გვქონდეს

სათანადო კომპეტენცია და უნარები იმისათვის, რომ დაეკმაყოფილოთ დაინტერესებული მხარეების მოლოდინი და მივაწოდოთ მათ მაღალი სტანდარტის პროდუქტი და მომსახურება.

5. სანდოობა და საიმედოობა:

ჩვენ ვასრულებთ ვალდებულებებს და შეთანხმებებს როგორც ორგანიზაციის შიგნით, ისე მის გარეთ. ჩვენ რეალისტურად განვსაზღვრავთ ჩვენი ამოცანების შესრულების ვადებს. ჩვენ ვმოქმედებთ ობიექტურად და მიუკერძოებლად. ჩვენ ვიცავთ ევროპოლის საკომუნიკაციო პოლიტიკას.

6. დიალოგზე დაფუძნებული თანამშრომლობა:

ჩვენ უპირობოდ ვმოქმედებთ როგორც გუნდი, პატივს ვცემთ მრავალფეროვნებას და სხვების პასუხისმგებლობას. ჩვენ ვაძლიერებთ პატიოსან კომუნიკაციას, შემოქმედებითობას, გამჭვირვალობას, სტიმულებს და ანგარიშვალდებულებას.

7. ჩართულობა და ვალდებულება:

ჩვენ ვიცავთ კორპორატიულ ღირებულებებს და უზრუნველყოფთ კარგ შედეგებს დამაკმაყოფილებელ და მასტიმულირებელ გარემოში. ჩვენ ვაძლიერებთ ორმხრივ ნდობას და ევროპოლის ერთგული ვართ.

3. ევროპოლის ქცევის კოდექსი

ევროპოლის როლის და საქმიანობის გათვალისწინებით საზოგადოებას, კოლეგებს, წევრ სახელმწიფოებს, პარტნიორ ორგანიზაციებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს უფლება აქვთ, რომ იმ პირების მხრიდან, რომლებზედაც ვრცელდება ეს კოდექსი, ჰქონდეთ უმაღლესი სტანდარტების შესაბამისი ქცევის მოლოდინი. ეს კოდექსი აირეკლავს ამ მოლოდინებს და უზრუნველყოფს მათგან მოსალოდნელი ქცევის ზოგად სახელმძღვანელო პრინციპებს. ნათელია, რომ ამ დოკუმენტით არ შეიძლება განისაზღვროს ყველა გარემოება, მაგრამ მოსალოდნელია, რომ ზოგადი პრინციპები შესაძლოა გამოყენებული იქნეს და გამოყენებული იქნება ორგანიზაციის მასშტაბით. ამ კოდექსის მიხედვით განსაზღვრულია პასუხისმგებლობის სამი ძირითადი სფერო:

1. ინდივიდუალური ქცევა.
2. კოლეგების მიმართ ქცევა.
3. ორგანიზაციის მიმართ ქცევა.

თითოეული სფეროში განისაზღვრება, თუ რა უნდა იქნეს მიჩნეული ძირითად პრინციპებად, რომლებიც დაკავშირებულია ანგარიშვალდებულებასთან, პასუხისმგებლობასთან, კეთილსინდისიერებასთან,

პატივისცემით და თავაზიანად მოქმედებასთან, ადამიანებს შორის განსხვავების პატივისცემასთან, კონფიდენციალობის დაცვასთან, დაკავებულ პოზიციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან და არასათანადო ქცევის შემთხვევაში მისი შეცვლის მზადყოფნასთან.

1. ინდივიდუალური ქცევა

1.1 ნებისმიერ პირს, რომელზედაც ვრცელდება ეს კოდექსი, მოეთხოვება, რომ საკუთარი მოვალეობების განხორციელების ნებისმიერ მომენტში მოიქცეს პროფესიული ეთიკის, პატიოსნების და კეთილსინდისიერების უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად.

1.2 ნებისმიერმა პირმა საკუთარი სამუშაო უნდა შეასრულოს პროფესიულად, ყურადღებით, დისციპლინის და თავაზიანობის დაცვით და ეფექტიანობის უზრუნველყოფით.

1.3 ადამიანის ღირსების პატივისცემა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ნებისმიერ დროს და ნებისმიერმა პირმა უნდა დაიცვას ადამიანის უფლებები.

1.4 ნებისმიერმა პირმა თავიდან უნდა აიცილოს პირად ინტერესებსა და ევროპოლის ინტერესებს შორის ნებისმიერი კონფლიქტი და ანგარიშვალდებულების დადგენილი წესის დაცვით დირექტორს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია პირადი მდგომარეობის ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ევროპოლის სასარგებლოდ საქმიანობის დამოუკიდებლად და ერთგულად განხორციელებაზე.

1.5 ნებისმიერმა პირმა საკუთარი პირადი ცხოვრება უნდა წარმართოს ისე, რომ ხელი არ შეეშალოს მისი ოფიციალური მოვალეობების შესრულებას ან არ მოახდინოს ევროპოლის დისკრედიტება.

1.6 ნებისმიერი პოლიტიკური ან სხვა საჯარო საქმიანობა, რომელიც არ შედის პროფესიულ მოვალეობებში, არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ზიანი მიადგეს მოვალეობების მიუკერძოებლად განხორციელების მიმართ ნდობას.

1.7 ყველამ პატივი უნდა სცეს კანონს. ევროპოლის თანამშრომლებისთვის გარანტირებული პრივილეგიები და იმუნიტეტები მინიჭებული უნდა იქნეს მხოლოდ ევროპოლში საქმიანობასთან დაკავშირებით.

1.8 ნებისმიერმა პირმა, რომლის მიმართაც აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს დირექტორს ამის შესახებ ანგარიშვალდებულების დადგენილი წესის მიხედვით.

1.9 არავინ უნდა გამოიყენოს უკანონო ნარკოტიკული საშუალებები, ასევე არავინ უნდა გამოცხადდეს სამსახურში ან შეასრულოს

სამსახურეებრივი მოვალეობები ურეცეპტოდ მიღებული სამკურნალო საშუალებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას.

1.10 არავინ უნდა გამოცხადდეს სამსახურში ან შეასრულოს სამსახურეებრივი მოვალეობები, თუ მისი მდგომარეობა შეუთავსებელია მისი მოვალეობების შესრულებასთან ალკოჰოლის მოხმარების გამო.

1.11 თუ ნებისმიერი პირი თვლის, რომ მას მოეთხოვება ისეთი მოქმედება, რომელიც შეიძლება უკანონოდ ან არაეთიკურად ჩაითვალოს ან რომელიც წარმოშობს სინდისთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ საკითხს, მან უნდა ნარადგინოს ინფორმაცია ამის შესახებ დადგენილი წესით.

2. კოლეგების მიმართ ქცევა

2.1 პერსონალური კონტაქტები ნებისმიერ დროს განხორციელდება სამართლიანობის, პატივისცემის, თავაზიანობის და შემწყნარებლობის საფუძველზე. ხელი შეეწყობა გუნდურ მუშაობას ერთობლივი ძალისხმევით და დაცული იქნება კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პატივისცემა.

2.2 მოპყრობა ყველა კოლეგის მიმართ უნდა იყოს თანაბარი და ხასიათდებოდეს პატივისცემით და პროფესიონალიზმით ისე, რომ არ გამოიწვიოს შეურაცხყოფა ენით, გარეგნობით ან ქცევით.

2.3 არავინ უნდა დაუქვემდებაროს სხვები დისკრიმინაციულ საქციელს, განსაკუთრებით ასაკის, ეთნიკური ან ეროვნული წარმოშობის, სქესის, ოჯახური მდგომარეობის, გარეგნობის, ფიზიკური ან ინტელექტუალური ნაკლის, ფეხმძიმობის, რასის, რელიგიის, პოლიტიკური რწმენის ან სექსუალური ორიენტაციის გამო.

2.4 დაუშვებელია სექსუალური შევიწროება ნებისმიერი ფორმით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური დაშინება ან ძალადობის ნებისმიერი ფორმა.

2.5 ყველამ პატივი უნდა სცეს ანგარიშგების დადგენილ წესებს და აიღოს პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება დაკისრებული მოვალეობების შესრულების ყველა ასპექტთან დაკავშირებით.

2.6 კონფიდენციალობის დაცვის რეჟიმის შესაბამისად და სრული პატივისცემით, ინფორმაცია გაზიარებული უნდა იქნეს საჭირო მასშტაბით, რათა შეიქმნას გამჭვირვალე სამუშაო გარემო.

3. ორგანიზაციის მიმართ ქცევა

3.1 საკუთარი მოვალეობების შესრულებისას ევროპოლის თანამშრომლები ნებისმიერ დროს უნდა იჩენდნენ ორგანიზაციის მიმართ ერთგულებას, პირადი ინტერესების მიუხედავად.

3.2 ევროპოლის თანამშრომლები არ მოითხოვენ და არ მიიღებენ ინსტრუქციებს ევროპოლის ფარგლებს გარეთ ნებისმიერი მთავრობისგან, ხელისუფლებისგან, ორგანიზაციისგან ან პირისგან.

3.3 ევროპოლის თანამშრომლბმა საკუთარი მოვალეობები უნდა შეასრულონ მიუკერძოებლად და არა ნებისმიერი პირის, ჯგუფის ან ორგანიზაციის სასარგებლოდ.

3.4 ევროპოლის სახელით მოქმედებისას არავინ უნდა მიიღოს ნებისმიერი პირადი სარგებელი, საჩუქარი ან ანაზღაურება, გარდა კორპორაციული პოლიტიკით განსაზღვრული შემთხვევებისა.

3.5 არავინ უნდა გამოიყენოს ბოროტად საკუთარი უფლებამოსილება ან თანამდებობა ნებისმიერი პირადი სარგებელის ან პრივილეგიის მისაღებად.

3.6 ევროპოლის დატოვების შემდეგ არავინ უნდა მიიღოს გაუმართლებელი სარგებელი მისი ყოფილი სამსახურის გამო.

3.7 მედიის ყველა მოთხოვნა და კონტაქტი უნდა გადაეცეს ევროპოლის სათანადოდ უფლებამოსილ პირებს და გადაწყდეს მათ მიერ.

3.8 სამსახურებრივი მივლინების დროს ნებისმიერი პირი, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციას, უნდა მოიქცეს მისი თანამდებობრივი პოზიციის და ამ კოდექსის შესაბამისად.

3.9 ყველა დანახარჯი ევროპოლის სახელით უნდა განხორციელდეს მხოლოდ სათანადო უფლებამოსილების შემთხვევაში; გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ნებისმიერ დროს ევროპოლის რესურსები გამოყენებული უნდა იქნეს მაქსიმალურად ეკონომიურად.

3.10 ევროპოლის შენობები და აღჭურვილობა ნებისმიერი პირის მიერ გამოყენებული უნდა იქნეს პატივისცემით და სათანადო ზრუნვით.

4. ინტერპრეტაცია და განხორციელება

4.1 ნებისმიერმა მენეჯერმა უნდა უზრუნველყოს ხელმძღვანელობა და მითითებები პირადი მაგალითის და საღი აზრის მეშვეობით და ამგვარად ხელი შეუწყოს ამ კოდექსის შესრულების პროცესს.

4.2 გადაწყვეტილებები და მოქმედებები განმარტებული უნდა იქნეს შეძლებისდაგვარად ღიად და ასეთი განმარტება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სამართლებრივი მიზნებით.

4.3 ნებისმიერმა პირმა, რომელზედაც ვრცელდება ეს კოდექსი, არ უნდა დაუშვას ისეთი ქცევა, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კოდექსს და მას შეუძლია განახორციელოს შესაბამისი ქმედება ანაგრიშვალდებულების დადგენილი წესების მეშვეობით.

4.4 ვროპოლის ნებისმიერ თანამშრომელს, რომელიც ორგანიზაციის ყურადღებას მიაპყრობს პირად საკითხებს, შეძლებისდაგვარად უნდა გაეწიოს მხარდაჭერა ამ საკითხების მოსაგვარებლად.

4.5 ორგანიზაცია მხარს დაუჭერს ნებისმიერ პირს, რომელიც აწვდის ინფორმაციას ამ კოდექსის დარღვევის შესახებ, თუ ასეთი ინფორმაციის მიწოდება არ წარმოადგენს ბოროტ განზრახვას ან არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

4.6 ევროპოლი განსაზღვრავს ჩამოყალიბებულ პროფესიულ სტანდარტებს და ძირითად პრინციპებს პოლიტიკის სხვადასხვა დოკუმენტებში, რათა ხელი შეუწყოს ამ კოდექსის დაცვას.